

თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების ძეთოდლოგიური პრობლემა

(ქალაქის ახალი ტერიტორიული ტიპის
შესადგენად საჭირო სტრატეგიული კვლევების
ნაშრომთა კრებული)



თბილისი - 2003

**ურავანიზაციისა და მხანებლოზის საპინისტრო
არქიტექტურისა და ქალაქთმხანებლოზის თეორიის თბილისის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
„თბილარქიტეორია“**

ნიგნის ავტორები: კ. ამირეჯიბი, ვ. აფციური, გ. ბერიძე, თ. გუგუშვილი,
ვ. ვარდოსანიძე, მ. თუმანიშვილი, ზ. კიკნაძე.

ნიგნი წარმოდგენს ქ. თბილისის ახალი გენერალური გეგმის შესადგენად საჭირო სტრატეგიული კვლევების წარმართა კრებულს, სადაც განხილულია დედაქალაქის ქალაქთმხანებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები.

წარმართა თემატიკა შეირჩა იმ თვალსაზრისით, რომ სამეცნიერო კვლევებით გაშუქებულიყო ის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით ნაკლებად არის დამუშავებული და აქტუალურია თბილისის ახალი მეოთხე გენერალური გეგმის შედგენისათვის: ქ. თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია და პროგნოზი; ქალაქთმხანებლობითი განვითარების მემკვიდრეობითობა; თბილისის ქალაქთმხანებლობითი ზონირების შესახებ; გენგეგმის ადგილი და მნიშვნელობა ქალაქის ურბანული განვითარების სისტემაში; თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარების თავისებურებანი; ქალაქისა და მისი საგარეუბნო ზონის ურბანული განვითარების ეკოლოგიური მითითებები; მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქგანვითარების პროცესში.

ნიგნში წარმოდგენილი მასალა განკუთვნილია თბილისის ახალი გენერალური გეგმის პროექტზე მომუშავე დამპროექტებლებისათვის, მმართველი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის და ამ პრობლემით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი —საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი გივი ბერიძე

რეცენზენტები: საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი ნანული თევზაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წულაძე

შესავალი

ქ. თბილისის ურბანული განვითარების პროცესი, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ობიექტების მასობრივი მშენებლობა აყენებს მეტად აქტუალურ ქალაქთმშენებლობის პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში.

საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია, მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზება, უძრავი ქონების პრივატიზება, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველი. ამ პროცესებმა ქალაქთმშენებლობაში და კერძოდ ქალაქთგეგმარებაში ახალი პრობლემები წარმოქმნა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სახელმწიფო აღარ წარმოადგენს უძრავი ქონების და საფინანსო რესურსების ერთადერთ მფლობელს. შეიცვალა დაგეგმარებისა და განაშენიანების ინვესტირების არსებული წესი, ახალი იმპულსი შეიძინა საქალაქო მართვის კონცეფციამ თვითმმართველობის უპირატესობით, პირველ პლანზე წამოიწია მოქალაქეთა „სოციალური დაკვეთის“ რეალიზაციის აუცილებლობამ, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის პრიორიტეტულობამ, საქართველოს დასახლებული ადგილების ახალი თაობის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით უზრუნველყოფამ და ა. შ.

ეს და სხვა მრავალი ქალაქთმშენებლობითი პრობლემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების შესრულებაზე და განაპირობებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას დაგეგმარებისა და განაშენიანების მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავების თვალსაზრისით, რაც არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თეორიის სფეროს მიეკუთვნება. თეორიული გამოკვლევების აზრი ის კი არ არის, რომ საპროექტო-დაგეგმარებითი პრაქტიკა მოვამარაგოთ გადაწყვეტათა პროტოტიპებით, დავადგინოთ საპროექტო გადაწყვეტილებების მზა რეცეპტები, არამედ ის, რომ თანამედროვე ცოდნის მძლავრი არსენალის მოშველიებით ვწყვეტდ-

ეთ დამხმარე ამოცანებს, განვსაზღვრავდეთ, ვარკვევდეთ პროექტირების მეთოდოლოგიურ პრინციპებს და ამავე დროს ფართო გასაქანს ვაძლევდეთ არქიტექტურულ შემოქმედებას. ამგვარად, არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერება არ უნდა ცვლიდეს არქიტექტურულ შემოქმედებას. სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების გამოყენებამ უნდა იმოქმედოს არქიტექტურული დაპროექტების შემოქმედებით განწყობაზე, ხოლო მისგან – მთლიან არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკაზე.

თეორიული პრობლემების დამუშავების სირთულე გამოიხატება იმაში, რომ საერთო საკითხების გადაწყვეტის გარდა, საჭირო ხდება დამატებითი კვლევების ჩატარება. მაგალითად, თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის სპეციფიკური ბუნებრივი პირობები: ვაკე ტერიტორიები და მალალმთიანი ადგილები, ვერტიკალური ზონირება, ჭარბი მზის რადიაცია და დაბლობებში ზაფხულის მაღალი ტემპერატურები, სეისმურობა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენები, რთული რელიეფი და დამრეცი ნაკვეთები – ქმნიან დამატებით სიძნელებებს ტერიტორიების დაგეგმარებისა და განაშენიანების დროს.

ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავებას და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და მითითებების ჩამოყალიბებას, რომელთა გათვალისწინება ახალი მეოთხე გენერალური გეგმის შედგენისას ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების სრულყოფილ გადაწყვეტას.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1999 წ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თეორიის ინსტიტუტმა („თბილარქთეორიამ“) დაამუშავა სამეცნიერო-კვლევითი თემა: „თბილისის ისტორიული რაიონების განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი რეკომენდაციები ქალაქის ახალი გენერალური გეგმის შესადგენად“.

შემდგომში ინსტიტუტმა გააგრძელა მუშაობა თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავების მიმართულებით იმ თვალსაზრისით, რომ შექმნილიყო თბილისის ახალი გენერალური გეგმის შესადგენად საჭირო სტ-


რატეგიული კვლევების ნაშრომთა კრებული და გამოცემულიყო წიგნი. წინამდებარე წიგნში განხილულია:


- **თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია და პროგნოზი**, სადაც ჩამოყალიბებულია ზოგადი საფუძვლები, ქალაქის დემოგრაფიული ვითარება და თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ საპროგნოზო ვარიანტები (ავტორი – გეოგრ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თ. გუგუშვილი);
- **თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მემკვიდრეობითობა** – ძველი უბნების დაგეგმარებისა და განაშენიანების პრობლემები, ისტორიული ნაწილის შენარჩუნების და რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხები, თბილისის არქიტექტურულ-სივრცითი და სოციალურ-ფუნქციური განვითარების მემკვიდრეობითობა (ავტორი – არქ. კანდიდატი მ. თუმანიშვილი);
- **თბილისის ქალაქგეგმარებითი ზონირების შესახებ** – განაშენიანების ტიპები, ქალაქის სტრუქტურულ-მორფოლოგიური დაყოფა და ტერიტორიის ზონირება (ავტორი – არქ. დოქტორი, პროფესორი კ. ამირეჯიბი);
- **გენგეგმის ადგილი და მნიშვნელობა თბილისის ურბანული განვითარების სისტემაში** – საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდოლოგიური, ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფა; საცხოვრისი, როგორც ურბანული განვითარების ობიექტი (ავტორი – არქ. კანდიდატი, დოცენტი ზ. კიკნაძე);
- **თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარების თავისებურება** – ქალაქის შემოგარენის სამშენებლო-კლიმატური მიკრორაიონირება, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გათვალისწინება, ქალაქის გარშემო მწვანე ზონის შექმნა, ქალაქგარე ხანმოკლე და ხანგრძლივი საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ორგანიზაცია (ავტორი – საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქ. დოქტორი, პროფესორი გ. ბერიძე);

- თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის ურბანული განვითარების ეკოლოგიური მითითებები – ლანდშაფტური ეკოსისტემის გამოვლენა, ურბანული ლანდშაფტის კადასტრის შედგენა, ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარება (ავტორი – ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არქ. დოქტორი, პროფესორი ვ. აფციაური);
- მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქგანვითარების პროცესში – უცხოური გამოცდილება, პარტიციპაციის საკანონმდებლო-ნორმატიული წინაპირობები, თბილისის მოსახლეობის სოციალური კვლევის შედეგები, საქართველოს პრაქტიკა, გადწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დონეები (ავტორი – არქ. კანდიდატი, პროფესორი ვლ. ვარდოსანიძე).

წარმოდგენილი სამუშაოს ძირითადი მომხმარებლები იქნებიან: ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური, ადგილობრივი მმართველი ორგანიზაციები, ქალაქის ახალი გენერალური გეგმის დამპროექტებლები, გენგეგმის რეალიზაციით დასაქმებული ორგანიზაციები, ქალაქთმშენებლობის პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტები.

დაბოლოს, დიდი მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ ქ. თბილისის მერიის ი. ზოდელავას, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის ი. როსტომაშვილის და მისი მოადგილის თ. ჯაფარიძის დახმარება, რამაც განაპირობა ამ წიგნის გამოცემა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარებისა და ახალი გენერალური გეგმის შედგენისათვის.





თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია და პროგნოზი

1. ზოგადი საფუძვლები

იმდენი რამ დაწერილა და განსაკუთრებით ე. წ. საბჭოთა პერიოდში, ქალაქებზე და თბილისზე, მის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ თუ საერთოდ სოციალისტური დედაქალაქის წამყვან ურბანიზაციულ-პროგრესულ ფუნქციებზე და განვითარების ტენდენციებზე, რომ მათზე მხოლოდ მინიშნება შეიძლება და არა დაყრდნობა. ვინაიდან ისტორიული წარსულიდან დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობის დროის იმ მონაკვეთის დეატლიზაცია თუ პერსპექტიული განვითარების დროს განვრცობის შესაძლებლობა შეწყდა რუსეთის იმპერიაში არსებობის და განსაკუთრებით საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შედეგად. ამ პერიოდისაკენ ახლა, XXI საუკუნეში გვიხდება შემობრუნება.

დამოუკიდებლობის აღდგენა და იმპერიულ-სახელმწიფო მონოპოლისტური საკუთრებითი ფორმის თავისუფალი საბაზრო-კერძო საკუთრებით შეცვლა, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ამ ორ საკუთრების ფორმას შორის თანდათანობით ტრანსფორმაციის მიუღწევლობამ-კაპიტალის ველურმა დაგროვებამ, მთელი ე. წ. სოციალისტური მონაპოვარი მოსახლეობის ძალზედ მცირე ნაწილის ხელში აღმოაჩინა.

XXI საუკუნის ძალზედ სწრაფად მოძრავი ისრები, ქმნიან იძულებით პირობებს-გარემოებებს, დეფაქტურ მდგომარეობებს, რომელიც სწრაფ ჩარევებს მოითხოვს, რათა ერთის მხრივ, ჩაურევლობის შემთხვევაში უარყოფითმა შედეგებმა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაგნაცია, არამედ საერთოდ არ მოსპოს საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობის შესაძლებლო-

ბა, და მეორეც, დროული ჩარევა შესაძლებლობას იძლევა ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით ფეხი ავუნყვოთ XXI საუკუნის მაღალ ურბანიზაციულ-პროგრესიული განვითარების ტემპებს.

ქალაქის განვითარებაზე მოქმედ არსებულ, და განსაკუთრებით მოსალოდნელ ფაქტორთა-ფუნქციათა დროსა და სივრცეში სრულფასოვანი განსჭვრეტა უნდა იყოს მისი მოსალოდნელი მოსახლეობის (მკვიდრი და დროებითი) რიცხოვნობის, თვისობრივი ხასიათის ცვლილებების გამოვლენის და შედეგად განაშენებების უახლესი თუ გრძელვადიანი გეგმის დამუშავების საფუძვლები.

ქალაქის და მით უმეტეს მრავალფუნქციური ქალაქის წარმოშობა და განვითარება ეს მთელი ეპოქის თუ ცალკეული ქვეყნის სოციალური-ეკონომიკური განვითარების ისტორიაა. მისი განვითარების თავისებურებანი და გავლენის რადიუსი პირდაპირპროპორციული იყო და მითუმეტეს XXI საუკუნეში იქნება დამოკიდებული მის სიდიდეზე და სხვა და სხვა რანგის, დანყებული მეტროპოლია-ავლომერაციიდან, საერთაშორისო განსახლების სისტემაში ფუნქციაზე.

XX საუკუნე აღიარებულია, როგორც ურბანიზაციის საუკუნე. XXI საუკუნე ალბათ იქნება ურბანიზაციის გლობალიზაციის-მეგალოპოლისების საუკუნე.

ქალაქის მოსახლეობის (მკვიდრი და დროებით) რაოდენობრივი მაჩვენებელი თითქმის მთლიანად ასახავს მის ადგილს სხვა და სხვა რანგის განსახლების სისტემაში და თვით ქალაქში ცხოვრების დონეს. ისეთ ქალაქში სადაც მკვიდრი მოსახლეობის რიცხოვნობა უმეტესად გარედან მიგრაციის ე.ი. მექანიკური მატების შედეგად ინტენსიურად იზრდება და პარალელურად დიდია მასში ქანქარისებური - შრომითი მიგრაციების მიზიდულობა იქ საქმიანობის უკეთესი პირობებია და პირიქით. ერთი თავისებურების ხაზგასმით: ასეთი ქალაქების უმეტესობა ზრდის მიხედვით აღწევს გარკვეულ ზღვარს, რომლის შემდგომ ცხოვრების (და არა შრომითი საქმიანობის) პირობები არაკომფორტული ხდება და ამიტომაც იგი ამ მიმართულებით იჩენს

ქალაქთანამგზავრებს, თუნდაც სანყის ეტაპზე ე.წ. საძილე ფუნქციით, შემდგომ ეს თანამგზავრებიც აფართოებენ ფუნქციებს, იზრდებიან იჩენენ თანამგზავრებს და ასე შემდეგ.

ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ კერძო თუ მუნიციპალური საკუთრების ფორმები და განსაკუთრებით ქალაქის მიწაზე საგადასახადო პოლიტიკა არის ის ხერხემალი, რომელიც თვითონ აყალიბებს-აკანონებს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა ფუნქციას თუ განაშენიანების აქტიურობას. ამ ქცევათა ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ავტოსტრადაზე გამოყოფილი ხაზები მიუთითებს ავტომობილის სვლის სიჩქარეებს-გადასვლას დაბალი სიჩქარის ხაზიდან მაღალისაკენ ან პირიქით და ასეთი გადაადგილება დამოკიდებულია თითოეულ ხაზზე ავტომობილების დატვირთვის მაჩვენებელზე. შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომ მაღალი სიჩქარის ხაზის გადატვირთვის შედეგად მასზე მოძრაობის სიჩქარე უფრო დაბალი იყოს ვიდრე დაბალი სიჩქარის ხაზზე, ყოველივეში (ყოველგვარი ჩარევის გარეშე გარდა ავტოსტრადის სიჩქარის ხაზებად დაყოფისა) მძლოლი თვითონ ახდენს ორიენტირებას და იცვლის ხაზებს. ჩვენი აზრით, ქალაქის გენერალური გეგმა არის ანალოგი ავტოსტრადაზე სიჩქარის ხაზების მონიშვნისა, ხოლო კერძო საკუთრება და კაპიტალი თვითონ ახდენს ორიენტირებას ქალაქის განაშენიანებაში.

აქვე გვინდა ვთქვათ ისიც, რომ ამ ნაწილის დამუშავებისას შევეცადეთ დავყრდნობოდით წყაროებს თუ ფაქტებს და განსაკუთრებით მათ ისეთ ნაწილებს, რომელიც გარკვეულად ცნობილია, მაგრამ არ არის კარგად გაცნობიერებული, ვინაიდან ამის საჭიროებაც კი არ იყო ე.წ. საბჭოთა ეპოქაში. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ძნელია დამოუკიდებლობის აღდგენის ძალზედ რთულ და მოკლე პერიოდში მთელი სიგრძე სიგანით იმის გააზრება, რომლის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს და უნდა დაეყრდნო XX საუკუნის ურბანიზაციის სანყისი წლების კაპიტალისტური ქალაქების ტენდენციებს თუ მიმართულებებს. ამიტომაც ჩვენს მიერ მოყვანილი ტენდენციები თუ მათი საქართველოს თუ თბილისის მიმართ განზოგადება შეიძლება ინვევდეს დავებს, მაგ-

რამ ვიმედოვნებთ, რომ ესეც კი შეიძლება დადებითი იყოს, რადგან მას შეუძლია საბოლოოდ გარკვეულ აზრთა ფორმირება და წამოჭრილ საკითხთა კიდევ უფრო ჩაღრმავების მიზანშეწონილობაზე აზრთა შეჯერება.

და კიდევ, შეიძლება იყოს შეხედულება იმის თაობაზე, თუ რა საჭიროა ზოგიერთი ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც თითქოსდა არ მიესადაგება თბილისის მოსახლეობის ზრდის კონცეფციას და პროგნოზს, მარამ ჩვენ შევეცადეთ თითოეული ასეთი საკითხის განხილვას გარკვეული ორიენტირი, მიდგომათა თუ განწყობილებათა სიახლის, არატრადიციული აღქმის შეგრძნება მოეცა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, თბილისის მოსახლეობის ზრდის კონცეფციას თუ პროგნოზს წარსულის დინამიკა თითქმის არ ადგება, საჭირო ხდება ახალი „აღმოჩენები“, ვინაიდან საქართველოს და კერძოდ თბილისის შემთხვევაში, როგორც ბრძანებდა კენძო ტანგე, „... მომავლის ქვრეტა გაცილებით რეალისტურია, ვიდრე უკან ხედვა“.

1.1. ზოგიერთი რამ თბილისის ისტორიიდან

ამ ნაწილში ისტორიის ის ფრაგმენტებია მოტანილი, რომელიც გარკვეულად წაადგება საქართველოსა და თბილისის მიმართ დღევანდელი აზროვნების, მომავლის განსჭვრეტის შესაძლებლობათა გაფართოებას. კერძოდ, აქ მოყვანილია მისი განვითარების თავისებურებანი და ფუნქციები.

- შორეული ისტორიის წარსულიდან საქართველოსათვის და თავისთავად თბილისისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმავლობის პერიოდი იყო XII და XIII საუკუნის პირველი მეოთხედი, როცა ფეოდალური საქართველო განვითარების ზენიტს აღწევდა და თვით თბილისი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ გამორჩეულ და კეთილმოწყობილ ქალაქად ითვლებოდა.

- თითქმის მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს და თბილისის განვითარება XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. შედეგად მართალია, ერთის მხრივ, შეწყდა გარე აგრესიული ძალების საშიშროება, მაგრამ მეორეს მხრივ, შეგვრჩა ერთი აგრესორი და საქართველო უკვე აღარ არის დამოუკიდებელი ქვეყანა და თბილისი დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქი. იგი იმპერიის ერთ-ერთი განაპირა პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა. თუ მანამ ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სავაჭრო ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მის საგარეო ვაჭრობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული ნაწარმი და მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის განვითარებაც იმპერიის მოთხოვნებს დაექვემდებარა.
- XIX საუკუნის დასაწყისიდან მართალია თბილისი არ არის სატახტო ქალაქი, მაგრამ იგი გახდა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი. აქ იყო განლაგებული მეფის რუსეთის კავკასიის არმიის შტაბი. აქედან ხორციელდებოდა კავკასიაში, ირანში თუ თურქეთში საომარ მოქმედებათა ხელმძღვანელობა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.
- XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისში ძლიერდება სავაჭრო-სავაზმო საქმიანობა და განვითარებას იწყებს, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური სამრეწველო კაპიტალი, ხოლო სამოციანი წლებიდან თბილისი ბურჟუაზიულ ქალაქად იქცევა და იგი კაპიტალისტური განვითარების გზას ადგას.
- 1872 წელს თბილისი სარკინიგზო ხაზით ფოთს უკავშირდება. ამავე დროს ამოქმედდა (1870 წ.) მდიდარი ვაჭარი ძმების მირზოევი-

ბის საქსოვი ფაბრიკები, ადლენანოვის (1875 წ.) ტყავის ქარხანა-ფეხსაცმლის ფაბრიკა, ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა. მოქმედებდა თამბაქოს ფაბრიკა, საპნისა და ზეთსახდელი ქარხნები, რამოდენიმე თუჯსადნობი ქარხანა და ლითონის მექანიკური სახელოსნო. მრავალრიცხოვანი ალკოპოლიანი და უალკოპოლო სასმელების საწარმოები, მათ შორის დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა, ხიმშიაშვილის კრამიტ-აგურის ქარხნები. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპო.

1900 წლისათვის თბილისში, გარდა რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოსი მოქმედებდა 1500 ფაბრიკა, ქარხანა და წვრილი სამრეწველო სადაც მუშაობდა 12500 მუშა.

- აღნიშნულ საწარმოთა დიდი უმეტესობა იყო კერძო. მოყვანილი მონაცემებიდან თუ ფუნქციებიდან ძალზედ საყურადღებოა ის, რომ ყოველივეს ადგილი ჰქონდა მეფის რუსეთის იმპერიული რეჟიმის დროს და უბრალოდ რომ წარმოვიდგინოთ, ამ განვითარების უწყვეტობა და მოღწევა XXI საუკუნამდე, მაშინ ხომ რეალობაში შეიძლება ყოფილიყო უკვე ტრადიციული, საუკუნოვანი ისტორიის მქონე საკუთარი ქართული მრეწველობა, ევროპელების ანალოგიური. თვით თბილისიც მსგავსი განვითარების მქონე თანამედროვე ევროპული დედაქალაქების ანალოგიურად იქნებოდა წარმოდგენილი.
- თუ აღნიშნულის მიმართ თვალთახედვას კიდევ უფრო გავაფართოვებთ, მაშინ მეფის რუსეთის ქვეშევრდომობის გარეშე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პირობებში, საქართველო და თბილისი თუნდაც ევროპის ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანათა რიცხვში მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ, საამაყოდ განაშენიანებულ დედაქალაქად, ამიერკავკასიის თუ შესაძლებლობებით აბრეშუმის გზის, თუ დღეს უკვე საერთაშორისო დონის მაღალფუნქციურ ქალაქად.

- ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ კაპიტალიზმის, კერძო საკუთრების განვითარების პერიოდში თბილისის განაშენიანებაზე (ისევე როგორც დღეს) გავლენას ახდენდა მინაზე კერძო საკუთრება. ქალაქის ცენტრალურ უბნებში მიწის სიძვირემ განაპირობა აქ დიდი სიმჭიდროვე, პატარა და ვიწრო ქუჩები. მოსახლეობის სოციალურ ფენებად დიფერენციაციის გაღრმავების და საქალაქო ფუნქციის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა შიდასაქალაქო განსხვავებები - მდიდართა და ღარიბთა უბნები, სამრეწველო, სასაწყობო, სატრანსპორტო დანიშნულების მიწები.
- რაც შეეხება 1921 წლის აენქსიის შემდგომ 1991 წლამდე, საბჭოთა, ე. წ. კომუნიზმის მშენებლობის პერიოდს, აქ მის განხილვას არ დავინყებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან გავიდა სულ რაღაც თორმეტი წელი და კერძო საკუთრების ინიციატივა თუ ინტერესები, მკვეთრად განსხვავებულია ეგრეთ წოდებული სოციალისტურისაგან. საქართველოს და თბილისს მოუხდება მოძებნოს ისეთი გზები, რომლის ანალოგი არ არის მსოფლიოში, იმისათვის რომ შედარებით უმტკივნეულოდ გადავიდეს ე.წ. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში. ისე რომ არამხოლოდ შეინარჩუნოს თავისი სახე და ფუნქციები, არამედ შეიძინოს ახალი. ეს არის თავი და თავი დილემისა რომლის გადაწყვეტა მოუხდება საქართველოს და თბილისს მომავალ 10-15 წლის განმავლობაში.

1.2. ურბანიზაციის და კაპიტალისტური ქალაქის განვითარების ტენდენციები

ამ ნაწილში შევეცადეთ დავყრდნობოდით ისეთ სამეცნიერო-ლიტერატურულ წყაროებს ან ამ წყაროებში მოყვანილ თეზისებს, რომლებიც

ე.წ. სოციალისტური მშენებლობის დროს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენების, უფრო სოციალისტურისა კაპიტალისტურს შორის დაპირისპირებისთვის იყო მოყვანილი, სოციალისტურის სასარგებლოდ.

ჩვენი აზრით, ქვემოთ მოყვანილ თეზისებს არამხოლოდ ქალაქის გენერალური გეგმის მიმართებით, არამედ საერთოდ ქალაქის როგორც პროგრესული ორგანიზმის და მისი დემოგრაფიული მდგომარეობის ზრდა-განვითარებისთვის აქვს მნიშვნელობა. თბილისის შემთხვევაში კიდევ უფრო რთულ მდგომარეობასთან გვაქვს ადგილი, ვინაიდან იგი სოციალისტურიდან კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნებზე, ისევე როგორც მთლიანად საქართველო, სწრაფი რეაგირების წინაშე დგას.

განვლილი საუკუნის მანძილზე, თითქმის ყველა ქვეყანაში ქალაქური ცხოვრების თავისებურებანი პრაქტიკულად მოიცავდა ფართო არეალს. ამიტომაც ძალზედ ძნელია, როგორც შემოქმედებითი აზროვნებით, ისე არსებული პრაქტიკული გამოცდილებით, დიქტატორული ხანგრძლივი, განსაკუთრებით ე.წ. საბჭოთა სამოცდაათწლიანი პერიოდი, სწრაფად შეიცვალოს კაპიტალისტურით. მიუხედავად აღნიშნულისა და იმ სირთულეებისა, რაც ახლავს თბილისის (თუ საერთოდ საქართველოს) სოციალისტური განაშენების შეცვლას, კაპიტალისტური-კერძო საკუთრება ეს არის ისეთი სტიმულატორი, რომელიც გვაიძულებს დავაჩქაროთ მოთხოვნების დაკმაყოფილება ისე რომ თბილისმა შეინარჩუნოს რაც შეიძლება მეტი მისი მომავლისათვის აუცილებელი ფორმები, ან იგი განვითარდეს ქაოტურად, რამაც შეიძლება კიდევ უფრო მეტი პრობლემები წარმოშვას რეალობაში და მომავალში.

მსოფლიოში XXI საუკუნე ატომის, კოსმოსის, ლაზერის, გენური ინჟინერიის, მთლიანობაში ურბანიზაციის საუკუნედ არის მონათლული.

დედამიწაზე მე-XX საუკუნის დასაწყისში სულ რაღაც თორმეტ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა მილიონს აჭარბებდა, 80-ან წლებში ასეთ გიგანტთა რიცხვი დაახლოებით 200 აღწევდა. მათ შორის უმსხვილესი მრავალმილიონიანი იყო. თვალსაზრისი, რომ XX საუკუნეში

მოსალოდნელი იყო მსხვილი ქალაქების თითქოსდა კრახი, მიუხედავად მომხდარი კრიზისებისა, რამაც გავლენა იქონია მათ განვითარებაზე, არ მოხდა. პირიქით ასეთმა ქალაქებმა შექმნეს კიდევ უფრო რთული სტრუქტურები და განსახლების ფორმები. მაგალითად, როგორც არის მეტროპოლიები (აგლომერაციები), სადაც თვითონ მოიპოვეს არსებობისა და განვითარების ახალი ფორმები.

აქვე გვინდა შევჩერდეთ მეტროპოლიასა და აგლომერაციას შორის მსგავსებასა თუ განსხვავებაზე. მეტროპოლია დიდი ან უმსხვილესი ქალაქი, რომელშიც თავმოყრილია დიდი (ფართე) ტერიტორიის ხელმძღვანელობის ფუნქცია. ხშირად ეს არის ნაციონალური ცენტრი ან მსხვილი რეგიონალური ქალაქი. მეტროპოლია-მეტროპოლიური ზონა ან მეტროპოლიური არეალი — ასეთი სახელწოდება ეძლევა ტერიტორიას, რომლითაც გარშემორტყმულია (ირგვლივ ესაზღვრება) მსხვილი ქალაქი. ამავე დროს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობა ორიენტირებულია მსხვილ ქალაქზე. მეტროპოლიის უფრო ზუსტი შინაარსია: ესაა დაჯგუფება არანაკლებ 100 ათას კაციანი მოსახლეობით, რომელიც მოიცავს არანაკლებ ერთ ქალაქს, სადაც ცხოვრობს არანაკლებ 50 ათასი კაცი. იგი აგრეთვე მოიცავს საგრაფოებს (ადმინისტრაციულ რაიონებს), რომელთა მოსახლეობის 65%-ზე მეტი დაკავებულია არა სასოფლო საქმიანობით.

ასეთი განსაზღვრება თითქმის იდენტურია ჩვენებური გაგებით აგლომერაციისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალაქს მეტროპოლიის დროს მეტი გავლენა და ურთიერთობა აქვს მეტროპოლიის არეალზე. ძალზედ ძნელია თბილისის აგლომერაცია შევადაროთ მსოფლიოს უმსხვილესი, მრავალფუნქციური ქალაქების ანალოგიურ მეტროპოლიებს. ამავე დროს მეტროპოლიის მიმართულებით თბილისის განვითარება უახლეს პერსპექტივაში შესაძლებელია, თუ თბილისმა, ერთის მხრივ, შეინარჩუნა და, მეორეს მხრივ, დაიმატა ის ფუნქციები, რაც შეიძლება მას ჰქონდეს XXI საუკუნეში, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მაშინ როცა მსხვილი ქალაქები მილიონიანი მოსახლეობის ზღვარს უახლოვდებოდნენ ავგუსტ ბებელი წერდა: „დიდი ქალაქები თანდა-თანობით გაქრებიან და მოსახლეობა თანაბრად განსახლდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დიდი ქალაქების ზრდა, შეიძლება შევადაროთ ადამიანს, რომლის მუცლის მოცულობა განუწყვეტლივ იზრდება (ე.წ. „ლიპიანი“ ადამიანები, ისევე როგორც ქალაქები, დღეს საქართველო-ში იშვიათია. საქართველოს ქალაქების უმეტესობა „გამხდარია“, თვით თბილისიც „ლიპიანობის“ იმიტაციის დონეზეა, ვინაიდან საკუთარი რესურსი არ ყოფნის. ყოველივე გარდამავალი პერიოდის კრიზისის შედეგია და რომლის სწრაფად დაძლევის ნიშნები თბილისის შემთხვევა-ში შესამჩნევია, თუნდაც მისკენ მოსახლეობის ქაოტური მიგრაციის ხარჯზე. თ.გ.), მაშინ როცა ფეხები უფრო და უფრო წვრილდება და ბო-ლოს და ბოლოს მას არ შეეძლება აიტანოს სხეულის სიმძიმე“.

XXI საუკუნე დაიწყო, თვით გამორჩეულმა საბჭოთა იმპერიამაც კი ვერ შეძლო თანაბარი განსახლების პრინციპის რეალიზაცია, მსხ-ვილი ქალაქების ზრდა-განვითარების შეზღუდვა. უმსხვილესი ქალაქე-ბი-ქალაქი სახელმწიფოები დღეს მსოფლიო განსახლების მომავლად არის აღიარებული.

დაახლოებით 35 წლის წინ, ფრანგი გეოგრაფები ჟ. ბოჟე-გარნიე და ჟ. შაბო მსხვილი ქალაქების თაობაზე წერდნენ: „ამ ურჩხულებს თითქოს და მისჯილი აქვთ ზრდა და შემქმნელ (მშობელ) ადამიანს უძნელდება მათი განვითარების შეზღუდვა და კონტროლი“.

ოდნავ ნარმოდგენაც კი ძალზედ გართულებულია ან ძნელად აღსაქმელია მეხიკოს, ტოკიოს, კაიროს, კალკუტის გიგანტი ქალაქე-ბის თუ ცნობილი კონურბანიზაციების თუ მეგალოპოლისების ცხოვრე-ბის თაობაზე.

კონურბანიზაცია და მეტროპოლია-აგლომერაცია ბევრ რამეში შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს და ბევრ საკვანძო საკითხებში გან-სხვავებებიც კი ახლდეს. მაგალითად მეტროპოლია-აგლომერაციაში იგულისხმება უფრო მკაცრი ურთიერთდაქვემდებარება. კონურბან-

იზაციის დროს ქალაქები უფრო განმხოლოებულნი-დამოუკიდებელნი, მაგრამ ერთ კომპლექსში არიან ჩართულნი. ნილს ბიომმა შემოიტანა ახალი ტერმინი ინტერუბანიზაცია, რომელიც არის კონურბანიზაციისაგან წარმოშობილი.

ინტერუბანიზაციის დროს კონურბანიზაციაში შემავალი ქალაქებიდან ერთ ქალაქს აკლია გარკვეული სახის მომსახურება, რომელიც გააჩნია მეორეს, ამიტომაც ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი ე.წ. შეუღლების პრინციპით.

გოტმანმა დაამკვიდრა ტერმინი მეგალოპოლისი. მეგალოპოლისში შემავალი ქალაქები დამოუკიდებელნი, მაგრამ ტერიტორიულად ძალზედ ახლოს არიან განლაგებულნი.

წარმოვიდგინოთ მეგალოპოლისი ათეული მილიონი მაცხოვრებლით, ასეულობით ათას კმ² და ასეულ კილომეტრზე გაჭიმული: აშშ-ს ტბათაშორისი („ჩი-პითისი“-პიტსბურგი-ჩიკაგო) და კალიფორნიის „სან-სანი“ (სან-ფრანცისკო-სან-დიეგო), „ბოს-ვაში“- ბოსტონსა და ვაშინგტონს შორის, დასავლეთ ევროპაში-ინგლისის (ლონდონი-ლივერპული) და რეინის, იაპონიაში-მსოფლიოში უმსხვილესი ტოკაიდოს (ტოკიო-ოსაკა, ნაგაი და სხვა ქალაქები). კანადაში-1200 კილომეტრზეა (ვინდზორიდან კვებეკამდე) გაჭიმული მეგალოპოლისი, ოოძლის ფართობი 170 ათას კმ²-ზე მეტია.

ტოკაიდოს მეგალოპოლისში ტოკიოსა და იოკაგამს შორის ელექტრომატარებლით 1 საათის სავალი მანძილია, სადაც ცხოვრობს იაპონიის მოსახლეობის თითქმის 70%, მ.შ. ტოკიოში ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 40%, ხოლო მეგალოპოლისის მოსახლეობის-60%-მდე.

მრავალი მეცნიერი ურბანისტი მეგალოპოლისებს მიიჩნევს განსახლების მომავლად. მაგალითად, ბერძენი მეცნიერ ურბანისტებს დოსკიადის და პაპაიანნუს მიაჩნიათ, რომ დედამიწა მომავალში დაფარული იქნება ასეთი მეგალოპოლისებით.

მეგალოპოლისების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ ისინი ვითარდებიან ერთი გარკვეული ლერძის-სუპერმაგისტრალების

გასწვრივ. მეორე აუცილებლობა ანუ უნიკალურობა ისაა, რომ ისინი წარმოიქმნებიან ყველაზე გაცხოველებული მსოფლიო-ეკონომიკური კავშირების გადაკვეთაზე და სადაც თავმოყრილია გიგანტური, კონტინენტთაშორისი მნიშვნელობის წარმოებები.

მსოფლიოს უმსხვილესი მეგალოპოლისები

№	მეგაპოლისების სახელწოდება	ფართობი (ათასი კმ ²)	მოსახ. (მლნ. კაცი)	სიმჭიდროვე (კაცი/კმ ²)	მეტროპოლია აგლომერაციის რაოდენობა	ძირითადი ლერძის სიგრძე(კმ)
1	ჩრდილო-აღმოსავლეთის	100	45	450	40	800
2	ტბათაშორისი	160	35	220	35	900
3	კალიფორნიის	100	18	180	15	800
4	ინგლისის	60	30	500	30	400
5	რეინის	60	30	500	30	500
6	ტოკაიდოს	70	55	800	20	700

Котинский Г.Д. Основные черты формирования мегалополисов в развитых кап. странах. 1977.

აღნიშნულ ფონზე, მართალია ძნელად წარმოსადგენია, თუნდაც XXI საუკუნის ბოლოსთვის, თბილისი მეგალოპოლისის ცენტრად, მაგრამ ის მაინც შეიძლება დავუშვათ, რომ შედარებით ნაკლებად მსხვილი წარმონაქმნის, თუნდაც ამიერკავკასიის დონეზე და თუნდაც 2050 წლის შემდგომ, ოცნების თუ მომავლის შესაძლებლობა. ამავე დროს ყოველივეზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც გავაკეთეთ, რომ გვეთქვას, XXI საუკუნის რეალობა თუ შესაძლებლობა გვიჩვენებს, რომ თბილისს არამხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის თუ საერთოდ კავკასიის საერთაშორისო ცენტრად გახდომის მეტი ალბათობის შესაძლებლობა აქვს, დღემდე არსებულ, განვლილ ორსაუკუნოვან პერიოდთან შედარებით.

ამ თუნდაც ძალზედ საოცნებო ოპტიმისტურ ფონზე, საინტერესოდ გვეჩვენება ჟ.ბოჟე-გარნიეს გამონათქვამი-დასკვნა „ჩვენ

(ფრანგებს. თ.გ.) არ გვინდა მეგალოპოლისების ფორმირება. სენაზე და ლიონის რაიონში არის ტერიტორიები, რომლებიც გამოირჩევიან ქალაქების დიდი კონცენტრაციით, მაგრამ საფრანგეთისა და აშშ-ს ურბანიზაციის გზების შედარება არც ისე სასარგებლოა. აღნიშნულს შეიძლება დავამატოთ, რომ ამერიკული ურბანიზაცია საკმაოდ გაუღენთილია ტექნიკით, ამერიკელებს არ სჭირდებათ არსებული ქალაქების მიმართ უკან მოხედვა, ვინაიდან ფრანგული ქალაქების მსგავსად ისინი ისტორიის მატარებელი არ არიან".

აღნიშნულიდან გამომდინარე, რატომაუნდა საქართველოს განსახლების სისტემა და მისი დედაქალაქი საქართველოს ისტორიის მატარებელია და განვითარებაც შეუძლებელია აღნიშნულის გათვალისწინების გარეშე.

აქვე გვინდა, ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შევეხოთ, რომლის გარკვეული გამოძახილიც ქვემოთ თუნდაც საქართველოს განსახლების სისტემის თუ თბილისის დღევანდელი განვითარების მიმართულებებს შორის იქნება ასახული, როგორც ერთ-ერთი შესაძლო და თანაც საკმაოდ მიახლოებული მომავალ 15-20 წლიან პერიოდს. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად დანიაში და ურუგვაიში განსახლების სისტემა ისე შეიცვალა, რომ ისინი შეიძლება მათი დედაქალაქების მეტროპოლიურ-აგრომერაციულ ზონადაც კი ჩაითვალოს.

1.3. თბილისი და მისი ფუნქციები

თანამედროვე პერიოდამდე ურბანიზაცია გაგებული იყო როგორც ქალაქების რიცხოვნობისა და სიდიდის აბსოლუტური თანაფარდობა ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან. ყოველივე დღეს არასაკმარისია, ვინაიდან აღნიშნულ მაჩვენებელთან ერთად ურბანიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალაქური კულტურის შემოჭრას-განუხრელ პროგრესს. ე.ი. ურბანიზაცია უფრო სოციალური

პროცესია და თანაც იგი საზოგადოებრივი განვითარების მთლიანობის შენარჩუნების ელემენტია.

ამგვარად, ქალაქები და მითუმეტეს მრავალფუნქციური მსხვილი ქალაქები, ქვეყნის დედაქალაქი თბილისი მთლიანად საქართველოს საზოგადოების ურბანიზაციის პროცესის ამსახველია და თვით ისიც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფორმირებაზე. ამიტომაცაა, რომ მსხვილი ქალაქები და თბილისიც არ განიხილება მხოლოდ ლოკალურ – თვითგანვითარებად ჩაკეტილ სივრცეში.

ტერმინი „ფუნქცია“ ფიზიოლოგიური ტერმინია და პირველად დაამკვიდრა 1891 წელს ფ.რატცელმა. ქალაქის ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ ისეთი საქმიანობა რომელიც ამართლებს მის არსებობასა და განვითარებას, უზრუნველყოფს ცხოვრებისათვის აუცილებელ მინიმალური რესურსებით. ამ რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს უზრუნველყოფს ქალაქის მიმდებარე ტერიტორია (მეტროპოლია-აგლომერაცია), ამიტომაც ხშირად ლაპარაკობენ მის ცენტრალურ-რეგიონალურ ფუნქციებზე ე.ი. ქალაქის გარეთ საქმიანობის განხორციელება არის ქალაქის ძირითადი ფუნქცია. რაც უფრო დიდია ქალაქის მიზიდულობის თუ გავლენის არეალი მით უფრო მრავალფუნქციურია ის და პირიქით, რაც უფრო მრავალფუნქციურია ქალაქი მით უფრო მზარდია მისი მოსახლეობის რიცხოვნობა და განვითარების ტენდენციები. რატცელი წერდა „ვაჭრობა ქმნის ქალაქს“. არ არის ისეთი ქალაქი, რომელიც რაღაც სახის სავაჭრო ურთიერთობებს არ ამყარებდეს გარე სამყაროსთან. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ როლს იძენს მსხვილი მრავალფუნქციური ქალაქის პირობებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით რეგიონალურ-სახელმწიფოთაშორისი თუ საერთაშორისო დონის სავაჭრო ფუნქცია თავისთავად სტიმულია საბანკო-საფინანსო ფუნქციის და სხვა თანმდევი ფუნქციათა განვითარებისათვის.

შვარცი ანსხვავებდა ორ ძირითად ფუნქციას:

- 1) საერთო ფუნქციებს, რომელიც უკავშირდება იმას, რომ ქალაქს მისკენ მიზიდულობის არეალში უკავია ცენტრალური ადგილი;
- 2) განსაკუთრებული ფუნქციები. იგი გამოყოფდა ქალაქის ფუნქციებიდან ოთხ კატეგორიას:
 1. პოლიტიკურს
 2. კულტურულს
 3. ეკონომიკურს (ბაზრები, სავაჭრო და სამრეწველო ცენტრები)
 4. დედაქალაქისას

აღნიშნულს ჩვენის აზრით უნდა დაემატოს

5. სამხედრო, რომელიც თანამედროვე პირობებში, ისევე როგორც შორეულ წარსულში, მნიშვნელოვანი ხდება საერთოდ და განსაკუთრებით თბილისის შემთხვევაში.

აქვე გვინდა საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შევიძინოთ ერთ უკვე არსებულ თავისებურებას. კერძოდ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებში თავმოყრილი იყო ყველა ზემოთ აღნიშნული ფუნქციები, მაშინ როცა ფედერაციული ნიშნის ქვეყნებში, ფედერაციის სუბიექტებს (შტატებს) ჰყავთ თავიანთი დედაქალაქები და ასეთ შემთხვევაში ფედერაციის დედაქალაქების ფუნქციებში მოქცეულია საერთო ფუნქციები, ხოლო ადმინისტრაციები კი ცალკეულ შტატებში. ასეთი დაყოფა და ფუნქციათა გადანაწილება არ გამორიცხავს კონფლიქტურ სიტუაციებს მთავარ და ცალკეულ დედაქალაქებს შორის. აღნიშნულის კარგი მაგალითია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ურთიერთობა თბილისს და ბათუმს თუ თბილისს და სოხუმს შორის. საქართველოს უახლესი 15-20 წლიანი მომავალი ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას უშვებს და იგი ადვილი პროცესი იქნება თუ თბილისმა შეიძინა და განავითარა ახალი, უფრო მაღალი და პრესტიჟული ფუნქციები და შიდა რეგიონალური ცენტრები- (ძირითადად შედარებით პატარა დედაქალაქები) მოაქცია თავის

ურბანისტულ არეალში. მხედველობაში გვაქვს დანიის და ურუგვაის განსახლების სისტემების ანალოგი, სადაც დედაქალაქებმა-კოპენჰაგენმა და მონტევიდეომ მთელი განსახლების სისტემა მოაქციეს საკუთარი გავლენის ქვეშ და აქციეს საკუთარ მეტროპოლია-აგლომერაციად.

აღნიშნულიდან და თბილისის და საერთოდ საქართველოს გეოპოლიტიკური (თუ ეკონომ-გეოგრაფიულ) მდებარეობიდან გამომდინარე თბილისის ფუნქციათა განვითარება და შესაბამისად მისი მუდმივად თუ დროებით მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი და ტერიტორიულ-განაშენიანებითი მიმართულებები უახლეს(20-25 წლებში) თუ შორეულ პერსპექტივაში (25-50 წელი) ექვს დონეზე უნდა იქნას განხილული:

- მეტროპოლია-აგლომერაციაში
- საქართველოს განსახლებაში
- ამიერკავკასიის (ან მთლიანად კავკასიის) განსახლებაში
- აბრეშუმის გზის ქვეყნების განსახლებაში
- შავი ზღვის ქვეყნების განსახლებაში
- მსოფლიო განსახლებაში.

1.4. თბილისის განვითარების ურთიერთნააღმდეგობრივი ფორმები და გენერალური გეგმა

ქალაქის და თანაც მსხვილი ქალაქის თბილისის დინამიურობა თავისთავად მის რეგულირება-მართვა-განაშენიანებაში (განსხვავებით ე.წ. სოციალის ტურისაგან), უმეტესად უნდა გულისხმობდეს მის ისეთ განვითარებას, რომლის პროცესში ის თვითონ გადალახავს წინააღმდეგობებს; წყვიტავს ერთ პრობლემას, მაგრამ ამავე დროს წარმოშობს ახალს. იგი ცოცხალი ორგანიზმია.

მიუხედავად, განვლილ სახელმწიფო, მონოპოლისტური დიქტატორული პოლიტიკისა (უახლეს 70 წლიან ე.წ. სოციალისტური - საბჭოთა ეპოქაშიც კი) და განსაკუთრებით კერძო საკუთრებისა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, თბილისში მუდმივად წარმოიშობა მის (შედარებით სტაბილურ) ფორმასა (ძირითადად ტერიტორიულ ზრდასა) და შინაარსს (მუდმივად განვითარების ტენდენციას) შორის ურთიერთწინააღმდეგობები.

საზოგადოების მხრიდან მზარდი და თანაც ახლად წარმოქმნილი მოთხოვნები, ერთის მხრივ და მეორე მხრივ, თვით სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესი აიძულებს თბილისს (ისევე როგორც ადამიანს) განუწყვეტლივ შეიცვალოს, მიესადაგოს ახალ სიტუაციას. ამიტომაც მისი ფუნქციები განუწყვეტლივ ტრანსფორმაციას განიცდის, იცვლება გეგმარებითი ფუნქციები, ხდება განაშენიანების განახლება.

დამოუკიდებლობა აღდგენილი ქვეყნის დედაქალაქის ხვალინდელ დღეში, მის განვითარების პროცესში ურთიერთ წინააღმდეგობრივობა გარდაუვალია. იგი, მიუხედავად დამოუკიდებლობის აღდგენიდან შედარებით მცირე დროის გავლისა (12 წელი), აღქმული უნდა იქნას როგორც მოვლენათა კანონიერი სვლის შედეგი, ვინაიდან მისი განვითარების ისტორია, ისევე, როგორც ანალოგიური ქალაქებისა, არის მცდელობა, რომ ქალაქი სტრუქტურით და დინამიურობით იყოს ჰარმონიული. მაგრამ ეს მიუღწეველია, რადგან ქალაქი წინააღმდეგობრივი ჰარმონიაა. ამის მაგალითია, თუნდაც ის, რომ სულ რაღაც თორმეტი წლის წინ თბილისის მოსახლეობამ 1270 ათას მიაღწია, და ასე, რომ გაგრძელებული იყო დღეს სხვა პრობლემის წინაშე იქნებოდა. დღეს, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობამ დაიკლო მილიონამდე, სამაგიეროდ მკვეთრად გაიზარდა საქართველოს რეგიონებიდან და საზღვარგარეთიდან უცხოელ ემიგრანტთა ნაკადები, რაც უკვე სხვა პრობლემებს წარმოშობს.

საერთოდ ისევე როგორც ყველა მსხვილი ქალაქი, თბილისი, განსაკუთრებით დღეს, როცა სრულიად ახალი რეალობის წინაშე

დგას, იძულებულია ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნათა შორის მოძებნოს კომპრომისული – ლოკალური გადაწყვეტილებები, რომელიც ერთის მხრივ, დააკმაყოფილებს გარკვეულ მოკლე დროში საზოგადოების მოთხოვნებს, მეორე მხრივ, ყოველივე ისე რომ არ დაირღვეს მისი უკვე შექმნილი-ჩამოყალიბებული ორგანიზმის მთლიანობა, თუნდა შორეული პერსპექტივის ჭვრეტის იმ შესაძლებლობათა ფარგლებში, რომელიც არსებობს თუნდაც დღევანდელ კონკრეტულ მომენტში. ამიტომაც მსოფლიოს, თბილისის მსგავსი, ქალაქები ცდილობენ მოზღვაებული პრობლემები თავიანთი გავლენის ზონის გაფართოებით გადაჭრან.

აღნიშნული თეზისიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოს განვითარების უახლესი პერიოდის შესაძლებლობა და ურბანიზაციის ჯერ-კიდევ დაბალი დონე იძლევა საშუალებებს, რომ თბილისმა 10-15 წლის განმავლობაში მკვეთრად განაგრძოს თავის გავლენის არეალი. ამ დროის განმავლობაში იგი ძირითადად უშუალო ზემოქმედებას მოახდენს თავის მეტროპოლია-აგლომერაციაზე, რაც არ გამორიცხავს მის გავლენაში სხვა ქალაქების განვითარების ინტერესების მოქცევასაც.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ლ.კიბლის მოსაზრებები ქალაქის გენერალური გეგმის ირგვლივ. მათი გათვალისწინება ჩვენს შემთხვევაში გარკვეულად უკავშირდება თბილისის არსებულ და შესაძლო ფუნქციას, მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზს, განაშენიანებისა და ქალაქის მიწების ათვისების ტენდენციებს: „არასოდეს არ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ქალაქი შეიძლება შევზღუდოთ დაგეგმარების ზონის ფარგლებში. თეორიულადაც კი სასურველია დაშავებულ იქნას ქალაქის გაფართოების შესაძლებლობა. „ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ იმისაგან, რომ მოვახდინოთ დიდი ქალაქის მთლიანი რეკონსტრუქცია - ეს თითქმის აკადემიური საკითხია“.

„ავტომობილის ეფექტური გამოყენება, რომელსაც აქვს ტენდენცია იყოს მთავარი ქალაქის ცხოვრებაში, არის თითქმის განსაზღვრული პრობლემა, მაგრამ ამავე დროს ერთ მშვენიერ დღეს შეი-

ძლება ავტომობილი გაქრეს ისევე როგორც ტრამვაი ... შეიძლება დღეს ვიდგეთ ისეთივე მდგომარეობაში ვერტმფრენის მიმართ, რომლის წინაშე იყო 1900 წლის თაობა ავტომობილის მიმართ. ნათელია, რომ ვერტმფრენთა უნივერსალური გამოყენების შესაძლებლობა გამოინვევდა ქალაქის დაგეგმარების საფუძვლების შეცვლას, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით არ ვზრუნავთ და ეს უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ პერსპექტივაში ვერტმფრენის გამოყენებამ შეიძლება არ გაამართლოს. ძნელია თქმა, რომელი უფრო გულუბრყვილობაა - დაგეგმოს რაც შეიძლება არ განხორციელდეს, თუ მოიცადო მანამ სანამ არ გაჩნდება ტრანსპორტის ახალი სახე. საუბედუროდ ამ დილემიდან გამოსავალი არ არის“.

„ქალაქის გენერალური გეგმა ეს მხოლოდ სქემაა, რომელიც საფუძველი - სახელმძღვანელო ხდება დეტალური დაგეგმარებისათვის, თუ გენერალური გეგმა დამუშავებული იქნა სწორად ის უზრუნველყოფს სწორ თანაფარდობას ქალაქის გაფართოებასა და მის რეკონსტრუქციას შორის. იმისათვის, რომ სწორად ვიმსჯელოთ ქალაქის გეგმაზე, ის უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ წარმოდგენას ქმნიდეს ქალაქის მთლიანობაზე. ის მდგომარეობა, რომ გაანგარიშებათა უმეტესობა, რომელიც აუცილებელია ქალაქის გეგმის შედგენისათვის, აუცილებლად იქნება არაზუსტი და დეტალებშიც კი ცდომილებებით, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ამ გაანგარიშებათა აუცილებლობას“.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მსოფლიო ქალაქგეგმარებით პრაქტიკაში ქალაქგეგმარებითი აზრი ვერ უსწრებდა ქალაქების განვითარების შესაძლებლობებს, ისინი მათ კულში მისდევდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მსოფლიო ქალაქების და საერთოდ მსხვილი ქალაქების განვითარების, (გარდა საბჭოთა პერიოდისა) ტენდენციებიდან გამომდინარე, არა აუცილებელი თბილისის პერიფერიების წინმსწრებად განაშენიანება, იგი უნდა შეიცვალოს პრესტიჟული რაიონების განაშენიანებით (ისეთივე

ტენდენციით როგორც ხასიათდება იგი დღეს), საიდანაც მიღებული მუნიციპალური შემოსავლებით მოხდეს პრესტიჟული რაიონების ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო სრულყოფა და მათ მიმდებარე (მომიჯნავე) რაიონების (ტერიტორიების) განაშენიანება. ე. ი. პრესტიჟული ტერიტორიების (რაიონების) განაშენიანების მაღალი ღირებულება მიაღწევს გარკვეულ ზღვარს, რომლის შემდგომ აქ განაშენიანება თავისი ფასის გამო არამომგებიანი გახდება, მაშინ იგი მოინაცვლებს ამ ტერიტორიების მომიჯნავეზე და ა. შ. ამით ქალაქის აუთვისებელი არაპრესტიჟული ტერიტორიები გარკვეულად დაკონსერვდება ან დროებით სამეურნეო საქმიანობისათვის გაიცემა.

იმ შემთხვევაში თუ მთელი აქცენტი წინმსწრებად გადატანილი იქნება საბჭოთა პერიოდის ახალი რაიონების განაშენიანებაზე, იგი არამხოლოდ დღევანდელი თვალსაწიერით გაუმართლებელია, არამედ ეკონომიკურად განუხორციელებელიც იქნება.

კერძოდ, აღნიშნულს საფუძვლად დაკუთვებით შემდეგი მოსაზრებები:

1. თბილისი, ისევე როგორც საქართველოს საზოგადოება, ჯერაც ვერ გარკვეულა თავის ფუნქციებში. მისი მკვიდრი მოსახლეობის ემიგრაციის შედეგად, რეალობაში არაპრესტიჟული, უმეტესად არაქართველებით დასახლებული რაიონები დაიცალა. მათი მონაცვლეობა მოხდა საქართველს დანარჩენი ტერიტორიებიდან (ყველაზე ნაკლებად აჭარიდან), ძირითადად დროებით მიგრაციით. პარალელურად შესამჩნევია პრესტიჟული რაიონებიდან არაპრესტიჟულში მონაცვლეობაც და პირიქით პრესტიჟულში, როგორც ქალაქის მკვიდრთა ისე ქალაქის გარედან ელიტარული მშენებლობების ბიზნესი. ყოველივე, ერთის შეხედვით ქაოტურია, მაგრამ იგი საბაზრო ეკონომიკის კანონების ფარგლებში მიმდინარეობს და მომავალ 5-10 წელიწადში მხოლოდ მცირედი დოზით მუნიციპალურ ჩარევებს თხოულობს.

2. და რაც მთავარია, თბილისის მუნიციპალიტეტმა ძალიანაც რომ მოინდომოს იმდენად ძვირი დაუჯდება სოციალისტური ტენდენციების გაგრძელება, რომ ძნელად წარმოსადგენია აღნიშნულს მიაღწიოს. მას შეუძლია მხოლოდ, ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს პრესტიჟული რაიონების განაშენიანებას და აქედან მიღებული ფულადი სახსრები წარმართოს არაპრესტიჟულ რაიონებში აუცილებელი მინიმალური პირობების შესანარჩუნებლად. მეორეს მხრივ, პარალელურად სტიმული მიცეს (წაახალისოს) არაპრესტიჟულ რაიონებში თბილისის ახალი ფუნქციების განვითარებას.

აღნიშნული მოსაზრების გასამტკიცებლად ისევ მოვიშველიებთ მსოფლიოს მსგავს ქალაქებში არსებულ ტენდენციებს (ლ. კიბლის მიხედვით).

ჩვეულებრივ და განსაკუთრებით მრავალფუნქციურ მსხვილ ქალაქში, მიწის გამოყენების ინტენსივობა (შენობათა მოცულობა ერთ ერთეულზე) თანაბრად იზრდება პერიფერიიდან ცენტრისაკენ ზოგიერთი გადახვევებით. არაიშვიათ შემთხვევაში ეს ინვევს ცენტრიდან მიწის მოსარგებლეთა ცალკეული, ზოგჯერ მნიშვნელოვანი სახეების გამოდევნას, რომელთა შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს მიწის მაღალ გადასახადს (რენტას). აღნიშნულის არსი არა ფიზიკური წინააღმდეგობებშია, არამედ საზოგადოების ფინანსურ (კაპიტალის) საფუძვლებში. მიწაზე კერძო საკუთრება ქმნის მასში კაპიტალის დაბანდების (უმეტესად მომგებიან) საფუძვლებს.

მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლდა განკუთვნილი დანაწევრებული, შედარებით რთული რელიეფის მქონე ნაკვეთზე სახლის მშენებლობის ფასი შეიძლება იყოს ასეთივე ზომის სწორი ნაკვეთის ტოლფასი, მაგრამ საცხოვრებელი სახლის სარეალიზაციო (გასაყიდი) ფასი დამოკიდებულია ქალაქის ცენტრიდან ან დასაქმების ადგილიდან დაშორების მანძილზე. მაგალითად:

	სახლის მშენებლობის თვითღირებულება	გასაყიდი ფასი	მოგება
1. ცენტრიდან დაშორებული ნაკვეთი, სამსართულიანი სახლის მშენებლობისათვის (მაგ. დიდ დილომში)	50000	100 000	50 000
2. კარგი მდებარეობის ნაკვეთი მაგრამ ძნელად ასათვისებელი (მაგ. ვაკეში)	100 000	150 000	50 000

მოსახლეობა და განსაკუთრებით მსხვილი კაპიტალის მქონე, ადვილად იხდის ძვირს კარგ ადგილას მდებარე საცხოვრებელში. ეს კი საშუალებას აძლევს მშენებელს, მიუხედავად ტერიტორიის ათვისების სიძვირისა, მიიღოს მაღალი შემოსავალი. ანალოგიურია თუნდაც სავაჭრო თუ მომსახურების-ობიექტების განთავსების საკითხი. აქ მყიდველი პირველ რიგში ითვალისწინებს ასეთი ობიექტების განლაგების ხელსაყრელობას, რათა დროულად და ეფექტურად ამოღებულ იქნას მათში გადახდილი თანხები, ან პირიქით ასეთის მშენებლობის შემდგომ უკვე ფუნქციონირებადი ობიექტი გაყიდოს და ამით სწრაფად მიიღოს მოგება.

აქვე გვინდა დავამატოთ ისიც, რომ თბილისის გარკვეული, უკვე შეიძლება ითქვას, პრესტიჟულობის ზღვარზე მდგომი ტერიტორიები (რაიონები) რომლებიც განაშენებულნი არიან სოციალისტური პერიოდის „საუკეთესო ნიმუშებით“ ე.წ. „ბრუშჩოვკებით“, დღესაც კი მორალურად მიუღებელია და ალბათ უახლოეს 10-15 წელიწადში მოვა მათი თანდათანობით შეცვლის არამხოლოდ მიზანშეწონილობის, არამედ ამ ადგილებში მათ ნაცვლად ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მომგებიანობის საკითხი. ყოველი-

ვე თავისთავად მიუთითებს იმაზე რომ თბილისის საკმაოდ ბევრი შიდა გამოუყენებელი ან ნაკლებ ეფექტურად გამოყენებული საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიები აქვს, რომლითაც შეიძლება დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნები ახალ განაშენიანების ტერიტორიაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი განვითარების ტენდენციების თვალსაწიერით და უახლოესი მომავლის განჭვრეტით თბილისის არ დასჭირდება დღევანდელი გენერალური გეგმით დადგენილი საზღვრების გაფართოება და თუ ასეთი რამ დასჭირდა მას გვერდით ყავს ისეთი ქალაქი თანამგზავრი როგორც რუსთავია, რომელსაც შეუძლია მიიღოს თავის თავზე თბილისის პრობლემების გადაწყვეტა.

1970 წელს დამტკიცებული თბილისის რეკონსტრუქციისა და პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის (რომლის რეალიზაციის ვადებად 1988-2000 წლები იყო მიჩნეული) მთავარი ამოსავალი იყო ქ. მცხეთისა და ქ. რუსთავის მიმართულებით ზრდის დაუშვებლობა და ამ მიზნის მიღწევისათვის თბილისის ტერიტორიული ზრდა თბილისის ზღვის მიმართულებით.

სწორად ასკვნის, ჯერ კიდევ 1989 წელს, გ.ბერიძე „როგორც შემდგომ მშენებლობის დროს გამოირკვა, თბილისის უპირატესად განივი განვითარების მნიშვნელობა ზღვის მხარეს გეგმაში გადაჭარბებით იქნა შეფასებული“. სულ რაღაც თორმეტი წელია გავლილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან და მკვეთრად შესამჩნევია აღნიშნული დასკვნის სისწორე. თბილისი სიგრძივად ვითარდება და მიისწრაფის თავისი გავლენის, თავისი მეტროპოლიის-აგლომერაციის ჩამოყალიბებისაკენ და ეს გვინდა თუ არ გვინდა რეალობაა, რადგან მსოფლიოს კაპიტალისტურ ქალაქების განვითარების ტენდენციები (რაც ჩვენს მიერ იყო განხილული) აღნიშნულზე მიუთითებს.

გ.ბერიძე გამოყოფს თბილისის ტერიტორიული ზრდის სამ პერიოდს. „თითოეული მათგანის დროითი მონაკვეთი სხვა და სხვაა და იმ არსებით სოციალურ-პოლიტიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური

ხასიათის ძვრებს შეესაბამება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მარადიული ქალაქის ცხოვრებაში“.

1. **ფეოდალური ქალაქის არასტაბილური, მეტად ნელი ტერიტორიული ზრდის ხანგრძლივი ხანა, რომელიც გრძელდებოდა XIX საუკუნემდე.**

2. **კაპიტალისტური ქალაქის თანდათანობით, ზომიერი ტემპით ტერიტორიული ზრდის ხანა, რომელიც მოიცავდა XIX საუკუნეს და XX საუკუნის დასაწყის (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე). იგი ორ პერიოდად იყოფა:**

1) რეფორმამდელი პერიოდი (60-იან წლებამდე), რომლის დროსაც თბილისი სამხედრო, ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბდა და ქალაქის ტერიტორიის საგრძნობი ზრდა მიმდებარე სოფლების შეერთების ხარჯზე მიმდინარეობდა.

2) რეფორმის შემდგომი, კაპიტალიზმის შედარებით დაჩქარებული განვითარების პერიოდი (60-იანი წლებიდან 20-იანწლამდე), რომელსაც ახასიათებდა სავაჭრო-სამრეწველო, სატრანსპორტო და კულტურულ საგანმანათლებო ფუნქციების გაძლიერება, მოსახლეობის ზრდა და ინტესიური განაშენიანება ადრე აუთვისებელი მიწების ხარჯზე.

3. **სოციალისტური ქალაქი.**

ამ დაყოფაში, თუ შეიძლება ითქვას, მიუხედავად მეფის რუსეთის ქვეშევრდომობისა, თბილისის განვითარება მსოფლიოს კაპიტალისტური ქალაქების თითქმის ანალოგიურად მიმდინარეობდა, რომ იგი არ დაერღვია ე.წ. სოციალისტურს. დღეს, თბილისს უხდება უკუსვლა სოციალისტურიდან კაპიტალისტურისაკენ. იგი ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. **სოციალისტურიდან კაპიტალისტურში გარდამავალი, ქაოტური, განსახელმწიფოებისა და კერძო „ველური“ კაპიტალის 25 წლიანი პერიოდი (1991-2015 წლები). ცენტრალურ და პრესტიჟულ რაიონებში მაღლივი, ლოკალური განაშენიანებით და**

მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით; არსებულ ფუნქციითა და ზრდითა და ახლების წარმოშობის პერიოდი. მკვიდრი მოსახლეობა 1200 ათასამდე, ხოლო დროებითი-200 ათასამდე.

2. კაპიტალისტური, მრავალფუნქციანი ქალაქის (რიგი სახელმწიფოთაშორისი ფუნქციებით) 35 წლიანი პერიოდი (2015-2050 წლები). არსებული საზღვრების ფარგლებში, რეზერვების მაქსიმალური ათვისებით. მცხეთის და განსაკუთრებით რუსთავის მიმართულებით განაშენიანებით, მათი თბილისის მეტროპოლიაში მოქცევით. მკვიდრი მოსახლეობა 1300-1350 ათასი, ქალაქი მცხეთა 15-20 ათასამდე და რუსთავი 250-350 ათასი კაცით. მთლიანად მეტროპოლის-აგლომერაციის მოსახლეობა 2-2.5 მილიონამდე.

კიდევ ერთ, საკითხს გვინდა შევხვით, იმ დასკვნის მტკიცებისათვის, რაც ზემოთ იყო მოყვანილი. ამერიკული ქალაქების განაშენიანება მკვეთრად განსხვავდება ყოფილი საბჭოეთის გეგმიურისაგან. კერძოდ იქ საქმიანი ცენტრები გამოირჩევიან მაღლივი მშენებლობებით, რომელიც ცენტრიდან თანდათანობით გადადიან უფრო დაბალ 2-3 სართულიან განაშენიანებაში. აქვე გვინდა გავიხსენოთ, მაშინ როცა საქართველო მეფის რუსეთის მმართველობაში გუბერნიის ფუნქციას ასრულებდა და მისი ცენტრი თბილისი, შეზღუდულ ფარგლებში ვითარდებოდა, 1885 წელს ჩიკაგოში აშენდა 10-12 სართულიანი შენობები, რომელთაც სანაყისი მისცეს მაღლივი ქალაქების მშენებლობას მსოფლიოში. 1900 წელს ნიუორკში აშენდა 20 სართულიანი შენობები, ხოლო 1931 წელს აშენდა 102 სართულიანი ემპირ სტილ ბილდინგი, რომლის სიმაღლე 381 მეტრი იყო. ეს მაშინ როცა (უკვე საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველო „კომუნისმის მშენებლობის ფერხულში“ იქნა ძალით ჩათრეული) 1936 წელს თბილისში ყველაზე მაღალ ნაგებობად ითვლებოდა (დღესაც ამ სახელით შემორჩენილი) თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე.

მაღლივი მშენებლობები ხომ საწყის პერიოდში მსოფლიო მიღწევათა ნიმუში იყო, რომელიც დღეს, გარდა ყოფილი საბჭოთა სივრცის ქალაქებისა, გასაკვირი არავისთვის არის. იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი თუ ქალაქგეგმარებით აზროვნება, კერძოდ თბილისის განაშენიანების მიმართ, თუნდაც ოცნებით სხვაგვარად რომ შემოტრიალდეს, არ შეიძლება არ მოვიყვანოთ 2003 წლის 13-19 იანვრის პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, სახელწოდებით „ჩინეთში „ბაბილონის გოდოლს“ აშენებენ“-300 სართულიანი სახლი, რომელშიც 100 ათასი ადამიანი იცხოვრებს. უნიკალური შენობა, რომელიც მომავლის არქიტექტურის კანონებით იქნება აგებული, გაუძღვება ხანძარს, წყალდიდობას, მიწისძვრასა და გრიგალს.

პროექტის ავტორები არიან ესპანელი ცოლ-ქმარი მარია როზა სერვერა და ხავიერ პიოზი. პირველად პროექტი მათ 1997 წელს წარადგინეს მაღალი შენობების მესამე საეორთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ლონდონში ტარდებოდა. 1997-დან 2001 წლამდე არქიტექტორებმა მთელი მსოფლიო მოიარეს თავიანთი პროექტით. ისინი ატარებდნენ პრეზენტაციებს და კითხულობდნენ ლექციებს აზიაში, ევროპასა და ამერიკაში.

პირველი ქვეყანა, რომელმაც ესპანელებთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა, ჩინეთი აღმოჩნდა, რომელიც, სხვათაშორის, უკანასკნელ პერიოდში მრავალი პერსპექტიული და ექსპერიმენტული პროექტის პლაცდარმად ევლინება მსოფლიოს. ამგვარად, ქალაქი-კოშკის მშენებლობა ჩინეთში 15 წელიწადში დასრულდება.

პროექტის მომზადებას 7 წელი დასჭირდება. ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოებისათვის ჩასატარებელი ადგილის შერჩევა, რომლისთვისაც მინიმუმ ერთი კვადრატული კილომეტრია საჭირო. ექსპერიმენტისათვის შერჩეულია შანხაი, რომლის მოსახლეობაც, მოკრძალებული გამოთვლების მიხედვით, ორ ათეულ წელიწადში 30 მილიონს გადააჭარბებს. გამორიცხული არაა, რომ უახლოეს 50 წელიწადში ჩინეთში რამდენიმე ასეთი სახლი აშენდეს. სავარაუდოდ,

სპონსორებს პროექტის განსახორციელებლად 15-18 მილიარდი დოლარი დასჭირდებათ.

მომავალი კოშკის სიმაღლე 1 კილომეტრს გადააჭარბებს - 1228 მეტრი იქნება. ამ 300 სართულიანი სახლის საერთო საცხოვრებელი ფართი 2 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს.

შენობას აგრეთვე ექნება 400-მდე ჰორიზონტალური და ვერტიკალური ლიფტი, რომელთა საშუალო სიჩქარე ნამში 15 მეტრი იქნება, რაც საშუალებას მისცემს მგზავრებს, პირველიდან ბოლო სართულამდე მგზავრობას 2 ნუთზე მეტი არ მოანდომონ.

შენობის სიგრძე-სიგანე შესაბამისად ყველაზე განიერ ადგილას 166/133, ხოლო ყველაზე ვიწრო ადგილას 133/100 მეტრია.

კოშკი ხელოვნურ კუნძულზე აშენდება, რომელიც თავის მხრივ ხელოვნურ ტბაში იქნება გაშენებული. ხელოვნურ კუნძულს, რომლის რადიუსიც ერთი კილომეტრია, ტბა ამორტიზაციის მაგივრობას გაუწევს, რაც თავის მხრივ შენობას მინისძვრებისაგან დაცავს.

შენობა კვარტლების მიხედვით იქნება დაყოფილი. საშუალოდ მასში 12 ვერტიკალური კვარტალი მოთავსდება. იმისათვის, რომ მოსახლეობამ ბუნებისაგან მოწყვეტილად არ იგრძნოს თავი, კვარტლებს შორის ხელოვნური ტბები და ბალები გაშენდება. ამას გარდა შენობის გარეთა მხარე დაფარული იქნება სპეციალური ჰაერგამტარი პლასტიკური მასალით, რომელსაც კონდიციონერების სისტემის ხასიათი მიეცემა და ხელს შეუწყობს შენობაში ჩვეულებრივი ქალაქის მიკროკლიმატის შექმნას.

პროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ მოსახლეობის შესახლება ქალაქში პირველი კვარტლების მშენებლობის დამთავრებისთანავე შეიძლება და იგი არანაირად არ შეუშლის ხელს მშენებლობის პროცესს.

ჩინეთის ხელისუფლებამ გადანყვიტა, შენობის ნაწილი გამოუყოს ჩინოვნიკებს, რათა მათ იქ თავიანთი კანტორები მოაწყონ. იქვე იქნება სასტუმროები ტურისტებისათვის, კინოთეატრები, მაღაზიები,

სკოლები, გართობისა და დასვენების ცენტრები და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, შენობაში უსაფრთხოების უმკაცრესი ზომები იქნება მიღებული.

მთელი მსოფლიოს საზოგადოება მოუთმენლად და დიდი ინტერესით ელის ამ მშენებლობის დაწყებას და ვარაუდობენ, რომ პროექტის განხორციელებას ხელს არაფერი შეუშლის. თუმცა ზოგიერთი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები ამ მშენებლობის გამო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ. მათი აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა ბაბილონის გოდოლი, რომელიც შეიძლება აპოკალიფსის დასაწყისის მიზეზი გახდეს.

ეს ხომ საქართველოს სინამდვილისათვის ფანტასტიკურია, თუნდაც იმიტომ რომ ამ სახლის მშენებლობისათვის საჭიროა ყოველ წლიურად 15 წლის განმავლობაში 1-1,2 მილიარდი დოლარი, მაშინ როცა 2003 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს 500 მილიონ დოლარს. მაგრამ, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ყოველივეს ჩვენი აზროვნების გაფართოებისათვის აქვს მნიშვნელობა, და შიში იმაზე, რომ თბილისი გიპერტროფიულად იზრდება (განსაკუთრებით ტერიტორიულად) ნაკლები უნდა იყოს. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ XXI-საუკუნეა, მაღალი ტექნოლოგიებით და სწრაფი პროგრესული მიმართულებებით და ამ „ორომტრიალში“ საქართველოსა და თბილისაც შეიძლება შეხვდეს მოკრძალებული წილი თუ იგი „დაიმსახურებს“ მის მიმართ მსოფლიო ინტერესებს.

1.5. საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე განვლილი 70 წლიანი ე.წ. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი, საბჭოთა იმპერიაში იმითაც იყო გამორჩეული, რომ კომუნისმის მშენებლობის იდეას თანახმად შესაბამისი, ყოველ ხუთწლედში კორექტირებული პროგნოზები

ასევე პროგნოზული გაანგარიშებები ხორციელდებოდა დემოგრაფი-
აში. საერთოდ, არა ისეთი მოჭარბებით, როგორც ეს იყო სოციალიზ-
მის პერიოდში, მოსახლეობის რაოდენობის, თუ საერთოდ
დემოგრაფიული განვითარების პერსპექტიული გაანგარიშებები
(პროგნოზები) აუცილებელია ნორმალური სახელმწიფოს მართვისათ-
ვის თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

დღეს, საქართველოში მსგავსი პროგნოზები იშვიათობას წარმ-
ოადგენს, ვინაიდან ერთის მხრივ, მოშლილია დემოგრაფიული
მდგომარეობის თუ გარე მიგრაციული პროცესების აღრიცხვიანობის
სისტემა, და მეორეც, ის რაც ოფიციალურად ქვეყნდება რბილად რომ
ვთქვათ ნდობას არ იმსახურებს.

ამიტომაც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გაჩნდა XX საუკუნის
განსაკუთრებით 90- იანი წლების თაობაზე ცალკეულ ავტორთა გაან-
გარიშებები. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა და თავისთავად შე-
დეგად მცირე რაოდენობის პროგნოზებისა, არსებობს მათი ორი მიმა-
რთულება: ერთნი, ეყრდნობიან ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემ-
ებს, რაც თავისთავად იწვევს საკმაოდ დიდ ცდომილობებს
პროგნოზირებისას და მეორენი, ახდენენ პროგნოზებისათვის საჭირო
არსებული, საყრდენი მთელი რიგი მაჩვენებლების კორექტირება-
რეკონსტრუქციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ძალზედ მოკლედ შევხებით
არსებული დემოგრაფიული განვითარების პროგნოზებს.

დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებული პროგნოზებიდან
მოვიყვანთ ორი დოკუმენტის გაანგარიშებებს:

1970 წელს ე.წ. საგეგმო კომიტეტისას, (საბჭოთა კავშირის და მის
შემადგენელ საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების
პროგნოზიდან გამომდინარე) და 1975 წელს დამუშავებული ე.წ. საქა-
რთველოს სსრ განსახლების რეგიონალური სქემა. მათი პროგნოზები
XXI საუკუნის დასაწყისისათვის ასეთ სურათს იძლეოდა:

	1970 წ.	1975 წ.	1985 წ.	1990 წ.	2000 წ.
საგეგმო კომიტეტი	4688.7	—	5256.3	5492.1	5820.0
განსახლების რეგიონალური სქემა	—	4953.5	—	5959.5	6573.0

რეალობაში საქართველომ 1990 წლისათვის თითქმის მიაღწია საგეგმო კომიტეტის საპროგნოზო გაანგარიშებებს და შეადგინა - 5456.1 ათასი კაცი. ხოლო რაც შეეხება 2000 წელს აქ ძალზედ დიდია განსხვავება. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით თითქოსდა საქართველოს მოსახლეობა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე 2000 წელი იყო 5100.5 (თუ პირობითად ჩავსვამთ ჩვენს გაანგარიშებებს მაშინ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობის ჩათვლით-5520.9), რეალობაში, ჩვენი გაანგარიშებებით, საქართველოს მოსახლეობა, აფხაზეთსა და ცხინვალის (როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ, ისე დროებით საქართველოს სხვა ტერიტორიაზე, დევნილთა ჩათვლით) რეგიონების მოსახლეობის ჩათვლით, შეადგენდა - 4600.0 ათასს ე.ი. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ჩამოვიდა 30 წლის წინანდელ დონეზე.

გ. წულაძის და ნ.მალაფერიძის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ გაანგარიშებაში, 2020 წლამდე საქართველოს მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენებლები ასეთ სახეს იღებს.

	2000წ.	2005წ.	2010წ.	2015წ.	2020წ.
(არსებული)					
დაბალ ვარიანტი	4290	4142	4040	3965	3885
საშუალო ვარიანტი	4290	4187	4125	4105	4090
მაღალი ვარიანტი	4290	4208	4190	4215	4245

მათ, საპროგნოზო გაანგარიშებების საფუძველად მიჩნეული აქვთ XX საუკუნის 90-იანი წლების მიგრაციის უარყოფითი სალდოს გაგრძელების ტენდენციებში განსხვავებები. კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ 1990-1999 წლებში გარე მიგრაციის სალდო საქართველოსათვის შეადგენდა - 1189.5 ათასს კაცს (მაშინ, როცა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით 209.8 ათასს), ხოლო 2020 წლისათვის იქნება დაბალ ვარიანტში 250 ათასი, საშუალოში - 185 ათასი და მაღალ ვარიანტში - 150 ათასი. ამის საფუძველად მიაჩნიათ ის, რომ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2000 წელს ჩატარებული სპეციალური გამოკვლევებიდან გამომდინარე საზღვარგარეთ წასვლის მსურველია დაახლოებით 800 ათასი კაცი. აქედან ისინი თვლიან, რომ დაბალ ვარიანტში მიგრაციის უარყოფითი სალდო იქნება წასვლის მსურველთა 30%, საშუალოში - 23% და მაღალ ვარიანტში - 19%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საპროგნოზო მაჩვენებელში იგრძნობა ხედვის სიახლე მას, ჩვენი აზრით, ახლავს მნიშვნელოვანი ხარვეზები:

1. სანყისი მაჩვენებელი, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნებად 2000 წელს 4290 ათასში ისინი თვლიან 220 ათას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას და გამორჩენილი ჰყავთ 200-210 ათასი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებნი. აღნიშნულის დამატებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა იქნებოდა 4500 ათასი, რაც მნიშვნელოვნად ცვლის საპროგნოზო მაჩვენებელს.

2. დაყრდნობა სპეციალურ გამოკვლევაზე დასაშვებია და იგი არა მთლიანად გასაზიარებელი, რადგან მიგრაციის უარყოფით სალდოში ცვლილება, ჩვენი აზრით, მკვეთრად დამოკიდებულია საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაში შესაძლო დადებით გადახრებზე. ეს კი თავისთავად შეამცირებს არსებულ უარყოფით ტენდენციებს და პირიქით გარკვეულად

შეიძლება გამოიწვიოს უკუმიგრაცია, რაც შეცვლის დემოგრაფიულ მდგომარეობას.

3. ერთი შეხედვით პერსპექტივაში საქართველოს მოსახლეობის ასეთი შემცირება თითქოსდა დასაშვებია, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, რომ თითქმის მთლიანად დეგრადირებული იქნება განსახლების სისტემა და მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური სტრუქტურა. პროგნოზისას გაანგარიშებები არამხოლოდ ზემოთა მალალ – საქართველოს, არამედ ქვემოთ დაბალ დონეზე, თუნდაც განსახლების სისტემაში მიმდინარე ტენდენციების ურთიერთ შეჯერებით უნდა მოხდეს.

ჩვენ აღარ შეუდგებით აღნიშნულის მეტად დეტალიზაციას, ვინაიდან ამ ნაწილის დასაწყისში გვექონდა განვრცობა დემოგრაფიულ-გარემოგრაფიული მდგომარეობების თაობაზე, ხოლო ქვემოთ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება გარკვეული წინააღმდეგობები დღეს, ისედაც ძალზედ მცირე, საპროგნოზო გაანგარიშებებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაეროს მიერ გაანგარიშებული გრძელვადიანი (50 წლიანი) პროგნოზი, უფრო სწორად კონცეფცია და ამ მიმართულებით ჩვენი შეხედულებების შეჯერება.

2000 წლის მონაცემების დაზუსტებით, გაეროს მიერ (2001 წელს გამოქვეყნებული) მსოფლიო მოსახლეობა, პერსპექტიული (პროგნოზული) გაანგარიშებებით, 6.057 მილიარდიდან 2000 წელს გაიზრდება 9.323 მილიარდ კაცამდე 2050 წელს ე.ი. 50 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდა მოსალოდნელია 65.3 მილიონით, ხოლო მთელ მოსახლეობაში 60 და ზევით ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზრდება 10-დან 21.1%-მდე.

ამ ფონზე, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში შემავალი, დღეს დამოუკიდებელი 15 ქვეყნიდან მხოლოდ ხუთში: აზერბაიჯანში (856 ათასით), ყირგიზეთში (2617 ათასით), ტაჯიკეთში (3676 ათასით), თურქ-

მენეთში (3664 ათასით) და უზბეკეთში (15632 ათასით), არის მოსალოდნელი მოსახლეობის ზრდა 26.4 მილიონით, ხოლო დანარჩენში კლება თითქმის 69 მილიონი კაცით.

აღნიშნული მასალით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობად 2000 წელს (ე.წ. დაზუსტებულ ინფორმაციად) მიჩნეულია 5262 ათასი და 2050 წლისათვის ნავარაუდევია მისი შემცირება 3219 ათას კაცამდე. ე.ი. 50 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება 2043 ათასით. (საშუალო წლიური შემცირება 40860 კაცით). მაშინ როცა, მეზობელ სომხეთში ნავარაუდევია მოსახლეობის კლება მხოლოდ 637 ათასით (საშუალო წლიური შემცირება მხოლოდ 12740 კაცით). თუ რას ეყრდნობა ასეთი განსხვავებული ტენდენციები ჩვენთვის გაუგებარია, ვინაიდან, როგორც ეკონომიკური განვითარების ისე მიგრაციის მატეების უარყოფითი სალდოსა და საერთოდ მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების, თუნდაც ბოლო ათი წლის ტენდენციებით ორი ქვეყნის მდგომარეობა თითქმის იდენტურია.

თუ ავიღებთ საწყისად 2000 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის ჩვენებულ გაანგარიშებას - 4.6 მილიონს (ნაცვლად 5262 ათასისა), მაშინ მომავალი 50 წლის განმავლობაში კლება 1.281 ათასი კაცით, ანუ საშუალოდ წელიწადში 25.6 ათასით უფრო შესაძლებელია, თუ როგორც სოციალურ-ეკონომიკური ისე დემოგრაფიულ-ემიგრაციული პროცესების ე.ი. საერთოდ სახელმწიფოებრივ განვითარებაში არსებული უკიდურესად უარყოფითი ტენდენციები იქნება შენარჩუნებული. რაც ძალზედ პესიმისტურად გვეჩვენება, რადგან თუ არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა და გარკვეულად განვითარდა კიდევაც, მაშინ საქართველოს მოსახლეობის კლება შეიძლება კიდევ უფრო მეტი იყოს.

ვნახოთ გაეროს პროგნოზის შემთხვევაში თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკურ სტრუქტურაში თუ შესაბამისად განვითარებაში მოსალოდნელი ცვლილებები 2050 წლისათვის.

პირველი ვარიანტით უნდა დაუშვათ, რომ მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკურ სტრუქტურაში, თუ დღეს, ჩვენი გაანგარიშებით, ქართველების, აფხაზების და სხვების ხვედრითი წილია: 73.8, 1.6 და 14.6%, იგი იქნება: 96.3, 2.8 და 0.9% ე.ი. აბსოლუტურ მაჩვენებელში: ქართველები 3.1 მილიონი (ნაცვლად 3.32 მილიონისა), აფხაზები - 90 ათასი (70 ათასის ნაცვლად) და სხვები - 29 ათასი (1.11 მილიონის ნაცვლად).

ასეთი ვარიანტის პროგნოზი ძალზედ საეჭვოა, რადგან ამისათვის საჭიროა არსებობდეს სამი ურთიერთშემავსებელი პირობა:

- საქართველოში მკვიდრ ეროვნებათა ეროვნული იდეოლოგია უნდა აღწევდეს პიკს - თუნდაც 1988-1991 წლების ანალოგიურ მდგომარეობას მაინც.
- საქართველოს განვითარება მაქსიმალურად მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობათა გამოყენება-განვითარების ჩარჩოებით უნდა შემოიზღუდოს.
- საქართველოს ასეთ განვითარებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, პირიქით ხელს უნდა უწყობდეს გარეთა ძალები.

თუნდაც ასეთი პირობების არსებობის შესაძლებლობის დაშვება თავის მხრივ გარკვეულად გამოიწვევს 700 ათასამდე ემიგრაციაში მყოფ ქართველთა და აფხაზთა უკუმიგრაციას და შედეგად საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2050 წლისათვის იქნება არა 3219 ათასი, არამედ 4.5-5.0 მილიონი კაცი.

ამ ვარიანტის სასურველობა და რეალობა ძალზედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ XXI საუკუნეა და საქართველოს გეოპოლიტიკურ-სატრანზიტო ქვეყნად არსებობის დღევანდელ პირობებში (მითუმეტეს ამ ფუნქციის განვითარების შემთხვევაში), მისი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული, კეთილად თუ უარყოფითად განწყობილი, გარეთა ძალების ინტერესზე. ამიტომაც თითქმის წარმოუდგენელია საქართველოსათვის გაეროს ვარიანტით განვითარების შესაძლებლობა.

მეორე ვარიანტით, პირველთან შედარებით დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ გარეთა ძალების უარყოფითი გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება, შედეგად: ეროვნული ცნობიერების კიდევ უფრო დაცემა და მკვიდრთა ემიგრაციის ტემპების კიდევ უფრო ზრდა, რამაც საბოლოოდ შეიძლება მიგვიყვანოს გაეროს მიერ ნავარაუდევ საპროგნოზო მაჩვენებელზე და მასში მკვიდრთა ხვედრითი წილის მკვეთრ შემცირებამდე.

ეროვნულ-ეთნიკური სტრუქტურა	2002 წ.		2050 წ.	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
ქართველები	3320	73.8	1800	55.9
აფხაზები	70	1.6	50	1.6
სომხები	415	9.2	450	14.0
აზერბაიჯანელები	400	8.9	500	15.5
რუსები-უკრაინელები	110	2.4	179	5.6
ოსები	100	2.2	140	4.3
სხვა ეროვნებები	85	1.9	100	3.1
სულ	4500	100	3219	100

საქართველოს განვლილ ბოლო 200 წლიან (ორსაუკუნოვან) ისტორიაში, მხოლოდ საბჭოთა იმპერიის გავლენის პიკის, 1941-1957 წლებში იყო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ქართველების ხვედრითი წილი 58%-ი.

2050 წლისათვის გაეროს მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო გათვლებზე დაყრდნობით, მოსახლეობის შემცირება 5262 ათასიდან 3219 ათასამდე ანუ 2.043 ათასი კაცით, ან ჩვენი 2000 წლისათვის გაანგარიშების გამოყენებით 4.6 მილიონიდან 3219 ათასამდე ანუ 1.381 ათასი კაცით, ძალზედ ამცდარია შესაძლებლობათა განსჭვრეტას და ძირითადად ეყრდნობა მხოლოდ არსებულ, ჯერ კიდევ სახ-

ელმწიფოებრიობით ჩამოუყალიბებელი ქვეყნის უარყოფით დემოგრაფიულ-გარემიგრაციულ ტენდენციებს; არ ითვალისწინებს საქართველოს არამხოლოდ გეოპოლიტიკურ-სატრანზიტო ფუნქციების, არამედ ქვეყნის რესურსული პოტენციალის - სანედლეულო, ტურისტულ-რეკრეაციული, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიური პროდუქციის და ა.შ. გამოყენების და შესაბამისად შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობას, რომელიც სრულებით საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოში კარგად იცხოვროს და იმოღვაწეოს 6-7 მილიონმა ადამიანმა. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეიძლება ინერციით 2015 წლამდე შედარებით დაბალი ტემპით დაიკლოს 4.0-4.2 მილიონი კაცამდე, მაგრამ ქვეყნის განვითარებაში გარდატეხის შეტანის პარალელურად 2050 წლამდე 6-7 მილიონ კაცამდე გაიზარდოს კიდევაც.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის პროგნოზულ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ:

(ათასი კაცი)

	2002 წ. (არსებული)	2015 წ.	2030 წ.	2050 წ.
პესიმისტური ვარიანტით	4500	4000	4300	4500
სასურველი ვარიანტით	4500	4700	5000	5500
ოპტიმისტური ვარიანტით	4500	5000	6000	7000

ჩვენ აღარ შეუდგებით მოყვანილი საპროგნოზო მაჩვენებლის მეტად დეტალიზაციას, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ საქართველოს დემოგრაფიული განვითარება მკვეთრად არის დამოკიდებული უახლესი 3-5 წლიან პერიოდზე, როცა რეალობა იქმნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აქტიური თანაარსებობა საქართველოს სახელმწიფოში და შედეგად ამ ტერიტორიებიდან საქართველოს გარეთ იძულებით ემიგრაციაში მყოფი 200 ათასამდე თანამემამულის და საქა-

რთველოს შიგნით 200 ათასამდე დევნილის უკუმიგრაცია, რაც თავისთავად მიმანიშნებელი იქნება საქართველოდან ემიგრაციაში მყოფ 700 ათასამდე ქართველის უკუმიგრაციის დაწყებისა და შესაბამისად დემოგრაფიული განვითარებისა.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების შესაძლო კონცეპტუალური თუ საპროგნოზო ვარიანტები, თავისთავად მიმანიშნებელია თბილისის დემოგრაფიულ განვითარებაში ანალოგიური ტენდენციებისა.

2. თბილისის დემოგრაფიული ვითარება

ჩვენ წინა ნაწილებში შევეცადეთ გვეჩვენებინა ის ზოგადი, თანაც თბილისის დღევანდელი მდგომარეობისათვის მნიშვნელოვანი ამოსავალი პოზიციები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საერთოდ თბილისის განვითარებას და კერძოდ მისი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის პროგნოზს თუ ქალაქის შიდა ტერიტორიაზე განსახლების მიმართულებებს.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ ერთი თავისებურებაც, რომ თუ საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული განვითარების თაობაზე ამა თუ იმ დონით არსებობს გარკვეული თუნდაც ცოტა საპროგნოზო გაანგარიშებები, თბილისის შემთხვევაში იგი კიდევ უფრო ნაკლებია და თუ არის ისიც 2002 წელს თბილისის პერსპექტიული ურბანისტული განვითარების კონცეფციაზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა მიერ არის წარმოდგენილი (აღნიშნულზე ქვემოთ უფრო დეტალურად შევჩერდებით).


ამიტომაც ქვემოთ თბილისის არსებულ დემოგრაფიული ვითარების ცალკეულ მაჩვენებლებზე უფრო მეტად შევჩერდებით. ვინაიდან, ჯერ ერთი, ზემოთ აღნიშნულში გაურკვეველობა არის მახასიათებელი კონკურსის მონაწილეთა საპროგნოზო გაანგარიშებებში და მეორეც, ვფიქრობთ მათი ჩალრმავებით კიდევ უფრო განვამტკიცებთ წინა ნა-

წილებში მოყვანილ ცალკეულ პერსპექტიულ თუ კონცეპტუალურ-საპროგნოზო მაჩვენებლების სისწორეს.

2.1. თბილისის მოსახლეობის დინამიკა რუსული ექსპანსიის პერიოდში

ეს არის მეფის რუსეთის ექსპანსიის 113 წლიანი პერიოდი, როცა საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური ნამატი: ქართველებისა შეადგენდა - 8,5 ათასს, ხოლო არაქართველებისა - 7,5 ათას კაცს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა გაიზარდა 3,3-ჯერ, სამაგიეროდ ქართველებისა ხვედრითი წილი 79,4%-დან შემცირდა 61,0%-მდე. ამ საერთო ფონზე თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 22,4-ჯერ. ხოლო მისი ხვედრითი წილი 1,9%-დან 12,8%-მდე. რუსულმა დემოგრაფიულმა ექსპანსიამ პირველ რიგში თბილისის მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაზე იმოქმედა.

თბილისის მოსახლეობის დინამიკა 1800-1914 წლებში




2.2 თბილისის მოსახლეობა პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებლობის წლებში

აღნიშნული რვანლიანი პერიოდი, თავისი დემოგრაფიული ტენდენციებით გარკვეულად მსგავსია დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ თორმეტწლიანი პერიოდისა. ამ პერიოდში, დღევანდელი ანალოგიურად, მოხდა ექსპანსიის შედეგად ჩამოსახლებულ უცხოელთა უკუმიგრაცია და შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა შემცირდა 7,3%-ით (189,9 ათასი კაცი). ქართველების ხვედრითი წილი გაიზარდა 61,0%-დან 70%-მდე. ხოლო თბილისის მოსახლეობა შემცირდა 110 ათასი კაცით. ე.ი. თბილისზე მოდიოდა საერთო შემცირების თითქმის 60% და შესაბამისად შემცირდა თბილისის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 12,8%-დან 9,5%-მდე.

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ამ პერიოდზე განსაკუთრებული ყურადღება იმითაც არის გამონეული, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ თორმეტ წელიწადში ანალოგიურად, როგორც საქართველოს ისე თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა, მაგრამ დამოუკიდებლობის პერიოდში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომთან შედარებით, გარემიგრაციულ ნაკადში უმნიშვნელო იყო ქართველების ემიგრაციის წილი.


თბილისის მოსახლეობის დინამიკა 1914-1922 წლებში



2.3. თბილისის მოსახლეობის დინამიკა საბჭოთა ექსპანსიის პერიოდში

ამ თითქმის 70 წლიან პერიოდზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას, ვინაიდან იგი დემოგრაფიული განვითარების თავისებურებებით თითქმის იდენტურია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებისა.

თბილისის მოსახლეობის დინამიკა 1921-1991 წლებში.



70-წლიანი საბჭოთა ექსპანსიის პერიოდში, თუ საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 2.27-ჯერ, თბილისის მოსახლეობა კი 5.4-ჯერ. თბილისის მოსახლეობის ზრდა ძირითადად გარედან მიგრაციის და ნაწილობრივ მიმდებარე სოფლების ტერიტორიულად შემოერთების ხარჯზე მოხდა. მაგალითად, 1979-1989 წლებში მოსახლეობის ზრდის ასეთ მაჩვენებლებს ჰქონდა ადგილი:


(ათასი კაცი)

	ბუნებრივი მატება	ფაქტობრივი მატება	მიგრაციული მატების საღდო
საქართველო	487.5	428.5	(-) 59.0
მ.შ. თბილისი	88.6	193.9	(+) 105.3
% საქ.მოსახ.	18.2%	45.3%	

ამგვარად, თუ გარე მიგრაციის ხარჯზე მცირდებოდა საქართველოს მოსახლეობა, თბილისისა კი პირიქით გარე და ძირითადად საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან შიდა მიგრაციის ხარჯზე 105.3 ათასი კაცით გაიზარდა. თბილისის აღნიშნული ტენდენციები თითქმის ანალოგიურია განვითარებული ქვეყნების დედაქალაქებისა (მართალია მათთან შედარებით ნაკლები ტემპით), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო გაანგარიშებისას.

აქვე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება 1991 წლამდე თბილისისაკენ მიგრაციის „აპრობირებულ“ სქემაზე, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვლილ პერიოდში კიდევ უფრო განვრცობა იქონია:

საერთოდ ზოგადად სქემა ასე გამოიყურება:



2.4. თბილისის დემოგრაფიული ვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში

ამ ნაწილის გაშუქებისას აუცილებელი ხდება გადავხვიოთ ტრადიციულ განხილვას. ერთის მხრივ, ნარმოვაჩინოთ თითქოსდა ანარქიული-ქაოტური მდგომარეობა რაც ახლავს ე.წ. ჩანერის თუ საპა-სპორტო რეჟიმის უქონლობის პირობებში ოფიციალური სტატი-სტიკური აღრიცხვიანობას (რაც თავისთავად აძნელებს საპროგნოზო გაანგარიშებების შესაძლებლობას თუ პერსპექტივების განჭვრეტას) და მეორე მხრივ, განვიხილოთ თბილისის დემოგრაფიულ განვითარე-ბაზე მოქმედი როგორც შიდა: თბილისის მკვიდრი მოსახლეობის რიცხ-ოვნობის დინამიკა, თბილისი მკვიდრთა ზღვარზე მყოფი მოსახლეო-

ბა, მოკლე და გრძელვადიანი შრომითი მიგრაციები; ისე თბილისისკენ თუ თბილისიდან საქართველოს გარეთ დროებით, ხანგრძლივადიანი თუ მუდმივი მიგრაციის მაჩვენებლები.

2.4.1. გარე მიგრაციული პროცესები

საქართველოსათვის ძალზედ დიდი მასშტაბის გარე მიგრაციულმა პროცესებმა (რომელზეც უკვე გვქონდა წინა ნაწილებში აღნიშნული), პირველ რიგში ასახვა ჰპოვეს თბილისის მკვიდრი მოსახლეობის ემიგრაციულ აქტიურობაზე.

თბილისი რომლის მოსახლეობის რიცხოვნობა ძირითადად მისკენ მიგრაციის ხარჯზე 200 წლის (გარდა დამოუკიდებლობის პირობითად 8 წლიანი პერიოდისა) განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა, დამოუკიდებლობის აღდგენიდან თორმეტი წლის განმავლობაში მისკენ მომავალ მიგრაციულ ნაკადებს გადააჭარბა მისგან მიმავალმა და შედეგად მისი მოსახლეობა შემცირდა.

ჩვენი გაანგარიშებით, თუ 1990-2002 წლიან პერიოდში საქართველოს გარე მიგრაციული ნაკადი შეადგენდა (-) 1.1მლ. კაცს, აქედან თბილისზე მოდიოდა 22.7% (250 ათას კაცამდე). ამგვარი ემიგრაციის მართებულობაზე მიუთითებს თბილისის მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, რომელზეც საუბარი გვექნება ქვემოთ.

თბილისის ემიგრაციის აღნიშნულ მაჩვენებელში თითქმის 30-40% უნდა მიეკუთვნოს ექვსთვეზე მეტი ხნით შრომითი საქმიანობის მიზნით საზღვარგარეთ წასულთა კატეგორიას, რომელთა თბილისში დაბრუნების-უკუმიგრაციის ალბათობა მეტია (თუნდაც 2015 წლამდე 50 ათასამდე კაცი), თუ საქართველოში და კერძოდ, თბილისში ამის ხელსაყრელი, პირველ რიგში დასაქმების, პირობები შეიქმნა.

აქვე გვინდა შევეხოთ უცხოელთათვის თბილისის მიზიდულობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლის 5 დეკემბერს დაწესებულ-

მა რუსეთთან სავიზო ურთიერთობებმა მკვეთრად შეამცირა უცხოელთა (მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი) მიგრაციული ნაკადების რიცხოვნობა, მაინც იგრძნობა თბილისში უცხოელთა იმიგრაციული პროცესების გააქტიურება. ჯერ-ჯერობით უცხოელთა თბილისში ყოფნის ვადებში ჭარბობს 2-3 კვირიანი ვადით (უფრო საქმიანი კონტაქტებისათვის და ტრანზიტის მიზნით) ჩამოსვლები, რაც მთლიანობაში (საელჩოებში, საკონსულოებში თუ წარმომადგენლობებში მომუშავე უცხოელთა ჩათვლით) შეადგენს თვეში 10-15 ათასს კაცს (იყო 20-25 ათასამდე).


ამ ფონზე ძალზე მცირეა თბილისში მუდმივად ცხოვრების მსურველ უცხოელთა იმიგრაციის მაჩვენებელი. შესამჩნევია, ძირითადად ქართული გვარით უცხოელთა მიერ თბილისში უძრავი ქონების, კერძო სახლის თუ ბინის ყიდვის შემთხვევები.

2.4.2. შიდა მიგრაციული პროცესები

საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან თბილისკენ მომავალი მიგრაციული პროცესების ზემოთ აღნიშნული სქემა, ძირითადად 1992 წლიდან, მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ:

– თუ აღნიშნულ წლამდე ე.წ. საპასპორტო რეჟიმი, ასე თუ ისე გარკვეულად ზღუდავდა თბილისში მუდმივ საცხოვრებლად მიგრაციებს, იგი მკვეთრად შეიცვალა. თბილისი „ღია“ ქალაქი გახდა. იგი ამ მიმართებით „თვითმფრინავის ასაფრენ მოედანს“ დაემსგავსა, ვინაიდან მისკენ, ყოველგვარი შუალედურ ქალაქებში მიგრაციის გარეშე, მიემართება მიგრაციის მძლავრი ნაკადი, რომელთა უმეტესობა ცხოვრობს, სწავლობს და საქმიანობს თბილისში და მოკლე დროში ახერხებს თბილისიდან საზღვარგარეთ ემიგრაციას.

1992 წლის შემდგომ თბილისის შემთხვევაში მიგრაციულმა სქემამ მიიღო ასეთი სახე:



- განსაკუთრებული ხასიათი და მასშტაბი მიიღო თბილისში ქანქარისებურმა შრომითმა მიგრაციამ. თბილისისაკენ შრომითი ქანქარისებური მიგრაციის მაღალი ინტენსივობა შედეგია, პირველ რიგში, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე უმუშევრობისა მაღალი და შრომის ანაზღაურების ძალზედ დაბალი დონისა. ამ მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ თვით თბილისშიც მაღალია მისი შრომითი რესურსების დაუსაქმელობის დონე, იგი გახდა საქართველოს შრომითი რესურსების (განსაკუთრებით ახალგაზრდულ-აქტიური ნაწილის) მიზიდულობის არეალი და აღნიშნულს გარკვეულად აფხაზეთიდან თუ ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა თბილისში დროებით ჩასახლებაშეუწყვეს ხელი. შრომითი ქანქარისებური მიგრაცია 200-250 კილომეტრიან მანძილს გასცდა და დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება ვთქვათ, რომ ისევე როგორც დანიაში თუ ურუგვაიაში, დედაქალაქ თბილისისთვის მთელი საქართველო (მისდა უნებურად) პირობითად მის მეტროპოლიურ-აგლომერაციულ არეალს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ შრომითი ქანქარისებური მიგრაციის განვითარებას ხელს უწყობს სატრანსპორტო კავშირების ხელსაყრელობა, თბილისის შემთხვევაში, ამ მიმართებით ახალი საგზაო ქსელები კავშირისათვის არ შექმნილა, მაგრამ ე.წ. „სამარშუტო ტაქსების“ ქსელის განვითარებამ შექმნა აღნიშნული პირობები.

შრომითი ქანქარისებური მიგრაციის მონაწილე თითოეული მიგრანტი თბილისის პოტენციური მკვიდრია. დროთა განმავლობაში თუ მიგრაციის სანყის ადგილებში, პირველ რიგში დასაქმების პირობები არ შეიქმნა, მიგრანტი თბილისში გადის ადაპტაციას და უახლოეს წლებში გახდება თბილისის მკვიდრი.

ამ მიმართებით შესამჩნევია ოთხი კატეგორიის მიგრანტები:

1. ისევე როგორც წარსულში, ერთი კატეგორია, შრომით ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთაგან (ძირითადად თბილისის საგარეუბნო-აგლომერაციული ზონის ადმინისტრაციული რაიონების მიგრანტები), ყოველდღიურად დადის თბილისში სამუშაოდ (ან დროებით სამუშაოს საშოვნელად).
2. ასევე ტრადიციულია და დღეს კიდევ უფრო განვრცობა ჰპოვა ახალგაზრდობის თბილისში სასწავლებლად თუ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიგრაციებმა და იგი ვერ შეაჩერა ე.წ. კერძო რეგიონალურმა უმაღლეს სასწავლებელთა ფართოდ გავრცელებულმა ქსელმა.
3. თბილისისკენ შორი მანძილიდან შრომითი ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეობენ ოჯახის აქტიური შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც ოჯახში ბრუნდებიან ძირითადად შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში ე.ი. ისინი თვეში თითქმის 20 დღე ცხოვრობენ და საქმიანობენ თბილისში.
4. ეს არის შრომით ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე ძირითადად ახალგაზრდა ოჯახების კატეგორია, რომელთაც ტრადიციულ საცხოვრებელ ადგილას ყავთ მშობლები (და შვილები) და თვითონ ცოლშვილთან (ცოლთან) ერთად, ცხოვრობენ ნაქირავებ ბინებში და ეწევიან შრომით საქმიანობას. მათი ნაწილის შვილებიც კი სწავლობენ თბილისში. ამ კატეგორიის მიგრანტთა რიცხოვნობა მკვეთრად იზრდება ზამთარში და მცირდება ზაფხულის თვეებში. უბრალოდ რომ შევხედოთ, დღეს თბილის გარ-

და თითქმის არცერთი დასახლებული პუნქტი არაა უზრუნველყოფილი თუნდაც ცხოვრებისათვის აუცილებელი ისეთი ელემენტით, როგორც ელექტროენერგიით უზრუნველყოფაა, რაც თავისთავად ქმნის ასეთი მიგრაციის იძულებით პირობებს.

ყოველივე თბილისის დღევანდელ პირობებში ძალზედ შესამჩნევია. იმ ფონზე როცა, ერთის მხრივ, თბილისში (განსაკუთრებით მის ახალ საცხოვრებელ რაიონებში) ბინების ყიდვის თუ გაქირავების ფასები დაბალია; სამუშაოს, თანაც შედარებით მაღალანაზღაურებიანის შოვნის მეტი ალბათობა მხოლოდ თბილისშია და მეორე მხრივ, თვით თბილისის მკვიდრთა საზღვარგარეთ ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი (რაც თავის მხრივ ქმნის მკვიდრსა და მიგრანტებს შორის დაპირისპირების-წინააღმდეგობის თუ კონკურენციის ნაკლებ პირობებს), იძლევა საშუალებას ავლნიშნოთ თითქმის ჩამოყალიბების დონეზე არსებულ ტენდეციებზე. შრომით ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა უმრავლესობა რეალობაში თბილისის მკვიდრად უნდა მივიჩნიოთ. ისინი სარგებლობენ თბილისური ცხოვრების ყველა სიკეთით და ამავე დროს ინარჩუნებენ კავშირს სანყის-ტრადიციულ საცხოვრებელთან. შესამჩნევია ისიც, რომ თბილისში იქმნება ცალკეულ რეგიონთა მიგრანტების განსახლების თუ საქმიანობის არეალები.

და კიდევ ერთი გარემოება არის ნიშანდობლივი, თბილისში ადაპტაცია იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ შესაძლებელი ხდება „დაზვერვა“ თუ „მოძიება“ საქართველოს გარეთ შრომითი ემიგრაციის (თუნდაც უკანონო გზებით) შესაძლებლობისა და რეალიზაციისა. ე.ი. შეიძლება ითქვას, თბილისი საქართველოში საზღვარგარეთ მიგრაციის მსურველ მიგრანტებისათვის არის მოსამზადებელი „ტრამპლინი“ თბილისში დამკვიდრებისათვის ან საზღვარგარეთ დროებით თუ მუდმივად ემიგრაციისათვის.

2.4.3. თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების თავისებურებანი

საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თბილისის მკვიდრი მოსახლეობის ასაკი, მიუხედავად მსცოვანთა ხვედრითი წილის მაღალი მაჩვენებლისა, მაინც შეიძლება მივიჩნიოთ გამრავლებისათვის (შობადობის გაზრდისათვის) ხელსაყრელად. მაგრამ პარალელურად „ქალაქური ცხოვრების წესი“ და განსაკუთრებით ქალის აქტიური ჩართვა ქალაქურ წესში იწვევს შობადობის შეზღუდვისაკენ გადახრას. აღნიშნულს ემატება ოჯახის გაუსაძლისი ეკონომიკური პირობები და ფსიქოლოგიური განწყობა - სტრესები და რეალობაში თბილისის მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი განიცდის სტანგაციას, ხოლო ქართველებისა კი უჩვენებს მათ დეპოპულაციის ტენდენციას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბუნებრივი მატების შემცირებას ხელს უწყობს გარე ემიგრაციული პროცესები რომლის შედეგად ხშირად ირღვევს ოჯახები. ამ რეგრესულ მდგომარეობას თითქმის შეუმჩნეველს ხდის ახალგაზრდა ოჯახების თბილისში შრომითი მიგრაციები. თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მიმართებით მომავალ თხუთმეტ წელიწადში არაა მოსალოდნელი დადებითისაკენ მკვეთრი შემობრუნება. უნდა ვივარაუდოთ რომ პერსპექტივაში შენარჩუნდება შობადობის არსებული ტენდენცია და პარალელურად შემცირდება მოკვდავობის მაჩვენებელი. მიგრაციის მასშტაბთან შედარებით, თბილისის მოსახლეობის აბსოლუტურ ზრდაში უმნიშვნელო იქნება ბუნებრივი მატების მაჩვენებელი.

ამგვარად, დღეს საქართველოს განსახლების სისტემაში თბილისმა განსაკუთრებული, დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებულზე, მეტი მნიშვნელობა შეიძინა. იგი თავისდაუნებურად ზრდის თავის გავლენის არეალს, ყოველივე მთლიანობაში კიდევ უფრო რთულს ხდის მის დემოგრაფიულ მდგომარეობას და ამ მიმართებით პროგნოზული გაანგარიშებების შესაძლებლობებს.

2.4.4. თბილისში დროებით მცხოვრები - დეენილები (იძულებით მიგრანტები)

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ 1994 წლიდან აფხაზეთიდან და ცხინველის რეგიონიდან იძულებით გამოდევნილთა, თანაც ძირითადად ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილის დროებით ჩასახლება თბილისში გარკვეული დისონანსი შეიტანა მანამდე არსებულ მიგრაციულ და განსაკუთრებით შრომით ქანქარისებურ მიგრაციებში.

ამჟამად, თბილისში (ჩვენი გათვლებით) განსახლებულია 52-60 ათასი დეენილი (ოფიციალური მონაცემებით - 89.6 ათასი), რაც შეადგენს საქართველოში მათი მთლიანი რაოდენობის 26-28%-ს. მათი ტრადიციულ საცხოვრებელ ადგილებში უკუმიგრაციის და შესაბამისად, რეადაპტაცია-რეაბილიტაციის დროში გახანგრძლივება გვაფიქრებინებს, რომ მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (განსაკუთრებით ისეთი ადმინისტრაციული რაიონებიდან დეენილებმა როგორც არის: გაგრის-18,0 ათასამდე, გუდაუთის - 2.0 ათასამდე, ნაწილობრივ სოხუმის და ქ. სოხუმის 10 ათასამდე), იძულებით უკვე გაიარა ადაპტაცია - შეგუება თბილისის ქალაქური ცხოვრების წესთან. რეალობაში, გვინდა თუ არ გვინდა, დეენილთა აღნიშნული რიცხოვნობიდან თითქმის 40% (30 ათასამდე) უნდა მივიჩნიოთ თბილისის პოტენციურ მკვიდრად.

ამავე დროს, მთელს საქართველოში გაფანტულ 150 ათასამდე (ოფიციალურად - 175 ათასამდე) დეენილთა 30-40% ახორციელებს შრომით ქანქარისებურ მიგრაციას თბილისში. ამის „საუკეთესო“ პირობების შექმნას ხელი შეუწყვეს თბილისში ოფიციალურად განსახლებულმა დეენილებმა, რომელთაც მოიზიდეს სანათესაო წრე და შეუქმნეს მათ თბილისში ადაპტაციისათვის საჭირო წინაპირობები.

აქვე გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, რაც უფრო გაიწელება დროში დეენილთა უკუმიგრაციის პროცესი მით უფრო გაიზრდება მათი თბილისში დამკვიდრების ტენდენცია და თავისთავად რიცხოვნობა.


2.4.5. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნულ - ეთნიკური სტრუქტურა

განსაკუთრებით გვინდა ყურადღება მივაქციოთ თბილისის ეროვნულ-ეთნიკურ სტრუქტურას, ვინაიდან ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, მისმა სტრუქტურამ ძირითადი როლი შეასრულა გარე მიგრაციულ პროცესებში. კერძოდ, დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებული დემოგრაფიული ექსპანსიის- გარედან იმიგრაციის შედეგად (გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებისა) მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტენდენცია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ (ძირითადად 1987 წლიდან) „უცხოელთა“ სამშობლოში უკუმიგრაციით შეიცვალა. ამავე დროს ეს არის პერიოდი, რომლის ანალოგი ქართულ ისტორიაში თითქმის არ მოიპოვება, როცა გაუსაძლისმა ეკონომიკურმა და იდეოლოგიურმა პირობებმა გადასძლია ეროვნულს და უცხოელებს მასიურად „დაემგზავრა“ ქართველებიც.

თბილისის მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური სტრუქტურა მეფის რუსეთის ქვეშევრდომობის და შემდგომ დამოუკიდებლობის პერიოდში (საბჭოთა ანექსიამდე) ძირითადად ოთხი ეროვნულ-ეთნიკური კუთვნილების ჯგუფით იყო წარმოდგენილი: ქართველები და აფხაზები, სომხები, რუსები. საბჭოთა ანექსიის შემდგომ უკვე 1926 წლის აღწერისას აღრიცხულ იქნა ოსები, ებრაელები, 1959 წლის აღწერისას უკვე იყო ქურთები (12.9 ათასი), ბერძნები (7.0 ათასი), აზერბაიჯანელები (9.5 ათასი), უკრაინელები (10.9 ათასი), ასირიელები (2.9 ათასი), ხოლო 1989 წლის აღწერისას საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ - ეთნიკური სტრუქტურა 1959 წლის იდენტური იყო.


რაც შეეხება თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობას და მის ეროვნულ-ეთნიკურ სტრუქტურას დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ თორმეტწლიან პერიოდში, მასზე ოფიციალური თუ ცალკეულ ავტორთა გაანგარიშებები იშვიათობას წარმოადგენს.

თბილისის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა
1897-1989 წლებში



1. - 1897 წ. 2. - 1926 წ. 3. - 1957 წ. 4. - 1989 წ.

ქდინარე იმ ზოგადი ტენდენციებიდან რომელიც ახასიათებს ოს და კერძოდ თბილისის (რომელზეც გარკვეული მსჯელობები რივი მაჩვენებლები მოყვანილ იქნა წინა ნაწილებში), ჩვენ შევ-
ამდვილესთან მიახლოებული გაანგარიშებები მოგვებდინა.
გაანგარიშებით 1989 წლის მოსახლეობის აღწერის შემდგომ
თრებით 1992 წლიდან მკვეთრად უნდა შეცვლილიყო თბი-
ახლეობის ეროვნულ-ეთნიკური სტრუქტურა და ამ ცვლი-
ადი გავლენა უნდა მოეხდინა უცხოელთა უკუმიგრაციასა
ერთად ქართველების „თანამგზავრობით“ მიგრაციულ
მეტი დეტალიზაციის გარეშე 2003 წლისათვის თბილისის
ის ეროვნულ-ეთნიკური სტრუქტურა, ჩვენი გაანგარიშე-
სურათის მატარებელია:



1. ქართველები
2. სომხები
3. რუსები
4. აზერბაიჯანელები
5. ოსები
6. სხვები

ულ პერიოდში სტრუქტურული ცვლილება აბსოლუტურ
 უ შემდეგნაირად გამოიხატება:

რიცხოვნობა გაიზარდა:

იაიჯანლებისა ————— +19.0 ათასით - 20.6% *
 (+92.4 ათასიდან)

შისა ————— +16.9 ათასით - 94.9%
 (+17.8 ათასიდან)

რიცხოვნობა შემცირდა:

კელებისა ————— 124.4 ათასით - 28.4%
 (-437.4 ათასიდან)


სისა ————— 94.9 ათასით - 39.3%
 (-241.2 ათასიდან)

უებისა ————— 18.2 ათასით - 21.1%
 (-85.7 ათასიდან)

სა ხვედრითი წილი საქართველოში ამ ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფების
 შის (ფრჩხილებში) მატების ან კლების მაჩვენებელთან

- ოსებისა ————— 15.7 ათასით - 24.5%
(-64.1 ათასიდან)
- უკრაინელების ————— 7.6 ათასით - 23.5%
(-32.4 ათასიდან)
- ებრაელების ————— 5.5 ათასით - 37.2%
(-37.2% ათასიდან)

ამგვარად თუ 1989-2002 წლებში თბილისის მოსახლეობა, ჩვენი გაანგარიშებით, შემცირდა 1246.9 ათასიდან 1006.5 ათასამდე ანუ 240.4 ათასით, რეალობაში კი ზემოთ მოყვანილი მატების მაჩვენებლის გათვალისწინებით 276.3 ათასით, მასში ექვსი ეროვნულ-ეთნიკური წარმომადგენლის წილად მოდის 96.6%. მათ შორის:




1. ქართველებზე
2. რუსებზე
3. ბერძნებზე
4. ოსებზე
5. უკრაინელებზე
6. ებრაელებზე
7. სხვებზე

აქვე უნდა დაისვას ერთის შეხედვით სამართლიანი კითხვა, რომ თბილისის მოსახლეობის აბსოლიტური რიცხოვნობის ასეთი კლება მკვეთრად უნდა იგრძნობოდეს, რეალობაში კი იგი არც ისე თვალში საცემია.

ჩვენ არ განვავრცობთ საკითხს რომელიც ისედაც ნათელია, თუ ოდნავ დავუკვირდებით თბილისის დღევანდელ ქალაქურ ცხოვრებას, სადაც იშვიათობა გახდა არაქართველთა, ყოფილ საბჭოთა საქართველოში და მის დედაქალაქში მცხოვრებთა თანაცხოვრება.

რაც შეეხება რიცხოვნობის აბსოლუტური კლების „შეუგრძნობლობას“ ესეც ადვილი ასახსნელია, იგი შეავსო ახალმა მიგრაციულმა ნაკადებმა. დღეს თბილისის (პირობითად) „დემოგრაფიული ტევადობა“ გაჯერებულია მოსახლეობის შემდეგი კატეგორიებით:



1. მკვიდრი მოსახლეობა (1006.5 ათასი)
2. დევნილები (60 ათასამდე)
3. შრომითი ქანქარისებური მიგრანტები (70 ათასამდე)
4. თბილისში დამკვიდრების ზღვარზე მყოფი შრომითი მიგრანტები (35 ათასამდე)
5. მუდმივ საცხოვრებლად მიგრაციები (20 ათასამდე)
6. უცხოელები (35 ათასამდე)

ე. წ. „დემოგრაფიული ტევადობის“ აღნიშნული განგარიშებიდან გამომდინარე, თბილისს 1989 წლის რიცხოვნობამდე - 1246.9 ათასამდე აკლია 20-30 ათასი კაცი, ეს ისედაც საგრძნობია ახალ რაიონებში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საბინაო მშენებლობების და დაკეტილი ბინების შემხედვარე.

ამგვარად, თუ შეიძლება ითქვას, თბილისი ორმხრივი „დარტყმის“ წინაშეა. ერთის მხრივ, იგი არის მთელი საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის ფოკუსირების ნერტილი (ადგილი), რომელთა ნაწილი მკვიდრდება ქალაქში, ნაწილი ქალაქს იყენებს „პლატფორმად“ საზღვარგარეთ მიგრაციისათვის. მეორე მხრივ, მისი მკვიდრი მოსახლეობა გახდა გარე მიგრაციის აქტიური მონაწილე, რომელთა უმეტესობა მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ. ეს კი ნიშნავს გამოთავისუფლებულ (გასაყიდად, გასაქირავებლად თუ გამოკეტილ) საცხოვრებელ სახლებს (თუ ბინებს).

ყოველივე, ზემოთ თქმული, იმ ცალკეულ თითქოს და უმნიშვნელო ელემენტთა დეტალიზაციის (თუნდაც პროსტიტუციის და უპატრონო ბავშვთა არსებობის, და ისიც ძირითადად გარედან მიგრაციის ხარჯზე) გარეშე, არის დღევანდელი თბილისის რეალობა. ამ ფონზე, დასაწყისშივე უნდა შევთანხმდეთ, რომ ძალზედ ძნელია და თანაც საპასუხისმგებლოა თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზის და მისი ეროვნულ-ეთნიკურ სტრუქტურაში თუ სხვა დემოგრაფიულ ელემენტების უახლოეს პერსპექტივაში თუ შორეულ პერიოდში პროგნოზი, მაგრამ თბილისის თუ საქართველოს დღევანდელ შემთხვევაში როგორც ბრძანებს კენძო ტანგე „..... მომავლის ჭვრეტა გაცილებით რეალისტურია ვიდრე უკან ხედვა“.

3. თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია და პროგნოზი

ამ ნაწილში შევეცდებით შევაჯეროთ საქართველოს განვითარების ელემენტები, რომლებიც ამა თუ იმ დონით მოქმედებენ დღეს და იმოქმედებენ მომავალში, როგორც მოსახლეობის რიცხოვნობის კონცეპტუალურ ისე საპროგნოზო გაანგარიშებაზე.

უნდა ავლნიშნოთ, რომ თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის კონცეფცია გულისხმობს მომავალ 50 წლიან პერიოდს - 2050 წლამდე (მიუხედავად იმისა, რომ დღეს 2003 წელია) და საპროგნოზო პერიოდს - 2015 და 2030 წლამდე.

ამ დროის მონაკვეთთა ჭრილში შევეცდებით განვიხილოთ თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტენდენცია სამი მიმართულებით:

1. თბილისის დემოგრაფიული განვითარების დღემდე არსებული პროგნოზები;
2. თბილისის ფუნქციონირების განვითარების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თბილისისკენ გარე და შიდა მიგრაციული ნაკადების სიდიდეების შესაძლო ვარიანტები;

3. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის კონცეპტუალური და საპროგნოზო ვარიანტები.

პირველ რიგში, აღნიშნული საკითხები განხილვამდე, უნდა შევთანხმდეთ, რომ ისევე როგორც საქართველოს დემოგრაფიული პროცესები, მისი დადებითი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და კერძოდ თბილისის შემთხვევაში, მსოფლიო საქალაქო განსახლების სისტემაში „მეს“ ანუ საქართველოს და თბილისის საკუთარი ეროვნული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობაზე (ან გარემოთა ხელსაყრელ პირობებზე), რომელიც განვლილ ორსაუკუნოვან პერიოდთან შედარებით, XXI საუკუნეში ძალზედ ძნელად მისაღწევია, რადგან მაშინ როცა საქართველოს და თბილისს უხდებოდა „ბრძოლა“ საკუთარი „მეს“ დამკვიდრებისათვის, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა და მათ დედაქალაქთა უმეტესობას უკვე გარკვეული აქვთ აღნიშნული.

იმედის მომცემია ის, რომ საქართველოს და თბილისს ჯერ კიდევ არ ამოუწურავთ შანსი, საბჭოთა იმპერიის ნგრევის მიმდინარე პროცესში, დაიკავონ „მენდელეევის ტაბულის ის ადგილი“, რომელიც მათთვის ჯერ კიდევ არის „დარეზერვებული“. და თუ ეს მათ ვერ შეძლეს, მაშინ ძალზედ პესიმისტური ვარიანტით მათი განვითარება „საუკეთესო“ პირობებში „რუსეთის ქვეშევრდომობის“ პერიოდს დაემსგავსება ანუ სხვის ინტერესთა ვექტორს დაექვემდებარება. აღნიშნული თავისთავად არ ნიშნავს განვითარების წყვეტადობას ან სტაგნაციას, ის გულისხმობს საკუთარი „მეს“ მსოფლიო თანამეგობრობაში დამკვიდრების შესაძლებლობათა განუხორციელებლობას (ან ოპტიმისტურად, გადავადებას). ასეთი რამ მსოფლიოს სხვა ქვეყნების თუ მათი დედაქალაქების განვლილ ისტორიაში საკმაოდ ბევრია. მიუხედავად მძიმე სოციალურ-ეკონომიური და იდეოლოგიურ-ეროვნული ცნობიერების ფონისა, ყოველივე აღნიშნული, ჯერ-ჯერობით საქართველოსთვის და თბილისისათვის

მიუღებელია. ჯერ-ჯერობით საქართველოს და თბილისს ისევ აქვთ შანსი თავიანთი თავი თვითონ ეკუთვნოდეთ, თვითონ მოიპოვონ, შუამავლის გარეშე (თუ დახმარებით), XXI საუკუნის სწრაფ აგრესიულ განვითარებაში თავისი ადგილი.

ამ სასურველობის ფონზე რეალობა იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ ძალზედ ძნელია განჭვრიტო საქართველოს და განსაკუთრებით თბილისის პერსპექტივები თუნდაც კონცეპტუალურ დონეზე, მაგრამ ადამიანი და განსაკუთრებით უმძიმესი ისტორიული წარსულის მქონე ქართველი ერი ოპტიმისტად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც შეუძლია და არა მარტო შეუძლია (არა მარტო წარმოსახვით-კონცეპტუალურად), არამედ რეალობაში განახორციელოს ნაბიჯები, რომელიც საქართველოს და თბილისს ჩართავს XXI საუკუნის მოწინავე ქვეყანათა და დედაქალაქთა რიცხვში.

ამგვარად, საქართველოს და კერძოდ თბილისის განვითარების კონცეფციას თუ პროგნოზს საფუძვლად უნდა დაედოს: 1. საკითხი, ინდივიდუალური „მეს“ დამკვიდრების; 2. სხვისი ვექტორის გავლენის ქვეშ მოხვედრის; და 3. სხვისი ვექტორის ქვეშ არსებობის შესაძლებლობათა (პესიმიზტური, სასურველი და ოპტიმიზტური) ვარიანტები.

3.1. თბილისის დემოგრაფიული განვითარების თაობაზე დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებული პროგნოზული გაანგარიშებები

ბატონი ვ. ჯაოშვილი, 1989 გამოცემულ, ავტორთა ჯგუფის მონოგრაფიაში „თბილისი“, აღნიშნავდა „დემოგრაფიული პროცესების სირთულე, მათი მრავალმხრივი კავშირი სხვა საზოგადოებრივი მოვლენებთან მეტად დინამიურ ხასიათს ანიჭებს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებელს. ეს გარემოება ბევრად აძნელებს თბილისის მოსახლეობის პროგნოზს. ასეთი პროგნოზის უმთ-

ავრეს დასაყრდენს წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპები უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე. ამ მხრივ უფრო საიმედოა მოსახლეობის ორი უკანასკნელი აღწერის მონაცემები, ანუ ქალაქის ზრდის ტემპები 1970-79 წლებში. აღნიშნულ პერიოდში თბილისის მოსახლეობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 2.08%-ით, თუ 1979-99 წლებშიც ქალაქის ასეთივე ტემპით ზრდას ვივარაუდებთ, 2000 წლისათვის თბილისის მოსახლეობა 1.6 მილიონს გადააჭარბებს. მაგრამ სტატისტიკური ორგანოების მიმდინარე აღრიცხვიანობასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, ამ მონაცემებით კი თბილისის მოსახლეობა 1986 წლის დამდეგს შეადგენდა 1174 ათასს, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის მცხოვრებთა რიცხვი 1979-85 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად 1.35%-ით იზრდებოდა ... უნდა დავასკვნათ, რომ 2%-ით საშუალო ყოველწლიური ზრდა უახლეს 10-15 წლის მანძილზე გადაჭარბებულად ჩანს, ისე როგორც შემცირებულად მიგვაჩნია ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი 1.35%-ით, უახლესი მომავლისათვის უფრო რეალურად გვესახება ყოველწლიური ზრდის ტემპი ამ ორი უკიდურესი მაჩვენებლის შუა, ანუ დაახლოებით 1.6-1.7%-ის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შედარებით ახლოს ვიქნებით სინამდვილესთან, თუ XXI საუკუნის დამდეგისათვის დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვს ვივარაუდებთ 1430-1470 ათასის რაოდენობით. ამრიგად, მიმდინარე საუკუნის ბოლომდე დედაქალაქს შეემატება დაახლოებით 250 ათასი მცხოვრები!”

რეალობაში კი თბილისის მოსახლეობის რიცხოვნებამ XXI საუკუნის დასაწყისისათვის დაიკლო და ჩვენი გაანგარიშებით, იგი ამჟამად შეადგენს 1006.5 ათას კაცს.

ე.წ. ყოფილი საგეგმო კომიტეტის პროგნოზით, თბილისის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 22.2%-დან 1985-2000 წელს უნდა გაზრდილიყო 23.2%-მდე

	1970 წ.	1985 წ.	2000 წ.
თბილისის მოსახლეობა (ათასი კაცი)	897.5	1166.2	1350.0
ხვედრითი წილი (%)	19.2%	22.2%	23.2%

ე.წ. საქართველოს სსრ განსახლების რეგიონალური სქემით, ისევე როგორც სხვა, დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებული საპროგნოზო გაანგარიშებების თუ თბილისის გენერალური გეგმის, ამოსავალი პოზიცია იყო თბილისის „დემოგრაფიული“ განვითარების შეზღუდვის პოლიტიკა და ამის პირობად მიჩნეულ იყო საქართველოს განსახლების სისტემაში თბილისის „დუბლირებული“ ცენტრების დაჩქარებული განვითარება, რაც, შეიძლება ითქვას მიულწეველი აღმოჩნდა იმ ე.წ. სოციალისტურ-დიქტატორული მმართველობის პერიოდში და ძალზედ საეჭვოა რომ იგი მიღწეულ იქნას საბაზრო-კერძო საკუთრების პირობებში.

განსახლების რეგიონალური სქემით დასახული იყო განსახლების ჯგუფური სისტემების ფორმირების ეტაპები:

I ეტაპზე (1986 წლამდე)	II ეტაპზე (1991 წლამდე)	III ეტაპზე (2001 წლამდე)
თბილისის	სოხუმის	ახალციხის
ქუთაისის	ბათუმის	ცხინვალის
	თელავის	

შესაბამისად ამ განსახლების ჯგუფური სისტემების ცენტრების მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მაჩვენებლად მიჩნეული იყო:

(ათასი კაცი)

	1975 წ. (საწყისი)	1990 წ. (პროგნოზი)	2000 წ. (პროგნოზი)	2002 წ. (რეალობა, ჩვენი გაანგარიშებით)
თბილისი	1032.0	1170.0	1250.0	1006.5
ქუთაისი	179.3	350.0	500.0	180.0
სოხუმი	117.7	160.0	200.0	40.0
ბათუმი	116.5	150.0	180.0	140.0
მცხეთა	7.6	8.5	10.0	7.0
რუსთავი	127.6	140.0	150.0	125.5

ამ პროგნოზული გაანგარიშებიდან არცერთი არ უახლოვდება 2000 წლის რეალობას, ვინაიდან თითქმის ყველა ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობამ დაიკლო.

3.2. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დამუშავებული პროგნოზები

ამ ნაწილში ჩვენ ძირითადად დავეყრდნობით 2002 წლის დასაწყისში „თბილისის ურბანული განვითარების კონცეფციაზე“ გამოცხადებულ ღია კონკურსში შემოსულ საავტორო ნამუშევრებში დასახულ საპროგნოზო გაანგარიშებებს. აღნიშნულ გაანგარიშებებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მივიჩნიეთ აუცილებლად, ვინაიდან იგი აჩვენებს, თუ შეიძლება ითქვას, თბილისის მომავლის განჭვრეტაში არსებულ სიძნელეებს და ეს ასეც იყო (და დღესაც იქნება) მოსალოდნელი, რადგან თბილისი გამოხატავს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარების ტენდენციებს. ამ მხრივ, მიუხედავად დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი თორმეტწლიანი პერიოდისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველია და ამიტომაც საკონკურსო ნამუშევართა უმეტესობაში იგრძნობა სოციალისტური აზროვნების ინერციულობა და შედეგად კონკურსმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული ჩვენ, საავტორო კოლექტივების დასახელების გარეშე, ქვემოთ მოვიყვანთ მათ მიერ გაანგარიშებულ საყრდენ პოზიციებს:

საავტორო ნამუშევარი	საწყისი (არსებული) მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)	მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობა	ტერიტორიული ზრდის ტენდენციები
1	1260	1450	ახალი ტერიტორიის ათვისება 478.7 ათასი მოსახლისათვის

2		2200 (არსებულ საზღვრებში ტევადობა)	არამიზანშენილიდან არის მიჩნეული მოსახლეობის პროგნოზი
3	1260	1379 (2017 წლისათვის) საბოლოოდ ზრდა არაუმეტეს 1350	არსებულ საზღვრებში
4		ოპტიმალური თანაფარდობა საქართველოს და თბილისის მოსახლეობას შორის 1:6. მოსახლეობის ოპტიმალური ზრდის ზღვარი უახლოეს პერიოდში 900 ათასი	
5	1259.5 + 90 ათასი დეენილი (2000 წელი)	1380 (2010 წელს) 1560- 1570 (2030 წელი) ოპტიმალური მოსახლეობა - 1450. დროებით მყოფი 500 ათასი	
6	1151.9 (2000 წელი)	1267 (2010 წელი) 1318 (2020 წელი)	მეტროპოლიტენის ხაზის გაგრძელება რუსთავამდე
7		მოსახლეობის რიცხოვნობა დაყვანილ იქნას 850-900 ათასამდე	ტერიტორია შემცირდეს 8600 კა-მდე
8		1650- 1700 (2010 წლისათვის)	ტერიტორიული ზრდა
9		1415 (2015 წლისათვის) 1503.7(2030 წლისათვის)	

3.3. თბილისის ფუნქციათა განვითარების საპროგნოზო ვარიანტები

ჩვენ წინა ნაწილებში მოვიყვანეთ თბილისის ფუნქციათა ვარიანტები, რომლებიც დამოკიდებულია სხვა და სხვა რანგის განსახლების სისტემებში მის ადგილზე. ამჟამად ძალზედ მოკლედ შევეცდებით, წარმოვსახოთ თუ რა სიდიდით შეიძლება მიიღოს ცალკეული ფუნქცია თბილისმა კონცეპტუალურად თუ საპროგნოზო პერიოდის ცალკეულ მონაკვეთებში.

აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ თბილისის ფუნქციათა განვითარებას და შემდგომ მათ შესაბამისობაში თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი წარმოდგენილი იქნება სამ შესაძლო ვარიანტად: პესიმისტური, განვლილი თორმეტწლიანი პერიოდის ინერციულად გაგრძელების შესაძლებლობებით; სასურველი, რომელიც ძირითადად საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაში სასურველ ცვლილებებზე – ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაზე და საერთოდ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რეალიზაციაზე იქნება დამოკიდებული და ოპტიმისტური, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობების რეალიზაცია შეიძლება იყოს დასაშვები.

ამავე დროს ხაზგასმულია ისიც, რომ თბილისის ფუნქციათა განვითარების დღევანდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ანალოგიური ფუნქციის მსხვილი კაპიტალისტური ქალაქების განვითარების ტენდენციებისაგან. თუნდაც იმით, რომ, თბილისის მონდომების (ჩარევის) გარეშე, სტიქიურად ყალიბდება მისი ფუნქცია სხვადასხვა რანგის განსახლების სისტემის დონეებზე. ცალკეულ ფუნქციათა ჩვენეული 10 ბალიანი შკალით შეფასება, რომელიც მოცემულია ქვემოთ, თავისთავად მიმანიშნებელია ამა თუ იმ ფუნქციის სტიქიური თუ კანონზომიერი განვითარების შესაძლებლობისა.

თბილისის ფუნქციონირების განვითარების პროგნოზული ვარიანტების შეფასება

ვარიანტები	წლები	ძირითადი ფუნქციები სხვა და სხვა რანგის განსახლების სისტემაში						
		მეტრო- პოლი- აგლომე- რაციის დონეზე	სა- ქარ- თე- ლოს დონეზე	ამიერკავ- კასიის (ან მთლიანად კავკასიის) დონეზე	აბრეშუმის გზის ქვეყნების დონეზე	შავი ზღვის ქვეყნების დონეზე	მსო- ფლიოს განსა- ხლების დონეზე	% პაქტიმალური ჯამურ მარევენებელთან (60 ბალი)
პეიმიტიური	2002	5	5	3	2	1	0	26.7
	2015	7	7	3	3	2	0	36.7
	2030	8	8	4	3	3	1	45.0
	2050	9	9	4	3	4	1	56.0
სააურველი	2002	5	5	3	2	1	0	26.7
	2015	8	7	7	3	3	2	50.0
	2030	9	8	9	4	4	3	61.7
	2050	10	8	10	5	5	4	70.0
ოპტიმიტიური	2002	5	5	3	2	1	0	26.7
	2015	10	7	8	4	4	3	60.0
	2030	10	8	9	5	5	4	68.3
	2050	10	8	10	6	6	5	75.0

დეტალიზაციის გარეშე ავლნიშნავთ, ამ ვარიანტებს შორის შესაძლებელია საერთო მახასიათებელი ნიშანი. თუნდაც ის, რომ „პეიმიტიური“ ვარიანტის დროსაც კი თბილისი 26.7%-დან 50%-მდე ზრდის თავის ფუნქციებს, ძირითადად საქართველოსა და მის მეტროპოლია-აგლომერაციის დონეზე. ხოლო „სააურველი“ და განსაკუთრებით „ოპტიმიტიური“ ვარიანტებში, თბილისი სტიმულს აძლევს, ერთის მხრივ, მეტროპოლია-აგლომერაციაში შემავალი ქალაქების-თანამგზავრების და მეორე მხრივ, ე.წ. „დუბლირებული“ ცენტრების (ბათუმის, სოხუმის და ფოთი - ყულევის) განვითარებას შავი ზღვის სანაპიროზე და თანდათანობით მისი ფუნქციები სცილდება საქართველოს საზღვრებს.

ამგვარად, ცალკეულ ვარიანტებში თბილისის ფუნქციათა შესაძლო განვითარებიდან, არასაერთაშორისო (მეტროპოლია-აგლომერაციის და საქართველოს განსახლების) დონეზე ფუნქციის განვითარებაზე მოდის:

ვარიანტები	2002 წ. (არსებული)	2015 წ.	2030 წ.	2050 წ.
პესიმისტური	62.5%	63.6%	60.0%	58.8%
სასურველი	62.5%	50.0%	45.9%	42.9%
ოპტიმისტური	62.5%	47.2%	43.9%	40.0%

ეს კი თავისთავად მიუთითებს, პესიმისტური ვარიანტის დროს ძირითადად საქართველოს დონეზე საერთო-ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ-კულტურულ თუ ეკონომიკური და სადედაქალაქო ფუნქციების (ისევე როგორც დღეს) კონცენტრაციას თბილისში; ხოლო სასურველ და განსაკუთრებით ოპტიმისტურ ვარიანტებში, იგი ზემოთ აღნიშნულ ფუნქციას შეამცირებს მის თანამგზავრებზე გადანაწილებით და განავითარებს განსაკუთრებულ ფუნქციებს, რომელთა უმეტესობა სცილდება საქართველოს ფარგლებს.

ყოველივე, თუნდაც ზოგადად წარმოდგენებს ჰქმნის იმისათვის, რომ ფუნქციათა შესაძლო განვითარება შესაბამისად დაუკავშირდეს თბილისის „დემოგრაფიულ ტევადობაში“ მოსალოდნელ ცვლილებებს.

3.4. თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ საპროგნოზო ვარიანტები

დასაწყისშივე უნდა ვთქვათ, რომ ქვემოთ მოყვანილი საპროგნოზო გაანგარიშებები შეიძლება დავეს ან მასზე განსაკუთრებულ შეხედულებებს იწვევდეს, მაგრამ უნდა დავეთანხმოთ კიბლს, ისინი მიუხედავად აღნიშნულისა აუცილებელია. ამავ დროს, თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ პროგნოზირება და

რეალობა, საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკურ და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელსაყრელ თუ უარყოფით პირობებზე და XXI საუკუნის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის (ეროვნული იდეოლოგიის) ხარისხზეა დამოკიდებული.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის შემთხვევაში, მის განვითარებაში საქართველოს განვითარების პასიური (უარყოფითი) ნაკლებად, ხოლო აქტიური (დადებითი) ფორმები უფრო მეტად ვლინდება და ყოველივე აისახება, როგორც მისკენ ისე მისგან (როგორც მუდმივ საცხოვრებლად ისე დროებით შრომით ქანქარისებური) მიგრაციებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ შესაძლო ვარიანტების განხილვამდე აუცილებელი ხდება პირველ რიგში მისკენ ან მისგან მუდმივ საცხოვრებლად მიგრაციული ნაკადების და შესაბამისად მკვიდრი მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირება.

3.4.1. მიგრაციული ნაკადები და მკვიდრი მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)

მიგრაციული ნაკადი → თბილისი → საზღვარგარეთ

განვლილი 12 წლიანი პერიოდი
(1990-2002 წლები)

საქართველოდან	170.0	
საქართველოს გარედან	10.0	→ 250.0
თბილისის მკვიდრი	70.0	

■ თბილისის მოსახლეობა ●●●●●● 1006.5
(პერიოდის ბოლოს)

**საპროგნოზო 12 წლიანი პერიოდი
(2003-2015 წლები)**

პესიმისტური ვარიანტი

საქართველოდან	150.0	
საქართველოს გარედან	10,0	→ 200.0
თბილისის მკვიდრი	50.0	
■ თბილისის მოსახლეობა ●●●●●●	900.0	

სასურველი ვარიანტი

საქართველოდან	150.0	
საქართველოს გარედან	50.0	→ 50.0
თბილისის მკვიდრთა ბუნებრივი მატება	10.0	
თბილისის მოსახლეობა ●●●●●●	<u>1160.0</u>	
(რუსთავთან და მცხეთასთან ერთად)	(1300.0)	

ოპტიმისტური ვარიანტი

საქართველოდან	150.0	
საქართველოს გარედან	70.0	→ 0
თბილისის მკვიდრთა ბუნებრივი მატება	30.0	
თბილისის მოსახლეობა ●●●●●●	<u>1250.0</u>	
(რუსთავიდან და მცხეთიდან ერთად)	(1500.0)	

■ „დუბლირებული“ ცენტრების (ბათუმის, სოხუმის და ფოთი-ყუღევის) განვითარება

**საპროგნოზო 18 წლიანი პერიოდი
(2015-2030 წლები)**

პესიმისტური ვარიანტი


საქართველოდან	150.0	
საქართველოს გარედან	10.0	→ 150.0

თბილისის მკვიდრი	50.0		
■ თბილისის მოსახლეობა ●●●●●●	1000.0		
□ სასურველი ვარიანტი			
საქართველოდან	150.0		
საქართველოს გარედან	80.0	→	50.0
თბილისის მკვიდრთა ბუნებრივი მატება	20.0		
თბილისის მოსახლეობა ●●●●●●	<u>1250.0</u>		
(რუსთავთან და მცხეთასთან ერთად)	(1500.0)		
■ „დუბლირებული“ ცენტრების (ბათუმის, სოხუმის და ფოთი-ყუღევის) განვითარებით			

□ ოპტიმისტური ვარიანტი			
საქართველოდან	150.0		
საქართველოს გარედან	150.0	→	0
თბილისის მკვიდრთა ბუნებრივი მატება	50.0		
თბილისის მოსახლეობა●●●●●●	<u>1350.0</u>		
(რუსთავთან და მცხეთასთან ერთად)	(1650.0)		
■ „დუბლირებული“ ცენტრების და სხვა მსხვილი ქალაქების განვითარებით			

ამგვარად, თბილისის მკვიდრი მოსახლეობის რიცხოვნობა და ხვედრითი წილი საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში შეიძლება იყოს:

თბილისის მოსახლეობის დინამიკა და ხვედრითი წილი
საპროგნოზო პერიოდში*




1. - 2002 წ. 2. - 2015 წ. 3. - 2030 წ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სასურველ“ და „ოპტიმისტურ“ ვარიანტებში, რუსთავი ხდება თბილისის „სამრეწველო“ ქალაქი-თანამგზავრი, ხოლო მცხეთა თბილისის გარკვეული „კულტურულ-ადმინისტრაციული“ ფუნქციების მატარებელი ქალაქი-თანამგზავრი.

ამგვარად, თბილისის მეტროპოლიაში შემავალი ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობასთან ერთად თბილისის მოსახლეობის დინამიკა და ხვედრითი წილი საპროგნოზო პერიოდის სასურველ და ოპტიმისტურ ვარიანტებში მნიშვნელოვნად იცვლება (ზემოთ დიაგრამის ანალოგიურ მაჩვენებლებში):

*დინამიკა ათასებში, ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში



1. - 2002 წ. 2. - 2015 წ. 3. - 2030 წ.

3.4.2. თბილისის „დემოგრაფიული ტევადობა“


თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ საპროგნოზო ვარიანტების გაანგარიშებისას ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ოპტიმისტური ვარიანტით. ამ მიმართებით პესიმისტური ვარიანტის განხილვას აზრი ეკარგება, ვინაიდან ამ შემთხვევაში საერთოდ არ ისმება საკითხი თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე და შესაბამისად არსებული გენერალური გეგმა მხოლოდ მცირე მასშტაბის ჩარევებს და ისიც ცენტრისა და პრესტიჟული რაიონების დეტალური დაგეგმარების გეგმების ახალ რეალობის მისადაგების მხრივ კორექტირებას თხოულობს.

ამ მხრივ დეტალიზაციის გარეშე, კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ თბილისის განვითარება დამოკიდებულია მისი ფუნქციების განვითარების შესაძლებლობაზე. ეს კი, საქართველოს როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ეროვნული თვითმყოფადობით არსებობის შესაძლებლობის ხარისხზე-


ეა დამოკიდებული, რაც თავისთავად გულმისხმობს ქვეყნის შიდა არსებულ უმძიმეს პრობლემათა მაქსიმუმის უახლეს ხუთწლიანადში გადაჭრას და პარალელურად XXI საუკუნის „ფერხულში“ აქტიურ ჩართვას.

თბილისის დემოგრაფიული ტევადობის ვარიანტები


არსებული
მდგომარეობა
(2003 წელი)



2015 წლამდე
პერიოდი



2030 წლამდე
პერიოდი



(ათასი კაცი)

№	კატეგორიები დიაგრამაზე	2003 წ.	2015 წ.	2030 წ.
1.	მკვიდრი მოსახლეობა	1006.5	1250.0	1350.0
2.	დეენილები	60.0	-	-
3.	შრომითი ქაწყარისებური მიგრანტები	75.0	50.0	40.0
4.	თბილისში დამკვიდრების ზღვარზე მყოფი შრომითი მიგრანტები	50.0	30.0	10.0
5.	უცხოელები (ეიზიტორები, წარმომადგენელთა თანამშრომლები და ა.შ.)	35.0	70.0	150.0
	სულ	1226.5	1400.0	1550.0

ძირითადი დასკვნები

გამომდინარე იმ სირთულეებიდან რომელიც თან ახლავს თბილისის განვითარების ე.წ. სოციალისტური ვექტორის თითქმის 180 გრადუსით შემობრუნების აუცილებლობას, პირველი რიგის ამოცანად გვესახება:

1.1. შეიქმნას მუნიციპალური დაქვემდებარების თბილისის ურბანული გარემოს სოციოლოგიურ-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (ან ლაბორატორია). იგი არ უნდა იყოს დიდი თავისი საშტატო სტრუქტურით (30-40 საშტ. ერთეული). მისი დაფინანსება უნდა გულისხმობდეს ინსტიტუტის გარედან საკონკურსო პირობებით შემოსულ ცალკეულ პროგრამების განხორციელებას. ინსტიტუტთან უნდა იარსებოს სამეცნიერო საბჭომ. ამავე დროს დაფინანსება უნდა გულისხმობდეს საზღვარგარეთული პრაქტიკის გაცნობასაც. ამგვარად, ასეთი ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ყოველწლიურად გამოყოფილ უნდა იქნას 0.5 მილიონამდე ლარი.

1.2. პარალელურად ინტენსიურად უნდა დაიწყოს და მოკლე ვადებში განხორციელდეს თბილისის ცენტრისა და პრესტიჟული რაიონების (ან ლოკალური ტერიტორიების) დეტალური დაგეგმარების პროექტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიცირება (აღნიშნულში უნდა ჩართულ იქნას ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტი).

1.3. ზემოთ აღნიშნულ ინსტიტუტს უნდა შეუერთდეს თბილისის მიწების არსებული მუნიციპალური ინსტიტუტი და შემუშავებულ იქნას თბილისის მიწებზე გადასახლების პოლიტიკა და შესაბამისად, მისი განხილვისა და სამოქმედოდ დამტკიცების შემდგომ, მოხდეს ქალაქის არა მსხვილ ზონებად, არამედ ლოკალურ ტერიტორიებად ზონირება. ასეთი პოლიტიკა და შესაბამისად თბილისის ტერიტორიების ზონირება ზოგადად უნდა გულისხმობდეს:

1) საამშენებლოდ (თუ სარეკონსტრუქციოდ) მიწების გამოყოფის (როგორც საცხოვრებელი სახლების, ისე საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის) თუ დროებით განთავსებისათვის) მსურველებს, ასეთებზე ნებართვის დროს დაუწესდეს დიფერენცირებული სამუნიციპალიტეტო გადასახადი.

2) ასევე უკვე ფუნქციონირებად სამომსახურო ობიექტებს დაუწესდეს (სასტუმროები, მაღაზიები და ა.შ.) მიწის სარგებლობის დიფერენცირებული გადასახადი.

ყოველივე უნდა გულისხმობდეს თბილისის განვითარებაში გარდამავალ, თუნდაც ერთი შეხედვით ქაოტურ პერიოდს. ეს კი ნიშნავს „რბილ“, არა აკრძალვების პოლიტიკას, არამედ გადასახადების მონესრიგებისა და დღეს შედარებით არაპრესტიჟული რაიონების განვითარებისადმი „სოლიდარობის“ პრინციპს.

2003-2005 წლებში ჩატარებულ კონკრეტულ სამეცნიერო-საკონკურსო კვლევებზე დაყრდნობით, მეორე რიგის ამოცანად გვესახება:

2.1. თბილისის მეტროპოლია-აგლომერაციული ზონის გეგმარებითი დოკუმენტის შემუშავება.

2.2. თბილისის არსებული გენერალური გეგმის კორექტირების დაწყება.

საერთო ძირითად მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნას:

3.1. თბილისის მკვიდრი მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობის (1350 ათასი) განსახლება არსებულ საზღვრებში.

3.2. აღნიშნული საპროგნოზო რიცხოვნობის ზემოთ ზრდის ტენდენციების არსებობის შემთხვევაში საბინაო მშენებლობის გადატანა რუსთავში.

3.3. სამრეწველო ობიექტების მშენებლობის თუ არსებულის გაფართოების სურვილი უნდა გულისხმობდეს ისეთ მუნიციპალურ

გადასახადებს, რომელიც უმეტესად აიძულებს ასეთის მსურველ კომპანიებს, რომ იგი განათავსონ რუსთავეში.

3.4. უახლეს პერიოდში თბილისმა მთელი ძალისხმევა უნდა წარმართოს მისი მეტროპოლიის საზღვრების გაფართოებისაკენ. პირველ რიგში რუსთავის და მცხეთის განვითარების ინტერესების მის ინტერესებში მოქცევით. ამ მიმართებით მიზანშეწონილად (მისაღებად) უნდა ჩაითვალოს, (ცალკეულივე აღნიშნულ ავტორთა მოსაზრების), თბილისსა და რუსთავს შორის მეტროპოლიტენული კავშირის უზრუნველყოფა.

3.5. თბილისისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა შეიძინოს (სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის) მშენებლობამ ყულევში და საერთოდ, ბათუმის და სოხუმის პარალელურად ფოთი-ყულევის დაჩქარებული განვითარება თბილისის ინტერესებში უნდა მოექცეს. ეს არის მიმართულება, რომელიც თბილისს შესძენს შავი ზღვის ქვეყნების განსახლებაში ახალ ფუნქციას.

3.6. კიდევ უფრო მეტი ყურადღებაა გადასატანი კავკასიის და აზერეშუმის გზის ქვეყნების განსახლებაში თბილისის ფუნქციის გაზრდის მიმართებით. ამისათვის (ისევე როგორც შავი ზღვის ქვეყნების დონეზე) საჭიროა ამ ქვეყნების საერთო ინტერესების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციათა თუ კომპანიათა განთავსების თუ სიმპოზიუმების-კონფერენციების, გამოფენების და ა.შ. თბილისში ჩატარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

3.7. თბილისი, როგორც მუნიციპალური საგადასახადო ისე სხვა ხელშემწყობი პირობების შექმნით, უნდა შეეცადოს 3.5 და 3.6 პუნქტებში ჩამოთვლილი ფუნქციები გადაიტანოს ამჟამად „არაპრესტიჟულ“ ახალ საქალაქო რაიონებში და ამით სტიმული მისცეს მათ განვითარებას. ამის კარგი მაგალითი იქნება დიდ დილომში აშშ-ს საელჩოს მშენებლობის მიმართ უკვე მიღებული გადაწყვეტილება, რაც სტიმულატორის როლს შეასრულებს ამ ახალი, ჯერ-

ჯერობით არაა „პრესტიჟული“, რაიონის მიმზიდველობის გაზრდაში.


ამგვარად, თბილისში, განვლილ თორმეტწელინადში წარმოქმნილი პრობლემათა „სიუხვე“ და ამ პრობლემათა, ერთის შეხედვით, ქაოტურად წარმოქმნის თუ მიმდინარეობის მიუხედავად, იგი მაინც გარკვეულ კანონზომიერებათა ჩარჩოებში უნდა იქნას განხილული. ვინაიდან, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, თბილისი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც „შოკის“ პირობებშია. იგი ეძებს გზებს ე.წ. სოციალისტურიდან კაპიტალისტურში მოკლე დროში გადასვლისათვის და თანაც ამ მხრივ იგი (ყოფილი საბჭოთა სივრცის ქალაქებთან ერთად) პიონერი ხდება, ვინაიდან XXI საუკუნეა და მსოფლიოში ასეთი ტრანსფორმაციის ანალოგი არ მოიპოვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, თბილისს სჭირდება მუდმივად ყურადღება, თუნდაც ცალკეულ საკითხთა თუ პრობლემათა კვლევისა, განზოგადობის და შემდგომ რეაგირების მხრივ. მეორეს მხრივ, თბილისი უნდა მოექცეს არამხოლოდ მუნიციპალური, არამედ მთელი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი განვითარების ყოველდღიური ყურადღების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. თბილისი. ეკონომ-გეოგრაფიული გამოკვლევა.
ავტორები: ვ.ჯაოშვილი, დ. უკლება, ა. რონდელი, რ. გაჩეჩილაძე,
ვ. ნეიძე, გ. ბერიძე და სხვები. თბ. 1989.
2. თ. გუგუშვილი. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული
პრობლემები. თბ. 1999 წ.
3. თ. გუგუშვილი. საქართველოს ადამიანური რესურსი - XXI საუკუნე.
მზადაა გამოსაცემად.
4. რ. გაჩეჩილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი
სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ. 1997.
5. ა. კაცაძე. თბილისის მოსახლეობის ფორმირების პროცესები.
ისტორიულ-დემოგრაფიული და კონკრეტული სოციალური გამ-
ოკვლევა. თბ. 1991.
6. გ. წულაძე, გ. მელაძე. დემოგრაფიული განვითარება საქართვე-
ლოში. თბ. 2002.
7. გ. წულაძე, ნ. მალლაფერიძე, ა.ვადაჭკორია. საქართველოს
დემოგრაფიული განვითარება (1996-2000 წ.წ.). თბ. 1997.
8. გ. წულაძე, ნ. მალლაფერიძე. საქართველოს დემოგრაფიული
პერსპექტივები. თბ. 2001.
9. გ. ფირცხალავა. საქართველოს მოსახლეობა: ეროვნული შემადგ-
ენლობა, ოჯახები, მიგრაცია (მოსახლეობის 1970, 1979, 1989, წლე-
ბის აღწერით). თბ. 1997.
10. ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. ისტორიულ-
დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა.
თბ. 1996.
11. Жаклин Боже - Гарные, Жорж Шабо. Очерки по географии городов.
М. 1967.
12. Льюис Кибл. Городская и районная планировка. Принципы и практи-
ка планировки городов Великобритании. М. 1965,

13. Г. М. Лаппо. Города на пути в будущее. М. 1987,
14. Некоторые проблемы урбанизации градостроительства. Социально-экономические аспекты. М. 1980.
15. World Population prospects: The 2000 Revision. UN. NY. 2001.
16. საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა. (სტატისტიკური ცნობარი). თბ. 1991.



თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მემკვიდრეობითობა

1. თბილისის ძველი უბნების განვითარების სოციალურ- ქალაქთმშენებლობითი საკითხები

თბილისის ძველ უბნებში უკანონო მშენებლობის და ახალი შეუფერებელი არქიტექტურული ნიმუშების ირგვლივ საზოგადოების ენებათა ლელვამ კიდევ ერთხელ გაამძაფრა ის პრობლემები, რომელიც ქალაქის ისტორიულ ნაწილს გააჩნია. ეს პრობლემები დღემდე ჯეროვნად წარმოჩენილი არ არის, ზოგი მათგანის აქტუალურობა კი ათეულ წელს ითვლის. მათ გადაწყვეტის მაგივრად ძველ უბნებს დღეს ახალი პრობლემები შეემატა.

ძველი და ახალი პრობლემების რიცხვში შედის საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილის ავარიული მდგომარეობა, საინჟინრო ქსელებისა და გზების მოუნესრიგებლობა, ცუდი სანიტარული მდგომარეობა, გამწვანებული ადგილების სიმცირე, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების უქონლობა და ბევრი სხვა რამ, რაც წლების მანძილზე მოგვარებას ითხოვს.

რავითარებაა თბილისის ძველ უბნებში ამჟამად, რა პერსპექტივები შეიძლება გააჩნდეს მათ როგორც სოციალურ-ფუნქციური, ასევე არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით?

თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის — ბეთლემის უბნის მაგალითზე შესაძლებელია იმ საერთო პრობლემების განხილვა, რომელიც ახასიათებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველ უბნებს (ბეთლემის უბნის სოციალურ-ქალაქთმშენებლობითი გამოკვლევა ჩატარებულ იქნა ავტორის მიერ 2000 წელს, საქართველოს იკომოსის პროექტის „ბეთლემის შენობათა ჯგუფის რევიტალიზაცია“, პროგრამა „შევინარჩუნოთ ძველი თბილისი“ ფარგლებში).


ბეთლემის უბანი თბილისის უძველეს ისტორიულ უბანთაგანია. ის განლაგებულია ძველი თბილისის და სოლოლაკის საზღვარზე და შემოფარგლულია ერთის მხრივ – სოლოლაკის ქედით, ხოლო მეორე მხრივ – ასათიანის ქუჩით. მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. ეს ცვლილებები მის ფუნქციურ მხარესაც შეეხო და შენობების, მათ შორის საცხოვრებელი ფონდის ფიზიკურ მდგომარეობასაც. მოსახლეობის ცხოვრების პირობები ამ უბანში ძალიან შორს აღმოჩნდა დედაქალაქის ცენტრალური რაიონებისათვის შესატყვისი ცხოვრების სტანდარტებიდან. და მაინც, როგორ აფასებს თვით მოსახლეობა თავის უბანს, რა მიაჩნია მასში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ზემოაღნიშნული არასახარბიელო ფონის მიუხედავად, ბეთლემის უბანი მოსწონს მისი გამოკითხული მოსახლეობის 94%.


ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც ბეთლემის უბანს ახასიათებს და მას განსაკუთრებულობას ანიჭებს, მოსახლეობა პირველ რიგში უბანში საკულტო ნაგებობების — ეკლესიების სიმრავლეს, კარგ ხედს ქალაქზე და სუფთა ჰაერს თვლის (სურ. 1,2).

მოსახლეობის მიერ უბნის შეფასებაში გარემოს მახასიათებელი ფაქტორების მნიშვნელობა სჭარბობს მისი სოციალური შემადგენლობის ფასეულობას. ასე, „უბნის მკვიდრი მოსახლეობის“ მნიშვნელობა აღნიშნა გამოკითხულთა მხოლოდ 21%-მა, მაშინ როდესაც უბნის სხვა მახასიათებლებმა, როგორცაა უბნის ისტორიულობა, საინტერესო განაშენიანება, უბნის თავისებურება, ხელსაყრელი ადგილმდებარეობა — თავისი მნიშვნელობით წინ გაუსწრეს ამ ფაქტორს.

მოსახლეობა აგრეთვე გვიზიარებს თავის მოსაზრებებს, რომ მთავარია უბნის განუმეორებელი თვითმყოფადობა და აქვე დასძენს, რომ „სიმყუდროვე არ არის, ქუჩის სივინროვის გამო მანქანების მოძრაობა გაძნელებულია. კარგი ხედი ბეთლემის ეკლესიაზე დაკარგულია ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლის გამო და კიდევ „მკვიდრი მოსახლეობა გაძევებულია“.



სურ. 1. ძველი თბილისი — კალა



სურ 2. ბეთლემის უბანი, საერთო ხედი

უბნის გარემოს მახასიათებელს შორის, რომლებიც დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, ძირითადი აქცენტი გამოკითხულთა 75%-ის მიერ გაკეთებულია გვერდზე მდგარი ავარიული სახლების დანგრევის საშიშროებაზე. პრობლემების პირველ ოთხეულში შევიდა, აგრეთვე, უბნის ცუდი სანიტარული მდგომარეობა, საინჟინრო ქსელების (წყალსადენი, კანალიზაცია, საინალერე მონყობილობები) და მისასვლელი გზების მოუწესრიგებლობა.

შემდეგ მოდის ისეთი პრობლემები, როგორცაა მანქანების გასაჩერებელი ადგილების დეფიციტი, მწვანე ნარგავების ნაკლებობა — ბაღის და სკვერის უქონლობა. გამოკითხულთა 17% კი თვლის, რომ ცენტრთან სიახლოვის მიუხედავად, უბანი „მიგდებულია, იზოლირებულია“.

იმ ობიექტების და დანესებულებების ნუსხაში, რომლის ნაკლებობას განიცდის მოსახლეობა, მათ მიერ დასახელებულია: სამედიცინო-სამკურნალო დანესებულება, აფთიაქი; კულტურული, საყოფაცხოვრებო ობიექტები; სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საბავშვო-გასართობი ობიექტები.

უბნიდან გადასვლის სურვილს, შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოკითხულთა 38% გამოთქვამს. მაგრამ სხვა კითხვებზე მოსახლეობის პასუხების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უბნიდან გადასვლის პოტენციური მსურველების რიცხვი უფრო მეტია, და სავარაუდოდ შეადგენს დაახლოებით 60-66%-ს.

ამ მოსაზრების გასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემები, რომლის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის 60%-დე უკმაყოფილოა თავისი ბინით. ამასთან ერთად, უბნიდან გადასვლის მიზეზის უქონლობა დააფიქსირა გამოკითხულთა მხოლოდ 34%-მა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენ 66%-ს უბნიდან გადასვლის სხვადასხვა საბაბი გააჩნია.

ძირითად მიზეზად, რის გამოც მოსახლეობას ბეთლემის უბნიდან გადასვლის სურვილი უჩნდება, გამოკითხულთა უმრავლესობამ სახლის ავარიული მდგომარეობა დაასახელა. შემდეგ მიზეზს - საყოფა-

ცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა და მანქანის სადგომის უქონლობა წარმოადგენს.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა, აგრეთვე, ერთ-ერთ საბაბს წარმოადგენს.

მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, უბნიდან გადასვლის შემთხვევაში, მათ ყველაზე მეტად შეჩვეულ გარემოსთან განშორება გაუჭირდებათ. მკვიდრი მოსახლეობისათვის, რომელსაც მიაკუთვნებს თავის თავს გამოკითხულთა 41%, უბნიდან გადასვლა საერთოდ, როგორც ისინი აღნიშნავენ, დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

რანგით უფრო დაბლა დგას სხვა ფაქტორების მნიშვნელობა. ბინასთან და სახლთან, მეზობლებთან და ა. შ. განშორების სიძნელე. გამოკითხულთა მხოლოდ 9% აღნიშნავს, რომ თავისუფლად გადაევა სხვა უბანში, ყოველგვარი სინანულის გარეშე.

პირობები, რომლებიც მისაღებია მოსახლეობისათვის თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გადასვლის შეთავაზების შემთხვევაში, ძირითადად, ამ უბანს მაინც არ სცილდება. გამოკითხულთა უმრავლესობისათვის ყველაზე სასურველი ვარიანტი არის დროებით სადმე გადასვლა, ამავე ადგილზე ახალი სახლის მშენებლობის შემთხვევაში, და ამ სახლში შესაბამისი ბინის მიღება.

გამოკითხულთა მხოლოდ, დაახლოებით, ერთი მესამედი თანახმაა ფულად ანაზღაურებაზე ან შესაბამისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით სხვა რაიონში გადასვლაზე.

გამოკითხულთა 37% ხაზს უსვამს, რომ ყველა ძალას იხმარს, - რათა ამ უბანში დარჩეს. ეს რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს უბნის მოსახლეობის ძირითად ბირთვად.

ბეთლემის უბანში განლაგებული საცხოვრებელი სახლების ფიზიკური მდგომარეობის თაობაზე მოსახლეობა აღნიშნავს, რომ სახლების უმრავლესობა საჭიროებს ძირეულ შეკეთებას (გამოკითხულთა 65%). მათ შორის სახლის მწვავე ავარიულ მდგომარეობაზე ლაპარაკობს გამოკითხულთა ნახევარი. ყველაზე ყურადსაღები მონაცემია,

ალბათ ის, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 5% ადასტურებს მათი სახლის კარგ ფიზიკურ მდგომარეობას.

გამოკითხული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავისი ბინით უკმაყოფილებას გამოთქვამს, კმაყოფილია კი მოსახლეობის მხოლოდ 38%.

ბინით უკმაყოფილების ძირითად მიზეზად მოსახლეობა ასახელებს ბინის გაურემონტებლობას. მოსახლეობის ნაწილს ანუხებს ფართის ნაკლებობა. გამოკითხულთა მეოთხედი აღნიშნავს, რომ ბინა ნესტიანი და ბნელია. ამ საკითხების სიმწვავე ჩრდილავს პრობლემებს, დაკავშირებულს მეზობლებთან საერთო სათავსების (სამზარეულო, სანკვანძი, აივანი და ა.შ.) არსებობასთან. ამ ფაქტორს, როგორც უკმაყოფილების მიზეზს, აღნიშნავს გამოკითხულთა 18%.

უბნის მთავარი პრობლემები: სახლების ავარიული მდგომარეობა, საინჟინრო ქსელების მოუნესრიგებლობა, მთის მხრიდან წამოსული სინესტე ლაიტმოტივად თან სდევს ყველა საკითხს და მოსახლეობის თვალში მეორე პლანზე აყენებს დანარჩენ პრობლემებს, დაკავშირებულს საცხოვრებელ პირობებთან.

საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, გამოკითხულთა უმრავლესობა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას გეგმავს. ბინის შეკეთებას, საჭირო სათავსების მიშენებას, ბინის - სახლის შიდა რეკონსტრუქციას, ძველის ადგილზე ახლის აშენებას და ა. შ. პრაქტიკულად კი თითქმის ყველა (გამოკითხულთა 91%) უარყოფს ყოველივე ზემოჩამოთვლილის განხორციელების მატერიალურ შესაძლებლობას.

ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის გეგმები თეორიულ ხასიათს ატარებს და უბანში საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის გამოსწორებას მოსახლეობა თავისი ძალებით ვერ შეძლებს.

სახლის პრობლემასთან დაკავშირებით, ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად, გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს, დახმარების რეალურ საშუალებად სავარაუდო ახალი საინვესტი-

ციო კანონები მიაჩნია, რომელთა მიზანი იქნება ისტორიული განაშენიანების შესანარჩუნებლად მოსახლეობისათვის ხელისშეწყობა. მაგრამ, ამავე დროს, გამოკითხულთა 29% ხაზს უსვამს, რომ ამჟამად, შესაძლებელი რომც იყოს რაიმე ფინანსური დახმარების მიღება - ვერ ისარგებლებს, რადგანაც გადახდის წყარო არ გააჩნია.

სახელმწიფო ესახება ფინანსური დახმარების რეალურ წყაროდ გამოკითხულთა მეოთხედს. მხოლოდ საკუთარ თავს ენდობა გამოკითხულთა 21%. ოჯახის წევრების იმედი 12%-ს გააჩნია, ხოლო კერძო ინვესტორებისა კი - 10%-ს. ყველაზე ნაკლებია საბანკო კრედიტებით დაიმედებული მოსახლე (გამოკითხულთა 1,5%). სამაგიეროდ, დიდია იმათი რაოდენობა (21%), ვისაც ბინის პრობლემებთან დაკავშირებით ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად ყველა აღნიშნული წყარო არარეალურად მიაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა თითქოსდა ძირითად იმედებს სახელმწიფოზე, ახალ საინვესტიციო კანონებზე ამყარებს და კერძო ინვესტიციების იმედი მხოლოდ გამოკითხულმა უმცირესობამ აღიარა, მოსახლეობის უმრავლესობა, გამოკითხულთა 66%, მაინც ფიქრობს იმ დაინტერესებული პირების პოვნაზე, ვინც მათი სახლის ადგილზე ააშენებს ახალ სახლს და მათაც დააკმაყოფილებს შესაბამისი ფართით.

გამოკვლევის მონაცემები მეტყველებენ, რომ მოსახლეობის ცნობიერებაში სუსტად არის გააზრებული უბნის განვითარებასა და მოსახლეობის მომავალ კეთილდღეობას შორის შესაძლო კავშირი. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ იცის, რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ცნებებს შორის. გამოკითხულთა 13% უარყოფს ამ კავშირს, ხოლო გამოკითხულთა 36% მაინც უკავშირებს თავისი ოჯახის წინსვლას და ფინანსურ კეთილდღეობას უბნის განვითარებას.

მოსახლეობის დიდი ნაწილი (გამოკითხულთა 62%) ბეთლემის უბნის განვითარების პერსპექტივას, პირველყოვლისა, საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია-განახლებაში ხედავს. ამავე დროს, ისინი საჭიროდ თვლიან მკვიდრი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი

პირობების გასაუმჯობესებლად ხელისშეწყობას, რათა ისინი არ გახდნენ იძულებულნი დატოვონ თავისი უბანი.

საკულტო ნაგებობების აღდგენა, მათი მიმზიდველობის გაზრდა და ბეთლემის უბნის ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა გამოკითხული მოსახლეობის მესამედს უბნის განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად ესახება. ამასთან ერთად, მოსახლეობა არ თვლის საჭიროდ უბანში საერთო საქალაქო მნიშვნელობის ობიექტების დანერგვას. ამ ფაქტორს დადებითად აფასებს გამოკითხულთა მხოლოდ 4%.

ბეთლემის უბნის განვითარების მიმართულებების შესაძლო ვარიანტების განხილვისას, მცირე ბიზნესით მოსახლეობის დაკავების პერსპექტივას გამოკითხულთა მხოლოდ 12%-მა დადებითი შეფასება მისცა. მოსახლეობა ჯერ ვერ გაიაზრებს თავის თავს კერძო ბიზნესის მწარმოებლად საკუთარ უბანში.

გამოკვლევის მონაცემები მეტყველებენ, რომ უბნის გამოცოცხლების პროცესის დაწყებას მოსახლეობა, პირველ რიგში, სახელმწიფოსაგან ელოდება. მეორე ადგილზე არქიტექტორები არიან. გამოკითხულთა 37%-ს უბნის გამოცოცხლების ინიციატორებად სწორედ ისინი მიაჩნია. შემდეგ, მნიშვნელობისდა მიხედვით, მოიაზრება უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების წვლილი.

საკუთრივ თავისთვის, მოსახლეობამ პასიური როლი დაიტოვა. გამოკითხულთა მხოლოდ 11% თვლის, რომ თვითონ მოსახლეობა უნდა იყოს ინიციატორი თავისი უბნის გამოცოცხლების პროცესში.

სახელმწიფო კრედიტების დახმარებით სახლის მოწესრიგების შემთხვევაში გამოკითხული მოსახლეობის ორი მესამედი აპირებს გაუმჯობესებულ პირობებში თვითონ ცხოვრებას. გამოვლინდა მოსახლეობის დაბალი დაინტერესება (გამოკითხულთა 5-9%) შემდგომ, გაუმჯობესებულ პირობებში, საოჯახო სასტუმროს, მცირე სანარმოს ან სახელოსნოს გახსნისადმი.

ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მეტყველებენ იმაზე, რომ მოსახლეობა არ არის მონადინებული სახლის პირობებში რაიმე ბიზნესი

ანარმოს და კერძო საქმის დაწყებისათვის მხოლოდ სახლის - ბინის მონესრიგება არასაკმარისი პირობაა.

კერძო ბიზნესის წარმოების ხელისშემშლელ ფაქტორად მოსახლეობა, პირველ რიგში, ფინანსურ სირთულეებს ასახელებს. შემდეგ შეფერხებას მოსახლეობისათვის ფართის და პირობების უქონლობა წარმოადგენს. ნაკლებად ანუხებს მოსახლეობას გამოცდილების უქონლობა. ორგანიზაციული, გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხები თითქმის არავის აღელებს. სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის მოსახლეობა ამ სფეროში არსებული კანონების არასრულყოფილებას აღნიშნავს.

გამოკვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ საერთო სოციალური კლიმატი უბანში მოსახლეობის მიერ კერძო ბიზნესის დაფუძნების მხრივ სავსებით ხელსაყრელია. გამოკითხულთა დიდი ნაწილი მზადაა გახდეს მეზობლის მიერ გახსნილი ობიექტის აქტიური მომხმარებელი, ზოგიც გამოთქვამს სურვილს თვითონაც ჩაერთოს მის საქმიანობაში. ნეგატიურად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს გამოკითხულთა 14%-ს. ისინი აღნიშნავენ, რომ მეზობლის მიერ გახსნილი კერძო დაწესებულებას ხელს არ შეუწყობენ, რადგან შიშობენ, რომ ამგვარი ობიექტი უბანში სიმყუდროვეს დაურღვევთ.

ბეთლემის უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კერძო დაწესებულებების (სუპერმარკეტი, რესტორანი) ფუნქციონირების მაგალითი მეტყველებს, რომ მოსახლეობის სიმყუდროვის დარღვევის საშიშროება სავსებით რეალურია. გამოკითხული ახლომდებარე სახლების მაცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ ობიექტების ფუნქციონირების გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა ფაქტორებს შორის, რაც უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში, ძირითადად დღელამის განმავლობაში ხმაური სახელდება.

საინტერესოა, რომ კერძო ბიზნესის წარმომადგენლები (სხვა რაიონების მაცხოვრებლები), რომლებმაც უბანში დამკვიდრება განიზრახეს, ერთი მხრივ, უბნის პრობლემების გათავისებას ცდილობენ, რაც

წამოჭრილი საკითხების (დარღვეული საინჟინრო ინფრასტრუქტურის, გზების და ა. შ.) მოგვარებაში ფინანსური მონაწილეობის მიღების სურვილით გამოიხატება. მეორე მხრივ - ზოგ მათგანში თანდათანობით მესაკუთრის გრძნობები ღვივდება, რაც ერთგვარ არაკეთილგანწყობას ბადებს მათში სავარაუდო კონკურენტების მიმართ. ანუ, უბანში რაიმე კერძო ბიზნესის ობიექტის გაჩენის პერსპექტივას ისინი უკმაყოფილებით აღიქვამენ.

სოციალური შეჭიდულობის მხრივ, სამეზობლო ურთიერთობების რაკურსში, უბანში საკმაოდ ნორმალური ვითარებაა. გამოკითხულთა ნახევარი აღნიშნავს, რომ მეზობლებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებს. კონფლიქტების არსებობას გამოკითხულთა მხოლოდ 9% აფიქსირებს. გამოკითხულთა ერთი მესამედი კი აღნიშნავს, რომ მათი მეგობრები ძირითადად მეზობლად ცხოვრობენ.

ბეთლემის უბნის არეალში ახალი მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 58%-ს მოსწონს ეს ახალი შენობები. მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ შენობებს არა აქვთ თბილისური იერსახე და მათი მასშტაბი არ შეესაბამება უბნის განაშენიანებას. გამოკითხულთა 17% აღნიშნავს, რომ მათ ეს შენობები წინ ეფარებათ და უფუჭებთ ხედს ქალაქზე.

ბეთლემის უბნის საცხოვრებელი ფონდის მონესრიგება-განვითარებასთან მიმართებაში გამოკითხულთა 71% თვლის, რომ აქ არსებული ძველი, ავარიული სახლები უნდა დაინგრეს და მათ ადგილზე აშენდეს ახალი, მაგრამ აუცილებლად ადრინდელი სართულიანობით, თავისებურების შენარჩუნებით და ტრადიციული მასალების გამოყენებით. ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თუ თეორიულ დონეზე მოსახლეობა კრიტიკულად აფასებს უბანში აღმართულ ახალ მაღლივ სახლებს, პრაქტიკულად გამოკითხულთა უმრავლესობას (67%) აქვს სურვილი ასეთ სახლში იცხოვროს. ეს აიხსნება, ალბათ, ცუდი საცხოვრებელი პირობებით, დაღლილი ხალხის მისწრაფებით მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მაგრამ ამით მატულობს იმის

საშიშროება, რომ ინვესტორის ყველა წინადადებაზე (სართულიანობის მხრივ თუ სხვა) მოსახლეობა თანახმა იქნება.

ძველი უბნების ინდივიდუალური იერსახის შესანარჩუნებლად ერთადერთ დამცავ საშუალებად შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი კანონების შესრულება და არქიტექტორების პირადი პროფესიული პასუხისმგებლობა გვესახება.

ბეთლემის უბნის მოსახლეობის შეხედულებები, ძველი თბილისის ქალაქის ცენტრად აღქმის თვალსაზრისით, წლების მანძილზე უცვლელი დარჩა. ამაზე მეტყველებს ამჟამად გამოკვლევის შედეგად მიღებული და ავტორის მიერ 1983 წელს თბილისის სხვადასხვა უბანში, მათ შორის ქვემო კალაში; ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების შედარებითი ანალიზი. როგორც ადრე, ასევე დღეს, გამოკითხული მოსახლეობის 52% ძველ თბილისს ქალაქის ცენტრად აღიქვამს. გამოკვლევის მონაცემები მეტყველებენ, რომ მოიმატა თავისუფლების მოედნის, როგორც თბილისის ცენტრის, ჟღერადობამ. ოდნავ დაიწია რუსთაველის გამზირის მნიშვნელობის მაჩვენებელმა. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის გამზირს, მისი მნიშვნელობა ბეთლემის უბნის მოსახლეობისათვის, როგორც ადრე, ძალიან დაბალია. წინა წლებში მას თბილისის ცენტრად აღიქვამდა კალას გამოკითხული მოსახლეობის 12%, ამჟამად კი, მხოლოდ 7%.

საერთო ჯამში, მოსახლეობა თვლის, რომ თბილისის ცენტრი უნდა იყოს უფრო ლამაზი, კეთილმონყობილი, სახლები გარემონტებულნი, ქუჩები შეკეთებული. და მაინც, რა შეუძლია პრაქტიკულად თვით მოსახლეობას ძველი უბნების განვითარების საქმეში? თუ გადავხედავთ რესპოდენტების შესახებ გამოკვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ამჟამად, გამოკითხულთა მხოლოდ 22% მუშაობს. უბანში თითქმის უსახსრო მოსახლეთა (დროებით უმუშევრები, სტუდენტ - მოსწავლეები, დიასახლის-პენსიონერები) რაოდენობა ჯამში გამოკითხულთა 70%-ს შეადგენს. ამიტომ, ძნელია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობამ თვითონ, საკუთარი ძალებით ამჟამად შეძლოს რაიმე ცვლილებების შეტანა ან უბნის განვითარების თვალსაზრისით,

ან ავარიული სახლების მონესრიგების მხრივ, ან კერძო ბიზნესის რაიმე დარგის დაფუძნების რაკურსში.

ბეთლემის უბნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ძველი უბნების განვითარებისათვის საჭიროა დამუშავდეს კომპლექსური პროგრამა, სადაც ქალაქმშენებლობით კონტექსტში იქნება დასაბუთებული ცალკეული უბნების განვითარების პერსპექტივები ქ. თბილისის მთლიან სტრუქტურაში - ყოველი უბნის ადგილი და ფუნქციური დატვირთვა.

საქალაქო პოლიტიკის სწორი განსაზღვრა და სტრატეგიული მიმართულებების დასახვა განაპირობებს ძალთა რაციონალურ გადანაწილებას, ქალაქის ფორმირებაში მონაწილე პირთა, იქნება ეს სახელმწიფო სტრუქტურა, ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი, თვით მოსახლეობა თუ სხვა, აღმშენებლობით მიზანმიმართულ ქმედებას.

ძველი უბნების მიძიმე მდგომარეობა, როგორც საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ასევე შენობების ფიზიკური მდგომარეობის მხრივ, შეუძლებელს ხდის ლოკალური ჩარევების ხარჯზე უბნების გლობალური პრობლემების გადაწყვეტას.

ამჟამად, ძველი უბნების მოსახლეობის უმრავლესობა, არსებული დაბალი სოციალური უზრუნველყოფის გამო, თავისი სახსრებით ავარიული სახლების მონესრიგება-გარემონტებას ვერ შეძლებს. ამიტომ, საჭიროა საინვესტიციო კანონების, საკრედიტო სისტემის თუ სხვა აუცილებელი მექანიზმების ამუშავება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი კანონების და მათი რეალიზაციის გზების სრულყოფა.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ კერძო ბიზნესის ობიექტების დანერგვა ქალაქის ძველი უბნების პირობებში, რაც გულისხმობს მჭიდრო დასახლებას, ბევრი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს: სოციალურ, ტექნოლოგიურ-ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობით, ტექნიკურ და ა. შ. თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ უბნებში კერძო ბიზნესის ობიექტების დანე-

რგვის საკითხი ცალკე განხილვას, შესწავლას, ანალიზსა და სათანადო ნესების დამუშავებას საჭიროებს.

ამგვარად, ჩატარებულმა სოციალურ-ქალაქმშენებლობითმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა რომ ისტორიული უბნების მოსახლეობას კვლავაც ცხოვლად ესმის თავისი საცხოვრებელი გარემოს ღირებულება და მშენიერება. ამასთან ერთად, მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო მობინადრენი ისეთი დათმობებისთვისაც არიან შინაგანად მზად, რომელნიც საბოლოოდ გაანადგურებს თბილისის ამ მეტად თავისებურ კუთხეებს, როგორცაა, მაგალითად, ბეთლემის უბანი. მოსახლეობა ვერ ხედავს თავისი უბნის გადარჩენის ოპტიმალურ გზებს. ეს ვითარება მით უფრო ზრდის პროფესიონალ არქიტექტორთა და სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობას ამ უბნების მიმართ მათ განვითარების მემკვიდრეობითობაზე.

ამის გამო, თბილისის ძველი უბნების რევიტალიზაციის განსახორციელებლად და ამ პროცესში მოსახლეობის ჩასართავად ერთ ერთ რაციონალურ მეთოდოლოგიურ მიდგომად გვესახება უბნების განვითარების სამი ეტაპისაგან შემდგარი სქემის დასახვა-დამუშავება:

1. გარე ჩარევის ხარჯზე სახელმწიფოსა და ინვესტორების მეშვეობით, მემკვიდრეობითი პრინციპების გათვალისწინებით, არქიტექტორების მიერ დამუშავებული გეგმის მიხედვით, უბნის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება. უბანში განვითარებადი პროექტების დანერგვა.

2. თბილისის ძველი უბნების მოსახლეობის ჩართვა საკონსერვაციო, სარესტავრაციო ან უბანში მიმდინარე სხვა მუშაობაში, აგრეთვე განვითარებადი პროექტების განხორციელებაში. ეს მათ დასაქმების ადგილების პოვნის და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. ამასთან ერთად, მოსახლეობას ვიზუალურად, უშუალო რეზულტატების ხილვის საშუალება მიეცემა.

3. მოსახლეობის ინიციატივის აქტივიზაცია. უკვე მიღებული გამოცდილებით და შექნილი შესაბამისი თანხით, მოსახლეობა თავისი კერძო საქმის ან სხვა საქმიანობის დაწყების და უბნის განვითარების

პროცესის აქტიური მონაწილის როლის დამკვიდრების შესაძლებლობას იძენს.

ძველი უბნების განვითარების სწორი სტრატეგიული მიმართულებების გამოვლენა და დამკვიდრება ამჟამად სახელმწიფო მნიშვნელობის უპირველესი ამოცანაა რათა შენარჩუნებულ იქნეს თბილისის ისტორიული მემკვიდრეობა თავისი სოციალური შემადგენლობით.

2. თბილისის ისტორიულ ზონაში მდებარე ტერიტორიების განაშენიანების პრობლემები

თბილისის ისტორიულ ზონაში მდებარე ტერიტორიების განაშენიანება ხშირ შემთხვევაში დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

კერძოდ, ამ თავში გვინდა გავამახვილოდ ყურადღება რიყის ტერიტორიის განაშენიანებაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

რიყის განაშენიანებაზე ლაპარაკი ისევ აქტუალურ თემად რჩება. რამოდენიმე წლის წინ იყო ჩატარებული არქიტექტურული კონკურსი. არსებობს სხვადასხვა პროექტები და წინადადებები. ამასობაში რიყე ივსება ე.წ. „დროებითი ნაგებობებით“ - რესტორნებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომსახველი ე.წ. „ტრადიციული ნაგებობებით“. ამასთან ერთად, არსებობს რიყის ტერიტორიის დანაწევრების და ნაწილ-ნაწილ გასხვისების წინადადებებიც.

ძნელად წარმოსადგენი არ არის, რომ ეს ნაკვეთები გაშენდება სხვადასხვა ფუნქციის და არქიტექტურული სტილის შენობებით, მათი მესაკუთრეთა ფანტაზიის და გემოვნების შესაბამისად. მთავარი კრიტერიუმი, ამ შემთხვევაში, იქნება მომგებიანი ბიზნესი, ანუ მაქსიმალური ანაზღაურების მიღების სურვილი, რაც უდაოდ განსაზღვრავს სხვა დანარჩენ პარამეტრს, როგორცაა ნაგებობების ფუნქციური დატვირთვა და არქიტექტურული სახე. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ნაგებობათა ერთობლიობა ვერ განაპირობებს რიყის ანსამბლურ განაშენიანებას.

როგორც ცნობილია, რიყე 1985 წლიდან ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვითი ზონის საზღვრებში შედის. ის მტკვრის მარცხენა სანაპიროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და შემოფარგლულია ისეთი ღირშესანიშნავი ობიექტებით, როგორცაა ბარათაშვილის ხიდი, ბარათაშვილის აღმართი და მეტეხის კომპლექსი. ამ ელემენტების ერთობლიობა განუმეორებელ სივრცით კომპოზიციას ქმნის. ეს პანორამა უკვე თბილისის სიმბოლოდ იქცა. ამრიგად რიყის ტერიტორიას ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების იერსახის შენარჩუნებაში. ეს განაპირობებს დიდ სიფრთხილეს და წინადადებათა შეჯერების აუცილებლობას მის განაშენიანებასთან მიმართებაში (სურ. 3).

და მაინც, რა უნდა იყოს რიყეზე? რა ფუნქციური და ესთეტიკური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას გამომდინარე ამ ადგილის უნი-



სურ 3. მტკვრის მარცხენა სანაპირო — რიყე

კალურობიდან? რა ესაჭიროება ყველაზე მეტად თბილისს და თბილისელებს? რა საკანონდებლო და ზნეობრივი პრინციპები და შეზღუდვები არსებობს? რა ალტერნატიული წინადადებების შემოთავაზება იქნებოდა მიზანშეწონილი ამასთან დაკავშირებით?

ჩვენი აზრით, ამგვარ ალტერნატიულ წინადადებას წარმოადგენს რიყეზე საერთო საქალაქო ცენტრალური პარკის (ბალის) გაშენება. როგორი უნდა იყოს ეს ბალი და რა დასაბუთება შეიძლება იყოს მოყვანილი ამ წინადადების სასარგებლოდ?

პარკის გაშენების მიზანშეწონილობა განპირობებულია თბილისში საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტით. ამჟამად ქალაქში არსებული საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ფართი ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა გათვლებით შეადგენს 2,3-5,2 მ². ფიქსირდება, აგრეთვე, ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია. ადრე არსებული მაჩვენებელი შეადგენდა 6,3 მ² ერთ მცხოვრებზე. აღსანიშნავია, რომ ნორმების მიხედვით საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების (პარკები, ბალები, ბულვარები, სკვერები) წილი ერთ სულ მოსახლეზე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 10 მ². ქალაქის ბოლო გენერალური გეგმის მიხედვით, 2001 წლისათვის, გათვალისწინებული იყო ამ მაჩვენებლის გაზრდა 20,5 მ²-დე, რაც, სამწუხაროდ, პროექტის დონეზე დარჩა. ამავდროულად თბილისელები თავად აღიარებენ პარკების, ბალების და სკვერების ნაკლებობას. ავტორის მიერ 1983 წ. და 2000 წ. თბილისის სხვადასხვა უბნებში და მათ შორის, ძველი თბილისის ფარგლებში, ჩატარებულმა სოციალურ-ქალაქმშენებლობითმა გამოკვლევამ გამოავლინა ამ პრობლემის სტაბილური ხასიათი. უბნის გარემოს მახასიათებლებს შორის, რომლებიც დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, პირველ რიგში სწორედ მწვანე ნარგავების ნაკლებობა – ბალების და სკვერების უქონლობა იყო დასახელებული. ეს საკითხი წლების მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება.

ასევე გასათვალისწინებელია მეცნიერთა აზრი, რომლის თანახმად ქალაქებში ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად და ყან-

გბადის გარკვეული რაოდენობით უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია არა ქუჩების გასწვრივ გამწვანება (რაც რიგ შემთხვევაში უკუეფექტს იწვევს), არამედ საკმაო ფართობის მწვანე მასივების შექმნა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქალაქის ცენტრში არავითარი თავისუფალი ტერიტორია არ არსებობს, მით უფრო გასაფრთხილებელია რიყის ტერიტორია და ამ სივრცის გამოყენება საპარკო მშენებლობისათვის.

ევროპის ქვეყნების არა ერთ დედაქალაქს გააჩნია ამგვარი პარკები და ბაღები. მაგალითად პარიზში – ლიუქსემბურგის და ტიუილრის ბაღები. მე-17 ს-ში ცნობილი არქიტექტორის ლენოტრის გეგმის მიხედვით შექმნილი ტიუილრის ბაღი დღემდე მოიხსენიება გზამკვლევებში, როგორც პარიზის ცენტრის „საუკეთესო სამკაული“. ხოლო ლიუქსემბურგის ბაღი ითვლება პარიზის ერთ-ერთ ულამაზეს ბაღად და პარიზელების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, დასვენების და შეხვედრების უსაყვარლეს ადგილად. თბილისშიდაც სასურველი იქნებოდა, რომ მის ცენტრალურ რაიონში გაჩენილიყო ამგვარი „სამკაული“, რომელიც დაამშვენებდა ამ ძირძველ ადგილს და თბილისელების, განსაკუთრებით კი ცენტრალური უბნების მოსახლეთა, დასვენების ადგილად იქცეოდა.

რიყის ტერიტორიაზე სასურველი იქნებოდა განსაკუთრებული ხასიათის სპეციალიზირებული ბაღის გაშენება. მაგალითად, საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი, უნიკალური მცენარეების კოლექციის შექმნა. ამით ბაღი გარდა სხვა ფუნქციებისა, შემეცნებითი ხასიათის დატვირთვასაც შეიძენდა. ეს გაზრდიდა მის მნიშვნელობას და მიმზიდველობას არა მარტო თბილისელებისათვის, არამედ ჩამოსული ტურისტებისათვის.

ბაღის გაშენების განხორციელება მიზანშეწონილი იქნებოდა ლანდშაფტური არქიტექტურის ჭრილში ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გამარჯვებული პროექტის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ საქართველოში ძალიან მწირია ლანდშაფტური

არქიტექტურის ნიმუშები. ამავდროულად არსებობს სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა, რომლებსაც არ მიეცათ ასპარეზი თავისი ნიჭის გამოსავლენად. სამხატვრო აკადემიაში 1970 წლიდან არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებობს ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალიზაცია და ამჟამად 28-ე გამოშვება შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას. ასევე საქართველო არ განიცდის შესაბამისი სპეციალისტების – დენდროლოგების დეფიციტს. არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის კოლექტივი, რომლის დახმარებითაც ალბად შეიძლება ამ ამოცანის შესრულება.

ამ წინადადების სათანადო დონეზე განხორციელების შემთხვევაში ეს პარკი შეიძლება მომავალი თაობის მიერ შეფასებულ იქნეს როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლი და შესაძლოა იმ მცირეოდენი ობიექტების ნუსხაში შევიდეს, რომლითაც ჩვენი თაობა შეავსებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდს.

ცენტრის განვითარების თვალსაზრისით, რიყის ტერიტორიას კიდევ ერთი ქალაქთმშენებლობითი ამოცანა აკისრია. აქ აღმოცენებული ობიექტი ერთნაირად მიმზიდველი უნდა იყოს როგორც მარცხენა სანაპიროს, ისევე მარჯვენა სანაპიროს მაცხოვრებლებისათვის. მან უნდა განაპირობოს განივი კავშირები რაც კალას უბნების და მეტეხის კვანძის ფუნქციურ გამთლიანებას შეუწყობს ხელს. ამავდროულად აქ რეკრეაციული ზონის გაჩენა განაპირობებს (*სხვადასხვა არქიტექტურული ხერხების, მაგალითად ფეხმავალთა ხიდეების მეშვეობით*) მდინარის ჩართვას პარკის კომპლექსში და გადანყვრიტავს ქალაქის მტკვრისაკენ „შემობრუნების“ პრობლემას, რაც ქალაქის განვითარების ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებად ითვლება. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „რიყე“ თავისი ეტიმოლოგიით მდინარეს უკავშირდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „რიყე – წყლის პირის ქვაგნარს“ ნიშნავს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ძეგლების არეალ-

ში გამოირიცხება ისეთი საქმიანობის განხორციელება „რომელმაც შეიძლება დაზიანების, განადგურების, ან აღქმის გაუარესების საფრთხე შეუქმნას კულტურულ ფენებს, უძრავ ძეგლებს, ძეგლთა ანსამბლებსა და მათ გარემოს“ (თავი V. მუხლი 32). საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას“ (მუხლი 37). რიყის ტერიტორიაზე მწვანე მშენებლობის ნაცვლად მოცულობითი ობიექტების აღმოცენების შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია ამ მოთხოვნების შესრულება.

პრობლემის განზოგადების ჭრილში აღსანიშნავია, რომ გადასახედია თბილისის, და კერძოდ მისი დაცვითი ზონის, ურბანული მიწების გასხვისების საკითხი. იმ პრინციპებით და ტემპებით, რომლითაც მიმდინარეობს ეს პროცესი ამჟამად ჩქარა ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით „ხელის განძრევის“ საშუალება აღარ იქნება და მომდევნო თაობისათვის მხოლოდ „გაყიდული მიწების“ გადაბარება იქნება შესაძლებელი. საჭიროა არსებული ტრადიციების და ქალაქის მემკვიდრეობითი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს თბილისისათვის შესატყვისი საკანონმდებლო ბაზა, სადაც მთელი საზოგადოების ინტერესი იქნება გათვალისწინებული (მუნიციპალური საკუთრებით, მიწის იჯარით გაცემის პრიორიტეტით და ა.შ.)

და ბოლოს, თბილისს დიდი ტრადიციები ჰქონდა ბაღების არსებობის მხრივ. ცნობილია ორთაჭალის, სოლოლაკის, გარეთუბნის ბაღები. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ წინა საუკუნის დასაწყისში სწორედ მოსაზღვრე მიწების შესყიდვის გზით მოხერხდა ბოტანიკური ბაღის ფართობის გადიდება. ამრიგად, ამ ტრადიციების აღსადგენად, გარდა რიყისა, საერთოდ მთელ ქალაქში აუცილებელია სასწრაფოდ გამოვლინდეს ტერიტორიები მწვანე მშენებლობისათვის. ეს პრიორიტეტულ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დღევანდელი მაჩვენებლები მეტყველებენ იმაზე, რომ საერთო სარგებლობის მწვანე წარგავებით დაკავებული ფართობი შეადგენს თბილისის

ტერიტორიის მხოლოდ 2%, რაც ყოვლად დაუშვებელია სამხრეთი ქალაქისათვის და მძიმე ეკოლოგიურ სურათს აყალიბებს. ამ პრობლემის გადანყვეტის გზაზე ყოველი გადადგმული ნაბიჯი თბილისელთა ჯამრთელობის და კეთილდღეობის წინაპირობას წარმოადგენს.

3. თბილისის ისტორიული ნაწილის შენარჩუნების და რეაბილიტაციის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები

თუ გადავხედავთ თბილისის ისტორიულ უბნებში მიმდინარე სამუშაოებს დავინახავთ, რომ ძირითადად აქ ახალი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს. აღდგენითი, სარესტავრაციო სამუშაოები უფრო გამონაკლისს წარმოადგენს ვიდრე წესს. არადა სადღეისოდ, მინისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, ლოგიკური იქნებოდა წარმოგვედგინა ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოების სურათის ხილვა. ამ ვითარებაზე პასუხი უბრალოა – არ არის ამგვარი სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

ამორტიზირებული და ავარიული სახლების დიდი რაოდენობა მინისძვრამდეც თბილისის რეალობა იყო. ძველი ქალაქისათვის საცხოვრებელი ფონდის დაძველება ბუნებრივი პროცესია და მსოფლიოს მრავალი ქალაქის ყველდღიური საზრუნავი.

და მაინც, რა არის საგანგაშო დღევანდელ ვითარებაში და რა პრობლემების წინაშე დგას თბილისის ისტორიული ნაწილი ამჟამად?

თუ გავაკეთებთ ზოგად, პირობით დიფერენციაციას, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში არსებობს კერძო დაკვეთა და საზოგადოებრივი დაკვეთა. თუ მივყვებით ამ ლოგიკას, ბუნებრივია გამოდის, რომ კერძო დაკვეთას აფინანსებს კერძო ინვესტორი, ხოლო საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულება უნდა განხორციელდეს მთელი საზოგადოების მიერ გაღებული თანხით.

„შევინარჩუნოთ ძველი თბილისი, მისი იერსახე და ისტორიული გარემო, აღვადგინოთ ძველი ფასადები და ა.შ.“ – ეს მოთხოვნები შედის საზოგადოებრივი დაკვეთის ფარგლებში. კერძო დაკვეთა კი, ძირითადად, ითვალისწინებს ცარიელ ადგილს, სადაც უნდა მოხდეს ინვესტორისათვის ყოველმხრივ მომგებიანი პროექტის რეალიზაცია. ეს ორივე სახის დაკვეთა შეიძლება ჰარმონიულად ხორციელდებოდეს ქალაქში თუ მათ განხორციელების თანაბარი, ერთნაირი შესაძლებლობები გააჩნია.

ამჟამად თბილისში ამგვარი ვითარება გამოიკვეთა: არის კერძო დაკვეთები და მათ განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა, არ არის საზოგადოებრივი დაკვეთა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი დაკვეთა გამოიხატება მონოდებებში და ფაქტების აღიარებაში, მაგრამ არ არის გამაგრებული ფინანსური წყაროებით. ამგვარად, ის განწირულია განუხორციელებაზე.

ეს არის რეალობა და ამის არ აღიარება არ შეიძლება. ამგვარად ხდება ინდივიდების ინტერესების პრევალირება საზოგადოებრივ ინტერესებზე. უფრო მეტიც, ალტერნატივის უქონლობის გამო კერძო ინვესტიციები გახდა ერთადერთი საშუალება მოსახლეობისათვის თავისი საცხოვრებელი პრობლემების „გადანყვეტისა“ და ისტორიული განაშენიანების ექსპანსიაში გამოიხატა. ამ უბნებს „ინვესტორომანია“ და „გიგანტომანია“ დაემუქრა.

სამწუხაროდ, ამგვარმა საინვესტიციო პოლიტიკამ, რომელიც თავისთავად ყველა ქვეყნის აღმშენებლობის მძლავრი ინსტრუმენტია, ჩვენში მიიღო დამახინჯებული ხასიათი. აღინიშნება ღირშესანიშნავე ნაგებობების, ძეგლების და ძეგლის ნიშნის მქონე სახლების, თვით მეპატრონის მიერ, დამატებით დაზიანების და ნაწილობრივ დანგრევის მცდელობებიც. ეს კეთდება მათ მიერ რათა აიძულონ შესაბამისი ორგანიზაციები ნებართვა დართონ მათ სახლის დემონტაჟზე, როგორც შენობაზე რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ანუ რომლის აღდგენაც შეუძლებელია მისი ფიზიკური დაზიანების ხარისხის გამო. მოსახლეობისაგან, რომელიც ცხოვრობს ძეგ-

ლის ან ძეგლის ნიშნის მქონე სახლში, არის მოთხოვნები გადაიხედოს მათი სახლის ფასეულობა როგორც „არც ისე ღირშესანიშნავი“ ობიექტისა, რათა შემდგომში მისი დანგრევის შესაძლებლობა მიეცეთ.

ამგვარად მიმდინარეობს ფასეულობათა „იძულებითი“ დეველპაციის პროცესი. ანუ, ღირშესანიშნავ სახლში ცხოვრება მის მფლობელისათვის არა სიამაყის მომგვრელი ხდება, არამედ ერთადერთ დაბრკოლებად ესახება მას ინვესტორთან სასურველ შეთანხმების მისაღწევად. აღნიშნული ფაქტები შესაძლოა ერთეულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მათი გაანალიზება აუცილებელია.

ფაქტი ისაა, რომ კერძო ინვესტორის ინტერესებში არ შედის სახლის აღდგენა-რესტავრაცია. ეს ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება. ამგვარი მაგალითები კი თბილისში ჯერ არ აღინიშნება.

ამგვარად, ისევ პირობითად რომ ვთქვათ, საზოგადოება ორად იყოფა. ერთ მხარეზეა პრობლემებით დახუნძლული მოსახლეობა - დაზიანებული სახლების მფლობელები და მათი პრობლემების „გადამწყვეტი“ ინვესტორები, ხოლო მეორე მხარეს - საზოგადოება, რომელიც ისტორიული გარემოს შენარჩუნებას ცდილობს და გამოსავლის ძიებაში იმყოფება. ეს ნაპრალი, სამწუხაროდ, დღითიდღე იზრდება.

ეს ტენდენცია დღეს არ აღმოცენებულა. 2002 წლის 25 აპრილს მომხდარმა მინისძვრამ ზემოაღნიშნული პროცესების კატალიზატორის როლი შეასრულა.

ჯერ კიდევ 2000 წელს ავტორის მიერ ერთერთ ძველ უბანში, რომელიც ავარიული სახლების დიდი რაოდენობით ხასიათდებოდა, ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა დიდი განსხვავება მოსახლეობის თეორიულ მოსაზრებებსა და მათ სავარაუდო პრაქტიკულ ქმედებებს შორის. ასე მაგალითად, თუ თეორიულად, მსჯელობის დონეზე, უბნის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოსახლეობა მიიჩნევადა საინტერესო განაშენიანებას, ისტორიულ გარემოს, და კრიტიკულად აფასებდა უბანში აღმართულ ახალ მაღლივ სახლებს, პრაქტიკულად გამოკითხულთა უმრავლესობას - 67%-ს ჰქონდა სურვილი ამგვარ სახლში ეცხოვრა. ამასთან

ერთად გამოკითხულთა 61% ფიქრობდა იმ დაინტერესებული პირების პოვნას, რომლებიც მათ სახლის ადგილზე ააშენებდა ახალ სახლს და მათაც დააკმაყოფილებდა შესაბამისი ფართით. უიმედობა და უალტერნატივობა მოსახლეობას არაოპტიმისტურ განწყობილებისკენ უბიძგებს. გამოკითხულთა მხოლოდ 19% თვლიდა რომ მათ ძველ უბანს განვითარების პერსპექტივა გააჩნია. აღნიშნული ტენდენცია მინისძვრის შემდეგ უფრო გამძაფრდა და მოიცვა ქალაქის მთელი ისტორიული ნაწილი. ანუ სურვილი გაიუმჯობესონ თავისი საცხოვრებელი პირობები დომინირებს ყველა დანარჩენ მოსაზრებასა თუ შეხედულებაზე.

ამ ვითარებების დასაბალანსებლად და ალტერნატიული სახელმწიფო ინვესტიციების ფინანსურ უზრუნველსაყოფად, ავტორის აზრით საჭიროა თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდის შექმნა. აღნიშნული ფონდის საქმიანობის დაფინანსება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შემონირულობებს და სხვა საქველმოქმედო მოქმედებებიდან მიღებულ ფინანსურ წყაროებს, რადგანაც, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მიახლოებით მაინც პროგნოზირება იმ ფინანსური რესურსების შევსება-განახლების და მდგრადობის პროცესისა, რომლის შევსების წყაროდ მხოლოდ შემონირულობები და სხვა საქველმოქმედო მოქმედებანი გვევლინება. არამედ ამ ფონდს უნდა ჰქონდეს მყარი საკანონმდებლო ბაზა. ამგვარი ფონდის შევსება შეიძლება ხორციელდებოდეს ქალაქში მიმდინარე მშენებლობებიდან, ვიზებიდან მიღებული თანხებიდან, ისტორიულ ნაწილში განლაგებული ვაჭრობის ობიექტებიდან პროცენტების გადარიცხვით, ფონდის მიერ დაფინანსებული განვითარებადი პროექტების რეალიზაციით მიღებული მოგებით და ა.შ.

რაც შეეხება შემონირულობებს და ქველმოქმედებას – ეს ფორმები მუდამ არსებობდა და იარსებებს, როგორც ადამიანის ბუნების ყველაზე საუკეთესო გამოვლენა, მაგრამ აქ ლაპარაკია საკანონმდებლო ბაზით გამყარებულ ფინანსურ სისტემაზე, რომელმაც უნდა იარსებოს


ნლების მანძილზე და თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების მყარი გარანტიის საფუძველი გახდეს.

ამ ფონდის შექმნა შესაძლოა ხდებოდეს ტურისტული ბიზნესით მოპოვებული შემოსავლებითაც. რაც შეეხება ტურისტულ ბიზნესს, როგორც ცნობილია, ის მრავალი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით თბილისის ისტორიულ ნაწილს უზარმაზარი პოტენცია გააჩნია, რომლის რეალიზაციის ხელშეწყობის შემთხვევაში მას არამარტო სულიერი, არამედ უდიდესი მატერიალური საზრდოს მოცემა შეუძლია (სურ. 4, 5).

შესაძლოა ზოგიერთი ქვეყნისათვის ამგვარი ფონდის შექმნა არც იყოს საჭირო. მაგალითად ამერიკისათვის ან გინდაც აზერბაიჯანისათვის, სადაც 2000 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფომ ერთიანი სუბსიდიის სახით გამოყო დიდი თანხა, რომლის მეშვეობით 2002 წლისათვის, ისტორიულ ნაწილში მდებარე დაზიანებულ ნაგებობათა 90% უკვე აღდგენილი და გამაგრებული იყო.

აღბად ყველა ქვეყანამ თავის რეალიებიდან გამომდინარე უნდა აწარმოოს თავისი ურბანული პოლიტიკა. თბილისს ნაბიჯ-ნაბიჯ სწორი და მიზანმიმართული ქმედებების წარმართვა უცილობლივ მოუტანს თავის ნაყოფს. მხოლოდ ეს ქმედებები საკანონმდებლო ბაზით უნდა იყოს გამყარებული. რაც შეეხება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლის თანახმად ძეგლის მესაკუთრეს თვითონ ევალება მისი მოვლა-პატრონობა და აქედან გამომდინარე აღდგენითი და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, მასზე დღეს აქცენტის გაკეთება არა მართებულია. ეს კანონი ჯერ-ჯერობით ვერ შეასრულებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის როლს. საჭიროა არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალიების ზუსტად განსაზღვრა და აქედან გამომდინარე სადღეისო გადანაცვლებების მიღება.

ასევე ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ თუ ჩვენ მეზობელ ბაქოს სახელმწიფოს მიერ ერთდროული სრული თანხის გამოყოფის შემთხვევაში სამუშაოს შესასრულებლად დასჭირდა ორი



სურ 4. აბანოთუბანი, ბოტანიკური ქუჩა



სურ 5. ელენე ახვლედიანის აღმართი

წელი, თან მთელი ქვეყნის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების სრული მობილიზაციით, მაშინ თბილისში ეს ვადა, ჩვენი ვითარებიდან გამომდინარე, რა საკვირველია უფრო დიდი იქნება. ეს დრო ჩვენ შეიძლება დავხარჯოთ ფინანსური დახმარების მუდმივ ლოდინში, ან აქტიურ ქმედებებში შიდა რეზერვების ამოქმედების მიმართულებით.

ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდის შექმნა და ამოქმედება შესაძლოა ის რეალური გზაა, რომლის მეშვეობითაც სურვილს „შეინარჩუნოთ ძველი თბილისი“ განხორციელების რეალური საშუალება ეძლევა.

ზოგადად ლაპარაკია სახელმწიფო მექანიზმების შემუშავებაზე და მის ამოქმედებაზე. სახელმწიფო მექანიზმების ამოქმედების გარეშე რეალურ წინსვლაზე ამ სფეროში მსჯელობაც კი ძნელია. ამ ჭრილში ფონდის შექმნა – ამ მექანიზმების შემუშავების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამას უნდა დაემატოს სხვადასხვა შეღავათების სისტემა, შესაბამისი საქალაქო პოლიტიკა სოციალური საკითხების გადწყვეტის მიმართ, ქალაქთმშენებლობითი ნორმატივები და რეგლამენტი და ა.შ.

საინტერესოა როგორია საერთაშორისო გამოცდილება ნამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში. როგორ და რა მეთოდებით ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სხვა ქვეყნებში?

ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისათვის თანხების მოპოვება ხდება სხვადასხვა გზით, მათ შორის შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით: ეს არის გადარიცხვები ტურისტული შემოსავლებიდან და სასასტუმრო ბიზნესიდან, ღირშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გამოშვებული ბილეთებიდან და ვიზებიდან. აგრეთვე ეს არის თანხები მოპოვებული ფილმების ბიზნესიდან, თუ მათი გადაღება იწარმოება ღირშესანიშნავი ადგილების – კულტურული მემკვიდრეობის ფონზე. ასევე, მოსახლეობის სავალდებულო გადასახადებიდან განთავისუფლება იმ თანხის ფარგლებში, რაც დახარჯულია მის მიერ შენობის რეაბილიტაციაზე და ა.შ.

არსებობს გამოცდილება, სადაც სამშენებლო ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სავალდებულო სამუშაოების ჩატარება ირგვლივ მდებარე შენობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ნილობრივი ჩართვა უზნის კეთილმონყობაში.

ცნობილია ასევე ქ.ლისაბონის რეაბილიტაციის პრაქტიკა. აქ ძველი უბნების რეაბილიტაცია დაიწყო მოსახლეობის მოძრაობიდან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით და შემდგომშიც წარმართა მათი აქტიური მონაწილეობით. ამ მოძრაობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ქალაქის და ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მხრიდან. ქალაქის ურბანული რეაბილიტაცია ქ.ლისაბონის ურბანული მართვის ინოვაციურ და სტრატეგიულ ღერძად იქნა მიჩნეული. ამგვარი პოლიტიკის საფუძველზე მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონდებლო აქტები. ძირითადი ამოცანა იყო საბინაო პირობების გაუმჯობესება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გზით.

ახალი მიდგომა გამოიხატა აგრეთვე ინტეგრირებული პროექტების შემუშავების სახით, რაც ითვალისწინებდა სამუშაოს არეალის გაფართოებას ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურის სფეროებზე, ისე რომ საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებული ყოფილიყო სხვადასხვა საქმიანობის გამოცოცხლებით, მასში მრავალი მონაწილის ჩართვითა და დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებით. ამგვარი საშუალებებით იყო განხორციელებული ქ.ლისაბონის კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილის რეაბილიტაცია.

ამ მეთოდებზე და მათ ეფექტურობაზე ლაპარაკი იყო საქართველოს იკომოს- ის მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის საკითხების შესახებ, რომელიც წარმართა 2002 წლის ივლისის თვეში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპეციალისტების და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

ეს არის საერთაშორისო გამოცდილება და როგორია ჩვენი გამოცდილება, რომელიც ჩვენი ისტორიის წიაღში მოიძიება? როგორ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები ანალოგიურ სიტუაციაში?

საქართველოს მეფემ ალექსანდრე დიდმა თემურ ლენგის შემოსევის შედეგად განადგურებული ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღსადგენად 1425წ. შემოიღო აუცილებელი გადასახადი. ყოველ კომლს ევალებოდა 40 თეთრის გაღება, რომლის მეშვეობით მოხერხდა განადგურებული ქვეყნის აღდგენა. საინტერესოა ასევე, რომ 1440წ., როცა ეს აღმშენებლობითი საქმიანობა დამთავრებული იყო, ალექსანდრე მეფემ თავისივე განკარგულებით გააუქმა ეს გადასახადი. „...ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევაძკვენ.“, და რაკი მიზანი უკვე მიღწეული იყო და საგანგებო გადასახადი აღარ იყო საჭირო „ჩუენსავე უამსა შიგან ამოგვიკუეთია...“ – განუცხადებია ალექსანდრე მეფეს. (მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ.)

სარეაბილიტაციო სტრატეგიის განსაზღვრისას უნდა იყოს დასახული პრიორიტეტები და დამუშავებული პროექტები, რომელიც მოიზიდავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებს. ეს პროექტები უნდა იყოს გამიზნული როგორც მსხვილი კაპიტალდაბანდებისათვის, ასევე მცირე სახსრებით განსახორციელებლად. შესაძლოა დონორი ორგანიზაციებისათვის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავება რომელთა ფარგლებში მოიაზრება საცხოვრებელი ფონდის რეაბილიტაციის განხორციელება. ეს პროექტები სასურველია ითვალისწინებდნენ მოსახლეობის ჩართვას სარეაბილიტაციო პროგრამებში.

თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების სასურველი პერსპექტივების თეორიული მოდელი ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: დაბალანსებული კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების მეშვეობით ერთიანი ურბანული პოლიტიკის კონტექსტში შემუშავებული პროექტების განხორციელება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდის დაარსებისათვის საჭიროა საზოგადოების, და მათ შორის სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების, ერთობლივი ნება რათა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება ამ ფონდის ფუნქციონირებას და მოგვეცემს თბილისის ძველი უბნების აღდგენა-გამაგრების და განვითარების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის რეალურ საშუალებას.

4. თბილისის არქიტექტურულ-სივრცითი და სოციალურ-ფუნქციური განვითარების მემკვიდრეობითობა

4.1. ქალაქის გარემოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ელემენტების როლი თბილისის თანამედროვე სტრუქტურაში

ქალაქის გარემოს დიფერენცირება, ხარისხობრივი მახასიათებლების და გარემოს ამა თუ იმ ნაწილის ფუნქციურ-სივრცით განვითარების თვალსაზრისით, სრულად წარმოგვიდგება ქალაქის სხვადასხვა ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალ რაიონებთან მოსახლეობის დამოკიდებულებაში¹. სოციალურ-ქალაქთმშენებლობითი გამოკვლევის მასალის ანალიზი მოწმობს, რომ საცხოვრებლად ყველაზე უფრო მიმზიდველ რაიონებად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ითვლება ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნები, რადგანაც კითხვაზე მოსწონთ თუ არა მათ რაიონი, რომელშიც ცხოვრობენ, საშუალოდ 90% ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონების გამოკითხული მცხ-

1. გამოკვლევა ჩატარებულია ავტორის მიერ თბილისის 10 ისტორიულად ჩამოყალიბებულ და ახალ რაიონებში. აქ მოყვანილია 1050 ანკეტის დამუშავებით მიღებული მონაცემები და დასკვნები, რომლებიც იძლევა თბილისის მემკვიდრეობითი განვითარების რეტროსპექტიულ სურათს. მისი შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს თანამედროვე ქალაქის გარემოს ფორმირების პროცესში.

ოვრებლებისა პასუხობს დადებითად, ხოლო 4%-6%-ის პასუხია უარყოფითი. ანალოგიურია ძველი თბილისის რაიონებისა და რუსთაველის გამზირის, ვაკის რაიონის პასუხები; დავით აღმაშენებლის რაიონის პასუხებში დადებითი მაჩვენებელი ცოტა დაბალია – 75% ხოლო უარყოფითი პასუხები უფრო მაღალია ვიდრე ძველ თბილისში და რუსთაველის გამზირზე. გლდანის რაიონის მცხოვრებლებს შორის დაახლოებით თანაბარია დადებითი და უარყოფითი პასუხები. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1.

**მოსახლეობის დამოკიდებულება საცხოვრებელ რაიონებთან
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

მოგონთ თუ არა რაიონი, რომელშიც ცხოვრობთ?	ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონები					პერიფერიული რ-ნი
	კალა	სოლოლაკი	რუსთაველის პრ.	ვერე	აღმაშენებლის პრ.	გლდანი
დიახ მომონს	92.00	98.33	91.95	94.12	75.00	46.38
არა არ მომონს	8.00	1.67	4.60	2.35	16.18	35.51

საცხოვრებელი გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებების გამოვლენის მიზნით და აგრეთვე სწავდასხვა რაიონის გარემოს დადებითი მახასიათებლების გამოსაკვლევად გამოკითხულებს დაესვათ კითხვა, „რა უპირატესობა გააჩნია ცხოვრების პირობების მხრივ თქვენს რაიონს?“

ძველი თბილისის კალას რაიონის მცხოვრებლები მათი საცხოვრებელი ადგილის უპირატესობად სთვლიან ქალაქის ცენტრთან და სხვა რაიონებთან კარგ კომუნიკალურ კავშირებს. ამასთან ერთად ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ესთეტიკა და რაიონის თავისებურება – ლამაზი არქიტექტურა. ამის შემდეგ ჩამოთვლილი იყო კულტურისა და სხვადასხვა დანესებულებების სიახლოვე, ქუჩებში ხალხმრავლობა და ქალაქური ცხოვრების შეგრძნება (ცხრილი 2).

სხვადასხვა რაიონის მაცხოვრებლების მიერ
საცხოვრებელი გარემოს ხარისხის შეფასება
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

რას თვლით თქვენს რაიონში ცხოვრების უპირატესობად?	კალა VI-XIX ს.	რუსთაველის პრ. რაიონი XIX ს.	ვაკე XX ს. I ნახ.	გლდანი XX ს. II ნახ.
რაიონის კეთილმოწყობა	12.0	27.59	32.53	13.77
კარგი მალაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურება	12.0	24.14	15.66	22.46
ლამაზი არქიტექტურა	36.0	41.38	16.87	7.97
სიჩუმე, სუფთა ჰაერი, მწვანე ზონის და დასვენების ადგილების სიახლოვე	18.0	37.93	49.40	40.58
რაიონის სილამაზე და თავისებურებები	42.00	42.53	32.53	7.25
ხალხმრავალი ქუჩები, ქალაქური ცხოვრების შეგრძნება	20.00	33.33	16.87	10.87
შესაძლებლობა იცხოვრო თანამედროვე კეთილმოწყობილ ბინაში	8.0	10.34	20.48	25.36
კულტურის სხვადასხვა დაწესებულებების სიახლოვე	26.0	49.43	36.14	10.87
ქალაქის სხვა რაიონე ბთან მოხერხებული კავშირი	40.0	54.02	33.73	18.12
ქალაქის ცენტრთან კარგი კავშირი	44.0	55.17	54.22	13.04
უპირატესობის უქონლობა	6.0	5.75	7.23	27.54

აღსანიშნავია, რომ პასუხების ყველაზე მცირე რაოდენობა ხვდა ალტერნატივას, რომელიც მოწმობს თანამედროვე კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრების შესაძლებლობას (გამოკითხულების 8%). რაც აიხსნება ქალაქის ძველ უბანში ბინების კომფორტაბელურობის დაბალი

დონით, მისი საცხოვრებელი ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილის ამორტიზაციით. მით უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებისა (მოუწყობელი ბინები, ცუდი კომუნალური პირობები, იზოლირების უქონლობა და ა.შ.), ძველი თბილისის რაიონი კალა მაინც მიმზიდველია მისი მოსახლეობისათვის. ის მოსწონთ როგორც საცხოვრებელი გარემო გამოკითხულთა 92%. ამ რაიონის მოსახლეობიდან გამოკითხულთა მხოლოდ 3% არ არის კმაყოფილი თავისი რაიონით.

ამასთან ერთად ზემოხსენებულ საკითხზე რესპოდენტების პასუხები ნებას გვაძლევენ განისაზღვროს მოსახლეობის მიერ თავისი უშუალო საცხოვრებელი გარემოს შეფასების კრიტერიუმი.

ისევე როგორც ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზირის რაიონის გამოკვლევისას გამოირკვა, რომ მისი მთავარი უპირატესობა— კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სიახლოვე და მოხერხებული სატრანსპორტო კავშირები სხვა რაიონებთან კი არ არის, არამედ გარემოს ესთეტიკა, რაიონის თავისებურება (42,5%) და ლამაზი არქიტექტურა (41,38%). ეს გარემოება მონობს თვით არქიტექტორულ-გეგმარებითი და ამასთან დაკავშირებული ფუნქციონალური და ესთეტიკური მახასიათებლის მნიშვნელობაზე მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი გარემოს შეფასების დროს და იმ დიდ როლზე, რომელსაც მცხოვრებლები ანიჭებენ საცხოვრებელი გარემოს ესთეტიურ მხარეს, მის ატმოსფეროს, მის „ექსტერიერს“.

ჩავატაროთ ანალიზი სხვადასხვა ქალაქის რაიონის საცხოვრებელი გარემოს რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის ცვალებადობის ხარისხისა. ამისათვის შევადაროთ პასუხების მაჩვენებლები, რომლებიც მივიღეთ ქალაქის სამ რაიონში: ცენტრალური – რუსთაველის გამზირის რაიონი, ცენტრთან მიმდებარე (საშუალო ზონა) – ვაკის რაიონი და პერიფერიული რაიონი გლდანი. ეს რაიონები ერთმანეთისაგან განირჩევა, როგორც წარმოქმნის დროით, ისევე ქალაქის ცენტრთან მისი მდებარეობის მიხედვით. ამის შედეგად ისინი ხასიათდე-

ბიან გარემოს განსხვავებული მაჩვენებლებით. საცხოვრებელი გარემოს ხარისხის შეფასებისას სავაჭრო საყოფაცხოვრებო მომსახურების, მაღაზიების არსებობის, რეკრეაციების ადგილების სიახლოვის თვალსაზრისით, პასუხების მაჩვენებლები ერთნაირია ცენტრალურ (რუსთაველის გამზირი, ვაკე) და გარეუბნის (გლდანი) რაიონებში.

ამავე დროს, ყველაზე უფრო დაშორებულია ერთმანეთისაგან ცენტრალური (რუსთაველის) და გარეუბნის (გლდანის) რაიონები იმ მაჩვენებლების მიხედვით როგორცია რაიონის „სილამაზე და თავისებურება“ (შეფასდა გამოკითხულების მიერ შესაბამისად 42.53% და 7.25%) და „ლამაზი არქიტექტურა“ (შესაბამისად 41.38% და 6.97%.) რაიონის საცხოვრებელი გარემოს ეს მაჩვენებლები გლდანისათვის ამავე დროს ყველაზე დაბალია პასუხების საერთო იერარქიაში – კითხვაზე საცხოვრებელი გარემოს ხარისხის შესახებ, რასაც მოსახლეობა უფარდებს ამ რაიონში ცხოვრების უპირატესობას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური რაიონებიდან გარეუბნებისაკენ გადანაცვლებისას იზრდება მოცემულ რაიონში ცხოვრების უპირატესობის უქონლობის მაჩვენებლები. თავის რაიონთან ასეთი ნეგატიური დამოკიდებულების დინამიკის ზრდა ცენტრიდან გარეუბნებისაკენ თანხვდება ისეთი პოზიტიური ფაქტორის ზრდას, როგორცია თანამედროვე კეთილ მონყობილ ბინაში ცხოვრების შესაძლებლობა.

ამგვარად ხდება იმ ორ ურთიერთ ალტერნატიული მაჩვენებლის ზრდა, როგორცია ამ რაიონში ცხოვრების უპირატესობის უქონლობა, და თანამედროვე კეთილმონყობილ ბინაში ცხოვრების შესაძლებლობა.

ეს ფაქტი თავისთავად მონშობს იმ მაღალ მოთხოვნილებებზე რომლებიც წამოყენებულია მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი გარემოს მიმართ. საცხოვრებელი გარემოს ხარისხი არ ასოცირდება და პირდაპირ არ ეფარდება თვით ბინის ხარისხს. ბინის კეთილმონყობა და სავაჭრო საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი დონე გვევლინება რა თქმა უნდა აუცილებელ, მაგრამ არა მარტო ერთადერთ პირობად. საცხოვრებელ გარემოს მიმართ დაყენებულია კიდევ სხვა

მოთხოვნილებები, როგორცაა ინდივიდუალობა, სივრცით-გეგმარებითი და ფუნქციური ურთიერთკავშირების თავისებურებები, აგრეთვე არქიტექტურის სილამაზე. ეს მიგვანიშნებს საცხოვრებელი გარემოს ხარისხის ესთეტიკური კრიტერიუმის მნიშვნელობაზე.

ცენტრალური რაიონის გარემოს შეფასებისას, კერძოდ როგორც საცხოვრებელი ადგილის, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიმზიდველობის და მასთან შედარებით ბინის ფაქტორის მეორე ხარისხოვნებაზე, მოწმობს პასუხები კითხვაზე: „თუ თქვენ გამოგიჩნდებათ ბინის არჩევის შესაძლებლობა, რას ამჯობინებდით?“ გამოკითხულების უდიდესმა ნაწილმა უპასუხა – „ძველი ყაიდის სახლში რეკონსტრუირებულ ბინას ტრადიციული შიდა ეზოთი, ქალაქის ცენტრალურ უბანში“ (49.20% რესპოდენტებისა), -მაშინ როცა ზუსტად ასეთი, ამასთან ახალი ბინა, ტრადიციული გეგმარებით „თბილისური სახლის“ ტიპის მიხედვით, ოღონდ ქალაქის ერთ-ერთ ახალ რაიონში, მოინდომა მოსახლეობის გაცილებით მცირე რიცხვმა. (იხ. ცხრილი 3).

ამგვარად ბინის ამორჩევის ძირითად კრიტერიუმად გვევლინება თვით ქალაქის გარემო-საცხოვრებელი ადგილი. ამავე დროს საკმაოდ მომხიბვლელად გვევლინება თბილისური სახლის ტიპი ღია აივნებითა და შიდა ეზოთი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არაცენტრალური რაიონების მოსახლეობა ამჯობინებს ჰქონდეს ბინა ასეთ და არა თანამედროვე მრავალ სართულიან სახლში. ე.ი. თუ ცენტრთან მიმდებარე ვაკის რაიონში „თბილისურ სახლში“ ცხოვრების სურვილი გამოთქვა გამოკითხულების 15.66%, გლდანის რაიონში ეს რიცხვი გაიზარდა 28.26%-მდე. ეს ფაქტი თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ პერიფერიულ ახალ რაიონში, როგორც ზემოთ მოყვანილმა მონაცემებმა გვიჩვენა, მოსახლეობისათვის მწვავედ იგრძნობა გარემოს იმ დიდმნიშვნელოვანი თვისებების უქონლობა, რომლითაც ხასიათდება ქალაქის ცენტრალური ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონები.

ამას გარდა, ნათელი ხდება, რომ თვით „თბილისური სახლის“ ტიპი მოსახლეობის მხრივ აღიქმება როგორც ელემენტი, რომელიც შეი-

ცხრილი 3

საცხოვერველი რაიონის და ბინის ტიპის არჩევა (%-ში გამოკთხულთა რიცხვიდან)

	გამოსაკლავი რაიონები									
	კალა	სოლოლაკი	რუსთაველის გამზ.	ვერე	მ. აღმაშენებლის გამზ.	ვაკე	საბურთალო	დიდება დილიში	გლდანი	პილანდ ქალაქი
თუ მოეცათ ბინის არჩევის შესაძლებლობა, რას ამჯობინებდით?										
ბინა თანამედროვე მრავალსართულიან სახლი რიგობლებზე ახალ რაიონში	4.00	6.87	12.64	3.53	7.35	10.84	17.04	13.64	21.01	14.10
რეკონსტრუირებული (თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობებით) ბინა ძველი ტიპის სახლში, ტრადიციული შიდა ეზოთი, ტიპის ცენტრალურ ნაწილში	52.00	68.33	67.82	67.06	55.88	62.65	33.33	47.63	33.33	49.20
რეკონსტრუირებული ძველ თბილისში	50.0	25.0	27.59	21.18	27.94	15.66	30.37	18.18	23.91	25.50

ცავს ცენტრალური რაიონის საცხოვრებელი გარემოს ყველაზე უფრო მიმზიდველ მაჩვენებლებს, როგორც გარკვეულ წილად „ქალაქის ელემენტი“ – ცენტრალური რაიონის გარემოს მახასიათებლების მაჩვენებელი.

რაც შეეხება ე.წ. თბილისური სახლის ტიპს, იგი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივ ტრადიციებთან ორგანულ ურთიერთკავშირში და ახალი ტენდენციების თანდათანობითი გააზრების შედეგად. თავისი სტილით იგი წარმოადგენს გვიანდელი რუსული კლასიციზმის და ადგილობრივი ეროვნული ხუროთმოძღვრების სინთეზს.

1810 წელს გამოიცა კანონი თბილისში საცხოვრებელი სახლების ტიპიური პროექტებით მშენებლობაზე. როგორც საბუთებშია მინიშვებული, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო „სამი სხვადასხვა სიდიდის გეგმების ფასადებით დამუშავება, რომლის მოთხოვნებიცაა სახლები უნდა აშენდეს მოსახლეობის შესაძლებლობის მიხედვით შიდა სათავსოების მათი სურვილისამებრ განლაგებით, მაგრამ ფასადების ზუსტი დაცვით. ასეთი „სანიმუშო ფასადები“ ფართოდაა გავრცელებული რუსეთის პროვინციალური ქალაქების მშენებლობაში უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

თბილისში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ასეთი რეგლამენტაციის მიუხედავად, საუკუნეებით გამომუშავებული ქალაქის საცხოვრებელი სახლების ადგილობრივმა არქიტექტორულ-გეგმარებითმა თავისებურებებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ტიპიურ მშენებლობაზე, შევიდა მასთან ასიმილაციაში, რის შედეგაც წარმოიშვა ე.წ. „თბილისური სახლი“, რაც დამახასიათებელია მარტო თბილისისათვის. მის თავისებურებად გვევლინება შიდა ეზო და სახლის პერიმეტრზე გარშემოვლებული ღია აივნები.

ამ სისტემის საცხოვრებელი სახლის ყოველი ელემენტი, გარდა ლოკალური საცხოვრებელი ფუნქციის შესრულებისა, მონაწილეობს მთელი ქალაქის დონეზე უფრო ფართო ურთიერთ კავშირებში. ამგვარ-

ადამ სიტემის არქიტექტორულ-გეგმარებითი ელემენტები გვევლინებიან არა მარტო კონსტრუქციულ ან კომპოზიციურ კვანძებად, არამედ ქალაქის გარემოს სოციალურ-კულტურულ ელემენტებადაც.

მაგალითად „თბილისური სახლის“ ეზო-საცხოვრებელი გარემოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ელემენტია. იგი წარმოადგენს ღირებულებას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-სივრცითი მიკროორგანიზმი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს, არა მარტო საცხოვრებელი სახლების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში, არამედ მთელი ქალაქის გარკვეული ქალაქური დატვირთვების გადანაწილებაში. წარმოადგენს რა ერთის მხრივ საცხოვრებელი სახლის სივრცის უშუალო შემადგენელ ნაწილს, რომელშიც მიმდინარეობს სიცოცხლისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პროცესები, ეზო იმავე დროს გვევლინება, როგორც ამ ეზოს მაცხოვრებლების, ისე სტუმრად მოსული სხვა მოქალაქეების სოციალურ კონტაქტების ადგილად. ამავე დროს ეზო წარმოადგენდა ადგილს სადაც წვრილი ვაჭრები და სოფლიდან ჩამოსული გლეხები თავის საქონელს ასალებდნენ.

ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით ეზო გვევლინება როგორც გარდამავალი საფეხური უფრო, მასშტაბური გარემოდან (კვარტალი, რაიონი, ქუჩა და ა.შ.) უფრო მცირისაკენ, ინტიმურისაკენ (სახლი, ბინა, ბინის ცალკეული სათავსო). იგი თითქოს წარმოადგენს „ბუფერულ“ ზონას „გარე“ და „შიდა“ სამყაროს შორის. ეზოს ეს ფუნქცია თამაშობს გარკვეულ ფსიქოლოგიურ როლს – ამზადებს რა ადამიანს მისი „პირადი სამყაროსათვის“.

ამგვარად ეზო ერთდამიმავე დროს წარმოადგენს სახლის საცხოვრებელი სივრცის ნაწილს, მოსახლეობის სოციალური კონტაქტების ადგილს და ასევე ქუჩის ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც ვიზუალურად გამოყოფილია მისგან ჭიშკრის აჟურული ბადით. ითვლება რა კვარტალის და საერთოდ ქალაქის ნაწილად, ეზო უშუალოდ მონაწილეობს ქალაქის, როგორც სოციალურ-სივრცობრივი ორგანიზმის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. ტრადიციული ქალაქის ეზო

წარმოადგენს „ქალაქურ“ ელემენტს, „ქალაქური“ ცხოვრების წესის „მატარებელს“ და ამავე დროს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-კულტურულ ელემენტს. ამასთან დაკავშირებით მას აკისრია, მნიშვნელოვანი როლი, როგორც ფუნქციონალურ – გეგმარებითი, ასევე სოციალურ – ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

ქალაქური ეზო არა მარტო საცხოვრებელი ერთეულის კომპოზიციური ბირთვია და ამით ქალაქის სივრცით-გეგმარებითი სისტემის ერთ-ერთი სტრუქტურული ელემენტი, არამედ დამოუკიდებელი სოციალურ-სივრცითი ორგანიზმი და ქალაქის სოციალურ-კულტურული ელემენტია.

ქალაქის გარემოს, კერძოდ, საცხოვრებელი გარემოს მთავარ სტრუქტურულ რგოლად გვევლინება ქუჩა. ქალაქის ფუნქციონირებაში მისი არსებობის ისტორიული პერიოდის მანძილზე ქუჩა თამაშობდა დიდ როლს და წარმოადგენდა მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოველქმედებისა და სოციალურ-კულტურული აქტივობის ცენტრს. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს კავშირის არსებობას ქუჩის სახისა და ტრადიციული ქალაქური გარემოს სახეს შორის. მას შეიძლება თვალი გავაყოლოთ კულტურის სხვადასხვაგვარ მოვლენებში.

ამ კავშირზე მიგვითითებს, კერძოდ, ქალაქის ქუჩით „მეტაფორული“ მონაცვლეობა. ამგვარად, მხედველობაში ვიღებთ რა თვით ქალაქის გარემოს სოციალურ-კულტურულ ღირებულებას, ქუჩა განიხილება როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი.

ამჟამად მისი ფუნქციონირების მიმართულება შეიცვალა. ოღონდ, თანამედროვე ქალაქში ქუჩა აღარ არის ის, რაც იყო შუა საუკუნეებისა და ანტიკურ ქალაქებში, ე.ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ბაზა. ის მითუმეტეს არ გადაიქცა თავისი შინაარსით სამუშაოსა და საცხოვრებელი ადგილის უბრალო დამაკავშირებლად.

გადაადგილების საშუალებების მძაფრმა განვითარებამ, მანქანებ-

ისა და ტრანსპორტის სახეობების რიცხვის გაზრდამ გამოიწვია ქუჩის გაგების დამახინჯება. ის აღარ განიხილება როგორც ელემენტი, რომელიც თავის თავში აფოკუსებს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტენსიურ მიმდინარეობას, მოსახლეობის სოციალურ აქტივობას და მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოველქმედობის ცენტრს. ძველი ქალაქების ქუჩები და მოედნები, ოდებლაც განკუთვნილი ფეხით მოსიარულეთათვის გადაიქცნენ სატრანსპორტო კომუნიკაციურ სისტემადა და კვანძებად. თუ ეს საკითხი ძველი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის უბნებისათვის გარდაუვალი პროცესია, ახალ მშენებლობის დროს მათი გააზრება უკვე, როგორც სატრანსპორტო საკომუნიკაციო ქსელის, მონაწილე იმ კომპონენტების უგულვებელყოფას, რომლებიც განსაზღვრავენ ქალაქის სტრუქტურული ელემენტის და ქალაქის გარემოს ფორმირებაში მისი როლის მნიშვნელობას. დროთა განმავლობაში შეინიშნება მისი ფუნქციონირების ყოფილი მიმართულების მნიშვნელოვანი შეცვლა. საცხოვრებელი წარმონაქმნების მშენებლობისას ვაკის და საბურთალოს რაიონებში (50-60 წ.წ. XXს), რომლებიც უშუალოდ ეკვრიან ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბნებს, ქუჩების ფუნქციონირება ძირითადად დაგეგმილი იყო, როგორც სატრანსპორტო კომუნიკაციური სისტემა და არა როგორც მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ცხოველქმედობის ცენტრები.

ახალ საცხოვრებელ წარმონაქმნებში – გლდანის, ვაზისუბნის, ვარკეთილის რაიონებში (მიკრორაიონული განაშენიანებით) გათვალისწინებულია შიდა კვარტალური გასასვლელები, რომლებსაც არ შეუძლიათ ატარონ ის აზრობრივი დატვირთვები, რაც ჰქონდათ ქუჩებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ რაიონებში, ხოლო მიკრორაიონის გასასვლელები წარმოადგენენ სატრანსპორტო გზებს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ახალი წარმონაქმნების მშენებლობისას რალაცნაირად ქუჩის როლი დაყვანილია გზის როლამდე, ეს კი სრულიად არ არის ერთფასოვანი ელემენტი. თუ გზა – ეს ძირითადად კომუნიკაციური ელემენტია და მონოდებულია,

პირველ რიგში, ტრანსპორტისათვის, ქუჩა სოციალურ-ფუნქციური ელემენტია, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ადამიანის ცხოველქმედებაში, ზეგავლენას ახდენს მის ფსიქოლოგიაზე და დიდ როლს ასრულებს მის, როგორც მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

ამგვარად, უნდა ავლნიშნოთ, რომ ქალაქის სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის განვითარების პროცესში შეიცვალა ქალაქის ორგანიზმის ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტის ფუნქციური მნიშვნელობა, როგორცაა ქუჩა, იგი თანდათანობით ჰკარგავს თავის ძირითად ფუნქციურ დატვირთვას, როგორც არხისა, რის საშუალებითაც ხდება არა მარტო ქალაქის ძირითადი სტრუქტურული კვანძების კავშირი, არამედ არხისა, რის საშუალებითაც წარმოებს ქალაქური პროცესების რეალიზაცია, რომელიც ერთ-ერთი საფეხურია ქალაქის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაში მონაწილეობისა და ცენტრის ღირებულებების ათვისებისა. ქალაქის ახალი წარმონაქმნების თანამედროვე გეგმარებითი სტრუქტურა ხელს არ უწყობს ქალაქური პროცესების თანამიმდევრულ რეალიზაციას – ქალაქის ცენტრიდან უშუალოდ საცხოვრებელ გარემოცვასთან, ქალაქის გარემოს თანდათანობით ათვისებას და ქალაქის კულტურასთან, ქალაქური ცხოვრების წესთან მიახლოებას. ეს განპირობებულია ამ პროცესების რეალიზაციის არხების ე.ი. შესაბამისი სტრუქტურული ელემენტების უქონლობით.

ამგვარად, ქუჩა, ეზო - ეს არა მარტო კომუნიკაციური, კომპოზიციური სისტემაა, არა მარტო ქალაქის სივრცით—გეგმარებითი ქსოვილის სტრუქტურული კვანძებია, არამედ ელემენტებია, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ქალაქის, როგორც სოციალურ-სივრცითი ორგანიზმის ფუნქციონირებაში, მოქალაქეთა ცხოველქმედებაში და სრულად პასუხობენ მათ მოთხოვნილებებს.

როგორც გვიჩვენებს ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების ფუნქციონირების ანალიზი, ქალაქური პროცესების მთელი სისტემის ოპტიმალური რეალიზაციისთვის აუცილებელია ამ რაიონ-

ებისათვის დამახასიათებელი ისეთი რთული დიფერენცირებული გარემოს არსებობა, სადაც ყველა ელემენტი ინანილებს ქალაქის დატვირთვებს და უშუალოდ ერთვება ქალაქის საერთო ფუნქციონირებაში. ამასთან ყოველი მათგანი გვევლინება ქალაქური პროცესების „მატარებლად“, მათ „გამატარებლად“.

ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების გეგმარებითი ელემენტების იერარქია, როგორცაა „ბინა –სახლი-აივანი-ეზო-ქუჩა-უბანი- ქალაქის ცენტრი“, განაპირობებს ქალაქური პროცესების თანამიმდევრულ რეალიზაციას, ქალაქური ცხოვრების წესთან, ქალაქის კულტურასთან, ქალაქის ცენტრის უნიკალურ ნიმუშებსა და მის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარებას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ უშუალოდ საცხოვრებელი გარემოს (ეზო, ქუჩა, უბანი) ელემენტები წარმოადგენენ საწყის ეტაპებს ქალაქის გარემოს უფრო უნიკალური ელემენტების ათვისებაში.

4.2. მოსახლეობის სოციალურ-კულტურული კავშირები და ქალაქის ცენტრის გარემოს განვითარება

ქალაქის სივრცითი გარემოს ისტორიულ-კულტურული ელემენტების ფუნქციური განვითარების საკითხების კვლევისათვის აუცილებელია ქალაქის ცენტრის განვითარების დინამიკის ანალიზი. ეს ანალიზი შეიცავს ცენტრალური რაიონების ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს შიდა მექანიზმების ტრანსფორმაციას, ქალაქის რაიონებისა ცენტრის სისტემასთან და ასევე ქალაქის გარემოს სხვა ნაწილებთან ფუნქციური ურთიერთ კავშირების განხილვას. ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვამჟღავნოთ ამ რაიონების და მისი გარემოს ელემენტების სოციალურ-კულტურული პოტენციალი, რაც თავისთავად განაპირობებს მისი მომავალი განვითარების მიმართულებას.

მოსახლეობის ქალაქის ცენტრთან და ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს კომპონენტებთან დამოკიდებულების, ცენტრის რო-

ლის შესწავლა მოსახლეობის ცხოვრებაში წარმოადგენს ქალაქის ცალკეული რაიონების ფუნქციონალურ-გეგმარებით ანალიზის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. ამგვარად რაიონების ტიპების კლასიფიკაციის პრინციპულ მახასიათებლად გვევლინება მისი ფუნქციური მიახლოება ქალაქის ცენტრთან. ცენტრისადმი ორიენტაციის დამოკიდებულებაში ქალაქის რაიონები განსხვავდებიან შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ღია“ – ცენტრისაკენ მიმართებაში ე.ი. მათ განვითარებაში ცენტრის მიმსგავსების ტენდენციებით, ან „ჩაკეტილი“ – ავტონომიურობისაკენ მიმართული ტენდენციებით.

ასეთი მაჩვენებლების არსებობა, როგორცაა ცენტრთან ურთიერთკავშირის ხასიათი და ინტენსიურობა მოწმობს ამა თუ იმ რაიონის მონანილეობის ხარისხზე ქალაქის ორგანიზმის ფუნქციონირებაში, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ მისი როლი ქალაქის სოციალურ-სივრცით სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ამასთან მოსახლეობის მიერ ცენტრის ათვისების ინტენსივობა წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების წესის ერთ-ერთ ყველაზე არსებით მახასიათებელს, რაც თავის მხრივ ასახავს მათ მისწრაფებას გარკვეულ ფასეულობათა მიმართ.

მოსახლეობის მიერ ქალაქ თბილისის ცენტრის ათვისების ხასიათის ანალიზისას, გამოვლინდა მცხოვრებლების მიერ, როგორც ცენტრალური ისე განაპირა რაიონების, მისი მონახულების მაღალი ინტენსიურობა. ასე, გამოკითხული მოსახლეობის ნახევარი ყოველდღიურად იმყოფება ცენტრში, როგორც სამუშაოსა და სწავლასთან დაკავშირებით, ისე თავისუფალ დროს. (იხ. ცხრილი 4)

გლდანის რაიონის გამოკითხულ მოსახლეობას შორის ყოველდღიურად ერთ მესამედზე მეტი (35,5%) არიან ხოლმე ქალაქის ცენტრში და დაახლოებით ამდენივე (28,2%) კვირაში რამოდენიმეჯერ.

მსგავსი მაჩვენებლები იყო მიღებული ტალინში ჩატარებული ქალაქის ცენტრის მონახულების ინტენსიურობის გამოკვლევისას. ამასთან ძველი ქალაქის მცხოვრებლების პრაქტიკულად მთელი ნაწილი (95%) არიან ხოლმე ქალაქის ცენტრში. ახლად ჩამოყალიბულ ტალინის ცენ-

ტრის რაიონების (ლომონოსოვის ქუჩა, ლემბიტუს ქ, გაგარინის ბულვარი) მცხოვრებლებს შორის ყოველდღიურად ქალაქის ცენტრში არიან ხოლმე 65-67% გამოკითხულებისა; ამას გარდა დადიან ხოლმე ცენტრში კვირაში რამოდენიმეჯერ 22-24% გამოკითხულებისა და მხოლოდ 3-14% დადიან ცენტრში თვეში რამოდენიმეჯერ. ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები მონიშნავს, რომ ამ რაიონების მცხოვრებლები ჯერ კიდევ სრულად ვერ აიგივებენ საცხოვრებელ გარემოს ქალაქის ცენტრთან, ან სთვლიან, განსხვავებით ძველი ქალაქის მაცხოვრებლებისაგან, რომელიც სხვა რაიონს უფრო ცენტრალურად.

ტალინის გარეუბნების (მუსტამიაე, ლასნამიაე და ნიმმე) მცხოვრებლებს შორის ცენტრის მონახულების სიხშირის მაჩვენებლები, ბუნებრივად, დაბალია. ყოველ დღე ქალაქის ცენტრში ჩადის გამოკითხულთა 32-40%. ეს დაახლოებით შეესაბამება თბილისის ახალ რაიონებში მიღებულ მაჩვენებლებს და, საერთო ჯამში, მონიშნავს ქალაქის საგარეუბნო რაიონების ცენტრისაკენ მისწრაფების მაღალ დონეს.

მოსახლეობის მიერ ქალაქის ცენტრის მონახულებისას შემჩნევა მათ მიერ სივრცის არათანაბარი ათვისების ტენდენცია, ამასთან ერთად, ცენტრის გარემოს დიფერენციაცია აირეკლება სხვადასხვა რაიონების მოსახლეობის მიერ მისი ცალკეული ნაწილების აღქმასა და დამოკიდებულებაში.

სივრცითი გარემოს ელემენტების განსაზღვრისას, რომელსაც თბილისის მოსახლეობა თვლის ქალაქის ცენტრთან, გამოირკვა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისათვის (80%) ცენტრი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსთაველის პროსპექტი. მის შემდეგ დასახელებული იყო ქალაქის მთავარი მოედანი და ძველი თბილისი (შესაბამისად გამოკითხულთა 53.6 და 32.7%).

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის პროსპექტმა, რომელიც თავისი მნიშვნელობით რუსთაველის პროსპექტის შემდეგ თანამედროვე ცენტრის მეორე ლერძია, შემოთავაზებულ ალტერნატივების იერარქიაში, დაიკავა მხოლოდ მეოთხე ადგილი. იგი ცენტრად დაასახელა

სხვადასხვა რაიონების მცხოვრებლების მიერ თბილისის
ცენტრის მონახულების სიხშირე
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

რამდენად ხშირად დადიხართ ცენტრში?	ცენტრალური რაიონები		ცენტრთან მოსაზღვრე რაიონები	ახალი, პერი ფერიული რაიონები
	რუსთაველის გამზ, ვერე სოლოლაკი,	დავით აღმაშენებლის გამზირი	ვაკე, საბურთალო	გლდანი
ყოველ დღე	73.19	52.94	37.42	35.51
კვირაში რამოდენიმეჯერ	16.17	30.88	28.93	28.26
თვეში რამოდენიმეჯერ	4.68	2.94	11.95	13.04
მხოლოდ დღესასწაულებში	2.13	0.00	1.57	10.14
იშვიათად, მხოლოდ უქმედლებში	6.38	7.35	17.30	16.67

ათივე რაიონის გამოკითხულთა მხოლოდ 25.6%-მა. ამასთან დავით აღ-
მაშენებლის გამზირის ცენტრად დასახელებაში ხმის მინიმალური
რაოდენობა მიიღო (12.0%) ძველი თბილისის რაიონში და მაქსიმალური
თვით დავით აღმაშენებლის პროსპექტის რაიონში (67.6%).

ამგვარად დავით აღმაშენებლის პროსპექტის და მასთან მიმდებარე
რაიონის მოსახლეობა სთვლის თავის რაიონს ქალაქის ცენტრად თითქ-
მის რუსთაველის პროსპექტის რაიონის დონეზე. რუსთაველის პროსპექ-
ტის პრიორიტეტი ამ რაიონში გამოკითხულების 77.3% აღიარა.

სხვა პროსპექტებისა და ქუჩების, აგრეთვე მოედნების რიცხვიდან
ცენტრად დასახელებული იყო ძირითადად ვაკის რაიონის მთავარი
ლერძი-ი.ჭავჭავაძის პროსპექტი, რომელიც უშუალოდ ეკვრის თან-
ამედროვე ცენტრის ბირთვს და თავის ტიპოლოგიური მაჩვენებლებით
წარმოადგენს საშუალო ზონას. ამასთან ერთად აღნიშნული იყო გმირ-
თა მოედანი და კონსტიტუციის მოედანი, რომლებიც მდებარეობენ

საბურთალოს რაიონში და თავისი თვისობრივი მაჩვენებლებით უახლოვედებიან საშუალო ზონას. ეს მონაცემები მონმოზენ ერთი მხრივ მოსახლეობის შეგნებაში თვით „ქალაქის ცენტრის“ ცნების გაურკვეველობაზე, მეორე მხრივ ამ რაიონებში თვით „ცენტრალურობის“ მახასიათებლების თანდათანობით შეღწევაზე. აღსანიშნავია, რომ ეს რაიონები ნანილობრივ უკვე ინანილებენ ცენტრალურ დატვირთვებს.

ვალარებთ რა ძველი თბილისის მალალ სტატუსს, როგორც ცენტრალურ წარმონაქმნის, ავღნიშნავთ რომ ტალინში, ძველი ქალაქის ცენტრალურობის მაჩვენებლები ანალოგიურია. მონაცემებით გამოკითხულთა 45% მიიჩნევს ძველ ტალინს ქალაქის ცენტრად, ამათ შორის: ძველი ტალინის მცხოვრებთაგან გამოკითხულთა 64.7%, ხოლო ვირუს მოედანსა და მის მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლები მას ქალაქის ცენტრად თვლის მხოლოდ 32.9%.

ცხრილი 5

თბილისის მოსახლეობის მიერ ცენტრის სივრცობრივი აღქმა
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

რა გაქეთ მხედველობაში როდესაც ამბობთ თბილისის ცენტრი?	ძველი ქალაქი	დავით აღმაშენებლის გამზირის რაიონი	მთლიანად ქალაქში
რუსთაველის პროსპექტი	60.0	77.94	80.10
დავით აღმაშენებლის პროსპექტი	12.0	67.65	25.60
ძველი თბილისი	52.0	39.71	32.70
თავისუფლების მოედანი	58.0	44.12	53.60
სხვა მოედნები	12.0	16.18	11.40
სხვა გამზირები და ქუჩები	16.0	11.76	13.20

ამავე დროს ახალი ცენტრალური რაიონების მცხოვრებთა ძირითადი ნანილი ქალაქის ცენტრად სთვლის ვირუს მოედნის რაიონს, რომელსაც უშუალოდ ესაზღვრება მათი საცხოვრებელი ზონა –(53-

62%), ან ძველი ქალაქის საზღვრებს გარეთ მდებარე სხვა რომელიმე ცენტრალურ ტერიტორიებს (61-81%).

ძველი ქალაქი მნიშვნელოვან წილად მაინც ინარჩუნებს თავის პოზიციებს – ტალინის გამოკითხულ მცხოვრებთა 64-63% ქალაქის ცენტრად სთვლიან მთელ მის ისტორიულ ბირთვს ან რომელიმე მის ფრაგმენტს.

ცხრილი 6

**ტალინის მოსახლეობის მიერ ცენტრის სივრცითი აღქმა
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

რას სთვლით თქვენ ქალაქის ცენტრად?	ძველი ქალაქი	მუსტამიაე	მთლიანად ქალაქში
ძველი ქალაქი	64.7	46.3	45.1
ვირუს მოედანი და მიმდებარე ქუჩები	32.9	48.4	53.2
სხვა ქუჩები	6.0	2.9	3.8
სხვა მოედნები	10.8	6.4	9.5
ქალაქის ცალკეული ნაწილები	0.6	0.8	0.7

უნდა აღინიშნოს, რომ ტალინის ცენტრის მთავარ მიმზიდველ ფაქტორად დასახელებული იყო ისეთი თვისება, როგორიცაა ძველი ქალაქის უნიკალური გარემო, კერძოდ „განუმეორებელი კოლორიტი და ძველი ქალაქის ატმოსფერო“ აღნიშნული ცენტრალური რაიონის მცხოვრებლებ-ის მიერ (გამოკითხულთა 41-49%). მათ მიერ განსაკუთრებით გამოყოფილი და ხასგასმულია ძველი ქალაქის გარემოს ისეთი თვისებები, როგორიცაა „ისტორიასთან კავშირის შეგრძნების შესაძლებლობა“ (გამოკითხულთა 48.9%). ცენტრის მიმზიდველობა აიხსნება იმითაც, რომ იგი იძლევა

მრავალმხრივი შემოქმედების შესაძლებლობის საშუალებას. გამოკითხულთა 39-47% ცენტრის მონახულების მთავარ მიზეზად დაასახელა ის, რომ „ცენტრში, როგორც წესი ბევრი სხვადასხვა საქმიანობაა“.

ყველაფერი ეს მონაშობს მოსახლეობისათვის თვით ცენტრის გარემოს დიდ მიმზიდველობას.

ცხრილი 7

ტალინის ცენტრის მიმზიდველობა
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

რა გიზიდავთ ტალინის ცენტრში?	მთლიანად ქალაქში
ძველი ქალაქის განუმეორებელი კოლორიტი და ატმოსფერო	37.8
საქონლისა და მომსახურეობის ასორტიმენტი	35.4
მომსახურეობის ხარისხი	9.3
შემოქმედების მრავალფეროვნება	40.3
არ მიზიდავს	5.3

ამგვარად ტალინის ცენტრის მიმზიდველობა დიდად არის განსაზღვრული მისი ისტორიული ცენტრის ბირთვით- ძველი ქალაქით, რომლის ღირებულება განპირობებულია ცენტრის უნიკალობითა და მრავალფეროვნებით, გამომდინარე მისი გარემოს მრავალფუნქციონირებიდან, მაღალი დონის ისტორიულ-კულტურული პოტენციალით.

თბილისში ჩატარებული გამოკვლევების მასალები ასევე მონაშობენ, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოტივთ ცენტრის მონახულებისას არის თვით მისი გარემოს მიმზიდველობა. კერძოდ შეიმჩნევა თვით ცენტრის სივრცის, მისი ქუჩებისა და მოედნების ათვისების გაზრდილი მოთხოვნილება. სახელდობრ ეს გახლავთ მთავარი მიზანი ცენტრში ყოფნისა და არა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მონახულება. (იხ. ცხრილი 8.).

თბილისის რაიონების მოსახლეობის მიერ სამუშაო დღეებში ცენტრის მონახულების მიზანი (%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

ცენტრის მონახულების მიზანი სამუშაო დღეებში.	ცენტრი კალა	რაიონები ვერე	პერიფ. რაიონი გლდანი	მთლიანად ქალაქი
კინოში ან გამოფენაზე წასვლა	42.00	48.24	32.61	42.00
მეგობრებთან შეხვედრა	26.00	14.12	27.54	21.30
კაფეში, ბარში ყოფნა	8.00	16.47	13.77	16.40
შალაზიებში, სახელოსნოებში შესვლა	24.00	30.59	20.29	26.20
უბრალოდ ქუჩაში გასვლა	40.00	47.06	30.43	34.60
სტუმრად ვინმესთან მისვლა	20.00	21.18	21.74	17.30
ჩვეულებრივი სამუშაოსაგან დასვენება	8.00	8.24	11.59	9.00
სამუშაო დღეებში ცენტრში არ მოდიან	10.00	12.94	21.01	16.50

როგორც ცენტრალური ისე გარეუბნის რაიონების გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ცენტრალური კულტურულ-სანახაობრივი დაწესებულებების – კინო, გამოფენები (გამოკითხულთა 42,5%), ნახვის გარდა, ცენტრში თავისუფალი დროის გატარების მიზეზი არის სურვილი უბრალოდ, მის ქუჩებში სეირნობა (გამოკითხულთა 34,6%), ასეთივე მოსაზრებისაა ცენტრალური რაიონების გამოკითხულ მცხოვრებთა დაახლოებით ნახევარი და ცენტრალური და გარეუბნის რაიონების მცხოვრებთა ერთი მესამედი.

საერთო ჯამში ამ ფაქტორმა, ქალაქის ცენტრში თავისუფალი დროის გატარების ძირითადი მიზნების საერთო იერარქიაში, დაიკავა მეორე ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის მონახულების ის მიზეზი, როგორცაა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში მოთხოვნილების

რელიზაცია, რამაც ცენტრის მონახულების მოტივების საერთო იერ-არქიაში, მთელი ქალაქის მასშტაბით დაიკავა მესამე ადგილი, გარეუბნის რაიონების მოსახლეობის ცხოველქმედებაში წარმოგვიდგება კიდე უფრო უმნიშვნელოდ. ამ ფაქტორს გლდანის მოსახლეობისათვის მეოთხე ადგილი უკავია, და ჩამორჩება ცენტრის მიმზიდველობის ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მისი გარემოს ათვისება, უნიკალური ობიექტების და დაწესებულებების მონახულება და მეგობრებთან შეხვედრის ყველაზე უფრო უკეთესი ადგილი.

იმის დასამტკიცებლად, რომ გამოკითხულების უმრავლესობისათვის ქალაქის ცენტრი, ძირითადად წარმოადგენს სოციალურ-კულტურული საქმიანობის ბირთვს და ნაკლებად სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ადგილს, გვევლინება მონაცემები იმ დაწესებულებების ადგილსამყოფელის შესახებ, რომლითაც სარგებლობენ ყველაზე დაშორებული რაიონის გლდანის მაცხოვრებლები.

ცხრილი 9.

გლდანის რაიონის მოსახლეობის მიერ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მონახულება
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან).

სად არიან განთავსებული დაწესებულებები, რომლებითაც თქვენ ჩვეულებრივად სარგებლობთ?	სახლთან ახლოს	ქალაქის ცენტრში	სამსახურთან ახლოს
კინოთეატრები	41.30	50.00	9.42
კაფე, რესტორნები	25.36	31.16	11.52
სურსათის მაღაზიები	68.84	10.14	9.42
სამრეწველო საქონლის მაღაზიები	48.55	26.81	11.59
სახელოსნოები, ქიმიკნა	48.55	16.67	12.32

როგორც მონაწილე მოცემული ცხრილები, მოთხოვნილება სავაჭრო საყოფაცხოვრებო დაწესებულებებზე, მათ რიცხვში სურსათის და სამწერველო მალაზიებზე, აგრეთვე სახელოსნოებზე და ქიმიკატებზე, ძირითადად საცხოვრებლად ხდება, ხოლო მნიშვნელოვნად ნაკლებად სამუშაო ადგილის მახლობლად და ქალაქის ცენტრში. (იხ. ცხრილი 9)

ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში) ჩატარებული გამოკვლევები მეტყველებენ, რომ ცენტრისათვის ყველაზე უფრო ღირებულ თვისებად გარემოს ისტორიულობა ითვლება, რომელმაც სხვა ნიშნებთან შედარებით პირველი ადგილი დაიკავა. ცენტრის სახის ჩამოყალიბებაში მაინტეგრირებელ როლს მოსახლეობის აზროვნებაში ასრულებს ცენტრის ისეთი ორი მახასიათებელი, როგორცაა ძველებური შენობების, ისტორიული ძეგლების, ღირსშესანიშნაობების და „ადგილის განსაკუთრებულობის“ არსებობა, მისი მიმზიდველობა. ეს ფაქტორები, ისევე როგორც თბილისში და ტალინში უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ისინი, რომლებიც იმონებენ ცენტრის სხვადასხვა მახასიათებლების უპირატესობას, როგორცაა „ბევრი მალაზიები, მომსახურეობა, ტრანსპორტი“.

ცენტრის გარემოს, როგორც ასეთის, მიმზიდველობასა და დიდ მნიშვნელობაზე, მოსახლეობის მიერ აქ განთავსებული დაწესებულებებისა და ობიექტების მონახულებისას, ლაპარაკობს მოსკოვში ჩატარებული გამოკვლევებით მიღებული მასალებიც. ამგვარად ქალაქის ცენტრის სამ რაიონში (გორკის ქ, კიროვის ქ, არბატი-კალინინის გამზირი) გამოკითხული მოსახლეობის კავშირი ცენტრის კონკრეტულ ადგილთან, სადაც მდებარეობენ გამოსაკვლევი მომსახურეობის ობიექტები, მოტივირებულია ცენტრალური ტერიტორიის მოცემული მონაკვეთის მიმზიდველობით. ეს დასტურდება იმითაც, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობამ შეთავაზებულ ვარიანტებში აირჩია ვარიანტის პასუხი „მე მსიამოვნებს ამ რაიონში ყოფნა“. (იხ. ცხრილი 10).

მოსკოვის მოსახლეობის მიერ ცენტრალური დაწესებულებების მონახულების მიზეზები (%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან).

რა გაკავშირებთ თქვენ ამ რაიონებთან?	გორკის ქ. (მაღაზიები, საჩუქები, სუვენირები, სპორტი)	კიროვის ქ. (მაღაზიები, სპორტი)	კალინინის გამ. -არბატი (მაღაზიები, საჩუქრები, ხელოვნება)
მე მომწონს ამ რაიონში ყოფნა	89	41	100
მე აქ ვმუშაობ	79	61	46
ეს რაიონი მდებარეობს ჩემს ჩვეულებრივ მარშრუტზე	45	38	51
ჩვეულებრივად მე აქ დავდოვარ	62	41	53
ახლოს ვცხოვრობ	25	13	46
ახლოს ცხოვრობენ ჩემი მეგობრები	9	2	13

ცენტრის სივრცის, მისი ცალკეული ნაწილების აღქმასა და ათვისებაში აირეკლება ცენტრის გარემოს შიდა დიფერენციაცია. ასე მაგალითად, გამოკითხვის საფუძველზე, მოსკოვის საერთო საქალაქო ცენტრის გამოყოფილ ზონას მიეკუთვნება გორკის ქ., კიროვის ქ., კალინინი გამზირი-არბატის რაიონები. ამასთან გამოკვლეული რაიონების მცხოვრებთა წარმოდგენაში არ ატარებს „ცენტრალურ“ ფუნქციებს არც თვით „სადოვოე კალცო“ და არც „ბულვარნოე კალცო“ მიუხედავად იმისა, რომ მის შიგნით მოქცეულ ქალაქის გარემოს, მთლიანობაში, მაღალი ადგილი უკავია ცენტრის სივრცეების იერარქიაში. ქალაქის ცენტრალური ნაწილების რიცხვში, მოსახლეობის მიერ, არც „ზამოსკოვრეჩიუს“ რაიონია ჩათვლილი, არც მისი რომელიმე მონაკვეთი, ქუჩები, ასევე ცენტრის აღმოსავლეთი ნაწილი-ზაიაუზიე, ტაგანკის რაიონი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს რაიონები განსხვავდებიან, როგორც „უნიკალური“ ცენტრალური დაწესებულებებისა და ობიექტების სიმრავლით, ისე თავისი გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლებით.

„ცენტრალურობის“ აღქმის თავისებურება ცენტრის ამა თუ იმ მონაკვეთზე უფრო მკაფიოდ ჩანს სხვადასხვა ცენტრალური რაიონების მცხოვრებლების მიერ თავისი უშუალო გარემოცვისა და აგრეთვე საერთოდ ცენტრის შეფასებაში.

ამგვარად ცენტრის აღქმა „მაღაია ბრონნაიას ქუჩის“ მცხოვრებლების მიერ გამოირჩევა კიროვის ქუჩის მცხოვრებლების აღქმისაგან. ამავე დროს თვით ქუჩა „მაღაია ბრონაია“ მისი მოსახლეობის მხრიდან არ აღიქმება, როგორც ცენტრი. იმ დროს როცა კიროვის ქუჩა არა მარტო „გარედან“, არამედ „შიგნიდანაც“ შეფასებულია როგორც ცენტრის ელემენტი.

იდენტური სურათი ვლინდება ამ მონაცემების შედარებისას, თბილისის ანალოგიური რაიონების მცხოვრებლების გამოკითხვის საფუძველზე მიღებულ მასალებთან. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებლის პროსპექტის რაიონი აღიქმება ქალაქის ცენტრად, როგორც სხვა რაიონების მცხოვრებლების მიერ, ისე ამავე რაიონის მცხოვრებლები-საგან; მაშინ როდესაც სოლოლაკის რაიონი, რომელიც უშუალოდ ეკვრის თანამედროვე ცენტრის ბირთვის, მისი მცხოვრებლების მიერ არ აღიქმება როგორც ნამდვილი ქალაქის ცენტრი, თუმცა მათ სავსებით შეგნებული აქვთ თავისი რაიონის მაღალი სტატუსი.

ეს აიხსნება მოსკოვში-კიროვის ქ., თბილისში-დავით აღმაშენებლის პრ. ისტორიულად განსაზღვრული ფუნქციენირების ინტენსიობით, როგორც ცენტრალური წარმონაქმნების, მათ შორის, მათი აქტიური სოციალური ფუნქციებით, რომელსაც ისინი დროის გარკვეულ მანძილზე ტრადიციულად ასრულებდნენ ცენტრის სისტემაში. ამასთან ერთად-ნათლად გამოხატული სავაჭრო-საზოგადოებრივი ხასიათით, სხვადასხვა დანესებულებებისა და ობიექტების სიმრავლით.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმ თავისებურებების ანალიზი და ადგილის განსაზღვრა, რომელიც უკავია, კერძოდ, დავით აღმაშენებლის გამზირს თბილისის თანამედროვე ცენტრის საერთო სისტემაში. დავით აღმაშენებლის გამზირი, რომელიც თავის მნიშვნელობით გვევლინება

ქალაქის მეორე ცენტრალურ ლერძად, სხვა რაიონებთან შედარებით წარმოადგენს ქალაქის ელემენტს, რომელსაც გააჩნია გარკვეული ავტონომია. ამ რაიონის მოსახლეობა ძირითადად დადის უშუალოდ ამ რაიონში თავმოყრილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში. ეს პროსპექტი წარმოადგენს ამ რაიონის მოსახლეობისათვის მთავარ ადგილს თავისუფალი დროის გასატარებლად – სოციალური კონტაქტებისათვის, სასაერნოთ. გარკვეულ წილად ამაში გამოიკვეთება ამ რაიონის განვითარების მემკვიდრეობითობა. მას ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ჩვეული „თავის თავში ჩაკეტილობა“, ქალაქის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით ნაკლები მისწრაფება ცენტრის ბირთვისაკენ. დავით აღმაშენებლის გამზირი (ყოფილი პლექსანოვის პროსპექტი, უფრო ადრე მიხეილის ქუჩა, კიდევ უფრო ადრე გერმანელების დასახლების „ალექსანდერდორფის“ მთავარი ლერძი) ჩამოყალიბდა ყოფილი გარეუბნის ცენტრალური ქუჩის ბაზაზე. ეს მარცხენა სანაპიროს ნაწილი ქალაქს მიუერთდა 1862 წელს. როგორც წერდნენ მიხაილოვის ქუჩა „ყველაზე უფრო გრძელი ქუჩაა ტფილისში გოლოვინის პროსპექტის შემდეგ (ახლანდელი რუსთაველის გამზირი), პირველია გაცხოველებული მოძრაობით, რაც ძირითადად აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი არის უმოკლესი გზა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის და მარცხენა ნაპირის ნაწილის სადაგურთან და მასთან ახლო მდებარე უბნებს შორის“. რაც შეეხება რუსთაველს, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტს, ის „გვევლინება უდავოდ ტფილისური ცხოვრების ცენტრად. ყოველ ნაბიჯზე განლაგებული მდიდრული სავაჭრო მაღაზიები ლამაზი საზოგადო და კერძო შენობები გვაგონებენ დედაქალაქების საუკეთესო ქუჩებს“. რუსთაველის გამზირი თავიდანვე ფორმირდებოდა და შენდებოდა როგორც ქალაქის ძირითადი ლერძი, მაშინ როდესაც დავით აღმაშენებლის გამზირი წარმოადგენდა მეორე ქუჩას მხოლოდ თავისი სიდიდით, რომელიც უკვე ქალაქის მარცხენა სანაპიროს უბნის განვითარების და მისი ქალაქის საზღვრებში უშუალოდ ჩართვის შემდეგ გახდა ცენტრალური. ასეთი მდგომარეობა რჩება სადღეისოდაც. მიუხედავად ამ ორი გამზირის პოზიციების შედარებით ტოლფასობისა, ცენტრის მაფორმირებელი დაწესებულებების განთავსების თვალ-

საზრისით, ათივე რაიონის მცხოვრებლები, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ქალაქის ცენტრად სთვლიან რუსთაველის გამზირს (გამოკითხულთა რიცხვის 80.1%), და თავისუფლების მოედანს (53.6%). მას შემდეგ ცენტრად დასახელებულია ძველი თბილისი, რომელშიც ამჟამად არ არის კულტურის დანესებულებების და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, და მხოლოდ მის შემდეგ დავით აღმაშენებლის გამზირი (25.6%). გამონაკლისს წარმოადგენს თვით დავით აღმაშენებლის გამზირის და მიმდებარე რაიონის მცხოვრებლები, რომლებსაც თავის გამზირს „თბილისის ცენტრის“ ცნების იერარქიაში მეორე ადგილი მიუნიჭეს რუსთაველის გამზირის შემდეგ (შესაბამისად გამოკითხულების 77.9 და 67.6%).

ცენტრის სისტემის, მისი ნაწილების, კერძოდ ამ ორი გამზირის ასეთი დიფერენციული აღქმა, განპირობებულია მათი გარემოს სხვადასხვა ხარისხობრივი მახასიათებლებით, რომლებიც შეიცავენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა სივრცით-გეგმარებითი მაჩვენებლების თავისებურებანი, შენობებისა და ნაგებობების არქიტექტურა, მათი გარემოს ელემენტების ჩამოყალიბებული ფუნქციური ურთიერთ კავშირები, ცენტრის ინტენსიური ცხოველქმედებაში ჩართვის დონე. მათი, როგორც ცენტრალური წარმონაქმნების ფუნქციონირების პერიოდი და კომპლექსში მათი გარემოს სიმწიფე. უპირატესობა ამ კატეგორიების მიხედვით, ქალაქის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განაპირობებს რუსთაველის გამზირის პრიორიტეტს აღმაშენებლის პროსპექტზე.

ამგვარად მოსახლეობაში ცენტრის სტატუსის მისაღებად ეს თუ ის რაიონი გარდა კულტურულ, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტების, „უნიკალური“ დანესებულებების არსებობისა, უნდა ფლობდეს გარკვეულ ხარისხობრივ მახასიათებლებს. საბოლოო ანგარიშში გარემოს ხარისხს, მის სიმწიფის დონეს განაპირობებს ცენტრის სისტემის ამა თუ იმ ნაწილის ცენტრალურობის დონე. ამასთან ერთად ფუნქციონირების ცენტრალურობა ხელს უწყობს ამ თვისებების დაგროვებას და გამოკვეთას, გარემოს თვით შეფასების ზრდას, „უნიკალურობის“ სტატუსის მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცენტრის ბირთვის-რუსთაველის გამზირის გარემო სარგებლობს უდიდესი მონონებით. ეს რაიონი სხვა რაიონებთან შედარებით გამოირჩევა მოსახლეობის მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით. რუსთაველის გამზირი არის ტრადიციული ტრასა „მოსეირნეთათვის“, მთავარი ადგილი სოციალური კონტაქტებისთვის, შეხვედრების ადგილი და ა.შ. ინტენსიურად აითვისება, როგორც აქ თავმოყრილი დანესებულებები და ობიექტები ასევე, და უფრო მეტწილადაც თვით გამზირის სივრცე. მაგალითად; ცენტრალური რაიონის გამოკითხულთა ნახევარმა და დაახლოებით ამდენმავე (41.3%)-გარეუბნის მცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ რუსთაველის გამზირი სეირნობისათვის ყველაზე უფრო სასიამოვნო მარშრუტია მთელ ქალაქში. გამონაკლისს შეადგენ დავით აღმაშენებლის მცხოვრებლები, რომლებიც ამ გაგებით რუსთაველის გამზირს მეორე ადგილს ანიჭებენ მათი რაიონის შემდეგ. (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11.

**ქალაქის სეირნობის ტრადიციული მარშრუტი
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

სად გიყვართ სეირნობა თავისუფალ დროს?	ცენტრალური რაიონები		გლდანის რაიონი	მთლიანად ქალაქში
	რუსთაველის გამზ., სოლოლაკი, ვერე	დავით აღმაშენებლის გამზ.		
-ჩვეულებრივად ესეირნობთ მხოლოდ რუსთაველის გამზირზე	50.21	26.47	41.30	41.90
-რუსთაველის გამზირის გარდა ესეირნობ ცენტრის სხვა ქუჩებზეც	41.28	45.59	25.81	33.60
-მიყვარს არა მხოლოდ რუსთაველის გამზ. სეირნობა, არამედ ქალაქის სხვა რაიონებშიც	26.53	22.06	18.84	21.90
-ქალაქში არ ესეირნობ	16.60	30.88	30.43	23.80

საინტერესოა, რომ ხდება რუსთაველის გამზირის მიმდებარე ქუჩებისა და ასევე მთლიანად რაიონის ათვისების ტენდენციების ზრდა. ქალაქის, კერძოდ ცენტრის, ძირითად მარშრუტებს შორის პირველ რიგში დასახლებული იყო რუსთაველის გამზირის მიმდებარე სოლოლაკის უბნის ქუჩები. უნდა აღინიშნოს, რომ სოლოლაკის რაიონი და რუსთაველის გამზირი ერთდროულად ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში. ტრადიციულად ის ასრულებდა პრესტიჟული საცხოვრებელი რაიონის ფუნქციას. ეს სტატუსი მან შეინარჩუნა თავისი გარემოს მახასიათებლების მაღალი დონით, რაც განპირობებულია არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილების ხარისხით, განაშენიანების მორფოლოგიით, მასშტაბურობით, შენობებისა და ნაგებობების არქიტექტურით და სხვა. როგორც გამოკვლევებით მიღებული მასალები მონიშნავენ, ეს რაიონი თანდათანობით ერთვება ცენტრის ფუნქციონირებაში. იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით იგი ობიექტების სიმცირის გამო წარმოადგენს ჯერ კიდევ ერთი ფუნქციის მატარებელ — საცხოვრებელ რაიონს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავარი მის მიმზიდველობაში თვითონ ამ რაიონის გარემოა და სივრცობრივ-გეგმარებითი ქსოვილი.

ამგვარად, ეს რაიონი „ფარული“ ფორმით თავის თავზე ცენტრის ზოგიერთ ფუნქციებს იღებს, კერძოდ ცენტრის გარემოს დატვირთვებს, მოსახლეობის მიერ დასვენების სფეროში მისი ტერიტორიის ათვისების თვალსაზრისით.

რუსთაველის გამზირის საერთო დიდი პრესტიჟულობის გვერდით, რომელიც განპირობებულია მაღალი დონის ხარისხობრივი მახასიათებლებით, გამოკვლევებისას გამოვლინდა აგრეთვე მისი გარემოს დიფერენციაცია. ამგვარად გამოირკვა, რომ გამზირი შეიცავს სხვადასხვა ფრაგმენტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებ პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში. გამოკითხულთა უმრავლესობისათვის დიდი მიმზიდველობით სარგებლობს რუსთაველის გამზირის მონაკვეთი ოპერისა და ბალეტის თეატრიდან ქაშუეთის ეკლესიამდე.

ძალზე საინტერესოა, რომ მონაკვეთის საზღვრებს გარეთ განთავსებულია სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტების უმრავლესობა, მათ შორის სპეციალიზირებული მაღაზიები და სალონები.

რუსთაველის გამზირის გამოყოფილ მონაკვეთში მოთავსებულია მრავალი კაფეები და სუვენირების მაღაზიები. ამ მონაკვეთზეა განთავსებული დრამატული თეატრი, სასტუმრო, სურათების გალერეა. ვითვალისწინებთ რა მოსახლეობის მიერ მათ მონახულების ეპიზოდურიბას, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებული მიზნიდევლობით სარგებლობს თვით გარემო. იგი გამოირჩევა მაღალი დონის მახასიათებლებით, რაც გამოიხატება, მთავარი და მეორე ხარისხოვანი ქუჩების არსებობით, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან გამზირის ამ მონაკვეთს, რაც მისი „სიღრმით“ აღქმის შესაძლებლობას იძლევა, ასევე მასშტაბურობით, აქ წარმოდგენილი სხვადასხვა სტილის არქიტექტორული შენობებისა და ნაგებობების არსებობით.

ამგვარად ფუნქციური და ესთეტიკური ურთიერთ კავშირი ამ მონაკვეთის ელემენტებს შორის, როგორიცაა განაშენიანების მორფოლოგია, შენობების არქიტექტურა, სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, მოცემულ შემთხვევაში განაპირობებს ჰარმონიულ გარემოს ფორმირებას, რომელიც ქალაქში უდიდესი პრესტიჟულობით სარგებლობს.

რუსთაველის გამზირის ამ მონაკვეთის შიგნით თავის მხრივ გამოირჩევა გარემოს გარკვეული ნაწილი ოპერისა და ბალეტის თეატრთან. ეს ადგილი ხშირად მოიხსენიება გამოკითხულთა ანკეტიების ტექსტებში, სადაც მოსახლეობა აღნიშნავს ქალაქის ყველაზე მიმზიდველ ობიექტებს. ამასთან ერთად, რუსთაველის გამზირი-თანამედროვე ცენტრის ბირთვი, გამოკითხულთა უმრავლესობისათვის, წარმოადგენს სოციალური კონტაქტების, კერძოდ შეხვედრების ადგილს. აღსანიშნავია, რომ მათი ლოკალიზაცია ხდება, სწორედ ოპერისა და ბალეტის თეატრთან ახლოს. თავის მხრივ ამას ამტკიცებს ზოგიერთი მკვლევარის მიერ წამოყ-

ენებული მოსაზრებანი „უნიკალური“ დაწესებულებების შიდა ფუნქციონირებასა და მის გარშემო სივრცის შორის ურთიერთკავშირის შესახებ. მაღალ ორგანიზებული ცენტრის გარემოში არსებული, თეატრის „შიდა“ ფუნქციონალური პროცესები ორგანულადაა გადახლართული საერთო საქალაქო ცენტრალურ გარე პროცესებთან. ამგვარად ოპერისა და ბალეტის თეატრის ახლო გარემო თავის თავში კონცენტრირებას უკეთებს მთელ რიგ ფუნქციონალურ დატვირთვებს. ამასთან თვით შენობის მოცულობა „ამაგრებს“ ცენტრალური გამზირის გარემოს გარკვეულ მონაკვეთს, ხელს უწყობს მის გარშემო მაღალხარისხოვან გარემოს ფორმირებას და მის ინტენსიურ ფუნქციონირებას.

4.3. ქალაქის და აგლომერაციის ისტორიულ-კულტურული ელემენტებისა ფუნქციონირების მემკვიდრეობითობა.

ქალაქის გარემოს განვითარებაში, ძველი რაიონების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრის როლის ანალიზის დროს გამოირკვა მოსახლეობისათვის მათი დიდი მნიშვნელობა, რამაც განაპირობა მათი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქალაქის გარემოს ამ ნაწილებთან. კერძოდ ეს მტკიცდება მონაცემებით, რომლებიც მონაშობენ, რომ ძველი თბილისი სარგებლობს დიდი სიყვარულით. ასე რომ კითხვაზე „გიყვართ თქვენ ძველ თბილისში ყოფნა?“ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დადებითად უპასუხა.

მიღებული შედეგები დაახლოვებით ერთნაირია, როგორც ცენტრის მოსაზღვრე ვაკის რაიონში, ისე პერიფერიულ გლდანის რაიონში (შესაბამისად 79.5-79.1%), ქალაქის ცენტრალური ნაწილის, თვით ძველი თბილისის, რუსთაველის გამზირის რაიონის მცხოვრებლებს შორის ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია (შესაბამისად გამოკითხულთა რიცხვთან 88.0-83.8%) ძველ თბილისში ყოფნა არ სურს გამოკითხულების მხოლოდ 2-4%. (იხ. ცხრილი 12)

**მოსახლეობის დამოკიდებულება ძველი თბილისის მიმართ
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

ცხრილი 12

გიყვართ თუ არა ძველი თბილისი?	კალა (ძველი თბილისი)	ახალი რაიონი გლდანი	მთლიანად ქალაქი
დიახ	88.00	76.09	83.50
არა	2.00	3.62	3.50
გამოურკვეველია დამოკიდებულება	2.00	15.94	11.10

ამავე დროს ძველი თბილისის 1978-80-იანი წლების რეკონსტრუქციის შემდეგ შეიმჩნევა მოსახლეობის მიერ მისი მონახულების გაზრდის საერთო ტენდენცია, რაც დღესაც გრძელდება. გამოკითხულთა 59.5% აქ უფრო ხშირად მოდის. ძველი თბილისის მონახულების სიხშირის მაჩვენებლები ამჟამად და რეკონსტრუქციამდე დაახლოვებით ერთიანია, მხოლოდ გლდანის რაიონში (შესაბამისად გამოკითხულთა რიცხვიდან 44.9% და 42.0% შეადგენს).

იმისდა მიუხედავად რომ ძველი თბილისი სარგებლობს დიდი პოპულარობით მოსახლეობაში, არ შეიძლება ჯერ ვილაპარაკოთ მის ინტენსიურ ფუნქციონირებაზე ქალაქის ცენტრის სისტემაში.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ დადის ძველ თბილისში ახლად გახსნილ კაფეებსა, მაღაზიებში და სხვა დაწესებულებებში, ან მიდიან იქ მხოლოდ სტუმრებთან ერთად. ეს განპირობებულია, კერძოდ, ძველი თბილისის ტერიტორიაზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების დღესდღეობით არა საკმარისი განვითარებით და მათი ეპიზოდური განაწილებით. თბილისის მცხოვრებლებისათვის უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენს ძველი თბილისის გარემო. მაგალითად, ქალაქში ყველაზე გამორჩეულ სასაღამუო მარშრუტებს შორის პირველ რიგში დასახელებულია ძველი თბილისის ქუჩები.

ძველი თბილისის მომავლის შესახებ პასუხები მოწმობენ ქალაქის ამ ნაწილის მნიშვნელოვან როლზე მის ცხოველქმედებაში. ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მოსახლეობა ძველ თბილისს მიიჩნევს არა მხოლოდ

ოლოდ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად, არამედ ქალაქის რაიონად, რომლის გარემო მათთვის წარმოადგენს განუმეორებელ ღირებულებას.

ძველი თბილისი არ აღიქმება მოსახლეობის მიერ როგორც ისტორიული ნაკრძალი და ამდენად საინტერესოა უფრო ტურისტებისათვის. გამოკითხულთა ნახევარმა აღნიშნა, რომ ძველი თბილისი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. (იხ. ცხრილი 13).

უფრო მკვეთრად ეს აუცილებლობა შეიგრძნობა თვით ძველი თბილისის მოსახლეობის მიერ. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიღებულ იქნა პასუხზე: „ძველი თბილისი ტურისტებს უფრო აინტერესებს, თანამედროვე თბილისელისათვის ის, არც ისე მნიშვნელოვანია“.

ცხრილი 13

**მოსახლეობის წარმოდგენა ძველ თბილისის მომავალზე
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

როგორ წარმოგიდგენიათ ძველი თბილისი, რა არის მისთვის თქვენი აზრით აუცილებელი?	კალა (ძველი თბილისი)	მთელ ქალაქში
-ძველი ქალაქი უნდა გახდეს თბილისის წყნარი ნაკრძალი ზონა	28.00	40.30
-ძველი ქალაქი აინტერესებს უფრო ტურისტებს, თანამედროვე თბილისელები-სათვის ის არც ისე მნიშვნელოვანია	4.00	7.10
ძველი ქალაქი არ არის ისტორიული ნაკრძალი. ის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში	60,0	49,8
-არ მიფიქრია ამაზე	2.00	7.00

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ პასუხზე მიღებულია აგრეთვე ტალინში, გამოკითხულების მხოლოდ 8% დაეთანხმა იმას, რომ ძველი ქალაქი წარმოადგენს ინტერესს მხოლოდ ტურისტებისათვის, და არა თვით ტალინელებისათვის. ძველი ქალაქის ბედის საკითხი, განსაკუთრებით აღელვებს თბილისის ცენტრალური რაიონის მაცხოვრებლებს. გლდანის რაიონში გამოკითხულების 21.01%-მა უპასუხა რომ

არ უფიქრია ძველი თბილისის მომავალზე, მაშინ როცა ცენტრალური რაიონების გამოკითხვებში ეს რიცხვი უდრის 2%-დან 9%-ს.

ამასთანავე, გამოკვლევის მონაცემები მოწმობენ რომ სოციალური კონტაქტების თვალსაზრისით ეს ნაწილი არა საკმარისად არის ჩართული ქალაქის ფუნქციონირებაში. ამავე დროს ქალაქში ასეთი მოთხოვნილება რეალურად არსებობს და არსებულ სიტუაციაში ჯერ-ჯერობით ვერ ვპოვებს რეალიზაციას. ამგვარად, ძველი თბილისი, როგორც შეხვედრების ტრადიციული ადგილი დაასახელა გამოკითხულების მხოლოდ 7.3%-მა, მაშინ, როცა ტალინში ძველი ქალაქი ამ თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ცხრილი 14.

სოციალური კონტაქტების ლოკალიზაცია (%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

ჩვენს ქალაქში არსებობს ტრადიციული შეხვედრების ადგილები. თქვენ ჩვეულებრივად სად ხვდებით მეგობრებს?	მთელ ქალაქში
ჩვენს რაიონში, სახლთან ახლოს	19.80
ქალაქის ცენტრში	23.70
ძველ თბილისში	7.30
ჩვენი სატრანსპორტო მარშრუტების გადაკვეთის ადგილებში, მეტროსთან	28.30
კინოში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, სტადიონზე	14.70
კაფეში, რესტორანში	4.10
ქალაქის სხვა ადგილებში	5.40
ქალაქში ვხვდებით იშვიათად, ერთმანეთთან სტუმრად დავდივართ	43.10
მეგობრებს იშვიათად ვხვდავ, ვუკავშირდები ტელეფონით	28.40

თანამედროვე ეტაპზე დატვირთვებს, რომლებიც მოდის ძველი თბილისის რაიონზე თავის თავზე იღებს თვით გარემო, რომელმაც შეითვისა და დაიმკვიდრა ფუნქციონირების ცენტრალურობა თავის სტრუქტურაში. ძველი ქალაქის გარემომ თავისი ისტორიული

ფორმირების განმავლობაში თვითღირებულება შეიძინა. მისი არქიტექტორული-სივრცითი გადანყვეტის, განაშენიანების მორფოლოგიის თავისებურებანი, რელიეფთან ორგანული კავშირი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრუქტურული ელემენტების არსებობა, ე.ი., სტრუქტურული ელემენტების დიფერენციაცია (კვარტალი-„უბანი“, მოედნები, ეზოები და ა.შ.) რომელთა მრავალფეროვნება ქმნის ერთიან, კომპაქტურ, მთლიან წარმონაქმნს, გარემოს გარკვეული მახასიათებლებით, დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში, იწვევს მათ მიმართ მოსახლეობის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ამ რაიონის მნიშვნელოვანი თვისებაა შენობების და ნაგებობების არქიტექტურის თავისებურება, განაშენიანების მასშტაბურობა, კულტურულ-ისტორიული პოტენციალი, არქიტექტურის ძეგლების არსებობა და ა.შ.

ამგვარად, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური რაიონები (კერძოდ, ძველი თბილისი), რომლებიც ადრე ცენტრალურ ფუნქციებს ასრულებდნენ, დღესაც ინარჩუნებენ ცენტრის სტატუსს.

მიუხედავად, თავისი ფუნქციონირების ინტენსიურობის დაქვეითებისა, რაც განპირობებულია ქალაქის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ნაწილი ფუნქციების ახალ ადგილზე გადაადგილებით, ისინი რჩებიან ცენტრალურ წარმონაქმნად მხოლოდ დროებით, თანამედროვე ცენტრის პერიფერიად გარდასახვის გზით. მათი ცენტრალური პოტენციალის შენარჩუნება ხდება მის გარემოში, განაშენიანების სტრუქტურის, შენობების და ნაგებობების არქიტექტურის მეშვეობით. ქალაქის განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ეს რაიონები წარმოადგენენ ახალი ცენტრის განვითარების რეზერვს. თავისი გარემოს სიმნიფის თვალსაზრისით ისინი მზად არიან იმისათვის, რომ გადაინაწილონ ცენტრალური ფუნქციები.

ამ პოზიციიდან (ე.ი. პირობითად მხედველობაში არ მიიღება სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორები) დროთა განმავლობაში გარემოს მომზადების თვალსაზრისით და ძველი თბილისის მოსახლეობის შეგნებაში ცენტრალურობის სტატუსის უპირატესობის მიმართებაში,

მას უფრო სწრაფად და ეფექტურად შეუძლია ცენტრალური დატვირთვები გადაანაწილოს რუსთაველის გამზირიდან-თანამედროვე ცენტრის ბირთვიდან, ვიდრე ამჟამად ინტენსიურად ფუნქციონირებულმა დავით აღმაშენებლის გამზირმა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონების გარემოს განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაიონის შიდა ფუნქციებს აქვს მის გარემოში დამკვიდრების უნარი და შემდგომში თვით გარემო ხდება ძველი ფუნქციების გამომხატველი და მატარებელი. გარემოს განვითარების განუწყვეტელი დინამიურობის გვერდით, ფორმირების ისოტრიული პერიოდის განმავლობაში, ხდება ქალაქის სტრუქტურაში მისი ძირითადი ფუნქციების „დამკვიდრების“ პროცესი ქალაქის არქიტექტურულ სივრცით ორგანიზაციაში, განაშენიანების მორფოლოგიაში, დომინირებულ მოცულობებში და ასე შემდეგ. ამ თვალსაზრისით „ძველი განაშენიანება არა მარტო გვახსენებს ისტორიას, არამედ გვევლინება დადგენილი ფუნქციური პროცესების მატერიალურ გარსად“.

ამგვარად, ქალაქის ცენტრალური რაიონების, როგორც ცენტრალური წარმონაქმნების, ინტენსიური ფუნქციონირება არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა ცენტრალურობის სტატუსის მისაღებად. აუცილებელია ისტორიული პერიოდი, მათი, როგორც ცენტრის, ინტენსიური ფუნქციონირებისა, რის განმავლობაშიც ხდება მათ გარემოში და განაშენიანების სტრუქტურაში გარკვეული ჩამოყალიბებული ფუნქციური ურთიერთკავშირების დამკვიდრების პროცესი. ამის შედეგად თვით გარემო იღებს „ცენტრალურობის“ სტატუსს, რომელიც განპირობებულია სწორედ გარემოს სიმნიფის მიღწეული დონით. შემდეგში ეს გარემო შეიძლება დარჩეს ცენტრალურობის ფაქტორის მატარებლად მაშინაც, როდესაც ხდება რაიონის როგორც ცენტრალური წარმონაქმნის ფუნქციონირების შესუსტება, მისი ისტორიული განვითარების გარკვეულ პერიოდში.

ძველი თბილისის გარემოს ჩამოყალიბების საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებშიც შეინ-

იმნება მისი განვითარების მემკვიდრეობითობა და ამის გამორკვევა ამ ნაწილის მოსახლეობის თავის საცხოვრებელ გარემოცვისადმი დამოკიდებულებით.

ძველი თბილისისათვის დამახასიათებელმა თავისებურებამ – ქალაქში, კერძოდ მის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრში, განსაკუთრებული დარგების წარმომადგენლების თავმოყრამ განაპირობა ქალაქის სტრუქტურის ფორმების, მისი სივრცით-გეგმარებითი ორგანიზაციის და ფუნქციონირების სპეციფიკა. საამქრო ორგანიზაციები „ამქარი“ თბილისში ძველი დროიდან არსებობდნენ, ხელოსნები და მედუქნეები განთავსდებოდნენ და სახლდებოდნენ საამქროს ნიშნით, იკავებდნენ რა განსაზღვრულ რიგს, ქუჩას, კვარტალს, რამაც განაპირობა თბილისათვის დამახასიათებელი სოციალურ-სივრცითი წარმონაქმნების „უბნის“ არსებობა.

„უბანი“ წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ელემენტს. ქალაქის განაშენიანების ეს თავისებურება მოხსენებული აქვთ მრავალ მოგზაურს. ასე მაგალითად, მოგზაური ჰენრიხ კლაპროტი 1807-1808 წ.წ. წერდა: „ტფილისში ორი ბაზარია, სადაც 704 დუქანია. ამ ბაზარზე, როგორც საერთოდ აზიაში არის სხვადასხვაგვარი სახელოსნოები, ერთი ქუჩა დაკავებული აქვთ მხოლოდ მეფეხსაცმელებს, სხვა-მედუქნეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქრომჭედლებს, აბრეშუმის მრთველებს, მეიარაღეებს. აქ ყველანი ყველას თვალწინ მუშაობენ. უცხოელებისათვის ეს ისეთი საინტერესო სანახაობაა, რომ ტფილისის ბაზარში გასეირნება ყველაზე სასიამოვნოა“.

„უბანი“, ამგვარად, მოიცავდა ქუჩების სისტემას, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული ავტონომია, შედარებით დამოუკიდებელი ცხოველქმედებით, თავისი შიდა სოციალური კანონებით და წესებით. „უბნები“ - კვარტლები ერთმანეთში მჭიდრო, ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ და ერთმანეთთან და ცენტრალურ ბირთვთან თანამშრომლობდნენ, რაც განაპირობებდა შუა საუკუნეების ქალაქის მთელი ორგანიზმის ინტეგრაციას. ეს ურთიერთქმედება ხორციელდებოდა ქუ-

ჩების ფუნქციონირების საშუალებით, რომლებზედაც განთავსებული იყო სახელოსნოების რიგები და დუქნები, რომლებიც ურთიერთ სინთეზში შეადგენდნენ ქალაქის ცენტრის სავაჭრო-სახელოსნო ერთიან ქსელს.

ქალაქის ისტორიული განვითარების სოციალური ფაქტორები, რომლებმაც უბანი ჩამოაყალიბეს, შეიცვალნენ. გაიზარდა სოციალური გადაადგილების რადიუსი, რაც დამოკიდებული იყო სამუშაოსთან. და თუ უბანში სამუშაო გარემო გავლენას ახდენდა სანარმოო გარემოზე ე.ი. ტერიტორიულად იყო მისი იდენტიური, სანარმოო გადაადგილების რადიუსის გაფართოებისას გაიზარდა სანარმოო გარემოს ტერიტორია. ამჟამად სამუშაო კავშირები აღარ არის ლოკალიზებული კვარტლის ჩარჩოებში. ისინი განაწილებული არიან მთელი ქალაქის ტერიტორიაზე.

მაგრამ, როგორც მონმობენ გამოკვლევები, თვით ცნება „უბანი“ ასოცირდება მოსახლეობაში გარემოს ისეთ თვისებებთან, როგორიცაა საცხოვრებელი გარემოცვის ინდივიდუალობა, სხვა რაიონებისაგან განსხვავება, თვით განაშენიანების ტერიტორიის, მისი სტრუქტურული ელემენტების და ა.შ. თანამასშტაბურობა. კითხვაზე რასთან განშორება უძნელდებათ ცენტრიდან სხვა საცხოვრებელ რაიონში გადასახლებისას, გამოკითხულების უმრავლესობა პასუხობს, რომ მათ უძნელდებათ თავისი უბნის დატოვება. ამასთან ასეთი პასუხების მაქსიმალური რაოდენობა მიეკუთვნება ძველი თბილისის მცხოვრებლებს. ასე, კალას რაიონის გამოკითხულების 62%-მა ეს მიზეზი ყველაზე არსებითად დაასახელა. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვნად უბნის ის თვისებები იყო აღნიშნული, რომლებიც ახალ რაიონებში აღარ არის – ეს არის გარემოცვის თავისებურებები, რაიონის ინდივიდუალური იერი; ადამიანისათვის სასიამოვნო განაშენიანების მასშტაბი; მყუდრო ქუჩები და ამასთან ერთად ქალაქის ცხოვრებაში თანამონაწილეობის შეგრძნება; ეზოების არსებობა, კულტურის დაწესებულებების სიახლოვე, რაიონის ისტორიული ფასეულობანი და ა.შ.

მასთან ერთად, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური რაიონების მცხოვრებლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ძველ მეზობლურ კავშირებს“. ეს გარემოება აღნიშნეს ძველი თბილისის, რუსთაველის გამზირისა და დავით აღმაშენებლის რაიონებში გამოკითხულების შესაბამისად 32.0, 31.0, 33.8%-მა, მაშინ, როდესაც გლდანის რაიონში გამოკითხულების სულ 18.8%-მა.

თვით უბნის შეგრძნების სიმძაფრე და გაგება თანდათანობით კლებულობს ცენტრალური რაიონებიდან პერიფერიულ რაიონებისაკენ. მაგრამ საცხოვრებელი გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელობა და მიმზიდველობა, რაც ასოცირდება „უბნის“ ცნებასთან-თვალნათელია. ამას მოწმობს ყველა გამოკვლეულ რაიონში პასუხების — „ძნელია საკუთარ უბანთან განშორება“ — მაღალი მაჩვენებლები.

ქალას რაიონის მცხოვრებლები ანალოგიური შეხედულებისაა თავის „უბნის“ შესახებ. ასევეა დავით აღმაშენებლის გამზირის და მიმდებარე რაიონის მცხოვრებლებიც. უშუალოდ ცენტრის-რუსთაველის გამზირისა და სოლოლაკის რაიონის მცხოვრებლების მიერ თავისი საცხოვრებელი გარემოს ღირსება ასოცირდება, პირველ რიგში, გარემოცვის თავისებურებასთან, რაიონის ინდივიდუალურ იერთან რაც განასხვავებს მას ქალაქის სხვა ნაწილებისაგან. საცხოვრებელი გარემოს ეს მაჩვენებლები პირველ რიგში დაასახელა სოლოლაკის მცხოვრებლების 61.3%-მა და რუსთაველის რაიონის გამოკითხულ მოსახლეობის 60.9%-მა. ამის შემდეგ აღნიშნა რაიონის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა კულტურული დაწესებულებების სიახლოვე, მყუდრო ქუჩები, და ამასთან გაცხოველებულ ქალაქურ ცხოვრებაში მონაწილეობის შეგრძნება, ადამიანისათვის სასიამოვნო განაშენიანების მასშტაბი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის გამზირის მცხოვრებლების უმრავლესობა თავის საცხოვრებელი გარემოს განსაკუთრებულ თვისებებს შორის აღნიშნავენ განაშენიანების მასშტაბურობას. ამ რაიონში აღნიშნულ პასუხების მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რომელიმე რაიონში, მათ შორის ცენტრალურ ისტორიულად ჩამოყალი-

ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური რაიონების
საცხოვრებელი გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

ცენტრალური საცხოვრებელი რაიონების რა თვისებები მიგაჩნიათ თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანად?	ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური რაიონები		
	კალა	სოლოლაკი	რუსთაველის გამზ.
გარემოს თავისებურება, რაიონის ინდივიდუალური იერი, რომელიც განასხვავებს მას ქალაქის სხვა ნაწილებიდან	32.00	61.67	60.92
მყუდრო ქუჩები და ამასთან ერთად ქალაქი ცხოვრებაში მონაწილეობის შეგრძნება	24.00	40.00	47.12
სხვადასხვა სავაჭრო და საყოფაც- ხოვრებო დაწესებულებების განვითარებული ქსელი	16.00	25.00	25.29
ძველი სამეზობლო კავშირები	32.00	31.67	31.03
რაიონის ისტორიული ღირებულების შეგრძნება	22.00	43.33	31.03
არქიტექტურის მასშტაბურობა	30.00	35.00	43.68
ეზოების არსებობა	16.00	23.33	32.18
„უბანთან“ განშორების სიძნელე	62.00	55.67	50.57
სხვა თვისებები	8.00	6.67	6.90

ბებულშიც. ეს მოწმობს, ერთის მხრივ, ამ რაიონში განაშენიანების მასშტაბურობაზე, მეორეს მხრივ-მოსახლეობისათვის ამ ფაქტორის დიდ მნიშვნელობაზე.

ამასთან ერთად რუსთაველის გამზირის მცხოვრებლების მიერ თავისი საცხოვრებელი გარემოს ღირსეულ თვისებების რიცხვში დასახ-
ელებული იყო ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: რაიონის ისტორიუ-
ლი ღირებულება, ეზოების არსებობა, ძველი მეზობლური კავშირები
და სხვა. გარემოცვის ყველა ეს მაჩვენებლები განსაზღვრავენ მათთვის
„უბანთან“ განშორების სიძნელეებს.

ყველა ათივე რაიონში სადაც მიმდინარეობდა გამოკვლევა, კითხ-
ვაზე ცენტრალური საცხოვრებელი რაიონის ყველაზე საუკეთესო თვისე-
ბებსა და მიზეზებს შორის, რომლის გამოც ძნელია თავის რაიონის მიტოვება

და გადასვლა სხვა რაიონში, კერძოდ ახალ პერიფერიულ რაიონში, მიღებული პასუხების ანალიზით გამოიკვია, რომ გამოკითხულების უმრავლესობა აღნიშნავს კულტურის დანებსებულებების სიახლოვეს გარდა (40.6% გამოკითხულების) გარემოს თავისებურებებს, რაიონის ინდივიდუალურ სახეს განსხვავებულს ქალაქის სხვა ნაწილებისაგან (გამოკითხულთა 38.8%) და თავის „უბანთან“ განშორების სიძნელეს (გამოკითხულების 49.60%).

მიღებული მონაცემები მოწმობენ, რომ ორი უკანასკნელი ფაქტორი ასოცირდება ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური საცხოვრებელი რაიონის ყველა საუკეთესო თვისებებთან. ამასთან ერთად ეს მაჩვენებლები მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ასევე ერთმანეთს და რამდენადმე ურთიერთ შემცველი არიან.

ასე მაგალითად, საკუთარ „უბანთან“ განშორების სიძნელე მეტი არაფერია, რაც თავისი საცხოვრებელი გარემოს თავისებურებებთან განშორების სიძნელე, ე.ი. გარემოს იმ თვისებებთან, რომლებიც არ არის ქალაქის ახალ თანამედროვე საცხოვრებელ რაიონებში და რომელსაც, როგორც გამოკვლევით მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, ასე დიდად აფასებს მოსახლეობა.

ამგვარად, როგორც ზემოდ აღნიშნული მონაცემები მოწმობენ საცხოვრებელი გარემოს საუკეთესო თვისებებია: კულტურის დანებსებულებების სიახლოვე; გარემოს თავისებურებები; რაიონის ინდივიდუალური სახე; საცხოვრებელი გარემოს სიმყუდროვე და ამავე დროს მისი მონაწილეობა ქალაქის ინტენსიურ ცხოველქმედებაში; განაშენიანების ადამიანისათვის სასიამოვნო მასშტაბი; რაიონის ისტორიული ღირებულება; გეგმარებითი ელემენტების-ეზოს არსებობა (როგორც სოციალურ ფუნქციური, სივრცით-გეგმარებითი საცხოვრებელი ერთეულის კომპოზიციური ბირთვი).

საცხოვრებელი გარემოს ღირებულების ხარისხის განმსაზღვრელად გვევლინება როგორც ქალაქის გარემოცვის პოლიფუნქციური მახასიათებლები, ასევე მთელი რიგი მასთან დაკავშირებული ესთეტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამ კომპო-

ნენტების არსებობა განსაზღვრავს, კერძოდ, ძველი თბილისის მაღალ სტატუსს. სწორედ ამ უბანს, პირველ რიგში, ცდილობენ მოქალაქეები, რომ აჩვენონ მათთან ჩამოსულ სტუმრებს.

ცხრილი 16

**ქალაქის ძირითადი ღირსშესანიშნაობები
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)**

რას უჩვენებთ ჩვეულებრივად თბილისში თქვენთან ჩამოსულ სტუმრებს?	ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური რ-ნი სოლოლაკი	ახალი პერიფერიული რაიონი გლდანი	მთლიანად ქალაქი
ძველი თბილისი	63.33	32.61	50.00
რუსთაველის გამზირი	26.67	15.22	19.00
მთაწმინდა	55.00	34.78	39.10
სხვა ობიექტები	33.33	32.61	27.80

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ქალაქის ყველაზე საინტერესო ადგილად, რომლის გაცნობაც აუცილებელია, ძველი თბილისის შემდეგ, ითვლება მთაწმინდა. ეს აიხსნება იმიტომ, რომ მთაწმინდიდან შესაძლებელია მთელი ქალაქის პანორამული აღქმა, რაც დედაქალაქის სტუმრებისათვის წარმოადგენს დიდ ინტერესს. (იხ. ცხრილი 16).

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ იმ ობიექტების რიცხვში, რომლებსაც მოქალაქენი სთვლიან ძირითადად და რომლებსაც უპირველესად უნდა გაეცნოს სტუმარი (ე.ი. ის რასაც მოსახლეობა სთვლის ქალაქის ძირითად ისტორიულ ფასეულობად) ძველი თბილისის გარდა შესულია თბილისის აგლომერაციაში განთავსებული არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. ეს მოწმობს იმას, რომ მოსახლეობისათვის ეს ობიექტები წარმოადგენენ, ერთნაირ ღირებულებას, როგორც ქალაქის კულტურის ერთიანი მატერიალური მემკვიდრეობა.

მოქალაქეთა ცხოველქმედებაში აგლომერაციის ისტორიულ-კულტურული ობიექტების დიდ მნიშვნელობაზე მოწმობს, თბილისში და


რუსთავში ჩატარებული გამოკვლევების მონაცემები. თბილისის მოსახლეობისათვის ქალაქ გარეთ გასვლის ძირითად მიზანს უმეტესად წარმოადგენს აგლომერაციის ისტორიულ-კულტურულ ელემენტებისა და კულტურისა და არქიტექტურის ძეგლების მონახულება. (იხ. დანართი 17)

ცხრილი 17.

ქალაქგარე დასვენების ორგანიზაცია
(%-ში გამოკითხულთა რიცხვიდან)

რა გიზიდავთ დასვენებისას?	თბილისი	რუსთავი
ბუნებასთან ურთიერთობა	54.80	50.20
კულტურის ძეგლების გაცნობა	38.40	38.70
ქალაქების მონახულება გაცნობის მიზნით	38.30	34.50
მეგობრებთან ურთიერთობა	33.30	30.90
სპორტი	12.90	11.60

ამრიგად ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრალური ნაწილის მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად მიმდინარეობს აგლომერაციის ისტორიულ-კულტურული ელემენტების როლის ამაღლების პროცესი. ის ფაქტი, რომ ქალაქის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ობიექტების რიცხვში, რომელთა გაცნობა პირველ რიგშია აუცილებელი, ქალაქის ისტორიულ-კულტურულ ელემენტების გვერდით დასახელებულია აგლომერაციის კულტურის ძეგლები, მოწმობს მათ ურთიერთ კავშირზე. ეს თავის მხრივ განაპირობებს ქალაქის ისტორიულ-კულტურული ელემენტებისა და აგლომერაციის კულტურის ძეგლების ურთიერთ დამოკიდებულების ტენდენციების გაზრდის გათვალისწინების აუცილებლობას მათი, შემდგომი განვითარების საკითხების გადაწყვეტისას.




თბილისის ქალაქგეგმარებითი ზონირების შესახებ

თბილისის პერსპექტიული განვითარება წარმოდგენილია მისი გეგმარებითი სტრუქტურის დახვეწის და ოპტიმიზაციის გარეშე. ამ დახვეწის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქალაქგეგმარებითი ზონირების დადგენა და შეფასება. ამ ზონირების გამოყენებით მიიღწევა

ტერიტორიების გამოყენების ინტენსიფიკაცია, კომუნიკაციების რაციონალური გამოყენება, ქალაქის სტრუქტურის კომპაქტურობის შენარჩუნება.

თანამედროვე თბილისის მთავარ ქალაქგეგმარებით რეზერვს წარმოადგენენ პირველ რიგში უმოქმედო, დეგრადირებული სამრეწველო-სასაწყობო ტერიტორიები. ამ ტერიტორიების რაოდენობა და დისლოკაცია ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ეჭვგარეშეა ის, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თბილისის მრეწველობის 90% პარალიზებულია, ძირითადი დანადგარები და ნედლეული გაზიდულია, შენობები და ქსელები ამორტიზებულია. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ უკანასკნელი გენერალური გეგმით თბილისიდან უნდა გასულიყო 30 მსხვილი წარმოება, გავიდა მხოლოდ 10; ამის ნაცვლად თბილისში გაჩნდა 60 ახალი წარმოება. ნათელია, რომ გარდა რამდენიმე სიცოცხლისუნარიანი წარმოებისა, თბილისის დანარჩენი წარმოება, განსაკუთრებით ის, რომელიც მთლიანად ეყრდნობოდა სოციალისტური ეკონომიკის ბაზას და მომარაგებას, ვერ ეწეება საბაზრო ეკონომიკის სისტემაში და ამ სამრეწველო-სასაწყობო ზონების ტერიტორიები წარმოქმნიან თბილისის განაშენიანების განვითარების ყველაზე პერსპექტიულ და ხელმისაწვდომ რეზერვებს.

თბილისის დანარჩენი განაშენიანება შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ნაწილად (სურ. 1):



სურ. 1.

თბილისის საცხოვრებელი განაშენიანების ტიპები
 ა - გეგმიური კვარტალური (1920 წლამდე);
 ბ - გეგმიური კვარტალური და თავისუფალი (1920-1990 წ.წ.);
 გ - უგეგმო კვარტალური და თავისუფალი ინდივიდუალური
 მცირესართულიანი განაშენიანება.

– განაშენიანება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნის დასაწყისში წინასწარ შედგენილი გეგმების მეშვეობით. ეს განაშენიანება ატარებს ძირითადად კვარტალურ ხასიათს, შედგება 1-4-სართულიანი სახლებისაგან შიდა ეზოებით, აქ ჩამოყალიბდა თბილისისთვის დამახასიათებელი სისტემა „ბინა-ეზო-ქუჩა-უბანი“. ეს განაშენიანება ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით – 600 ადამიანზე, განაშენიანების მაღალი პროცენტებით – 78%, საცხოვრებელი ფონდის მაღალი მაჩვენებლებით – 7440მ²ჰა-ზე, საცხოვრებელი ფონდის ცვეთის მაღალი მაჩვენებლებით. ეს ტიპი მოითხოვს სერიოზულ რეკონსტრუქციას, მაგრამ იგი ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ქალაქგეგმარებითი რეზერვი, რადგანაც მისი რეკონსტრუქციის შედეგად ადგილი იქნება სიმჭიდროვეთა მაჩვენებლების შემცირებას.

– განაშენიანება, რომელიც ჩამოყალიბდა წინასწარი გეგმების საფუძველზე, საბჭოთა პერიოდში, 50-იანი წლებიდან დღემდე. ეს არის, როგორც კვარტალური, ასევე, და უმთავრესად, თავისუფალი განაშენიანება, რომელიც შედგება 9-6 და 9-12-სართულიანი საქარხნო წესით წარმოებული ნაწილებისაგან ტიპიური და ინდივიდუალური პროექტების სახლებისაგან. ეს განაშენიანება ხასიათდება გაშენების დაბალი პროცენტით – 25-30%, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვით – 300 ადამიანზე, საცხოვრებელი ფონდის საშუალო სიმჭიდროვით – 2300-2800მ²ჰა-ზე. ამ ტიპის შენობათა დიდი ნაწილი უკვე დაძველდა, ბევრი ავარიულ მდგომარეობაშია, აქ შესაძლებელია და, რაც შეიძლება ჩქარა, უნდა დაიწყოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგად მოსალოდნელია სიმჭიდროვეთა მაჩვენებლების გარკვეული ზრდა, მაგრამ, ეს ზრდა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გვაძლევდეს საშუალებას განვიხილოთ განაშენიანების ეს ტიპი, როგორც თბილისის ქალაქგეგმარებითი მნიშვნელოვანი რეზერვი.

– განაშენიანება, რომელიც ჩამოყალიბდა სტიქიურად, წინასწარი გეგმის გარეშე, თავისუფალ ტერიტორიაზე მოსახლეობის თვითნებური მშენებლობის შედეგად ან ნებართვების საფუძველზე. ეს არის ძირით-

ადად 1-2-სართულიანი ექსტენსიური ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები მცირე ეზოებით. ეს განაშენიანება შეადგენს თანამედროვე თბილისის დაახლოებით 43%, მას ახასიათებს განაშენიანების დაბალი პროცენტი – 18-22%; საცხოვრებელი ფონდის დაბალი სიმჭიდროვე – 850-1200მ²ჰჰა-ზე, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე – 150-170 ადჰჰა-ზე. ამ განაშენიანების ძირითადი ნაწილი განთავსებულია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და განაგრძობს ზრდას. განაშენიანების სწორედ ეს ტიპი მოიცავს ყველაზე მდიდარ ქალაქგეგმარებით რეზერვებს. ამ ზონებში ჩატარებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეუძლია მოგვცეს სიმჭიდროვის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები და შესაბამისად, მაქსიმალური ქალაქთმშენებლობითი ეფექტი. წარმატებითი შედეგების მიღწევა ამ ზონებში შესაძლებელია მხოლოდ ორი აუცილებელი პირობის შესრულების შემთხვევაში: უნდა მიღწეულ იქნას თბილისის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია ან კლება და რეკონსტრუქციის კომერციულ შედეგებში უნდა იყოს დაინტერესებული როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა, ასევე მენაშენე და საცხოვრებელი ფონდის და სხვა უძრავი ქონების მფლობელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს რეკონსტრუქციის პროცესში. თბილისის გეგმარებითი სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, საჭიროა გატარდეს რთული საორგანიზაციო რეფორმა.

კანონმდებლობის სფეროში უნდა მოხდეს ქალაქში სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო მიწების სტატუსის გარკვევა და იურიდიული გაფორმება. აუცილებელია, მინათა კადასტრის შექმნასთან ერთად, გამოქვეყნდეს „თბილისის განაშენიანების წესები“ ფართო მომხმარებლებისათვის. საჭიროა, უახლოეს მომავალში სამართლებრივი უზრუნველყოფა მიეცეს უძრავი ქონების ფლობის სხვადასხვა ფორმას: კერძო, სააქციო, ამხანაგობა, კომუნალური, კონდომინიუმი, კოოპერატიული, იჯარები და სხვა. მნიშვნელოვან რეფორმას მოითხოვს ქალაქის მართვის სისტემა, რომელიც შედგება მოძველებული, არაეფექტური სტრუქტურებისაგან: მერია-მუნიციპალიტეტი-

რაიონული გამგეობა. ეს სისტემა, რომლის ელემენტები დარგობრივ მართვაზეა ორიენტირებული, უნდა გადავიდეს ტერიტორიული მართვის პრინციპებზე, აერთიანებდეს ადგილობრივი ოპერატიული მართვის ქვეცენტრებს ერთიან საქალაქო მართვის ქსელში, საკუთარი მობილური მომსახურების მეშვეობით.

თბილისის მინების და უძრავი ქონების კადასტრი უნდა იყოს მოთავსებული ამ მართვის ქსელის კომპიუტერულ სისტემაში – „თბილისის კომპიუტერული ატლასის“ სახით, რაც მკვეთრად გაზრდის ქალაქგეგმარებითი ინფორმაციის ეფექტურობას და კომერციულ პოტენციალს, ხელს შეუწყობს თბილისის განვითარების ოპტიმიზაციას, მათ პრეპარირებას სხვადასხვა გეგმარებითი ამოცანების გადწყვეტის დროს, საინვესტიციო რუკების შედგენას.


თბილისის ტერიტორიული ორგანიზაცია მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს. თანამედროვე დაყოფა 10 ადმინისტრაციულ რაიონად აფერხებს ქალაქის სრულყოფილ განვითარებას, იგი არ ასახავს თბილისის რეალურ სტრუქტურულ-მორფოლოგიურ დაყოფას, მის შემადგენელ ნაწილებს შორის ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ კავშირებს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა გამოიყოს 4 მსხვილი გეგმარებითი ზონა (ან რაიონი), რომელთა გეგმარებითი განვითარება შედარებით ავტონომიურად მიმდინარეობს. ეს არის (სურ. 2):

– მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული განაშენიანების ზოლი, რომელიც იწყება დიდი დილომიდან და მთავრდება კრწანისით;

– მტკვრისა და რკინიგზის ლიანდაგის ხაზს შორის განლაგებული განაშენიანების ცენტრალური ზოლი, რომელიც იწყება ავჭალით და მთავრდება ფონიჭალით;

– მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული რკინიგზის ლიანდაგის აღმოსავლეთით განლაგებული განაშენიანების ზოლი, რომელიც იწყება გლდანით და მთავრდება ლილოთი;

– სამხრეთი დელტა, რომელიც წარმოიქმნება რკინიგზის ლიანდაგების ხაზების გაყოფით (კახეთისა და სომხეთისაკენ) და მოიცავს



სურ. 2.

თბილისის მსხვილი სტრუქტურულ-მორფოლოგიური დაყოფა

1. დასავლეთის მარჯვენა სანაპირო ზოლი;
2. ცენტრალური ზოლი მტკვარსა და რკინიგზის ლიანდაგს შორის;
3. მარცხენა სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგის აღმოსავლეთით განლაგებული ზოლი;
4. სამხრეთი დელტა.

დიდ სამრეწველო-სასაწყობო ტერიტორიებს – ნავთლული.

ამ მსხვილი გეგმარებითი რაიონების მოსახერხებელი, ძირითადად განივი კავშირებითი აღჭურვა – ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქგეგმარებითი ამოცანაა თბილისისათვის.

ქალაქთმშენებლობის საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა გარკვეული ფორმით უნდა მონაწილეობდეს საკუთარი არსებობის, გარემოს განვითარების საკითხებში გადანყვეტილებების მიღების საქმეში. ამ თვალსაზრისით თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ძირეულ, საწყის ერთეულად მიჩნეული უნდა იყოს არა რაიონი, არამედ უბანი, როგორც ყველაზე ორგანული, ისტორიულად ჩამოყალიბებული და სიდიდით ყველაზე ოპტიმალური, მოსახლეთა ბუნებრივი ერთობა. თბილისში არსებობს სტიქიურად ჩამოყალიბებული უბნების სისტემა და მათი ფორმალური დაკანონება, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების მინიჭება ფრიად სასარგებლო იქნება თბილისის პერსპექტიული განვითარებისათვის. უბნების რაოდენობა და კონკრეტული საზღვრები სპეციალური კვლევის საგანია, პირველი შეფასებით თბილისში შესაძლებელია გამოიყოს 40 უბანი, რომელთა გეგმარებითი განვითარება, რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა ამ უბანთა წარმომადგენლობითი ორგანოების უშუალო ამოცანა უნდა იყოს, როგორც ეს გავრცელებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში.

ქალაქმშენებლობითი დაგეგმარების სფეროში სასურველია გაძლიერდეს წინა საპროექტო მასალათა ანალიზის ბლოკი. ამ ნაწილში, რომელიც მიმართულია გენერალური გეგმისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების შედგენაზე, სასურველია წარმოდგენილი იყოს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა განაშენიანების სიმჭიდროვე, ბინათა სიმჭიდროვე, სატრანსპორტო კვანძების საპიკო დატვირთვები, მომსახურების ცენტრების რანჟირება, ტევადობა, მათი წოვადობის იზოქრონები. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას ქალაქის ძირითადი ზონების დღის და ღამის სიმჭიდროვის შესახებ და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ტერიტორიის ზონირებას. აქ გარდა ჩვეულებრივი ფუნქციონალური ზონირებისა, უნდა იყოს გაკეთებული სპეციალური ზონირება ქალაქ-მშენებლობითი რეჟიმების თვალსაზრისით, რაც გაცილებით პერსპექტიული და აქტუალური ხდება. ქალაქგეგმარებითი რაიონები უშუალოდ ანესრიგებენ როგორც სამართლებრივ, ასევე განაშენიანების განვითარების კომერციულ მხარეს, იძლევიან ქალაქის მართვის რეალურ ბერკეტებს. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია, შემოღებულ იქნას შემდეგი ზონირება თბილისის გენერალური გეგმის ჩარჩოებში (სურ. 3.):


– **კონსერვაციის ზონა** მოიცავს ისტორიულ ძეგლებს, ისტორიულ განაშენიანებას, აქ შესაძლებელია მხოლოდ არსებულის ფიქსირება, შენახვა და კეთილმოწყობა, აკრძალულია ნებისმიერი ახალი მშენებლობა;

– **რესტავრაციის ზონა** მოიცავს XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის განაშენიანებას, სადაც მკაცრად უნდა იყოს დაცული განაშენიანების ტიპი, მასშტაბი, სართულიანობა, საშენი მასალები და საქალაქო ელემენტების დიზაინი, სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა იყოს მიმართული ძირითადად არსებული ფონდის რესტავრაციაზე;

– **რეკონსტრუქციის ზონა** მოიცავს 1-2-სართულიან ინდივიდუალურ განაშენიანებას, აქ დასაშვებია ფართო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კომპლექსების მშენებლობა, სატრანსპორტო ქსელის სრულყოფა. ამ ზონაში უნდა იყოს მიმართული სამშენებლო ინვესტიციების ძირითადი ნაკადი;

– **რეაბილიტაციის ზონა** მოიცავს მსხვილ საცხოვრებელ მასივებს, სადაც რეკონსტრუქციის ძირითადი მიზნები გულისხმობენ ავარიული ფონდის აღებას, მჭიდრო, დაბალსართულიანი განაშენიანების გაჩენას, მომსახურების ობიექტის სრულყოფას და გარემოს მკვეთრ ჰუმანიზაციას. ამ ზონას გააჩნია ფარული კომერციული პერსპექტივა;

რეკონსტრუქციის ზონა მცირესართულიანი ინდივიდუალურ განაშენიანებისათვის.



სურ. 3.

თბილისის ზონირება დიფერენცირებული გეგმარებითი რეჟიმების მიხედვით

– რეანიმაციის ზონა მოიცავს დეგრადირებულ სამრეწველო-სასაწყობო ზონებს. ამ ზონისათვის გეგმარებითი რეჟიმი გულისხმობს ტერიტორიების რეკონსტრუქციას, უვარგისი ფონდის აღებას, სხვადასხვა სიდიდის სატრანსპორტო, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი კომპლექსების მშენებლობას. ამ ზონას გააჩნია უაღრესად მაღალი კომერციული პერსპექტივა და საინვესტიციო მიმზიდველობა;

– რეკრეაციის ზონა მოიცავს მწვანე ნარგავების ყველანაირ ტერიტორიებს, წყლის სარკეებს, ბუნებრივ და ხელოვნურ დასასვენებელ კომპლექსებს, სპორტისა და გართობის ობიექტებს. ამ ზონის განვითარება ხდება კომერციული რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული მოგების გამოყენებით, მისი განვითარება უნდა მიმდინარეობდეს ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაოების პარალელურად ან წინსწრებით.

ზემოთ ჩამოთვლილი რეჟიმების ფართო განმარტება და სამართლებრივი უზრუნველყოფა უნდა იყოს ასახული ხსენებულ „თბილისის გაშენების წესებში“ და ამ გზით გახდეს საყოველთაო სარგებლობის და ცოდნის საგანი, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას მოსახლეობას, მენაშენეთა და ხელისუფალთა შორის.

ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების იერარქია უნდა მოიცავდეს სისტემურ თანმიმდევრობას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ:

– განსახლების რეგიონალური სქემა მუშავდება თბილისის აგლომერაციის ფარგლებში, მოიცავს თბილისის საგარეუბნო ზონას, ითვალისწინებს მხოლოდ ქალაქთაშორისო კავშირებს, საერთო სტრუქტურული ელემენტების დინამიკას და განვითარებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურების სრულყოფას;

– ქალაქის გენერალური გეგმა ადგენს 4 მსხვილი გეგმარებითი რაიონის განვითარების ვარიანტებს, აყალიბებს უბნების გეგმარებითი განვითარების ძირითად მიმართულებას, აზუსტებს ქალაქმშენებლობით რეჟიმებს ამა თუ იმ ზონისათვის;

– უბნის დეტალური გეგმარების პროექტი აკანონებს


ტერიტორიების განვითარების სქემას, მათ ფუნქციურ ზონირებას, სიმჭიდროვეებს და საინვესტიციო პროგრამებს;

– განაშენიანების პროექტი კეთდება ცალკეულ ობიექტზე ან კომპლექსზე საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე, აქ დეტალურად დგინდება წითელი ხაზები, გეგმარებითი სტრუქტურის ყველა აუცილებელი ელემენტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი სრულდება გარკვეული სარეალიზაციო ვადის გათვალისწინებით და განიცდის აუცილებელ კორექტირებას ქალაქის პერსპექტიული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

განვაცხადების ადგილი და მნიშვნელობა თბილისის ურბანული განვითარების სისტემაში

1. საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა



დედაქალაქის ურბანული გარემოს კონკრეტული, სტანდარტული და სპეციფიკური, ნაციონალური ინტერესების პრიორიტეტებითა და გეოპოლიტიკური ფონით გამძაფრებული პრობლემური სიტუაციები უალტერნატივოდ განსაზღვრავს თბილისის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ, უნიკალურ, უმსხვილეს ქალაქის ფრთხილი რეკონსტრუქციის რეჟიმში მდგრადი განვითარებისთვის თანმხლები და წინმსწრები სამეცნიერო-მეთოდური, ინფორმაციული და ტექნიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობას.

ტექნოლოგიური საწყისების პრიმატმა ფუნქციურთან და ესთეტიურთან მიმართებაში გამოიწვია ურბანული გარემოს ობიექტების „სტანდარტულობა“ (ამ ტერმინის ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრებულ უარყოფითი ინტერპრეტაციით). ბუნებრივია, ასეთ გადაწყვეტებს ემსახურებოდა შესაბამისი სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფით აღჭურვილი, დაგეგმვის, პროექტირების და რეალიზაციის თავისებურად მწყობრი და ორგანიზებული სისტემა, რომლის დაშლის, რეორგანიზაციის თუ ახლის დამკვიდრების სიძნელებები დღეისათვის დაძლეული არ არის.

ამავე დროს, რიგი მეთოდოლოგიური პრინციპებისა ინარჩუნებს არამარტო შემეცნებით, არამედ თეორიულ და ოპერატიულ ღირსებებს. შემთხვევითი არ იყო, რომ ქალაქმშენებლობითი პროექტირება უკანასკნელ ხანებამდე სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ მეთოდიკურად აღჭურვილ და ფართო პრაქტიკის მქონე მოქმედების (შემო-

ქმედების) სფეროდ. სამწუხაროდ, ცენტრალიზებული მართვის სისტემის ადეკვატურ, განვითარების გეგმიურ მაჩვენებლებზე დაფუძნებულ მეთოდულ კაში არ განვითარდა საქალაქთმშენებლო სიტუაციების ობიექტური, არანინასნარგანსაზღვრული შეფასებისა და პროგნოზირების პრინციპი. ფაქტიურად არ მუშაობდა ოპტიმალური მართვის აუცილებელი კომპონენტი – უკუკავშირი.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დღევანდელი რეალიებით ინიცირებული ქალაქთმშენებლობის სფეროს მთლიანი რეფორმის საჭიროება, რომელიც მოიცავს: ქალაქთმშენებლობის სამართლებრივ საფუძვლებს, საინვესტიციო-სამშენებლო ბლოკს, მართვის მექანიზმებს, სამეცნიერო-მეთოდურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ყურადღების გარეშე არ დარჩენილა¹.

უნყებრივ და ტერიტორიულ ჭრილში განხორციელებად სახელმწიფო დაგეგმვის სისტემის მოშლამ ქალაქთმშენებლობაში შექმნა ერთგვარი სიცარიელე, რომლის კომპენსაციის მექანიზმი არცთუ ისე ცხადია.

გენგეგმის დამუშავებაზე საერთოდ უარის თქმა, პროექტირების სტატუსის მხოლოდ პრაქტიკის „თანხლებად“ გააზრება, ცხადია, საკითხის გადაჭრის საუკეთესო ვარიანტი არ არის. პრობლემის გადანყვეტა უნდა ვეძიოთ სისტემურ მიდგომაში. როდესაც საქალაქთმშენებლო პროექტირება განიხილება, როგორც ურბანული განვითარების

¹ ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულაციების ნუსები“, მომზადებულია „საქართველოს კანონი ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“. ხოლო კანონი „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული დაგეგმვის შესახებ“ მიუხედავად მისი სარეკომენდაციო ხასიათისა, ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის სამომავლო სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია GTZ-ს პროგრამით მიმდინარე თბილისის მიწის კადასტრის სამუშაოები. ცნობილია SRI-ს მიწის რეგისტრაციის სისტემები. პიონერულია სამუშაოები, შესრულებული საქართველოში GIS & RS Consulting Center „GeoGraphic“-ის მიერ, სამუშაო ურბანული მიწის ღირებულების დადგენის შესახებ და სხვა. საქართველოს, კერძოდ, დედაქალაქის ურბანული განვითარება. ამ საკითხების კოორდინაციასა და კონტროლს ძლიერი იმპულსი მიანიჭა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებამ „ქ. თბილისის ურბანული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (№211, 2001ფ. 25 მაისი).

მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილი და თავისთავად რთული და სპეციფიკური სისტემა (ქვესისტემა) – ქალაქთმშენებლობითი პროცესების სამართლებრივ რეგლამენტაციასთან ინტეგრირებული კვლევის და პროექტირების კომპლექსი.

სტრუქტურული მოდელები ფართოდ გამოიყენება ურბანული განვითარების ყველა ეტაპზე და სფეროში. მათ ძირითადად ტაქსონომიური ობიექტების იდენტიფიკაცია უდევს საფუძვლად (პლანეტარულიდან – დასახლებული ადგილის გეგმარებით ობიექტამდე, განაშენიანების კომპლექსიდან – შენობის ფუნქციურ ზონამდე).

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ოპტიმიზაციის ამოცანის პროტოტიპს წარმოადგენს ტაქსონომიური მოდელი, რომლის სტრუქტურულ-ტერიტორიული ერთეულების იერარქია შეესაბამება მათემატიკური პროგრამირების ბლოკური განშლის ფორმას (დეკომპოზიცია).

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ახლებური ქალაქთმშენებლობის თეორია მხოლოდ ყალიბდება¹, რომელიც აღწერილობითი დისციპლინიდან თანდათანობით გადაიზრდება ქალაქთმშენებლური პროცესების ანალიზის, პრაქტიკულად ზუსტი პროგნოზირების და ოპტიმალური მართვის ინსტრუმენტად. ტრადიციულ დისციპლინებთან ერთად (ეკონომიკა, დაგეგმარება, საინჟინრო ნაწილი, არქიტექტურა და სხვა) უფრო აქტიურად და გამოკვეთილად უნდა ამოქმედდეს სოციოლოგია, დემოგრაფია, პოლიტოლოგია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიაზე. ამავე დროს, შესაბამის დისციპლინათაშორისო გამოკვლევებს უნდა ჰქონდეს პროექტის, პროგნოზის ან

¹ ახალი პარადიგმის ჩამოყალიბების საქმეში გარკვეული წილი შეიტანეს ქართველმა სპეციალისტ-ექსპერტებმა: მათემატიკური პროგრამირების გამოყენება ოპტიმალური განსახლების ამოცანაში (ო.ციხაძე, ა.ლოლობერიძე), ურბანული გარემოს შეფასება ლინგვისტური ცვლადების გამოყენებით (ნ. თევზაძე), ურბანული სისტემების იმიტაციური მოდელირება, ენტროპიული მოდელები (მ. ახობაძე), GIS ტექნოლოგიების გამოყენება თბილისის ისტორიული ნაწილის კვლევაში (ლ. თუმანიშვილი), საქართველოს სამშენებლო-კლიმატური ზონირება (ქ. ბირკაია), თბილისის ურბანული განვითარება მის ისტორიულ ფასეულობასთან მიმართებაში (გ. ბათიაშვილი), მემკვიდრეობების დაცვა და საქართველოს ქალაქების განსახლების პრობლემები (გ. შაიშველაშვილი), "არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები", 2001 წ. (გ. ბერიძე) და სხვა.

პროგრამის სახე, რომლის კოორდინატორი, როგორც წესი, უნდა იყოს არქიტექტორი-ურბანისტი.

ქალაქის ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარე (სიდიდე, სირთულე და მისი ობიექტების „სასიცოცხლო ციკლის“ ხანგრძლიობა, შინაგანი ორგანიზებულობა - მართვადობა, ინერციულობა-დინამიურობა, კონტრინტუციურობა-პროგნოზირებადობა), ურბანული განვითარების მართვა, შესაბამისად, ქალაქთმშენებლური პროექტირება ეფუძნება სივრცისა და დროის კატეგორიების სპეციალურ ორგანიზაციას, კერძოდ, ტექსონომიური დონეებისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ეტაპების დადგენას. სხვა რთული ტექნიკური სისტემებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება მთელისა და ნაწილის სინქრონულ დამუშავებას ითვალისწინებდეს, განსახილველ სფეროში მთელს შეესაბამება ზოგადი გეგმა, ნაწილებს დეტალური დამუშავება; ზოგადი გადაწყვეტა განიხილება გრძელვადიანი თვალსაწიერიდან, დეტალური გადაწყვეტა – შედარებით მოკლევადიანი. მსოფლიო ქალაქთმშენებლურ პრაქტიკაში გადაწყვეტილებათა (გადაწყვეტათა) მიღების დონეების ხისტი გამიჯვნა არ შეინიშნება. არსებითია საგეგმო-საპროექტო სამუშაოების ნაკადების გარკვეული შეთავსებადობა.

ურბანული განვითარების კონცეფცია – რომელიც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის (კანონი „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული დაგეგმვის შესახებ“) დარგობრივი ძრილია, ძირითადად მიზნებსა და პრიორიტეტებზე ამახვილებს ყურადღებას. ქალაქის გენერალური გეგმა, ამ ანალოგიაში, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების პროგნოზს მიესადაგება. მისი დროებრივი ჩარჩოებია 5-10 წელი. ეს ეტაპი „ბუნებაში“ უშუალოდ ვერ განხორციელდება. ალბათ, ამიტომ მათ მშენებლობისთვის აუცილებელი სამართლებრივი სტატუსი არ უნდა მიენიჭოს. ტერიტორიაზე „გასვ-

ლა“ ხდება შემდგომ ეტაპზე, როდესაც ფიქსირდება განაშენიანების საზღვრები; აქ ხორციელდება შემოქმედებითი ძიების თავისუფლების დასაშვები და საკმარისი ხარისხი. უფრო მეტ რეგლამენტაციის გავლენას (სართულიანობა, სიმჭიდროვის მაჩვენებლები და სხვა) განიცდის შემდგომი იერარქიულად უფრო დაბალი ტაქსონომიური დონე, და თუ „შეზღუდვები არქიტექტორის მეგობარია“, მაშინ ამ ეტაპზე იქმნება პროფესიული საქმიანობისთვის სახარბიელო პირობები.

ქალაქმშენებლური პროექტირების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება — პროცესის ციკლური ხასიათი და კორექციის პრინციპული შესაძლებლობაა, არა მარტო კონკრეტული ეტაპის ჩარჩოებში, არამედ პირობითად უწყვეტი სპირალური განვითარების დროებრივ ასპექტში. ეს შეიძლება ჩავთვალოთ დროის რეალურ მასშტაბში მართვის განზოგადოებული მოდელის კერძო შემთხვევად, რაც პროექტირების პროცესზე ახალი არატრადიციული შეხედულებების ჩამოყალიბების საფუძველია. ფორმალურად ეს ადასტურებს პერმანენტული პროექტირების უპირატესობას პროექტ-დოგმიასთან (მაგ. გენგეგმა — კანონი, „ქალაქის კონსტრუქცია“) შედარებით. პროექტირების პროცესის ელემენტარული მოდელის სტრუქტურაში შეფასების ბლოკის არსებობა საკითხის უფრო ფართოდ დასმის საბაბს იძლევა. თანამედროვე მეთოდოლოგიური, ინფორმაციული და ტექნიკური საშუალებების არსებობის პირობებში გადანყვეტილებების მხოლოდ ინტუიციურ დონეზე მიღება (ან პარამეტრების ხელოვნურად შემცირების შედეგად პალიატიური მეთოდებით შეფასება), რბილად რომ ვთქვათ, ანაქრონიზმია. ევალიმეტრიული მეთოდებისა და ექსპერტული სისტემების გამოყენება აუცილებელია თუნდაც დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით. ამავე სიბრტყეზე დგას ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიის არასაკმაოდ გამოყენების საკითხი.

ურბანული განვითარებისა და მონიტორინგის მექანიზმებს ძირითადად (თუ მთლიანად არა) მოიცავს საკითხები ამ სისტემის მართვის შესახებ, თუ ამ ტერმინის ინტერპრეტაცია ფართოდ და, რაც თითქმის იგივეა, სპეციალური აზრით იქნება გაგებული. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განსახილველ სფეროში მართვის ცნების არსს ძირითადად განსაზღვრავს მოქმედებათა სამი ჯგუფი:

- ინფორმაციის მოძიება ობიექტების მდგომარეობაზე, შემფოთებებზე, გარე ზემოქმედებებზე;
- გადაწყვეტილების მიღება (მმართველი ზემოქმედების ხასიათისა და მნიშვნელობების შესახებ);
- მმართველი ზემოქმედების განხორციელება.

მოდელის განზოგადოება, ან ლოკალიზაცია დასმული ამოცანების მასშტაბით, მიზნებით და არსებული რესურსებით (ინფორმაციული და სხვა) განისაზღვრება. ამდენადვე კონკრეტულ პრობლემებზეა დამოკიდებული მოდელების სახეების ამორჩევა, როგორიცაა: სტრუქტურული მოდელი (სისტემა-ქვესისტემების და ელემენტების სქემა), მაგ. ქალაქის ტერიტორიის ფუნქციური და ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების ობიექტების სიმრავლე („ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“); ინფორმაციული მოდელი (კომპონენტებსა და დონეებს შორის ინფორმაციული ნაკადების აღწერა) კადასტრული მონაცემები, მონაცემთა ბაზა, ექსპერტული მასალა (ცოდნათა ბაზა); ფუნქციური (ამ შემთხვევაში ეს ტერმინი რამდენადმე განსხვავდება ტრადიციულად გაგებული მნიშვნელობისაგან) მოდელი (მმართველი ზემოქმედების პარამეტრები, ფუნქცია-მიმართებები), სამართლებრივი აქტები და სხვა გადაწყვეტილებები.

ძირითადი კომპლექსური მოდელი შეიძლება მიესადაგოს მოდელების სხვადასხვა ტიპებს, როგორიცაა: განსახლების სისტემის ოპტიმალური დაგეგმვა;

მომსახურების ქსელის ოპტიმიზაცია; წარმოების ოპტიმალური განთავსება¹.

ამ სპეციფიკური მოდელების გაერთიანება შესაძლებელია საერთო მიზნის ფუნქციის (1) ფორმულირებით, რომელიც მგრძნობიარე იქნება ცალკეული ბლოკების პარამეტრებისადმი. ამავე მიზანს ემსახურება საერთო („გლობალური“) შეზღუდვების სისტემა (2).

¹ - მიზნის ფუნქციას და შეზღუდვების სისტემას აქვს ფიზიკური (ეკონომიკური) ინტერპრეტაცია. თუმცა კრიტიკულად შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტეგრალური ხარისხის ცნება (სამომხმარებლო ხარისხი / სანარმოო დანახარჯები). ასევე ეკონომიკური ეფექტურობის ნაცვლად შესაძლებელია მიღებულ იყოს სოციალური ეფექტურობა. ამ შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკურად ძნელად ინტერპრეტირებადი დაშვებებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება. ნრფივი და ადითიური დამოკიდებულებების შემთხვევაში მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ კანონიკური ფორმით:

$$\sum_{i=1}^n c_i x_i \rightarrow \max \quad (1)$$

$$\sum_{j=1}^m a_{ij} x_i \leq A_j \quad (2)$$


$$b_{ik} x_i \leq B_k \quad (3)$$

სადაც: x_i - ცვლადია, რომლის მნიშვნელობა ინტერპრეტირებულია, როგორც სტრუქტურული ელემენტის რაოდენობა ან სიმძლავრე; c_i - ერთეული ობიექტის ღირებულება (ფასეულობა), a_{ij} და b_{ik} სტრუქტურული ელემენტის მახასიათებლებია. ფუნქციონალად (1) შეიძლება გამოყენებულ იქნას შემოსავლების მაქსიმიზაციის გამოსახულება, მაგალითად საქალაქო მიწებით სარგებლობასთან დაკავშირებული გადასახადები:

$$\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m S_i * f_j(F_{ij}) * k_{ji} \rightarrow \max$$

(«L» «P»)

სადაც: S_i - მიწის საბაზო ღირებულებაა ზონაში; f_j - მიწის გამოყენების სახეობასთან დაკავშირებული ფუნქცია (კოეფიციენტი); j - სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენებული მიწის ნაკვეთის ფართი; k_{ij} - ნაკვეთით მოსარგებლის კატეგორიაზე დამოკიდებული შემასწორებელი კოეფიციენტი.



სურ. 1. ურბანული განვითარების გენერალიზებული მოდელის სტრუქტურა.
 1 - მიზნის ფუნქცია; 2 - „გლობალური შეზღუდვები“;
 3 - ლოკალური შეზღუდვები; 4 - თავისუფალი ნევრები.

თავისუფალი ნევრები A_j, B_k შეესაბამება სტრუქტურულ-ტერიტორიულ ერთეულებში მათი ფუნქციური გამოყენების სხვადასხვა ვარიანტების ნორმას, რესურსებს (ტერიტორია და სხვ.), ლიმიტებს (მინიმუმი, მაქსიმუმი, გრადაცია). ასეთ მიდგომაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ნაკვეთისა და ტერიტორიის კომპლექსური შეფასება, არა მარტო, როგორც კომპონენტების ღირებულებების ჯამი, არამედ, როგორც „სარგებლიანობის ფუნქციის“ მრავალპარამეტრიანი განზოგადოებული გამოსახულება. თავისუფალი ნევრები A_j, B_k და სტრუქტურული ელემენტის მახასიათებლები a_{ij}, b_{ik} შეიძლება ინტერპრეტიებული იყოს როგორც ექსპერტული შეფასების შედეგები. ფორმალურად, „ნატურალური“ მაჩვენებლების (მეტრიკული ვექტორი) და ექსპერტული შემასწორებელი კოეფიციენტების ვექტორის ნამრავლი (ან სხვა ფუნქცია, რომელიც სტატისტიკური მეთოდებით შეიძლება დაზუსტდეს. მოდელის დეტალიზაცია და მისი რიცხობრივი რეალიზაცია ძირითადად დამოკ-

იდებულა მოპოვებული სანყისი ინფორმაციის ხასიათზე და ობიექტური შედეგების მიღების „პოლიტიკურ ნებაზე“. მოყვანილი სახით იგი უფრო კონცეპტუალურია, ვიდრე საანგარიშო და „დასაშვები გეგმის“ ან სუბოპტიმალური გადაწყვეტის და, რაც პრინციპულია, დასახული მიზნებისა და არსებული (მოსაძიებელი) რესურსების ურთიერთგანპირობებულობის კორექტულად, ეკონომიკურად ინტერპრეტირებადი ფორმით გამოსახვას ემსახურება. მოდელის დეტერმინიზმი მის მიერ მოცული დროის მონაკვეთის სიდიდის უკუპროპორციულია (რაც სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზირების პრინციპია). ანალოგიურია პროექტირების ეტაპებისა და ვადების პრობლემა – სტაბილურობა და პროგნოზირებადობა მეტი წინმსწრები გადანყვეტების საფუძველია და – პირიქით.

ურბანისტულ კვლევებსა და ქალაქთმშენებლობის საპროექტო-გეგმარებითი სამუშაოების პრაქტიკაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება კვალიფიცირდება ოთხ დონეზე (ეტაპზე):

- კვანტიფიკაცია (დაკვირვებების მასალების ციფრულად აღწერა);
- მონაცემთა პარამეტრული დამუშავება (არითმეტიკის ოთხი მოქმედების გამოყენებით);
- მათემატიკური სტატისტიკის კლასიკური მეთოდების გამოყენება (კორელაცია, რეგრესია, პარამეტრების შეფასება, ჰიპოთეზების შემონმება);
- მათემატიკური მოდელირება (საგნობრივი გარემოს ფორმალნიზაცია მათემატიკის სხვადასხვა ნაწილის გამოყენებით, წრფივი და არაწრფივი პროგრამირება, იმიტაციური მოდელირება და სხვ.);
- ექსპერტული სისტემები (ხელოვნური ინტელექტის პრინციპებზე, ცოდნათა ბაზაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების აპარატი).

ჩვენში უკანასკნელ ხანებამდე პრაქტიკულად პირველი ორი ეტაპია დაძლეული. თუმცა, რაოდენობრივი მეთოდებისა და კომპიუტერული

ტექნიკის გამოყენების აუცილებლობას თითქმის არავინ ეჭვქვეშ არ აყენებს.

ქრესტომათიულად ითვლება რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა:

- ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება;
- ურბანული გარემოს ცალკეული მახასიათებლების ანალიზი;
- საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტების შეფასების მოდელირება¹.

საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, თანამედროვე ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური საშუალებების გამოყენების მიმართულება გარკვეული წყვეტის შემდეგ უნდა განვითარდეს ძველი შეცდომების გაანალიზებისა და ახალი რეალიების მოთხოვნების გათვალისწინებით². პერსპექტიულია გამოყენებითი ინფორმატიკის

¹ - ამ მეთოდის განზოგადოება შეიძლება ექსპერტული შეფასების საფუძველზე და ექსპერტების „რეიტინგის“ გათვალისწინებით, რაც ექსპერტების აზრის გათვალისწინების და შეფასების ობიექტურობის საფუძველს შექმნის (მაგ. „დელფის მეთოდის“ პრინციპი). რაც შეეხება „სუბიექტურობის ფაქტორის“ დარღვევას, აქ მეთოდოლოგიური პროგრესი არამკვეთრი სიმრავლეების აპარატის კვალიფიციურ გამოყენებას შეიძლება დაუკავშიროთ (რაიმე თვისების მიხედვით ობიექტის არადექტრმინირებული, არაცხადი მიკუთვნება ხარისხობრივი შკალის შესაბამის სიმრავლისადმი, ე.წ. „არაცხადი სიმრავლეები“, „ლინგვისტური ცვლადები“, ლ. ზადე).

² - სისტემების ზოგად თეორიაში დამტკიცებულია, რომ დიდი სისტემების გაუმჯობესების მცდელობა მარცხისთვისაა განწირული (დ. გიგი). ამ მიმართულებით შემდგომი პროგრესი დაკავშირებულია სისტემურ მიდგომასთან, ახალი სისტემის დაპროექტებასთან, პროექტირების ობიექტებისა და პროცესების მოდელის სრულყოფასთან, მონაცემთა (ცოდნათა) ბაზის საფუძველზე, დამპროექტებლისა და გამომთვლელი მანქანის ბუნებრივ ენასთან მიახლოებული დიალოგის საშუალებით, და ექსპერტული სისტემების ჩარჩოებში. პროექტირების ობიექტებისა და პროცესების წარმოდგენის ფორმალიზმის საფუძველია სიმრავლეთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკის, გრაფთა თეორიის, რელიაცური ალგებრის, არამკვეთრი სიმრავლეებისა და პრედიკატების გაანგარიშების ფორმალიზმი.

მონაცემები პროექტირების ობიექტებისა და პროცესების შესახებ (დიფერენცირებული - ობიექტის „ფიზიკა“, ინტეგრირებული - მდომარეობის და/ან განვითარების ამსახველი), წარმოდგენილი ფაქტებისა და ნებსების სახით, შეადგენს განსახილველი საგნობრივი სფეროს ცოდნათა ბაზას, რომელიც ასევე შეიცავს დედუქციური დასკვნის მექანიზმს და სახეობების, „მთელი-ნაწილის“ და სხვა მიმართებებით განპირობებულ თეზაურუსების სიმრავლეს.

მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს ობიექტების აღწერიდან (ტრადიციული მონაცემთა ბაზა) პროცესების აღწერისკენ (ცოდნათა ბაზა) გადასვლას, როდესაც ფაქტები (მონაცემები) და წესები (ცოდნა) ინფორმაციულ სისტემაში ერთიანდება ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის საფუძველზე. ურბანული ობიექტების განვითარების თანმხლები ერთიანი საჯარო ინფორმაციული სისტემის შექმნა სწორედ ასეთ პერსპექტიულ და აქტუალურ სამუშაოდ წარმოგვიდგება. მონაცემთა ბაზების „ინტელექტუალიზაციის“ ტენდენცია წარმატებით შეიძლება იქნას განხორციელებული სწორედ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში. ქალაქთმშენებლობის ნორმატიული ბაზა, ეტალონური გადაწყვეტები, შეფასების პროცედურები, „ფაქტები“ ამ სისტემის საინტერესო სემანტიკური საფუძველია.

2. ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფა

ტრადიციული ქალაქთმშენებლობის პროექტირების ინფორმაციული მასალების სისტემა შეიცავს სამი სახის ინფორმაციას:

- დირექტიულს, დაფუძნებულს ნორმატიულ აქტებზე;
- ანალიტიკურს, დაფუძნებულს სტატისტიკურ, გეგმიურ, საპროექტო-საძიებელ და სამეცნიერო-კვლევით მასალებზე;
- კარტოგრაფიულს.

დირექტიული ინფორმაცია მოიცავს სახელისუფლებო ორგანოების დადგენილებებს, ნორმატიულ და ინსტრუქციულ დოკუმენტებს. ნორმატიული დოკუმენტებიდან განსაკუთრებული როლი ენიჭება სამშენებლო ნორმებსა და წესებს. ისინი ასახავს ქალაქთმშენებლობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს. დროებრივ ჭრილში ამ სახის დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქალაქთმშენებლობის განვითარების შესაბამის ეტაპებზე. განხილული სახის ინფორმაციის პერსპექტიულ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ ე.წ. მონაცემთა (ცოდ-

ნათა) ბაზა (ბანკი). მსგავს და მომიჯნავე სფეროებში ინფორმაციულ-საძიებელი ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევები თანდათანობით ხშირდება. საქართველოს ურბანისტა ასოციაციის მიერ დამუშავებული ვებ-საიტი „საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის სამართლებრივი, ინსტიტუციური და ინფორმაციული საფუძვლები“ (<http://urbia.gol.ge>) - ამ ტენდენციის გამოვლენის კერძო მაგალითია.

ანალიტიკური ინფორმაციის მოპოვება წარმოებს სამი მიმართულებით: ტერიტორიის შესწავლა (ბუნებრივი პირობები, საინჟინრო-სამშენებლო პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ლანდშაფტური თავისებურებანი, მიწის ფონდი, ტყისა და წყლის რესურსები და სხვ.), ეკონომიკის შესწავლა, მოსახლეობის შესწავლა. უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციას აქვს სტოქასტიური (ალბათური) ხასიათი და სტატისტიკური მეთოდების საშუალებით უნდა დამუშავდეს.

კარტოგრაფიული მასალა სპეციფიკური ხასიათის ინფორმაციაა და მისი მოპოვების და დამუშავების მეთოდები თანამედროვე ტექნოლოგიების ძლიერ გავლენას განიცდის. საქართველოს ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური დოკუმენტაციით უზრუნველყოფა შედის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის კომპეტენციაში. მასთან არსებული სააქციო საზოგადოება „აეროგეოდეზია“ ასრულებს დაკვეთებს სხვადასხვა მასშტაბების რუკებისა და გეგმების შესრულებაში. ხშირ შემთხვევაში მიღებული მასალა საჭიროებს კორექტირებას ან მიწათსარგებლობის საზღვრების დატანას.

ინფორმაციული უზრუნველყოფის აღნიშნული სფერო (კარტოგრაფია) ხდება ე.წ. გეო-ინფორმაციული სისტემის (GIS) კომპეტენცია.

გეო-ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიები წარმოადგენენ მძლავრ საშუალებებს ამ დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა. კერძოდ:

AutoCAD Land Development Desktop ო პროფესიონალური სისტემა, განკუთვნილი სამშენებლო, გეოდეზიური, კარტოგრაფიული და

გენგეგმის ამოცანების გადასაწყვეტად. სისტემა დამუშავებულია ფორმაუტოდესკ-ის მიერ პაკეტი AutoCAD MAP 2000-ის საფუძველზე. სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობები ვითარდება დამატებითი მოდულების Autodesk Civil Design და Autodesk Survey მეშვეობით.

Autodesk Survey განკუთვნილია გეოდეზიური გადაღებების მონაცემთა დამუშავებისთვის. პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემთა მიღებას 60-ზე მეტი გეოდეზიურ ხელსაწყოს საშუალებით.

GeomaticS (GeoCAD Systems) – გეოინფორმაციული რესურსის შექმნისა და თანხლების, გეოინჟინრული ამოცანების გადაწყვეტის პროგრამული სისტემების ტექნოლოგიური ხაზია. Geomatics და AutoCAD Land Solutions-ის ერთობლივი გამოყენება იძლევა საშუალებას სამოქალაქო მშენებლობის ამოცანების ფართო სპექტრის შესრულებისა (გენგეგმა, გეოდეზია, კარტოგრაფია და მომიჯნავე სფეროები, GIS, გარემოს დაცვა, ეკოლოგიური მონიტორინგი და სხ.).

პროგრამული კომპლექსი GeomaticS აერთიანებს პროგრამებს: Topocad – სპეციალიზებული ტოპოგრაფიული რედაქტორია AutoCAD-ის გარემოში ტერიტორიის ციფრული მოდელის და ტოპოგრაფიული გეგმების დამუშავებისთვის (მასშტაბი: 1:500 – 1:10000). Planicad – გამოყენებითი პაკეტია გენერალური გეგმების და ვერტიკალური დაგეგმარების, საინჟინრო ქსელების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტების შესასრულებლად.

CAD RELIEF – გამოყენებითი პაკეტია რელიეფის ზედაპირის მოცულობითი მოდელის შესაქმნელად სამგანზომილებიანი ნახნაგებისა და იზონირების საშუალებით.

Autodesk MapGuide – ინტრანეტ/ინტერნეტში ვექტორული რუკების პუბლიკაციის პაკეტია. ახდენს კარტოგრაფიული მონაცემების ინტეგრაციას HTML-დოკუმენტის სტანდარტში. აერთიანებს პროგრამებს: Autodesk MapGuide (plug-in), Autodesk MapGuide Author, Autodesk MapGuide Server. Autodesk MapGuide იყენებს მონაცემთა შემდეგ ფორმატებს: MWF (Map Window File). SHP (Shape-ფორმატი Arc-

View), MIF /MID (მონაცემთა გაცვლის ფორმატი MapInfo).

Raster Arts-ში რეალიზებულია სკანირებული გამოსახულებების დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგია (ჰიბრიდული GIS პროექტები, რასტრული და ვექტორული გრაფიკის შესაძლებლობების გამოყენებით). შეიცავს პროგრამებს: RasterDesk Pro 2000 , Vector5.1, Spotlight Pro 3.1 და სხ. სკანირებული გამოსახულებები გარდაიქმნება ვექტორულ ფორმატში, რომელიც გამოიყენება პროგრამებში: AutoCAD, CADDy, Microstation, MapInfo, ArcView , Land Development Desktop R2.

Autodesk World – გეო-ინფორმაციული მონაცემების ინტეგრაციის და მართვის ახალი ინსტრუმენტი. ფაილის ფორმატებია: AutoCAD/AE (DWG), Autodesk World Geobase и Microsoft Access (MDB). შეთავსებადია ESRI ARC/INFO/AE Coverages, ArcView/AE SHP, Atlas GIS BNA, Microstation/AE DGN და Mapinfo/AE MIF/MID ფაილებთან. შესაძლებელია ორმხრივი კავშირის დამყარება Oracle, Sybase, Microsoft SQL Server და სხვა მონაცემთა ბაზებთან.

თანამედროვე ქალაქთმშენებლური პროექტირება, გადაწყვეტის ოპერატიული მიღება რაიმე, თუნდაც კერძო, საკითხზე მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, საიმედო ინფორმაციას ობიექტის მდგომარეობის, სისტემისა და მისი ელემენტების შესახებ. ცნობილია რომ, ქალაქთმშენებლობის სფეროში ეფექტური ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნის პრობლემა დაკავშირებულია მთელ რიგ ობიექტურ მიზეზებთან:

- საჭირო ინფორმაციის დიდი მოცულობა;
- დოკუმენტთა ცენტრალიზებულ მიმოქცევაში, კერძოდ, სტატისტიკურ ორგანოებში საჭირო ინფორმაციის უკმარობა;
- ინფორმაციის განმხოლოება დოკუმენტების სიმრავლის, წყაროების, ფონდის მფლობელების და უწყებრივი ნიშნით;
- მთელ რიგ მაჩვენებლებზე სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშგების არარსებობა;
- ინფორმაციის წყაროების ინტეგრაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების არარსებობა.

ამავე დროს ქალაქთმშენებლური ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- განზოგადების და დისკრეტულობის სხვადასხვა ხარისხი, რაც აუცილებელია მისი მრავალფუნქციური გამოყენებისთვის;
- მონაცემთა ტერიტორიული მიბმა, ანალიზისა და სინთეზის ჩასატარებლად სხვადასხვა ტერიტორიულ ძირში;
- რეტროსპექტიული, მიმდინარე და პერსპექტიული (პროგნოსტური) მონაცემებით ურბანისტული განვითარების ტენდენციების დადგენის შესაძლებლობა;
- ოპერატიულობა, სარწმუნოება, სიზუსტე და საკმარისობა.

არსებობს მრავალი ხერხი და მეთოდი ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და გაცემის, მაგრამ კატეგორიულად უნდა აღინიშნოს ქალაქთმშენებლობის მონაცემთა ბანკის (ქმბ) პერსპექტიულობა რელაციურ მონაცემთა ბაზების საფუძველზე.

ქალაქთმშენებლობის მონაცემთა ბანკის იდეა დღემდე რეალიზებული არ არის. ამის მიზეზთაგან შეიძლება ჩამოვთვალოთ:

- ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური სტაგნაცია;
- საქალაქო, რეგიონალური და სხვა ტერიტორიულად ორიენტირებული სისტემების არასაკმარისი თეორიულ-მეთოდური მომზადება;
- ურბანული განვითარების მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე რეალური მოთხოვნის არარსებობა;
- ურბანული გარემოს, როგორც დინამიკური სისტემის მოდელირებასთან დაკავშირებული სამუშაოების, ურბანული განვითარების მაჩვენებლების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის, მისი წამყვანი როლის არასაკმაო გაცნობიერება.

ინფორმაციული სისტემის შექმნის სანყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს :

- საგნობრივი სფეროს ფორმალიზაცია (სხვადასხვა იერარქიის ქალაქთმშენებლური ობიექტები და სამართლებრივი ველი);

- მომხმარებელთა წარმოდგენების ინტეგრაცია და მოსალოდნელი შეკითხვების ანალიზი;
- რეალიზაციის საშულებათა ამორჩევა (მეთოდური, ტექნიკური, ორგანიზაციული), რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ინტეგრაციას (მონაცემები ინახება ცენტრალიზებულად და წარმოადგენს დინამიურად – რეალურ დროის მასშტაბში განახლებად საგნობრივი სფეროს მოდელს), ამოცანებისა და მონაცემების დამოუკიდებლობას (მონაცემთა ლოგიკური და ფიზიკური დამოუკიდებლობა).
- ლოგიკური პროექტირება (ინფორმაციულ-ლოგიკური მოდელირება);
- ფიზიკური პროექტირება.

საგნობრივი სფეროს ფორმალიზაცია წარმოადგენს ისეთი მონაცემთა ბანკის ინფორმაციული მოდელის საფუძველს, როგორცაა „საქართველოს მინის კადასტრი“, „ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობის კადასტრი“ და სხვ. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის ფონზე კადასტრი ასოცირდება არა ტრადიციულ ალბომთან (წიგნთან, შესრულებული თუნდაც მანქანური გრაფიკის საშუალებით), არამედ საკუთრივ მონაცემთა ბაზასთან (ბანკთან), ინფორმაციულ სისტემასთან, რომელიც აუცილებელ კომპონენტებს, სხვა მრავალი ტიპის მონაცემთან ერთად, შეადგენენ გრაფიკული ობიექტები, რომელთა მოპოვება-დამუშავების საშუალებები დღითიდღე ვითარდება. გასათვალისწინებელია ბოლო ხანებში (80-იანი წლები) მიღწეული შედეგები ე.წ. „ხელოვნური ინტელექტის“ და ექსპერტული სისტემების სფეროში, ამდენად დროული იქნება დაისვას საკითხი განსახილველ სფეროში ცოდნათა ბაზის შექმნის თაობაზე. მონაცემთა ბაზების „ინტელექტუალიზაციის“ ტენდენცია წარმატებით შეიძლება იქნას განხორციელებული სწორედ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში (ნორმატიული ბაზა, ეტალონური გადაწყვეტები, შეფასების პროცედურები, „ფაქტები“).

ზემოთ მოყვანილი და სხვა სტანდარტული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქსელურ და იერარქიულთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ე.წ. რელაციური ტიპის მონაცემთა ბაზას, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ მიმართებათა ნაკრებს, რომლებზედაც განისაზღვრება სპეციალური (პროექცია, მიერთება, ამორჩევა) და სიმრავლეთა თეორიის ტრადიციული ოპერაციები (გაერთიანება, გადაკვეთა, გამოკლება, დეკარტეს გამრავლება, გაყოფა).

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ინფორმაციული ტექნოლოგია იძლევა მოხერხებულ საშუალებებს მონაცემთა ბაზის კომპონენტების დაკავშირებისა სხვა სტრუქტურულ ელემენტებთან, მათ შორის გრაფიკულ ობიექტებთან, რაც ფრიად აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისით.

პერსპექტიულია გამოყენებითი ინფორმატიკის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს ობიექტების აღწერიდან (ტრადიციული მონაცემთა ბაზა) პროცესების აღწერისკენ (ცოდნათა ბაზა) გადასვლას, როდესაც ფაქტები (მონაცემები) და წესები (ცოდნა) ინფორმაციულ სისტემაში ერთიანდებიან ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის საფუძველზე. ურბანული ობიექტების განვითარების თანმხლები ერთიანი საჯარო ინფორმაციული სისტემის შექმნა სწორედ ასეთ პერსპექტიულ და აქტუალურ სამუშაოდ წარმოგვიდგება.

ქალაქთმშენებლობის პროექტირების ინფორმაციული მასალები სისტემა, რომელიც შეიცავს სამი სახის ინფორმაციას: დირექტიულს, დაფუძნებულს ნორმატიულ აქტებზე; ანალიტიკურს, დაფუძნებულს სტატისტიკურ, გეგმიურ, საპროექტო-საძიებელ და სამეცნიერო-კვლევით მასალებზე; კარტოგრაფიულს, მოპოვებულს თანამედროვე GIS სისტემების საშუალებით და დაკომპლექტებულს მონაცემთა ბაზის (ბანკის) სახით, უცილობლად განსაზღვრავს ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის ახლებურ გააზრებას. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის ფონზე ის ასოცირდება არა ტრადიციულ (თუნდაც მანქანური წესით შესრულებულ პლანშეტებთან, ალბომთან), არამედ

საკუთრივ მონაცემთა ბაზასთან (ბანკთან), ინფორმაციულ სისტემასთან, ინფორმაციულ-საძიებელ სამსახურთან, რომლის აუცილებელ კომპონენტებს, სხვა მრავალი ტიპის მონაცემებთან ერთად, შეადგენს გრაფიკული ობიექტები, რომელთა მოპოვება-დამუშავების საშუალებები დღითიდღე ვითარდება. აქ შეიძლება აქცენტი გავაკეთოთ ე.წ. ჰიპერტექსტის იდეაზე (ჰიპერტექსტი – ანგარიშები, ტექსტი, გრაფიკა, ანიმაცია, ხმა, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ტექსტებთან).

ტელეკონფერენციებისა და განცხადებათა ელექტრონული დაფების საშუალებით საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობაში ურბანული განვითარების საკითხების განხილვისას დიდი როლი შეიძლება ითამაშოს ინტერნეტის ქსელის ისეთმა მომსახურებამ, როგორიცაა ე.წ. „სიახლეთა ჯგუფი“ (USENET). ასევე საკმაოდ მოხერხებულია მოსახლეობის აზრის მონიტორინგი ვებ-საიტებზე განთავსებული სპეციალური ფორმებით. მოქალაქეების ინფორმირებულობის, მათი ურბანული კულტურის ამაღლებისა და ხელისუფლების ამ სფეროში საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის უკეთესი საშუალებები ძნელი წარმოსადგენია.

სამეცნიერო-მეთოდური საკითხების სტატუსი დღეისათვის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობაზე. ეს დამოკიდებულება უახლოეს მომავალში ჩვენშიც მიიღებს აბსოლუტურ ხასიათს და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების ხარისხი ცალსახად განსაზღვრავს მიღებულ გადაწყვეტათა, დასახული მიზნების მიღწევის და საბოლოოდ მართვის ეფექტურობას. კერძოდ, ქალაქთმშენებლობის სფეროში პერსპექტიული, ინტერნეტზე დაფუძნებული მულტიმედიაური პროექტირება სერიოზულ ალტერნატივას არ დაუტოვებს სხვა ტექნოლოგიებს.

3. საცხოვრისი, როგორც ურბანული განვითარების უმნიშვნელოვანესი ობიექტი

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია ურბანული განვითარების უმნიშვნელოვანესი ობიექტების განხილვა შესაბამის სტრუქტურულ-იერარქიულ (ტაქსონომიურ) დონეებზე, რომლებზედაც, ფაქტობრივად, მუდამ ემართება მათი ხარისხი. ამის თვალნათლივი მაგალითია ქალაქის ინფრასტრუქტურის ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, როგორც საცხოვრისია. ქვემოთ მოყვანილ ტექსტში გამოყენებულია ლ. ვარდოსანიძისა და ზ. კიკნაძის შედგენილი ცნობარის – „საცხოვრისის შეფასების ურბანისტული და არქიტექტურულ-გეგმარებითი ასპექტები“ (2002 წ.) მასალები.

საცხოვრისის ხარისხის გამოვლენის სტრუქტურულ-იერარქიული დონეებია:

- ოთახი (სათავსო)
- ბინა
- სექცია
- სახლი
- კონდომინიუმი
- უბანი
- ქალაქის ადმინისტრაციული რაიონი
- ქალაქი (დასახლებული ადგილი).

ასევე გამართლებულია გამიჯვნა (მიმართების გარკვევა) მოთხოვნებსა და მათ შესაძლო ტექნიკური რეალიზაციის საკითხებს შორის. შეფასების ობიექტების ძირითადი ფუნქციების, მაჩვენებლებისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების მცდელობა სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.

საცხოვრისის ხარისხის გამოვლენის სტრუქტურულ-იერარქიული დონეები

შეფასების ობიექტი	ძირითადი ფუნქცია	ძირითადი მანევრებლები	შეფასების კრიტერიუმი
ოთახი (საოჯახო, პირველადი სტრუქტურულ-გეგმარებითი ელემენტი)	ადამიანის (ცხოველმყოფელსა, ფუნქციური ზონის ორგანიზება, ავეჯის და/ან საფეხქვიჩებზე მოწესრიგების განთავსება	გაბარბეტი, პროპორციული ფართი, სინათლის რეჟიმი, დიორების განლაგება, ორნამენტაჟა, სამშენებლო მასალები, ტექნიკური მდგომარეობა	ნორმალდებთან შესაბამისობა
ბინა	ოჯახის (სახლიმფლობელობის) საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მოთხოვნების სათანადო ჩაწესის დაკმაყოფილება	სათავსების შეზღვევლობა, უზოთობა-განლაგება, ფართობი, ინსულაციის და განთავსების რეჟიმი, უყისი	სამშენებლ და სანიტარულ-სოციალურ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობა
სექცია	ბინების დაჯგუფების და ტექნიკური რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა	ბინების რაოდენობა, სარეზიდენციო, ვერტიკალური კომუნიკაციების სარეგულაციო, ბინებში შესასვლელების ორგანიზაცია	განსასახლებელი კონტინენტის დემორაფიკული სტრუქტურასთან შესაბამისობა
სახლი	ოჯახების (სახლიმფლობელობების) ბინადრობის სოციალური და ტექნიკური კომპლექსა	ბინების შეზღვევლობა, სარეზიდენციო, გაბარბეტი, გარემოსთან კავშირი, ტექნიკური მდგომარეობა, არქიტექტურულ-სოციალური სხვ. ელემენტები	სოციალურ დაკეთობასთან, სამშენებლო და ქალაქმშენებლობის ნორმებთან და წესებთან შესაბამისობა
კონდომინიუმი	ფიქსირებული ბინების განხორციელება პირველადი დონეზე	სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის პარამეტრები	სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის ექსპლუატაციის პირობები
უბანი	პროექტების სოციალ-საქონლური განთავსების გათვალისწინება	სოციალური და ფიზიკური შეზღვევლობა, ინფრასტრუქტურის დონე	"ბუნებრივი სასოფლიოების" არეალის არაფორმალური სოციალური კონტრაქტი
ქალაქის ადმინისტრაციული რაიონი	მშენებლობის განხორციელება შესაბამის სახელურებში	ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობა, ხაზობრივი ფართობი, სოციალური და ხაზობრივი ინფრასტრუქტურა	ცხადად გამოკვეთილი არ არის
ქალაქი	მოსახლეობის მოთხოვნების (საქონლურ-სოციალური) დაკმაყოფილება, დისპეტხა, სოციალურ-კულტურული და სხვა) დაკმაყოფილება	ადგილი განსახლების სიტყვაში, საცხოვრისი უზრუნველყოფის დონე, კომუნიკური პოტენციალი, კოლოცია	უბანული განვითარების ინდიკატორების შესაბამისობა

3. 1. ოთახი (სათავსო)

პირველადი მოცულობით-გეგმარებითი ელემენტი, რომლის დონეზეც ვლინდება საცხოვრისის ხარისხი, არის ოთახი (სათავსო). მისი პარამეტრების ნორმატიული შეფასება, ბუნებრივია, განისაზღვრება მისი დანიშნულებით.


სპეციალურ ლიტერატურაში (ნორმატიულსა და საცნობარო) დეტალურადაა აღწერილი მოთხოვნები სხვადასხვა შენობების მოცულობით-გეგმარებითი ელემენტების პარამეტრების მიმართ. მოყვანილია სანიმუშო მაგალითები. ყველაზე უფრო სისტემურად ეს საკითხი ე.წ. „ნორმალეშია“ განხილული. მასში სინთეზირებულია ანტროპომეტრიის, ერგონომიკის, აღჭურვილობის (ჩვენ შემთხვევაში, ძირითადად საყოფაცხოვრებო) და ავეჯის განლაგების ფუნქციური თუ ტექნოლოგიური პროცესების, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

ზოგადად, სათავსის ძირითადი პარამეტრები: მინიმალური და მაქსიმალური სიგანე და სიღრმე, დასაშვები პროპორციები, სიმაღლე, მინიმალური და მაქსიმალური ფართი გეომეტრიულად (ფორმალურად) ცხადად ინტერპრეტირებადი სიდიდეებია (იხილე ნახ. 2). მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი განისაზღვრება ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საკმარისი სივრცეების გაერთიანებით (არა ჯამით!). პროფესიული გადაწყვეტა ფუნქციური ზონების შეთავსების შესაძლებლობების კორექტულად რეალიზაციაში გამოიხატება. ფაქტობრივად ოთახის (სათავსოს) დონეზე წყდება ინსოლაციისა - მზის სხივების გამაჯანსაღებელი ზემოქმედების გავლენის (სანაცია) და სათავსის ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ბუნებრივი განათებულობის ნორმირებული დონის დადგენის საკითხები. ფანჯრის (შემინული ლიობის) ფართის შეფარდება სათავსოს ფართთან, ამ მაჩვენებლების საორიენტაციო კონტროლის საშუალებაა (1 : 5.5 და 1 : 8 შუალედში). თუმცა მათი ზუსტად დადგენა სამშენებლო ფიზიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმა-


რთულების – არქიტექტურული ეკოლოგიის კომპეტენციაა. რომელიც, ამ შემთხვევაში, ცის გუმბათზე მზის ტრანექტორიისა და შენობების თუ სხვა ობიექტებით შექმნილი დარდილვის კონტურის შეჯერებას ეფუძნება. საცხოვრებელი ოთახების ქვეყნის მხარეების მიმართ განლაგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია. მაგალითად, ჩრდილო განედის 50°-ის სამხრეთით (ე.ი. ჩვენი ქვეყნის პირობებში) საძინებელი ოთახების, ბავშვთა და საერთო ოთახების ორიენტაცია რეკომენდებულია სამხრეთისაკენ, დასაშვებია სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე; სასადილო, სასტუმრო და ჰოლი რეკომენდებულია: სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, დასაშვებია – აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის ორიენტაცია.

შეზღუდვების ნარმოდგენა უტოლობების სისტემით

- $B \times L < F_{max} < B_{max} \times L_{max}$
- $B \times L > F_{min} > B_{min} \times L_{min}$
- $B > B_{min}$
- $B < B_{max}$
- $L > L_{min}$
- $L < L_{max}$
- $L / B < P_{max}$
- $B / L > P_{min}$



შეზღუდვების გრაფიკული ინტერპრეტაცია



სურ.2 სათავსოს პარამეტრების შეფასება

3. 2. ბინა

ბინა უძრავი ქონების ბაზრის ის ობიექტია, რომელთანაც ძირითადად დაკავშირებულია საცხოვრისის როგორც საბაზრო, ასევე სამომხმარებლო ღირებულება. ზოგად შემთხვევაში ბინა საცხოვრისის ერთ-ერთი სტრუქტურულ-იერარქიული დონეა, რომელზეც საცხოვრი-

ბინის ფორმირების ფუნქციური საფუძვლები

საყოფაცხოვრებო პროცესები								
საყოფაცხოვრებო პროცესების ჯგუფები								
ძილი	პირადი პოტენა	გონებრივი და სამოქმედო საქმიანობა	დასვენება	საკვების მიღება	საკვების მომზადება	ტანსაცმლის მოვლა	ბინის მოვლა	ნივთების შენახვა
ფუნქციური ზონები								
ფუნქციური ზონების ჯგუფები								
ინდივიდუალური გამოყენების პირადი ზონები	ინდივიდუალური გამოყენების საერთო ოჯახური ზონები	საერთო გამოყენების საერთო ოჯახური ზონები	ჯგუფური გამოყენების საერთო ოჯახური ზონები	სამეურნეო მომსახურების საერთო ოჯახური ზონები	სანგარდლივი შენახვის საერთო ოჯახური ზონები			
ბინის სათავეები								
ბინა								

სის ხარისხის გამოვლენის ყველა დონის მახასიათებლები მის ხარისხის მაჩვენებლებად ასოცირდება.

ბინის ძირითადი მახასიათებლებია: ფასი, სათავსების შემადგენლობა, საერთო ფართი, ფართების განაწილება სათავსებში, გეგმარებითი სტრუქტურა (შემადგენელი ნაწილების ურთიერთგანლაგება, კავშირი-გამხოლოება, ფუნქციური ზონირება). გეგმარებითი ხერხებით შესაძლებელია ბინის საერთო-საოჯახო და ინდივიდუალურ ზონებად დაყოფა. მაგალითად, საერთო ზონა – საერთო ოთახი, სასადილო, სამზარეულო; ინდივიდუალური ზონები: მშობლებისთვის (საძინებელი, ჰიგიენის ოთახი, საგარდერობო, საზაფხულო სათავსი), ბავშვებისთვის (საძინებელი, სველი წერტილი, სათამაშო ან სამუშაო ოთახი ან ზონა, ჩაშენებული კარადა, საზაფხულო სათავსი), სტუმრისთვის (საძინებელი, სველი წერტილი, ჩაშენებული კარადა, საზაფხულო სათავსი). შესაძლებელია ზონირების სხვა ვარიანტები. ამ შემთხვევაში შეფასების ძირითადი პრინციპი ოჯახისა და ბინის შესაბამისობაშია. ბუნებრივია, სტრუქტურის ვარიანტობა (ტრანსფორმაციის საშუალება) ამ მაჩვენებელს აუმჯობესებს.

ბინაში ინსოლაციის მოთხოვნა ასეა ფორმულირებული: ინსოლაცია უზრუნველყოფილი უნდა იყოს 1, 2, 3-ოთახიან ბინებში არანაკლებ 1 ოთახისა; 4, 5, 6-ოთახიან ბინებში არანაკლებ - 2 ოთახისა.


თბილი კლიმატის პირობებში გასათვალისწინებელია ბინის განიავება. რეკომენდებულია განივი განიავება, დასაშვებია კუთხური. ერთოთახიანი ბინები უმეტეს შემთხვევაში (სექციებში მათი განლაგების გამო) ღია კიბის უჯრედებიდან ნიავდებიან.

საჭიროების შემთხვევაში ზაფხულის სეზონში მზისგან გადახურების თავიდან ასაცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური ღონისძიებები, თუ საზაფხულო სათავსები (ლოჯიები, აივნები) ამას ვერ უზრუნველყოფენ.


ტრადიციულად ბინის ხარისხი კონტროლირდებოდა ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა: ტევადობის ინდექსი (საცხოვრებელი

ოთახების რაოდენობის შეფარდება ოჯახში მცხოვრებთა რიცხვზე), საცხოვრებელი ფართის (საცხოვრებელი ოთახების ჯამური ფართობი) შეფარდება სასარგებლოსთან (საცხოვრებელი ფართი + დამხმარე სათავსოთა ფართი) – K_1 , „ეფექტური ფართობი“ – სასარგებლო ფართობი – გამოუყენებელი ფართობი (ფართობი, რომელიც თავისი ზომისა და გეგმაში განლაგების გამო არ აუმჯობესებს ბინის ხარისხს, მაგალითად „ტრანზიტული“ ფართი – გამჭოლი გასასვლელი ზონა ოთახში). ეს მაჩვენებლები მცირემეტრაჟიანი ბინებისთვისაა აქტუალური, როგორც ე.წ. „სოციალური“ საცხოვრისია.

მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად ბინის ძირითადი მაჩვენებელია ბინის ფართობი, რომელიც განისაზღვრება როგორც ჯამი საცხოვრებელი ოთახებისა და დამხმარე სათავსოების ფართებისა; ლოჯიების, აივნების, შუშაბანდების, ტერასების, ცივი საკუჭნაოებისა და კარსელების ჩათვლელად. ბინის საერთო ფართი განისაზღვრება, როგორც ჯამი მათ სათავსოთა ფართობებისა, შემამცირებელი კოეფიციენტების ლოჯიებისთვის 0.5, აივნებისა და ტერასებისთვის 0.3. გათვალისწინებით:




სურ. 3. ბინების ტიპები დემოგრაფიული ტევადობის ინდექსის მიხედვით




ნებისმიერ ოჯახის ტიპის არის წარმოდგენილი სრული გრაფის ნაწილი (ქვეგრძედი)

დამოკიდებული ერთეულების (ოჯახის წევრების) მოთხოვნილებების შეთანხვება არის ბინიფიციაციის და ბინების შესაბამისობის კრიტერიუმები



ოჯახის წევრების ერთ საბუნებო ოჯახში შესაძლო შეთავსების სტრუქტურა



სურ. 4 ოჯახის დემოგრაფიული სტრუქტურის ფორმალიზებული წარმოდგენა

3.3. სექცია

ქალაქის განაშენიანებაში ყველაზე უფრო გავრცელებული მრავალბინიან, სექციური ტიპის სახლში ბინების დაკომპლექტება სექციების დონეზე წყდება. სექციებში რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ბინის განლაგების შესაძლებლობა ფაქტიურად განსაზღვრავს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის შესაბამისი ბინების ნაკრების მიღებას¹.

¹ კანონიკურია ამოცანა სექციების (ბლოკ-სექციების, სახლების) ოპტიმალური ნაკრების შედგენისა ბინების საჭირო სტრუქტურასთან (დემოგრაფიული სტრუქტურასთან) მაქსიმალურად მიახლოების (მინიმალურად გადახრის) კრიტერიუმით:

$$\sum_{j=1}^l y_j \rightarrow \min$$

$$\sum_{i=1}^n a_{ij} x_i + y_j = A_j$$

j = 1, 2...l

სადაც: y_j - "ზედმეტი" ბინაა; a_{ij} - ბინების რაოდენობა სხვადასხვა სექციებში; X_n - სექციების რაოდენობა; A_j - ბინების საჭირო რაოდენობა.

„ზედმეტი“ თუ დეფიციტური ბინის ტიპები განაშენიანების სხვადასხვა ტექსონომიურ დონეებზე სექციების „დემოგრაფიულ მოქნილობაზე“ დამოკიდებული. საცხოვრისის ხარისხის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორცაა: ბინების ორიენტაცია, ვერტიკალურ კომუნიკაციების ეფექტურობა, ბინაში შესასვლელების ორგანიზაცია და გარემოსთან კავშირი სექციების პარამეტრებითაა განსაზღვრული. ბინების (მთლიანად სახლის) რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის პერსპექტივებიც ბევრადაა განპირობებული სექციების სტრუქტურით.

სექციების ძირითადი მაჩვენებლებია: ბინების შემადგენლობა, ფართების განაწილება ბინებში, საერთო ფართი, სიგანე, სიღრმე, კონსტრუქციულ-გეგმარებითი პარამეტრები (მალი, ბიჯი, სართულის სიმალლე), განაშენიანების ფართი, სართულების რაოდენობა, პირველი სართულის გადაწყვეტა, შესასვლელის მოწყობა (ცალმხრივი, გამჭოლი), კიბისა და ლიფტების კვანძის ტიპი, ნაგავგამტარის ორგანიზაცია.

3. 4. სახლი

განმარტება, რომ სახლი არის „ოჯახების (სახლთმფლობელობების) დაბინავების სოციალური და ტექნიკური კოოპერაცია“ (იხ. ნუსხა ამ თავის დასაწყისში) საკმაოდ ფორმალურად ჟღერს., რამდენადაც საცხოვრისის ხარისხის გამოვლენის ეს „სტრუქტურულ-იერარქიული დონე“ ქალაქთმშენებლურ-არქიტექტურულ თუ საყოფაცხოვრებო ასპექტში საყოველთაოდ გათვითცნობიერებული კატეგორიაა, რომლის შინაარსობრივი მოცულობა ცნებაზე „ბინა“ ნაკლები არ არის. ერთბინიანი სახლის შემთხვევაში, როდესაც ეს ორი ცნება ერთმანეთს ემთხვევა (ფიზიკურად), არავითარი შემეცნებითი პრობლემა არ არსებობს. მრავალბინიან სახლში კი ბინისა და სახლის ხარისხის მახასიათებლები პირობითად გამიჯნულია, თუმცა მათი (მახასიათებლების) ურთიერთ-

განპირობებულობა უშუალოა.

სახლის ძირითადი მაჩვენებლებია : ფასი, ბინების შემადგენლობა, ფართების განაწილება ბინებში, საერთო ფართი, განაშენიანების ფართობი, გეგმარებითი სტრუქტურა, სექციების შემადგენლობა, კონსტრუქციული სქემა, კონსტრუქციულ-გეგმარებითი პარამეტრები (მალი, ბიჯი), სამშენებლო მასალები, აშენების დრო, პირველი სართულის გადაწყვეტა, საზოგადოებრივი სათავსების შემადგენლობა, მდებარეობა სატრანსპორტო მაგისტრალის მიმართ, ორიენტაცია ქვეყნის მხარეების მიმართ, რელიეფის ქანობის მიმართ, ტექნიკური მდგომარეობა, არქიტექტურულ-მხატვრული სახე.

სამშენებლო ნორმებისა და წესებით რეგლამენტირებული სახანძრო დაცვის, საშიშროების შემთხვევაში მცხოვრებთა ევაკუაციის, კონსტრუქციების უსაფრთხოების (სიმტკიცე და მდგრადობა, სეისმორისკის გათვალისწინებით) მოთხოვნები, აგრეთვე აკუსტიკური და სითბური რეჟიმის კომფორტულობის საკითხი საცხოვრებელი სახლის დონეზე წყდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცენტრალიზებული გათბობის სისტემების მოშლას, რაც გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების საკითხს ისევ ინდივიდუალურ – ბინის დონეზე აბრუნებს).

3. 5. კონდომინიუმი

კონდომინიუმი დადგენილ საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის განუყოფელი ერთობლიობაა, რომლის ცალკეული ნაწილები (ბინები, ერთეულები) წარმოადგენს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ინდივიდუალურ საკუთრებას, ხოლო დანარჩენი ნაწილები — ამ პირთა საერთო წილად საკუთრებას. კონდომინიუმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მრავალბინიანი სახლი ეზოთი ან/და მისთვის დოკუმენტურად მიკუთვნებული (გამიჯნული) ტერიტორიით.

კონდომინიუმის ძირითადი ფუნქციაა თვითმმართველობის განხორციელება პირველად დონეზე, თუ მას მიეცემა უფლება მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი საბინაო ფონდის და მიკუთვნებული ტერიტორიის შენახვა-განვითარებისთვის აუცილებელი ხარჯების კონტროლის, საექსპლოატაციო და მომსახურეობის სამსახურების რჩევის საქმიანობაში.



კონდომინიუმის ძირითადი მაჩვენებლებია: სახლისა და მიკუთვნებული ტერიტორიის პარამეტრები, საბინაო ფონდი, ბინების შემადგენლობა, მობინადრეთა რიცხვი, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები ჩვენში მასობრივად არ ყალიბდება, რაც საბინაო ფონდის სათანადო მენეჯმენტს მეტად აფერხებს. შედეგად, საცხოვრისის ტექნიკური და ესთეტიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მისი სამომხმარებლო ღირებულება კი ეცემა. ამდენად, მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების არსებობა-არარსებობა გარკვეულ გავლენას ახდენს საცხოვრისის შეფასებაზე.

3. 6. უბანი

უბანი ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის სტრუქტურულ-ტერიტორიული ერთეულია, რომელიც სოციალურ-კულტურულ და არქიტექტურულ-გეგმარებითი მახასიათებლების განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს. უბნის დონეზე ხდება პიროვნების სოციალიზაცია და ურბანული გარემოს გათავისება. შეიძლება ჩაითვალოს, რომ უბანი ქალაქში არის სამოსახლო ტერიტორიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ სახლებს და მომსახურების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს.

უბნის ძირითადი მახასიათებელია: მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობა, ტერიტორი-



სურ. 5 ქ. თბილისის უბნების რანჟირება პრესტიჟულობის ნიშნით
 ა. უძრავი ქონების აგენტების თვალსაზრისით
 ბ. ურბან-სოციოლოგიური კვლევის შედეგები

ის ფართობი, საცხოვრებლით უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, ეკოლოგიური პირობები, მდებარეობა და სახლებული ადგილის სივრცეში.

ტოტალიტალურმა რეჟიმმა ერთმანეთს მოწყვიტა ქალაქის მატერიალური და სოციალური კომპონენტები; ქალაქური ურთიერთობების ტრადიციებისა და ჩამოყალიბებული ეთიკის კოდექსის მატარებელი ქალაქელები უსახურ მოსახლეობად შეცვალა. შედეგად, უბნის ფენომენი დაკნინდა, განსაკუთრებით ახალ პერიფერიულ მასივებში. თბილისის პირობებში, უბნის ფენომენის დაქვეითების ფონზეც კი, ძველი უბნები დღესაც გამოირჩევა ადამიანური მასშტაბით, ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცეების არსებობით, მაცხოვრებლის სოლიდარობით, ურთიერთგატანით გარემოსთან ორგანული კავშირით. საცხოვრისის მყიდველთა გარკვეული კატეგორიისთვის ეს მახასიათებლები მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.


უბნის შეფასების კრიტერიუმია: საზოგადოების მიერ მისი ტერიტორიის არაფორმალური კონტროლი, „პრესტიჟულობა“.

3. 7. ადმინისტრაციული რაიონი

ქალაქის ადმინისტრაციული დარაიონების ძირითადი დანიშნულებაა მმართველობის განხორციელება შესაბამის დონეზე. ადმინისტრაციული რაიონის ძირითადი მახასიათებლებია: ტერიტორიის ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, საბინაო ფონდი, მოსახლეობის სიმჭიდროვე, -მცხ/ჰა, საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე - მ²/ჰა, საშუალო სართულიანობა, განაშენიანების სიმჭიდროვე - %, ტერიტორიული ბალანსი (საცხოვრებელი ტერიტორია, საზოგადოებრივი დაწესებულების ნაკვეთები, საერთო დანიშნულების გამწვანება, ქუჩები, მოედნები, ავტოსადგომები).

თბილისის რეალობა გვიჩვენებს, რომ, რაიონების გამსხვილების ნაცვლად, შედეგის მომტანი იქნებოდა სწორედ საწინააღმდეგო გზა — თვითმმართველი ერთეულების გამსხვილება, მათი თანხვედრა თბილისისათვის ტრადიციულ, ბუნებრივ სოციალურ-ტერიტორიულ წარმონაქმნებთან — უბნებთან. ეს გზა არა მარტო ასახავდა სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპს — ხელისუფლების მაქსიმალურ მიახლოებას მოქალაქეებთან, არამედ გამოხატავდა თვით ამ მოსახლეობის ნებას, რასაც მონაწილეს თბილისელთა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები.

ადმინისტრაციული რაიონის შეფასების კრიტერიუმები ცხადად ჩამოყალიბებული არ არის.



სურ. 6 თბილისის ადმინისტრაციული რაიონები

3. 8. ქალაქი

ქალაქის ძირითადი დანიშნულებაა ნორმალური საცხოვრებელი პირობებით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დასაქმების, სოციალურ-კულტურული მომსახურების უზრუნველყოფა.

ქალაქის ძირითადი მახასიათებლებია: ადგილი განსახლების სისტემაში, მოსახლეობის რაოდენობა, საბინაო პირობები, ეკონომიკური პოტენციალი, ეკოლოგიური პირობები.

თბილისის ადგილი საქართველოს განსახლების სისტემაში და თვით ეს სისტემა განსახილველია ორ ასპექტში — ურბანიზაციის უნივერსალური კანონზომიერებები და თბილისის სპეციფიკური როლი. ურბანიზაციის პროცესში გამოიყოფა 2 ფაზა — პირველ ფაზაში საზოგადოების პოტენციალი (მოსახლეობა, მრეწველობა, კულტურა და ა.შ.) ცალსახად მიილტვის ურბანული ცენტრისკენ; მეორეში იწყება ამ პოტენციალის ცენტრიდანული გავრცელება.

თბილისი ტიპოლოგიურად დღეს შეიძლება დახასიათდეს, როგორც ვარსკვლავისებრი ქალაქი, განვითარების ხაზოვანი პრიორიტეტით მდინარე მტკვრის გასწვრივ.

მომავალში, ქალაქგანვითარების საზოგადოდ აღიარებული ინტენსიური პრინციპები დედაქალაქს გააკეთებინებს ურბანული განვითარების კიდევ ერთ ზიგზაგისებურ „სვლას“ — ამჯერად თბილისის ქვაბულის ჩრდილოეთის ამფითეატრისაკენ, ლოტკინის გორიდან ვიდრე ელიამდე. ამ სარეკონსტრუქციო ზონას გარკვეული, ჯერ გაუცნობიერებელი და აუმოქმედებელი უპირატესობები გააჩნია — საუკეთესო (სამხრეთის) ექსპოზიცია, ზომიერად დამრეცი რელიეფი, კომფორტული მიკროკლიმატი, ისტორიული თბილისის თვალწარმტაცი ხედი, ჩამოყალიბებულ ინფრასტრუქტურასთან სიახლოვე და ა.შ.

რაც შეეხება თავად თბილისს, იგი იყო და რჩება საქართველოს ფარგლებში განსახლების სისტემის წამყვანი, გარკვეულწილად ჰიპერ-ტროფირებული ელემენტი.

თბილისის ტერიტორიის ბალანსი, 2000 წლის მონაცემებით, ასე გამოიყურება: ქალაქი დამტკიცებულ საზღვრებში 34 650 ჰექტარს შეადგენს, რომლის 26.2% ანუ 9098.0 ჰა წარმოადგენს სამოსახლო ტერიტორიას და 73.8% ანუ 25.552,0 ჰექტარი — არასამოსახლო ტერიტორიას. სამოსახლო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი — 5050 ჰა დაკავებული აქვს საცხოვრებელ მიკრორაიონებსა და კვარტალებს. არასამოსახლო ტერიტორიის 21.9% და მთელი ტერიტორიის 16.1% უკავია სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, რომელთა დიდი ნაწილი ბოლო წლებში გაიცა სააგარაკო ნაკვეთებად.

საცხოვრებელი ფუნქციები რჩება ქალაქის ძირითად, იმანენტურ ფუნქციებად. თბილისის საცხოვრისის პრობლემატიკის განხილვა აუცილებელია სისტემურად, მთელი ქვეყნის ფონზე. საქმე ისაა, რომ საქართველო ხასიათდება საბინაო ფონდის საერთო მაღალი მაჩვენებლით – მოსახლეობის 66% საკუთარ სახლში ცხოვრობს, ადამიანთა დიდი უმრავლესობა საკუთარ ბინებში; პრივატიზებულია ბინების $\frac{1}{10}$; კომუნალური ბინების რაოდენობა უმნიშვნელოა. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე 20 მ² საერთო ფართი მოდის. ამ, თითქოსდა სასიკეთო ფონზე, მთავარი პრობლემაა ქვეყნის განსახლების სიტუა-ში მოსახლეობის განაწილების და საბინაო ფონდის ტერიტორიული დისპროპორცია, რაც მძიმე ტვირთად აწევს თბილისს. შიდანაცონალური მიგრაციის ცენტრისკენული ნაკადი (დედაქალაქში თავმოყრილია ქვეყნის მოსახლეობის მესამედი) დღითიდღე ამწვავებს თბილისის საბინაო პრობლემატიკას.

თბილისის დადებითი მხარეები:

აღვლემდებარეობა „ჩრდილო-სამხრეთსა“ და „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ გეოსტრატეგიული ღერძების გადაკეთაზე;

კავკასიაში ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის ისტორიული როლი;

კულტუროლოგიური უპირატესობა მრავალეთნიკრობა, მრავალკონფესიორობა; მემობელი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის კერა;

სამხრეთ კავკასიაში ორ მემობელ, კონული-ტვი მყოფ ქვეყანას შორის მედიატორობა; ზომიერი კლიმატი, ნატურალური პროდუქტები და სხვა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები;

ეკონომიკური ლიბერალიზმი და მასშედის თავისუფლება;

თბილისის უარყოფითი მხარეები:

ტოტალური კორუფცია;

ეკონომიკური სტაგნაცია და ურბანული სიღარიბის მწვავე ფორმები;

კრიმინოგენული სიტუაცია;

დაბალი საინვესტიციო რეიტინგი;

მოსახლეობის კანონდაუმორჩილებლობა;


ურბანული გარემოს დაბალი სტანდარტები;

ეკოლოგიური პრობლემები და ა.შ.


თბილისის ტერიტოროიაზე ფიქსირებულია 20-მდე მენყერული უბანი და 20 კმ-ზე მეტი საერთო სიგრძის გრავიტაციული პროცესებით დაზიანებული ფერდობები (ყოფილი აღმამენებლის ქუჩა, მამა დაეთის მთის ძირი, მუხათგვერდის ფერდობები და სხვა).

თბილისში შენობა-ნაგებობების დეფორმაციების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია მიწისქვეშა სველი კომუნიკაციებიდან (წყალსადენი, კანალიზაცია) გაფონვებით, ზემო სამგორის საირიგაციო სისტემიდან გაძლიერებული ინფილტრაციით, მტკვერის სანაპირო ზოლის საყრდენი კედლის, ბუნებრივი დრენების (მთანმინდა) შევსების, ორთაჭალჰესის ჰიდროკვანძის ექსპლუატაციით წარმოქმნილი შეტბორვები, რომელთა რაოდენობა დღეისათვის ქალაქის 11 უბანზეა დაფიქ-

სირებული (კრწანისის, სამგორის, ისნის, ნაძალადევის, გლდანისა და საბურთალოს რაიონებში). თბილისის ტერიტორიაზე ფიქსირებულია 20-მდე მენყერული უბანი და 20 კმ-ზე მეტი საერთო სიგრძის გრავიტაციული პროცესებით დაზიანებული ფერდობები (ყოფილი დავით აღმაშენებლის ქუჩა, მამა დავითის მთის ძირი, მუხათგვერდის ფერდობები, ლოტკინის მთა და სხვა). თბილისში შენობა-ნაგებობების დეფორმაციების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია წყალსადენ-კანალიზაციის ქსელიდან გაჟონვები, ზემო სამგორის საირიგაციო სისტემიდან გაძლიერებული ინფილტრაციით, მტკვრის სანაპირო ზოლის საყრდენი კედლის, ბუნებრივი დრენების (მთანმინდა) ამოქოლების, ორთაჭალქვისის ჰიდროკვანძის ექსპლუატაციით წარმოქმნილი შეტბორვები, რომელთა მოქმედება დღეისათვის ქალაქის 11 უბანშია დაფიქსირებული (კრწანისის, სამგორის, ისნის, ნაძალადევის, გლდანისა და საბურთალოს ყოფილ რაიონებში).



სურ. 7 ქალაქგეგმების სისტემური მოდელი



თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარების თავისებურებანი

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარების და განაშენიანების თავისებურებებს, წარმოადგენს სპეციფიკური ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ამ ფაქტორებს

შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რთულ და კონტრასტულ რელიეფს, ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ნათლად გამოხატული ვერტიკალური ზონალობას — განსაკუთრებულ მრავალფეროვან კლიმატის ტიპების განმსაზღვრელს.

საგარეუბნო ზონის რელიეფური პირობები ზღუდავენ სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდს, რაც იწვევს კულტურების მცირე მოსავლიანობას და მეურნეობის დაბალ შემოსავლიანობას. ზედა ზონებში დასერილი რელიეფი, მკაცრი კლიმატური პირობები, შეზღუდული შრომითი რესურსები და რთული სატრანსპორტო კავშირები აფერხებენ მრეწველობის განვითარებას. ამავე დროს, საგარეუბნო ზონის დიდი ნაწილის მაღალი გიფსომეტრიული მდებარეობა, თვალწარმტაცი ლანდშაფტებით, სამკურნალო ფაქტორებით და მატერიალური კულტურის ძეგლებით, ქმნიან შესაძლებლობებს განვითარდეს საკურორტო მეურნეობის და ტურიზმის არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის ქსელი.



საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდე საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანების დროს მის სპეციფიკურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. არსებულ ნორმატიულ დოკუმენტებში არ არის გამოვლენილი ამ პირობების თავისებურებები, რომლებიც თხოულობენ კონკრეტულ გათვალისწინებას ნორმირებაში. ამის გამო აქტუალურია საგარეუბნო ზონის ბუნებრივ-

კლიმატური პირობების სპეციფიკის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდეს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ზონის დაგეგმარებაზე და განაშენიანებაზე.

მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები და მათი კომპლექსური ურთიერთკავშირი, რომელიც ქმნის გარემოს სხვადასხვა პირობებს, განსაზღვრავს ტერიტორიების არჩევას მისი გამოყენების თვალსაზრისით, ახდენს პირდაპირ გავლენას საგარეუბნო ზონის ორგანიზაციაზე და მის დაგეგმარებით სქემაზე, დაკავშირებულს ძლიერ ქარზე, ჰაერის სინოტივზე, რადიაციის ინტენსივობაზე და ა.შ. ამის გამო საჭირო ხდება საგარეუბნო ზონის სამშენებლო-კლიმატური მიკროორაიონირება, რაც ამ ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი წინაპირობაა. ცალკეული მიკროორაიონების გამოყოფა მოგვცემს კლიმატური ფაქტორების შეცვლის სურათს, რაც გამოიწვევს არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მოთხოვნილებების ხარისხობრივ შეცვლას. მიკროორაიონების საზღვრებს ადგენს ივლისის 21-ე იზოთერმა. ჰაერის სინოტივე, რადიაცია და ქარის რეჟიმი მხედველობაში მიიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონაში გამოყოფილია ვერტიკალური კლიმატური მიკროორაიონები: ცხელი (IVა1, და IVა2 ქვეორაიონებით), რომელიც მოიცავს ქვემო და შიგა ქართლის ზღვის დონიდან 700-800 მეტრის სიმაღლემდე მდებარე ვაკე ტერიტორიებს და თბილი IVბ (რომელიც მოიცავს კავკასიონის ქედის და სამხრეთ მთიანეთის ფერდობებს ზღვის დონიდან 700-800 მეტრიდან 1700 მეტრამდე). სურ. 1.

ცხელი მიკროორაიონი ხასიათდება ნორმალური სინოტივის ცხელი ზაფხულით. აქ გასათვალისწინებელია დაგეგმარების ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებენ ჰაერის გადახურებას, რისთვისაც აქტუალურია საპროექტო ტერიტორიების გამჭოლი განიავება და მომატებული მზის რადიაციის განეიტრალება. ამისათვის საჭიროა ქუჩებისა და გზების ოპტიმალური მიმართულებების შერჩევა, მომსახურების რადიუსების შემცირება, გამწვანების პროცენტის



სურ. 1.

A -- ქ. თბილისის საგარეუბნო ზონაში კურორტებისა და დასვენების ადგილების განლაგება

- კურორტები და საკურორტო ადგილები:
- ხანმოკლე დასვენების ადგილები.

▨ ტერიტორიები, განლაგებული ზ. დ. 700–800 მ. ზევით

B -- საგარეუბნო ზონის სამშენებლო-კლიმატური მიკრორაიონირება.

ამაღლება. ამ მიკრორაიონის შედარებით წყნარი რელიეფი ხელს უწყობს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ცხელი მიკრორაიონის თავისებურებანი, რომლებიც ხასიათდება ქალაქის მახლობლად ტყეებისა, ტყე-პარკებისა და წყლის აკვატორიების არსებობით, აქტუალურს ხდის ქალაქგარე ხანმოკლე ახლო და შორი ზონების ორგანიზაციას, სადაც თავისუფალ დროს მოსახლეობას საშუალება ექნებათ დაისვენონ კეთილმოწყობილ ბუნებრივ-ლანდშაფტურ გარემოში.

თბილი მიკრორაიონი - IVბ ხასიათდება ნორმალური სინოტივის თბილი ზაფხულით. აქ ჰაერის გადახურებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება ნაკლებად აქტუალურია. სამაგიეროდ ზამთრის თვეების გათვალისწინებით საჭირო ხდება დაგეგმარებითი ღონისძიებების ჩატარება გადამეტცივებასთან. ამისათვის მნიშვნელოვანია განაშენიანებისათვის ისეთი ხელსაყრელი ტერიტორიების შერჩევა, რომლებიც ინტენსიურად ინსოლირდება (სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის), დაგეგმარებითი სქემის გადანყვეტა ქარსანიანაღმდეგო მწვანე ნარგავების სისტემის გამოყენებით და მშენებლობის მაღალი სიმჭიდროვის დაშვებით.

თბილი მიკრორაიონისათვის დამახასიათებელი დასერილი რელიეფი და დამრეცი მიწის ნაკვეთები ქმნიან დამატებით სიძნელეებს დაპროექტებისა და მშენებლობის დროს. ამ პირობებში საჭიროა რაციონალური არქიტექტურული გეგმარებითი გადანყვეტები რთული რელიეფის გათვალისწინებით, მომსახურე დანესებულებებთან რადიუსების შემცირება და ა.შ.

IVბ მიკრორაიონის თავისებურებანი, რომელიც ხასიათდება კომფორტული, ან კომფორტულთან ახლოს ზაფხულისა და ზამთრის პირობებით, ქმნიან წინაპირობებს საკურორტო მკურნალობის და მასობრივი ხანმოკლე და ხანგრძლივი დასვენების ზონების ორგანიზაციისათვის, რასაც ხელს უწყობს უნიკალური მინერალური სამკურნალო წყლების არსებობა და თვალწარმტაცი ლანდშაფტები.

ამგვარად, ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის სპეციფიკურ პირობებში ცალკეული ტერიტორიების მიკროკლიმატური თავისებურებების გამოვლენას და მათ გათვალისწინებას დაგეგმარებასა და განაშენიანებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის ერთერთი თავისებურებაა, ის რომ მის ტერიტორიაზე ხშირია ბუნების სტიქიური მოვლენები, რომლისგანაც დაცვა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება ქალაქთმშენებლობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწისძვრები, წყალდიდობები, ღვარცოფები, მენყერები, ზვავები და ანტროპოგენული ეროზიული პროცესები, თავისი დამანგრეველი პროცესებით კატასტროფულად აზიანებენ საგარეუბნო ზონის ტერიტორიას და ადმიანის მიერ შექმნილ ინფრასტრუქტურას. აღნიშნული მოვლენები უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ საცხოვრებელი გარემოს ფუნქციონირების მრავალგვარ ფაქტორებზე, ბუნების თვითრეგულირების პროცესებზე, თვალწარმატებულ ლანდშაფტების მხატვრულ-ესთეტიკურ იერსახის ჩამოყალიბებაზე, რაც ინვესს მონახლეობის მორალური და მატერიალური ღირებულებების კრიზისს.

სტიქიურ უბედურებათა შორის მიწისძვრები ყველაზე მრისხანე და მსხვერპლიანია. მისგან მიყენებული ზარალი ეპიცენტრის გარდავრცელდება ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, სადაც განთავსებულია დასახლებული ადგილები, შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. ამ პირობების გამო საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანებისათვის საჭიროა მისი ტერიტორიის შესწავლა სხვადასხვა სეისმიური რაიონების გამოსავლენად და ამის საფუძველზე მთლიანი ზონის სეისმიური მიკრორაიონირების რუკის შედგენა.

აქ დასადგენია სეისმიურობასთან მიმართებაში ხელსაყრელი (გამოუფიქრავი კლდოვანი ფენები, მკვრივი და ნაკლებად ნოტიო ნიადაგები) და არახელსაყრელი (ძლიერ დასერილი რელიეფი, ციცაბო ნაპირე-

ბი, ხრამები, მთის ხეობები) მიწის ნაკვეთები. ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდება მომატებული სეისმიურობით (8 ბალის ზევით), აგრეთვე ფხვიერი ნიადაგებით და მათში წყლის მაღალი დონის არსებობით, უნდა გამოიყენებოდეს დაბალსართულიანი განაშენიანებისათვის, გამწვანებისა და ღია სივრცეების ორგანიზაციისათვის. ზოგიერთ შემთხვევებში, მაგალითად, ხელსაყრელ ლანდშაფტურ პირობებში, მაგრამ სეისმიურად აქტიურ ტერიტორიებზე, დასაშვებია მშენებლობის წარმოება, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია სპეციალური ღონისძიებების ჩატარება მშენებლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სხვადასხვა რაიონების სეისმიური თავისებურებების გამოვლენას და დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ საგარეუბნო ზონის დაგეგმარების პროექტის დამუშავების დროს სეისმიური მიკრორაიონირების რუკის შედგენა უნდა იყოს ჩართული სავალდებულო საპროექტო სამუშაოების შემადგენლობაში. ეს საშუალებას მოგვცემს წარმოვანიზით საგარეუბნო ზონის ტერიტორიის თავისებურებები, რომლებიც სეისმიური მოვლენების სურათს წარმოადგენს. ამგვარად სეისმიური მიკრორაიონირების რუკაზე გამოვლენილი ცალკეული ტერიტორიების ბუნებრივი სეისმიური პირობები განსაზღვრავენ სპეციფიკურ სამშენებლო მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულო იქნება საგარეუბნო ზონის ტერიტორიის ორგანიზაციისა და ცალკეული ობიექტების დაგეგმარების და განაშენიანების დროს.

საგარეუბნო ზონის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მდინარეებისათვის (მტკვარი, არაგვი და მათი შენაკადები) დამახასიათებელია წყალდიდობები, რომლებიც იწვევენ ნაპირების ჩამორეცხვას, დასახლებული ადგილების განაშენიანების და სასოფლო-სამეურნეო მიწების დატბორვას, ცალკეული ნაგებობების და გზების დაზიანებას. ეს მოვლენები განაპირობებენ სპეციალური წყალდამცავი საინჟინრო ღონისძიებების ჩატარებას: საყრდენი კედლებისა და დამბების მშენებლობას, წყლის განმტვირთავი და მარეგულირებელი წყალსაცავების მოწყობას და ა. შ. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება, გარ-

დაწყალდიდობით გამოწვეული დამანგრეველი შედეგების ლიკვიდაცი-
ისა, უზრუნველყოფენ საგარეუბნო ზონის მხატვრულ-ესთეტიკურ იერ-
სახის გაუმჯობესებას და მისი ტერიტორიის კეთლიმიწყობას. საგარ-
ეუბნო ზონის პროექტში ჩამოყალიბებული უნდა იყოს სპეციალური
ლონისძიებები წყალდიდობის მოვლენათა ნეიტრალიზაციისათვის,
რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილობრივ პირობებს
გაითვალისწინებენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისი და მისი საგარეუბნო ზონა
თითქმის ყოველი მხრიდან შემოფარგლულია მთიანი ფერდობებით, აქ
მოსული ძლიერი წვიმების შედეგად წარმოიქმნება ღვარცოფები, რომ-
ლებიც დამანგრეველი სიჩქარით, ვინრო ხეობებით ეშვება დაბლობისა-
ენ და აზიანებს დასახლებულ ადგილებს და სასოფლო-სამეურნეო სა-
ვარგულებს, შენობებს და ნაგებობებს, აფუჭებს გზებს და ყველაფერს,
რაც მის ჩამონადენს ელოდება. ხშირად ღვარცოფები იწირავენ ადამი-
ანის სიცოცხლეს, დიდ ზარალს აყენებენ მოსახლეობას და სახალხო
მეურნეობის დარგების განვითარებას. საგარეუბნო ზონის დაგეგმარე-
ბისას მიზანშეწონილია, სპეციალური შესწავლის საფიძველზე,
ღვარცოფების წარმოქმნის ადგილების გამოვლენა და მათი უარყოფი-
თი მოვლენების განეიტრალება საინჟინრო და არქიტექტურულ-გეგ-
მარებითი ღონისძიებების ჩატარებით. იმის გათვალისწინებით, რომ
ღვარცოფები ძირითადად ერთსა და იმავე ადგილებზე წარმოიშვება,
საჭირო ხდება ამ ადგილების გამწვანება, ფერდობების დატერასება,
გზებთან გზაგამტარი გვირაბების მოწყობა და ა. შ.

საგარეუბნო ზონის მთიანი ლანდშაფტების თავისებურებებიდან
აღსანიშნავია მინის მენყერული ეროზიები, თოვლის ზვავები, რომ-
ლებიც იწვევენ შენობა-ნაგებობების ნგრევას, სასოფლო-სამეურნეო
სავარგულების ჩამორეცხვას, ტყეების დაზიანებას, ადამიანთა მსხვერ-
პლს. ზვავებისა და მენყერების დესტრუქციულ შედეგებს ხშირად
ბუნების გარემოზე გაუაზრებელი ანტროპოგენული დატვირთვებიც
იწვევენ. მაგალითად, მდინარე არაგვის ლანდშაფტური ეკოსისტემის

ფორმირების კვლევა-ძიებამ, რომელიც ჩაატარა ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შესწავლის სამეცნიერო ცენტრმა, გამოავლინა, რომ ჟინვალის წყალსაცავმა მკვეთრად შეცვალა მისი მიდამოების ეკოლოგიური მდგომარეობა: გაიზარდა ზევესაშიში პირობები, მენყერიანობა, რომლებმაც ბევრი უბედურობა მოუტანა მთიულეთ-გუდამაყრის და ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას.

ამრიგად ქ. თბილისის შემოგარენის ტერიტორიებზე აღნიშნული სტიქიური მოვლენები იწვევენ რთულ და აუცილებელ ბუნებადამცველ ღონისძიებების ჩატარებას, რაც ქალაქმშენებლობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს და ქალაქის საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანებისას უნდა იყოს გათვალისწინებული.

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონაში მნიშვნელოვანია ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნება, გაუმჯობესება და ხშირ შემთხვევაში ახალი მიმზიდველი ლანდშაფტის შექმნა. ამისათვის საჭიროა იმ ტერიტორიების სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა, უნიკალური რაიონებისა და ოაზისების დადგენით, სადაც ლანდშაფტები თავისი ბუნებრივი პირობებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მხატვრულ-ესთეტიკური და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო გარემოს ჩამოყალიბებაში.

ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვისათვის მეტად აქტუალურია მისი თვითრეგულირების პროცესის შენარჩუნების ღონისძიებების განხორციელება, რაც უპირველესად, საგარეუბნო ზონის ეკონომიკური განვითარებისას მასზე სხვადასხვა ანტროპოგენული უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არქიტექტურის დოქტორის ვ. აფციაურის მოსაზრება: რომ "თანამედროვე გართულებული ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს ბიოლოგიურ-ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური და ესთეტიკური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა უნდა მოხდეს ერთიანი „ლანდშაფტური (არქიტექტურულ-დაგეგმარებითი) ეკოსისტემის" ფარგლებში, რაც შედარებით

მარტივად და სწორად წარმოაჩენს ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობას, მისი რესურსების გამოყენების ოპტიმალურ ტენდენციებს, სახალხო მეურნეობის დარგების და ურბანისტული სისტემის განვითარების მიზანშეწონილ მიმართულებას და საბოლოო ჯამში ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზებს".¹

აღნიშნული მოსაზრება განსაზღვრავს ბიოლოგიური სტრუქტურის, მატერიალური კულტურისა და სოციალური მდგომარეობის საფუძველს, რაც მოსახლეობის ოპტიმალური საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად ძირითადი ქალაქმშენებლობითი პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა რეკომენდირებულია ლანდშაფტური ეკოსისტემის ბუნებრივი რესურსების ფონდის ინვენტარიზაცია და „ლანდშაფტების კადასტრის“ შედგენა, შემდგომ კი „ლანდშაფტების ეკოლოგიური მონიტორინგის“ ჩატარება.

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარების ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქალაქის საჰაერო სივრცის გაჯანსაღებისათვის კომპლექსური ღონისძიებების დადგენა ზაფხულის მძიმე კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით.

ჰაერის გაბინძურება და მისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუარესება ურბანიზაციის შეუქცევადი პროცესებით არის გამოწვეული: სატრანსპორტო საშუალებების მოზღვავებით, გზების, ქუჩების და მოედნების ხელოვნური საფარის გადახურებით, განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდით, მწვანე ნარგავების სიმცირით. ქალაქის განვითარება მთის ფერდობებს შორის ქმნის დამატებით სიძნელეებს ჰაერის ინტენსიურად განიავებისა და გაუმჯობესებისათვის.

საჰაერო აუზის გამტვერიანების ძლიერ წყაროს წარმოადგენს გაუმწვანებელი მთის ფერდობები, საიდანაც წლის ცხელ პერიოდში, კოკისპირული წვიმების დროს, გატიტვლებული ნიადაგის ფენებიდან

¹ სტიქიური მოვლენები (მეთოდური სპექტრი). გამ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 1994წ.

ლაფი ჩამოედინება საცხოვრებელ ტერიტორიებზე, წვიმის შემდეგ კი მტვრად ქცეულ ლაფს ქარი ავრცელებს ქალაქში და აბინძურებს ჰაერს.

ქალაქისა და საგარეუბნო ზონის საჰაერო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისის გარშემო მწვანე ზონის შექმნას გამწვანებული ტერიტორიების დიდი მასივებით, უპირატესად ტყე-პარკების დამცველი სარტყელის ორგანიზაციით, რომლის სიდიდე და ხასიათი განისაზღვრება კონკრეტული ბუნებრივი პირობით. ტყე-პარკების დამცველი სარტყელის შექმნა დაკავშირებულია ვერტიკალურ ზონირებასთან. ზედა ზონებში (ზღვის დონიდან 700-800 მეტრზე ზევით) შესაძლებელია დიდი სივრცის (სივანის) ტყე-პარკების შექმნა. ქვედა ზონებში კი, მწვანე სარტყელში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწების გამწვანებული ტერიტორიების ჩართვაა მიზანშეწონილი. ამ პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე მწვანე სარტყელში მიზანშეწონილია ჩართული იყოს ლისის და კუს ტბის თბილისის ზღვის მიდამოები წყნეთის და კიკეთის საკურორტო ადგილები, საგურამოს ნაკრძალის და მამკოდას ტყე-პარკის ტერიტორიები და ა.შ. მეტად მნიშვნელოვანია თბილისის გარშემო ისე მოხდეს ტყე-პარკების ორგანიზება, რომ ქალაქისა და ქალაქგარე გამწვანებული ტერიტორიების ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდეს. ცხადია მწვანე სარტყელი არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი გამწვანებული ტერიტორია, თუმცა იგი უნდა ჭარბობდეს ღია და თავისუფალ სივრცეებს.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული თბილისის საგარეუბნო ზონა ხასიათდება ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური, ბალნეოლოგიური და ტურისტული რესურსებით საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ორგანიზაციისათვის. მათი დაგეგმარების თავისებურებების გათვალისწინება დაკავშირებულია ქალაქთმშენებლობის ყველა კომპონენტის ერთობლივ ხარისხობრივ განხილვასთან: ურბანიზმი (დამსვენებელთა განთავსება და მომსახურება), სისტემაშექმნილი კავშირები (დამსვენე-

ბელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მიზიდულობა) და ტექნიკური საშუალებები (საინჟინრო ნაგებობები და ქსელის სისტემები). მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ქალაქთმშენებლობის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია, ერთის მხრივ, დამსვენებელთა ინტეგრაციის პროცესები და მათი სხვადასხვაგვარი განვითარების ფორმირება და მეორეს მხრივ, კურორტებისა და დასასვენებელი ადგილების შენარჩუნება, როგორც ავტონომიური ერთეულები, მათი ტერიტორიების ფუნქციური ორგანიზაციით. სურ. 1,2


საგარეუბნო ზონის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს მის ტერიტორიაზე ხანმოკლე და ხანგრძლივი საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ორგანიზაციას იმ ბუნებრივი რესურსების ათვისებით, რომლებიც ახლოსაა ქალაქთან (20-30კმ.) და მოსახლეობისათვის მოსახერხებელ ადგილებშია განთავსებული, თუმცა ზოგ შემთხვევაში ქალაქიდან დაშორებული (100-120კმ.) უნიკალური ბუნებრივი რესურსებიც შესაძლებელია აქტიურად იყოს გამოყენებული მოსახლეობის მასობრივი დასვენებისათვის.

მომავალში დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობის მოსალოდნელი მკვეთრი გაზრდის გამო საჭირო ხდება გარემოს და ბუნების დაცვის ახალი ფორმების გამონახვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგარეუბნო ტერიტორიებზე არსებული და პერსპექტიული საკურორტო-რეკრეაციული რაიონების განვითარებას და განთავსებას, რომელთა სტაბილური საზღვრები უზრუნველყოფენ შემუშავებული ქალაქგეგმარებითი ღონისძიებების მდგრადობას. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია საგარეუბნო ზონაში დროულად დაიჯავშნოს ტერიტორიები პერსპექტიული საკურორტო-რეკრეაციული რაიონების განთავსებისათვის, რაც გარემოს რაციონალური გამოყენების და ბუნების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს.

თბილისის საგარეუბნო ზონის კომპლექსური დაგეგმარების საერთო პრობლემების გადაწყვეტის დროს გასათვალისწინებელია მოსახ-



A



B

სურ. 2.

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონაში:

A -- საკურორტო-რეკრეაციული რაიონების განთავსება;

B -- საკურორტო-რეკრეაციული რაიონებთან სატრანსპორტო კავშირების პრინციპული სქემა;

— — საგარეუბნო ზონის საზღვარი

○ — საკურორტო-რეკრეაციული რაიონები

ლეობის ოპტიმალური განსახლების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სატრანსპორტო სისტემის განვითარების თავისებურებები.

საგარეუბნო ზონის ფარგლებში მოსახლეობა ძირითადად კონცენტრირებულია ქვედა ადგილებში. სიმაღლის მომატებასთან ერთად მათი რაოდენობა მცირდება, რაც გამოწვეულია რთული რელიეფური პირობებით, სამეურნეო მოღვაწეობის შეზღუდული შესაძლებლობებით, მინათა უზრუნველყოფილების დაბალი დონით. ამიტომ საგარეუბნო ზონის დაგეგმარების სპეციფიკა მდგომარეობს მთის ტერიტორიების რაციონალურ გამოყენებაში მთის რაიონების მოსახლეობის შრომითი დასაქმების საკითხის მოგვარებაში, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მიწების ფონდის გაზრდაში, მრეწველობის განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების გამოვლენაში და განსაკუთრებით საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ორგანიზაციაში.

თბილისის გარეუბნების სოფლის მეურნეობის განვითარებას განაპირობებენ მათი ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვაგვარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, ოღონდ სახნავ-სათესი მიწების სიმცირე და მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებების გამო თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა არასაკმარისად მარაგდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამის გამო საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ერთის მხრივ, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების გაფართოება, მეორეს მხრივ კი – მოსავლიანობის გადიდება, რაც მელიორაციის ფართო გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

საგარეუბნო ზონის რთული რელიეფის სპეციფიკა განაპირობებს მოსახლეობის გადაადგილებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა არჩევისა და განვითარების თავისებურებებს. მთის რელიეფი ართულებს ცალკეულ პუნქტებს შორის კავშირის ორგანიზაციას. ექვემდებარება რა ადგილების ტოპოგრაფიას, მაგისტრალები მნიშვნელოვნად გრძელდება, არარენტაბელური ხდება რკინიგზების განვითარება, რის გამოც სავტომობილო ტრანსპორტი თამაშობს გადა-


მწყვეტ როლს და დარჩება მომავალში ძირითად საშუალებად საგარეუბნო კავშირების დასამყარებლად, ამავე დროს შრომითი გადაადგილებისათვის და მასობრივი დასვენების ადგილებთან მისასვლელად – შესაძლებელია წარმატებულად იყოს გამოყენებული საჰაერო-საბაგირო გზები და შვეულმფრენები.

ამგვარად, ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანების დროს საერთო მოთხოვნების გარდა საჭიროა ცალკეული ტერიტორიების თავისებურებების გამოვლენა, რაც განაპირობებს დამატებითი სამეცნიერო და საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების ჩატარებას. ამისათვის მიზანშეწონილია:

- საგარეუბნო ზონის სამშენებლო-კლიმატური მიკრორაიონირება, ცალკეული მიკრორაიონების გამოყოფით, რომელთა ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები განსაზღვრავენ მათი ტერიტორიების ორგანიზაციის, განაშენიანების და დაგეგმარების თავისებურებებს;
- - საგარეუბნო ზონის სეისმიური მიკრორაიონირების რუკის შედგენა, ცალკეულ ტერიტორიებზე სეისმიური მოვლენების გამოვლენით, რომლებიც განსაზღვრავენ სპეციფიკურ არქიტექტურულ-სამშენებლო მოთხოვნებს;
- თბილისის შემოგარენის ტერიტორიებზე ბუნებრივი სტიქიური მოვლენების (წყალდიდობები, ღვარცოფები, მენყერები, ზვავები და ანტროპოგენული ეროზიული პროცესები) შესწავლა და ბუნებადამცველი ღონისძიებების გამომუშავება, რომლებიც საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანებისას იქნება გათვალისწინებული;
- თბილისისა და მისი შემოგარენის საჰაერო სივრცის გაჯანსაღების ღონისძიებების გამოვლენა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის გარშემო მწვანე ზონის შექმნას, ტყე-პარკების დამცველი სარტყლის ორგანიზაციას, ქალაქისა და ქალაქგარე გამწვანებული ტერიტორიების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას;

- დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობის მოსალოდნელი მკვეთრი გაზრდის გამო ბუნების დაცვის ახალი ფორმების გამონახვა, პერსპექტიული საკურორტო-რეკრეაციული რაიონებისათვის ტერიტორიების დროული დაჯავშნა, რაც გარემოს რაციონალური გამოყენების და ბუნების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს;
- საგარეუბნო ზონაში უმდიდრესი ბუნებრივ-კლიმატური რესურსების გამოვლენა ქალაქგარე საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ფართო ქსელის შესაქმნელად საქართველოს კურორტების, მასობრივი დასვენების ზონების და ტურიზმის განვითარების საერთო სქემის საფუძველზე;
- სოფლის მეურნეობისათვის დამატებითი ტერიტორიების გამოვლენა და ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მრეწველობის ობიექტების რაციონალური განლაგება;
- საგარეუბნო ზონის მოსახლეობის ფართო ჩართვა შრომით დასაქმებაში – სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, საკურორტო-ტურისტულ მომსახურებაში და სხვ;
- მთის რელიეფის პირობებში სარკინიგზო და საავტომობილო გზების მაქსიმალური გამოყენება, საჰაერო-საბაგირო კავშირების მშენებლობა და შვეულმფრენი ტრანსპორტის ორგანიზაცია.

თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის ურბანული განვითარების ეკოლოგიური მითითებები



ქალაქმშენებლობის ბუნებრივ გარემოზე მოქმედმა გაუაზრებელმა ანთროპოგენურმა დატვირთვებმა: მშენებლობის სტიქიურმა განვითარებამ, ინდუსტრიალიზაციისა და ქიმიზაციის წარმართვამ, გარემოს გაბინძურებამ და საერთოდ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების უკონტროლო ტექნოლოგიურმა პროცესებმა გამოიწვია ეკოლოგიური წონასწორობის მოშლა: მისგან გამომდინარე ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, მოსახლეობის სულიერი აფორიაქება და ჯანმრთელობის გაუარესება.

ტექნოლოგიური განვითარების მიღწევებმა ზოგიერთ ადამიანს შეუქმნა მცდარი შეხედულება თითქოს ის უკვე დამოუკიდებელია ბუნებისაგან და თავისი საბინადრო გარემო შეუძლია შექმნას ბუნების კანონებისაგან დამოკიდებლად. ასეთი ტენდენციები ვლინდება ბუნებითსარგებლობის იდეებსა და არქიტექტურულ-გეგმარებით საპროექტო გადაწყვეტილებებში, როდესაც შემოთავაზებული წინადადებები უმოწყალოდ ანგრევენ და ანაგვიანებენ ბუნებრივ ლანდშაფტებს, ან „მიწიდან ატყორცნილი“, უსაშველოდ გამსხვილებული საცხოვრებელი და სხვა შენობა-ნაგებობანი თითქოს ბუნების დამორჩილებას გვაუწყებენ. სამწუხაროდ, ასეთი საპროექტო წინადადებები სულ უფრო ხშირად გვევლინება და ამ საქმეს დროზე თუ არ მივხედავთ, დაირღვევა ის ჰარმონია, რომელიც არსებობდა. დედაბუნება კი შეწყვეტს თავისი განვითარება-თვითრეგულირების პროცესს და ადამიანის საარსებო საშუალებების დეგრადირების შედეგებს მოიტანს.

ამდენად, საშიშროება რეალურია და ვალიარებთ რა კატასტროფის გარდაუვალობას, ეკოლოგიურ მოვლენათა სიღრმეში ჩახედვაა საჭირო, დროზე უნდა შევუდგეთ ბუნებრივი კანონზომირობის, ურბანიზაციის პროცესისა და ეკოლოგიის მართვას.

ჩვენს შიერ წარმოდგენილ მეთოდურ მითითებებში განიხილება ქ. თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის ეკოლოგიური ასპექტი, რომელიც გამოყენებული იქნება ქალაქთმშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად; ასევე ფორმულირდება გენგემის ბუნებრივ-ანთროპოგენური ეფექტურობის შეფასების ღონისძიებები.

სამუშაოს მიზანია-ხელი შეუწყოს ქ. თბილისის საცხოვრებელი გარემოს პროექტირების და ეკოლოგიური მონესრიგების კოორდინაციულ საქმიანობას.

1. სოციოეკოლოგიური ღონისძიებები ქალაქთმშენებლობით პროექტირებაში

ქალაქ თბილისის საცხოვრებელი გარემო წარმოადგენს ბუნების კომპონენტებისა და ანთროპოგენური (ადამიანის მიერ შექმნილი) ელემენტების ურთიერთკავშირს. პროექტირების დროს აუცილებელია მათი კავშირის გათვალისწინება სოციოეკო-ლოგიური წონასწორობის შენარჩუნების გადაწყვეტით, ეს იქნება საგარეუბნო ზონა თუ ქალაქის საცხოვრებელი რაიონის განაშენიანება, თავისი სპეციფიკის და მასშტაბურობის გათვალისწინებით. სოციოეკოლოგიური დაცვის სქემის შედგენის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტების გაბინძურების და დეგრადაციის გამორიცხვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მათი დაცვა, აღწარმოების გაფართოება, გენოფონდის შენარჩუნება. მაგალითად: საგარეუბნო ზონის დაგეგმარების სტადიაში უნდა წარიმართოს რეგიონის ლანდშაფტის კადასტრის შედგენა, ადგილის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება და ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება. ამისათვის გამოყენებული უნდა იყოს ქალაქთგეგმარებითი, ტექნოლოგიური, ჰიგიენური და ესთეტიური მეთოდები, რასაც პირობითად შეიძლება შევარქვათ ეკოლოგიური არქიტექტურა.

საგარეუბნეო ზონის კომპლექსურ სქემებსა და პროექტებში ასევე ჩადებული უნდა იყოს, ადამიანის საყოფაცხოვრებო მნიშვნელობისათვის საჭირო ტერიტორიების და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძვლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტერიტორიის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ დარაიონებას, ლანდშაფტური ეკოსისტემების გამოვლენას, ცალკეული ფუნქციონალური ზონების ეფექტურ გამოყენებას.. ამასთან უნდა გამოვლინდეს შედარებით რაიმე ნაკლის მქონე ადგილები, განისაზღვროს ანთროპოგენური დატვირთვების კომპლექსი, განისაზღვროს ნაკრძალი და დაცვის ტერიტორიები გამოყენების რეჟიმით.


ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის შედგენის სტადიაში, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები უნდა ჩატარდეს უფრო კონკრეტული ქალაქთმშენებლობითი საშუალებებით. სადაც გათვალისწინებული იქნება: ლანდშაფტის კადასტრის შედგენა, ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირება; საცხოვრებელი ზონების მოხერხებული განთავსება დამოკიდებული სამრეწველო რაიონებთან; ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების გატანა სამოსახლო ზონების საზღვრებს გარეთ; ნაკლებად ფასეული მიწების და ნაკვეთების გამწვანება; ქალაქის საზღვრებს შიგნით შეიქმნას დასასვენებელი პარკების და სკვერების სისტემები, სადაც გათვალისწინებული იქნება კლიმატური და მაკროკლიმატური განსაკუთრებულობები; ჩატარდეს ჰაერის აუზის თანამედროვე სანიტარული მდგომარეობის შესწავლა, მისი ცვლილების პროგნოზი საანგარიშო პერიოდისათვის; ორგანიზება გაუკეთდეს სანიტარულდამცველ ზონებს, რომელთა საერთო ფართი უნდა შედგებოდეს ქალაქის მიწების დაახლოებით 8-10%; დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის საინჟინრო მოწყობილობების რაციონალურ ორგანიზებას, კერძოდ, თბომომარაგებას (ცენტრალიზებული თბომომარაგებას აქვს არა მხოლოდ ეკოლოგიური, არმედ ეკონომიკური უპირატესობაც); ქალაქის

გენგეგმის სტადიაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ჰიდროაუზის სინმინდის დაცვას. ეს უპირველესად ეხება მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლს, წყალსაცავისა და წყალმომარაგების წყაროებს, სანარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო გამდინარე წყლების ეფექტურ განმენდას.


2. ქ. თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის ლანდშაფტური ეკოსისტემების გამოვლენა

თანამედროვე თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის გართულებული ბუნებრივი და სამეურნეო-სამშენებლო გარემოს ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ესთეტიკური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა უნდა მოხდეს ერთიანი „ლანდშაფტური (არქიტექტურულ-გეგმარებითი) ეკოსისტემის“ ფარგლებში, რაც შედარებით მარტივად და სწორად წარმოაჩენს ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის, მისი რესურსების გამოყენების ოპტიმალური ტენდეციების, სახალხო მეურნეობის დარგების და ურბანისტული სისტემის განვითარების მიზანშეწონილ მიმართულებას და საბოლოო ჯამში ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზებს.

განსწავლულმა არქიტექტორმა, დაეყრდნობა რა ბიოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, მხატვრულ-ესთეტიკურ, აგრარულ და სხვა მეცნირებათა კავშირებს, თავისი შემოქმედებით, ლანდშაფტურ ეკოსისტემაში, უნდა გახსნას „ადამინი-ბუნების“ ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებებისა და ტექნოგენური პროცესების ობიექტური მიმართულებები. ცოცხალი ბუნების განვითარებისა და მასთან ერთად არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის, ერთობლივი, ორგანული კავშირის ასახვა ობიექტური სამყაროს ჰუმანური ხასიათის გახსნის და ად-



ტერიტორიის მიზნობრივი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასების მაგალითი



ამიანის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის სანინდარია, თვითონ არქიტექტურულ-გეგმარებითი თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი კი მიმართული იქნება კომპლექსური დესტრუქციული პროცესების პროფილაქტიკური ღონისძიებების, ოპტიმალური ბუნებათსარგებლობის, ჯანმრთელობის მონესრიგების, ბუნების დაცვის თუ სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე.

ქ. თბილისის ლანდშაფტური ეკოსისტემის ფორმირებაში ერთი ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების შეფარდება. ეკოლოგების კვლევა-ძიებამ აღმოაჩინეს შრომითი საქმიანობის ქმედების მოვლენები, მავნე კომუნიკაციების გაბატონება-დაქვემდებარების იერარქია, რომელთა საფუძველზე უნდა განვითარდეს „ადამიანის სოციალურ-ეკოლოგიური“ სინთეზური მეცნირება, მაგრამ ცენტრალური ადგილი მაინც ეკოლოგიურს უნდა მიეკუთნოს, რადაგანაც პირველ რიგში ბუნების კანონზომიერებანი ახდენს ადამიანზე ზემოქმედებას. ბუნებრივი ლანდშაფტების სისუფთავე დანაგვიანება კი საყოფაცხოვრებო პირობების კრიტიკულ მომენტს ქმნიან, მისი გაბინძურებით წარმოიქმნება დესტრუქციული მოვლენები, ინგრევა ეკონომიკა, წარმოიქმნება საზოგადოების ჩამოყალიბების აგრესიული პროცესი და მასთან დაკავშირებული ძალადობა, დამნაშავეობა (ყველაზე დიდი ეკოლოგიური გამაჭუჭყიანებლები).

თბილისის საგარეუბნო ზონის ყოველი ლანდშაფტური ეკოსისტემა თავისი მრავალმხრივი ბუნებრივი განსაკუთრებულობების ხასიათი ანთროპოგენური დატვირთვების სპეციფიკური ეკოლოგიურ ნიშს წარმოადგენს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დესტრუქციული მოვლენების სპეციფიკურ გამოვლინებებს განაპირობებს. ამიტომ, ცალკეულ ლანდშაფტურ ეკოსისტემაში, ადამიანის საბინადრო გარემოს მონყობის თუ ბუნებათსარგებლობის, ან ბუნების დაცვის და სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუ-

ალურ მიდგომას მოითხოვს. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი ლანდშაფტების კომპონენტების და ანთროპოგენური (არქიტექტურულ-გეგმარებითი) ელემენტების ურთიერთდამოკიდებულებათა და ურთიერთკავშირების კანონზომიერებების შემეცნებას, ლანდშაფტების კადასატრის შედგენას, და, ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების საშუალებით, მეურნეობრიობის ჭეშმარიტ პროგნოზირებას, რის საფუძველზედაც შედგება პერსპექტიული საპროექტო გადანყვეტილებათა მიღება და ისეთი არქიტექტურულ-გეგმარებითი ქმნილება, რომელიც ბუნებას ბაძავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ „ლანდშაფტური ეკოსისტემა“ უნდა შემოვიღოთ, როგორც რაღაც შეკრულ წრეში ერთგვაროვანი ბიოცენოზების ფორმირების დახურული ერთიან-მთლიანი თვითრეგულირებადი ცოცხალი სისტემა, რომლის კონტექსტში მიმდინარეობს რთული სოციალურ-ეკოლოგიური პროცესები და მოვლენები, ერთის ცვლილება გარდაუვალად იწვევს მეორის ცვლილებას და ასე მთლიანი ურბანული სისტემის ცვლილებას. მასში არ შეიძლება აშენო რაღაც (ხუთწლიანი გეგმით და სოცვალდებულებით მოძალებული), სადღაც და როგორმე. შენგან მიღებული არქიტექტურულ-გეგმარებითი გადანყვეტილება, რომ შეაჩერო მისაღებ ალტერნატივაზე, წინასწარ უნდა გამოიკვლიო ეკოსისტემის ბუნებრივი პირობები, მისი კომპონენტების ურთიერთკავშირების და კანონზომიერებების მახასიათებლობა, მიუსადაგო მას მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, საყოფაცხოვრებო ეთიკის და ესთეტიკის ამოცანები, გაანალიზო სავარაუდო პროცესები და ყოველივე ამის შემდეგ მიიღო საპროექტო გადანყვეტილებები. მაშინ ეკოსისტემაში არავითარი დესტრუქციულ მოვლენებს ადგილი არ ექნება. ამრიგად, „ლანდშაფტური (არქიტექტურულ-გეგმარებითი) ეკოსისტემის“ კონცეფცია განსაზღვრავს ბიოლოგიური სტრუქტურის, მატერიალური კულტურ-

ისა და სოციალური მდგომარეობის საფუძვლებს, სადაც ადამიანის კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის გათვალისწინებული იქნება ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა: ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება; ბუნებრივი ლანდშაფტების კომპონენტთა ეკოლოგიურად გამართლებული ჩართვა საყოფაცხოვრებო გარემოში; ლანდშაფტების მუდმივი კონტროლი და საპროექტო გადაწყვეტილებათა პროგნოზირება.

აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა შეიქმნას კოლექტივი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, სადაც ლანდშაფტის არქიტექტორ-დამგეგმარებელს პრობლემების გამაერთიანებლის, ხელმძღვანელისა და „გენერალური კონსტრუქტორის“ როლი უნდა მიეკუთნოს, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია დააყენოს კონკრეტული ამოცანები დარგობრივი სპეციალისტების წინაშე; ყურადღება მიაქციოს შედეგებს, მათი შედარებების საფუძველზე გამოიტანოს კონკრეტული დასკვნები და წარმოადგინოს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზების სრულყოფილი პროექტი.


ვინაიდან ქ. თბილისის ლანდშაფტურ ეკოსისტემაში განახლების და განაშენიანების მრავალი ცვლილებები გამუდმებით ხდება, და რომ არ მოხდეს მათში ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების კორელაციური კავშირების და მისგან გამონეული ბუნებრივი კომპონენტების თვითრეგულირების პროცესისა და ეკოლოგიური ნონასწორობის დარღვევა, ამიტომ უპირველესად საჭიროა, ჩატარდეს თბილისის ეკოსისტემის ბუნებრივი რესურსების ფონდის ინვენტარიზაცია, ხოლო შემდგომ მუდმივად 3-5 წელიწადში ერთხელ-ლანდშაფტების ფუნქციური გამოყენების მეცნიერული დაკვირვება. ე.ი. ლანდშაფტურ ეკოსისტემაში თავდაპირველად უნდა ჩატარდეს „ლანდშაფტების კადასტრი“, ხოლო შემდგომ, „ლანდშაფტების ეკოლო-გიური მონიტორინგი“.

3. ქ. თბილისის ურბანული (ბუნებრივ-ანთროპოგენური) ლანდშაფტების კადასტრის შედგენა

ქალაქ თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის „ლანდშაფტების კადასტრის შედგენას“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა ბუნებათსარგებლობის, კერძოდ, მინათსარგებლობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება-სპეციალიზაციის, სამრეწველო და კურორტულ-რეკრეაციული ობიექტების ინტეგრაციის, ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების, აღდგენა-განახლების, ტყეპარკული ტიპის მასივების შექმნის, ჰიდროგრაფიული ქსელების მონესრიგების, დესტრუქციული მოვლენების აღრიცხვის, აგლომერაციული განსახლების განვითარებისა და სხვადასხვა საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი დონის ამალგება.

პრობლემების გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა შეუთავსდეს ბუნებრივი გარემოს სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებულ ტემპი და ბუნებათსარგებლობის მზარდი მოთხოვნილებები, საჭიროა საფუძვლიანად იქნეს გათვალისწინებული ძირითადი ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორები (სქემა 1.), განისაზღვროს ლანდშაფტმცოდნეობის ძირითადი ამოცანები (საბაზრო ეკონომიკის განვითარების ასპექტში), შემუშავდეს ლანდშაფტების ფუნქციონალური ზონირების რეკომენდაციები. ამისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი მონესრიგების თვალსაზრისით, გარშემორტყმული ლანდშაფტები, როგორც ერთიანი ორგანიზმი, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობად: 1) ბუნებრივი ლანდშაფტები და 2) ურბანული ლანდშაფტები. აქედან ბუნებრივ ლანდშაფტებში იგულისხმება დედამიწის ზედაპირზე რეალურად არსებული კომპონენტები: რელიეფი, კლიმატი, ნიადაგები, წყლები, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და სხვა.

ბუნებრივი ლანდშაფტი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციონალურ როლს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში: სოფლის მეურ-



დარღეულია ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პარმონია

ნეობაში როგორც წარმოების მთავარი საშუალება; სამოსახლო განაშენიანებაში, როგორც მშენებლობის საფუძველი; ნაკრძალებში და საკურორტო-დასასვენებელ ზონებში, როგორც იშვიათი უნიკალური რეალიტური ლანდშაფტები.

ადამიანები სამურნეო საქმიანობის პროცესში ცვლიან ბუნებრივ კომპონენტებს: ნიადაგს, რელიეფს, მცენარეულ საფარს, კლიმატს, წყლის რეჟიმს, ფაუნას და სხვა. ასეთ ცვლილებები იწვევს ანთროპოგენური ლანდშაფტების წარმოშობას. როდესაც პროფესიონალური ცოდნის გარეშე მუშავდება სოფლის მეურნეობაში გამოყენებელი მიწები, შენდება საგზაო ქსელები, ელექტროგადამცემი ხაზები, ქარხნები, აგარარულ სამრეწველო კომპლექსები, დასახლებული ადგილები და სხვა, წარმოიშვა ბუნებრივი გარემოს როგორც რესურსების, უყაირათო გამოყენება. ჭუჭყიანდება საბინადრო გარე-

ბო. იოლკავა ბუნებრივი პროცესების თვითრეგულირების კანონ-ზომპირვანდი და, ყოველივე ამის გამო, დეგრადირდება მაცოცხლებლი ბუნებრივი ლანდშაფტი.


ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის ბუნების კომპონენტები და ადამიანის მკერ შექმნილი (ანთროპოგენური) ელემენტები მუდმივ ურთიერთ-დამოკიდებულებაში იმყოფებიან და თანამედროვე ცივილიზაციის მრავალი ასპექტი წარმოშობს ახალ მრავალფუნქციური ურბანული (ანთროპოგენური) ლანდშაფტის ფორმირებას. სადაც უფრო ოპტი-მალური და ორგანულია ბუნებრივი და ანთროპოგენური (კულტურული) ლანდშაფტების წარმონაქმნების ერთმანეთთან შეკავშირება, მით უფრო ძლიერეია ურბანული ლანდშაფტების წარმონაქმნების კომფორტული ეკოლოგიური და ესთეტიკური შინაარსი. უნდა აღინიშნოს, რომ ახლო წარსულში, აქ, ანთროპოგენურ-ურბანიზებული ლანდშაფტების ფორმირების კლასიკური მოდელი შედარებით მცირე იყო და კომპაქტური. საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე, მეტად სწრაფად მიმდინარე სოციალური-ეკონომიკური და ტექნო-გენურ გარდაქმნებთან ერთად, იზრდება ურბანული ლანდშაფტების მასშტაბები და ეკოლოგიური სიტუაციები.

ურბანიზებული ლანდშაფტები ბუნებრივ გარემოსთან სივრცო-ბრივ ურთიერთობაში ამჟღავნებენ სხვადასხვა შეთანხმებულ და შეუ-თანხმებულ ფორმებს. მაგალითად, დასახლებული ადგილები ბუნე-ბრივ გარემოსთან ამჟღავნებენ შეუთანხმებლობას და კონტრასტულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან მათთან იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება მსხვილმასშტაბიანია, ხოლო ბუნებრივი ლანდშაფტის ელემენტები კი წვრილმასშტაბიანი. დასახლებული ადგილები იმ შემთხვევაში ამჟღავნებენ ბუნებრივ გარემოსთან არქიტექტურულ-მხატვრულად შეთანხმებულ ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც განაშენიანების ელემენტები ორგანულადაა აქციენტირებული ბუნე-ბის კომპონენტებთან და მწვანე წარგავები მათი დამაკავშირებელია.

როგორც ვხედავთ ურბანიზირებული ლანდშაფტები ეკოლოგიური ფაქტორების რთული კომპლექსია და მასზე ერთი რომელიმე ფაქტორის განმამხოლოებელი ზემოქმედება არ არსებობს, ამიტომ ყოველი ეკოლოლოგიური ფაქტორი, შეძლების-დაგვარად, თანასწორად უნდა შევისწავლოთ სხვა მოქმედ ფაქტორთა კომპლექსის ასპექტში. სანინალმდეგო შემთხვევაში, დღევანდელი თბილისი და მისი საგარეუბნო ზონის საყოფაცხოვრებო პირობები იმდენად მრავალმხრივია, როგორც არასოდეს: წარმოება, ტრანსპორტირება, დასვენება, კულტურა, მეცნიერება და ა.შ. ამიტომ მისი საბინადრო პირობები შესაბამისად მოიცავს მრავალმხრივ კავშირურთიერთობას ბუნებასთან. დროთა განმავლობაში ეს ურთიერთკავშირი იმდენად რთულდება, რომ მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს ლანდშაფტური გარემოს თვითრეგულირების პროცესში, ან სულაც ერთი ლანდშაფტი მთლიანად იცვლება მეორით და ირღვევა სისტემის კორელაციური ცნებები.

კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რომ ადამიანის ბუნებრივ ლანდშაფტთან დამოკიდებულება განპირობებულია მისი ყოფიერების წესით. იგი გარშემო არსებობს, მის საფუძველზე მოღვაწეობს. ქმნის მისგან განსხვავებულ სოციალურ გარემოს, განათლებას, კულტურას და მისი მეშვეობით ახორციელებს ბუნებასთან კონტაქტს. სამწუხაროდ, მათი ურთიერთობა ხშირად ატარებს გაუცხოებულ ხასიათს და ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებს მტრულად უპირისპირდება. ამასთან, ეპოქის ცვალებადობის მიხედვით იცვლება ბუნებასთან კონტაქტის ფორმები და ამის საფუძველია ტექნოლოგიის და ტექნიკის განვითარების დონე. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონეს. ე. ი. ადამიანისა და ბუნებას შორის შუამავლობს ტექნიკა. ტექნიკის ცვალებადობის კვალობაზე იცვლება ადამიანის ბუნებაში ზემოქმედების მასშტაბი და მოცულობა. შესაბამისად, იცვლება მისი ღირებულებითი დამოკიდებულებაც ბუნებისადმი, რაც აისახება მის მსოფლმხედველობა-

ში. შედეგად ანთროპოგენური საქმიანობა მუდმივად ცვლის ლანდშაფტის ეკოლოგიურ მდგომარეობას: ყოველდღიურად ბინძურდება ატმოსფერო, აკვატორია, ნიადაგები და მცენარეული საფარი, ხდება ეროზიული პროცესები და დესტრუქციული მოვლენები.



სქემა 1. ლანდშაფტურ გარემოში მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორების კლასიფიკაცია

ქ. თბილისისა და მის საგარეუბნო ზონის ყოველ ლანდშაფტურ ეკოსისტემაში ასეთი და სხვა მრავალი ცვლილებები გამუდმებით ხდება, რომ არ მოხდეს მათში სხვადასხვა ლანდშაფტების კორრელაციური კავშირებისა და მისგან გამონეული ბუნების თვითრეგულირების პროცესის და სამოსახლო ტერიტორიების ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, საჭიროა, ჩატარდეს ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების აღრიცხვა და არქიტექტურულ-ეკოლოგიური შეფასება ე. ი. კადასტრის ჩატარება.

გასაგებია, რომ ლანდშაფტების აღრიცხვა შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოსაწესრიგებლად როგორცაა: მინათსარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება-სპეციალიზაცია, სამრეწველო და რეკრეაციული ობიექტების მოწყობა, ტყის რესურსების რაციონალურად გამოიყენება, მისი აღდგენა-განახლება, ტყეპარკული ტიპის მასივების მოწყობა, ჰიდროგრაფიული ქსელის მოწესრიგება, დესტრუქციული ბუნებრივი მოვლენების შედეგების აღრიცხვა, დასახლებული ადგილების განვითარებისა და სხვადასხვა საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი დონის ამაღლება.

აქედან გამომდინარე ლანდშაფტების არქიტექტურულ-ეკოლოგიურ შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეცნიერთა ფართო კომპლექსმა. შეფასებას საჭიროებს მინა, წყალი, ატმოსფერული ჰაერი, ფლორა და ფაუნა, ადგილის ურბანიზაციული დატვირთვა, სეისმური მოვლენების სიხშირე, ანომალური პროცესების ზეგავლენა, სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობის მდგომარეობა, ესთეტიკური ფასეულობა და სხვა.

ლანდშაფტების არქიტექტურულ-ეკოლოგიური შეფასება შეიძლება იყოს კომპლექსური (მისი მრავალფუნქციური გამოყენების სახით), ან დარგობრივი (ერთი კონკრეტული დარგის მიმართულების თვალსაზრისით).

ეს ყველაფერი დამოკიდებულია ტერიტორიის ტიპოგრაფიულ მახასიათებლებზე, რაც საკმარისი სიზუსტით და სისრულით დეშიფ-

რირდება აერო კოსმოსურ ფოტოსურათებზე. მაგრამ, არის კიდევ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელიც აერო სურათზე არ იკითხება, ეს არა დეშიფრირებადი ინფორმაცია შეიძლება შეიკრიბოს საცნობარო-სტატისტიკური მონაცემების სახით.

ქ. თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის, ლანდშაფტების კომპლექსური შეფასების კრიტერიუმებს დიდი მოთხოვნები აქვს წაყენებული, რადგან ისინი საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ ადგილის სახეობას და გამოყენების ოპტიმალურობას. ჯერ ერთი, შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებენ ლანდშაფტური ეკოსისტემის სიტუაციურ მდგომარეობას და მეორე, განსაზღვრავენ განსახილველი ტერიტორიის მასშტაბსა და სიდიდეს. მაგალითად, ქ. თბილისის შედარებით მსხვილი მასშტაბების გეგმარებით პროექტებში განიხილება უფრო დანაწევრებული (დეტალური) ლანდშაფტურ-ტერიტორიული ელემენტები, ამიტომ განსახილველი პრობლემების მასშტაბის გამსხვილებით რთულდება ტერიტორიის კომპლექსური შეფასების შესრულება, რადგანაც ძირითადი ყურადღება ეთმობა უამრავ კერძო შეფასებებს.

ყოველივე ზემოხსნებულიდან გასაგებია, რომ ქ. თბილისი და მისი საგარეუბნო ზონის ბუნებითსარგებლობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ტერიტორიის ეკოლოგიური შესწავლა, ლანდშაფტური ელემენტების საინფორმაციო აღირცხვა, შეფასება და მათ საფუძველზე რესურსების გონივრული ეკოლოგიური გამოყენების მუდმივი მონიტორინგი.

ამდენად, „ლანდშაფტების კადასტრი“ წარმოადგენს ადგილის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების ფონდის რაოდენობრივი აღრიცხვის, ხარისხობრივი შეფასების, მხატვრულ-ესთეტიკური შემეცნების, სახელმწიფო-სახალხომეურნეობრივი და კერძო საადგილმამულო ეკოლოგიურ-ეკონომიკური გამოყენების ღონისძიებების სისტემას.

4. ურბანული ლანდშაფტების საინვენტარიზაციო სამუშაოების ჩატარების ეკოლოგიური ტექნოლოგია

ისტორიული დროის ყველა მონაკვეთზე, შრომის ტექნოლოგიური პროცესების შეცვლასთან დაკავშირებით, სამეურნეო სანარმოო რესურსთა გადაადგილება-განვითარების პირობაც იცვლება. ამას მოყვება მოსახლეობის მიგრაციული პროცესიც და ურბანიზებული ადგილების განვითარებაც. იქ, სადაც სანარმოო საშუალებებისა და სტიქიური დასახლებული ადგილების განვითარება ხდება მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მხარეც ბრწყინვალედ ვითარდება, სანინალმდეგო შემთხვევაში კი ხდება შრომის რესურსების ნაწილობრივ გამოყენება, ანდა გამოთიშულია საერთო საზოგადოებრივი საქმიანობიდან, რაც იწვევს საყოფაცხოვრებო დონის დაქვეითებას. ამ პრობლემის გადანტყვევების აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს, რომ (ლანდშაფტების კომპლექსური აღირცხვა-შეფასების შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე) მომზადდეს ლანდშაფტების ელემენტების ფონდის საინვენტარიზაციო ნუსხა და გეგმიურ-კარტოგრაფიული დოკუმენტაცია.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ქ. თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის მინათსარგებლობის საინვენტარიზაციო დოკუმენტაციის შედგენის საწყისი ტოპოგრაფიული საფუძვლის მომზადების ძვირად ღირებული საველე (მენზულური გადაღების) სამუშაოები, საჭიროა ძირითად მეთოდად გამოვიყენოთ თანამედროვე პროგრესული აეროგადაღების მეთოდები.

ტოპოსაფუძვლის მომზადება აეროგადაღების მეთოდებით მნიშვნელოვნად ამცირებს სავალე სამუშაოებს და პროექტების შედგენის ვადებს. აეროსურათებზე მკაფიოდ მოჩანს რელიეფის ფორმები და ლანდშაფტების ელემენტების კონტურები (წყალგამოყოფები, მდინარეების კალაპოტები, ხრამები სასოფლო-სამეურნეო სავარ-

გულები, ტყეები, ცალკე მდგომი ხეები, გზები, სახლები, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, ლობეები და სხვა დეტალები). ასე, რომ ლანდშაფტების რესურსების კომპლექსური გამოკვლევის და სახალხო მეურნეობის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დაჩქარებული ტემპის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელია აეროფოტოაგეგმვის სამუშაოების ჩატარების გარეშე.



ტოპოგრაფიკული მონიშვნა აეროფოტოგრამეტრიული მეთოდებით მნიშვნელოვნად ამცირებს ძვირადღირებულ საველე სამუშაოებს და პროექტების შედგენის ვადებს

როგორც ცხრილი 1. გვიჩვენებს, საინვენტარიზაციო სამუშაოების სხვადასხვა ამოცანების გადასანტყვეტად საჭიროა სხვადასხვა მასშტაბის გეგმიურ-კარტოგრაფიული მასალების შედგენა. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, საჭიროა მათი დამუშავების სხვადასხვა მეთოდიც. მაგალითად, ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის ლანდშაფტების კადასტრის შესადგენად უფრო ეფექტური იქნება, თუ გამოვიყენებთ აეროკოსმოსური გადაღების მეთოდებს; ქ. თბილისის ლანდშაფტების დარგობრივი (მინათსარგებლობის) მიზნების შესასრულებლად-აეროფოტოაგეგმვის; ხოლო ლანდშაფტების არქიტექტურულ-ეკოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად კი კონტურულ-კომბინირებული და სტერეოფოტოგრამეტრიული აგეგმვის, ასევე სავალე დეშიფრირების მეთოდებს.

მაშასადამე, ლანდშაფტების საინვესტიციო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია მოიცავს სავალე და კამერალური სამუშაოების სახეებს. ამ მასალების საფუძველზე უნდა დაზუსტდეს ლანდშაფტებში მიმდინარე ცვლილებები.

ცხრილი 1.

სამუშაოების ძირითადი სახეები და ეტაპები	გამოსაყენებელი გეგმურ-კარტოგრაფიული მასალების მასშტაბები
1. დარგობრივი მინათსარგებლობის ან ურბანიზებული ლანდშაფტების კადასტრის შედგენაზე	1:5000, 1:10000, 1:25000, 1:50000, 1:100000
2. ლოკალურ-ტერიტორიული ლანდშაფტების კადასტრის შედგენაზე	1:1000, 1:2000, 1:5000

მაშასადამე, ლანდშაფტების საინვენტარიზაციო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია მოიცავს სავალდებულო და კამერალური სამუშაოების სახეებს.

აღრიცხვა-შეფასება-რეგისტრაციის კომპლექსურ დოკუმენტად მიღებული უნდა იყოს მოცემული ტერიტორიის ლანდშაფტების რუქა და საკადასტრო-საინვენტარიზაციო ნიგნი, რომლებიც სრულყოფილ მასალებს იძლევიან ლანდშაფტების ბუნებრივი მონაცემების, სამეურნო საქმიანობის, კონტროლის და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ლანდშაფტის საკადასტრო მონაცემებში შედის ტერიტორიით სარგებლობის უფლების აქტი, მოსარგებლებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყოფის დოკუმენტაცია, მინათმონყობისა და კურორტულ-რეკრეაციული მნიშვნელობის გამოკვლევები, ბუნებრივი ძეგლების, ნაკრძალების დოკუმენტაცია და სხვა მასალები.

ლანდშაფტის საკადასტრო-საინვენტარიზაციო ნიგნი წარმოადგენს კომპლექსური ხასიათის, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს. მისი მოვალეობაა შესაბამისი საწარმოებისა და საპროექტო ორგანიზებისათვის საჭირო ცნობების მიწოდება. ასევე წარმოადგენს იგი ცალკეული საწარმოს, ფირმის, ფერმერის მიერ ლანდშაფტით სარგებლობასთან დაკავშირებული კანონების დაცვისათვის საჭირო სახელმძღვანელოს.

კადასტრის საინვენტარიზაციო ნიგნში ცალკეულ მინათმფლობელთა რეგისტრაცია გამოკვეთილად უნდა აჩვენებდეს ოთხ ძირითად დანაყოფს: პირველ განყოფილებაში ნაჩვენებია უნდა იყოს სახელმწიფო მუდმივ საკუთრებაში არსებული ტერიტორიების ფართობები; მეორეში-ფირმების, კორპორაციების და სხვა სამეურნეო-საწარმოო სარგებლობის გრძელვადიანი არენდით აღებული ფართობები; მესამეში-კერძო პრივატიზირებული, კერძო ფერმერული მეურნეობის განვითარების ნაკვეთები; -(მინათმფლობელთა დასახ-

ელემა ალფავიციის მიხედვით). ყოველ მინათმფლობელს ენერება რიგითი ნომერი, რაც გადატანილი უნდა იქნას რუქაზე.

ყველა სამინათსარგებლო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ლანდშაფტის კადასტრთან და სახელმწიფო კონტროლთან, დაქვემდებარებული უნდა იყოს რაიონის (რეგიონის) მინათმონწყობის სამსახურთან. ინჟინერ მინათმომწყობი სწავლობს მინის ფონდს, ახალი მიწების გამოვლენისა და ოპტიმალურად გამოყენებისათვის. მან ასევე კონტროლი უნდა გაუწიოს არსებული მინათსარგებლობის დადგენილ წესდებასა და მინათმონწყობის პროექტის სწორად შესრულებას, მინათმოსარგებელთა საზღვრების დადგენას.

ყველა ის სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ლანდშაფტის კადასტრთან და გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლთან, დაქვემდებარებული უნდა იყოს ლანდშაფტის არქიტექტორის სამსახურთან. ლანდშაფტის არქიტექტორი სწავლობს ლანდშაფტის ფონდს ეკოლოგიურად და ესთეტიკურად ხარისხობრივ ასპექტში, რათა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საქროებისათვის სწორად იქნას გამოყენებული მრავალსახეობრივი ლანდშაფტის ელემენტები. ლანდშაფტის კადასტრში, ძირითადად რეგისტრირდება პირველადი სასარგებლო ელემენტები (უვადო, გრძელვადიანი და მოკლევადიანი), გამოყენების ხასიათისა და ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ლანდშაფტის განსხვავებული ხარისხის ელემენტის (მინის მონაკვეთების) ნაყოფიერების გამოსავლიანობის ეფექტურობა დაკავშირებულია დანახაჯების სიდიდესთან, ამიტომ, ელემენტების შეფასების დროს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დანახარჯების უკუგების კრიტერიუმს. იგი ასახავს მინათმოსარგებლის დონეს და ახასიათებს მინის მონაკვეთის ეკონომიურ ნაყოფიერებას.

ეკოლოგიური რეგისტრირების-წონასწორობის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და გარემოს დაცვის განზოგადოებული კონტროლი.

საგარეუბნო ზონის ლანდშაფტის ელემენტების ეკონომიკურ მაჩვენებელთა რეგისტრირების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო და კურორტულ-რეკრეაციული მეურნეობრიობის ოპტიმალურ ღირებულებათა წმინდა შემოსავლის განსაზღვრა.

დეტრუქციული პროცესების ცალკეული გამოვლინებები, რომლებიც ვერ გამოისახება რუკის მასშტაბში, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვთ პრაქტიკული მუშაობისათვის, (მათ ეკუთვნით მენყერები, ჩამონაშალები, ღვარცოფები) აეროსურათებზე უნდა აღინიშნოს მასშტაბგარეშე პირობითი აღნიშვნებით.

საზოგადოებასა და გარემომცველ ბუნებას შორის ურთიერქმედების პრობლემაში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ტექნოგენური ელემენტებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვე.

მოსახლეობის რიცხოვრივ ზრდასთან ერთად იცვლება არა მარტო ურბანიზაციის გეოგრაფია, არამედ მოსახლეობის სოციალ-პროფესიული შემადგენლობა და სამეურნეო ხასიათიც. ყოველივე ეს სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირად წყდება, იმდენად, რამდენადაც სხვადასხვანაირია მათში მოსახლეობის და განაშენიანების სიმჭიდროვე, ეკონომიკის დონე და ეკოლოგიური სიტუაციები. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის კომპლექსური ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონესრიგება გამოიწვევს ბუნებრივ-ანთროპოგენური ელემენტების ურთიერთ დამოკიდებულების წონასწორობის აღდგენას, რაც ზღვარს დაუდებს სახალხო მეურნეობის დარგების უარყოფითი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამდენად, ლანდშაფტების შეფასების გზების გადანყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორაა შესრულებული კომპლექსური დაგეგმარების ამოცანები. აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის ფუნქციონალურ ზონირებას და ბუნების რესურსების გამოყენების თანამედროვე პირობებზე, ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების პოტენცი-

ური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დარგობრივი ანთროპო-გენური დატვირთვების მიზანშეწონილ განაწილებას.

ამგვარად, ქ. თბილისისა და მისი საგარეუბნო ლანდშაფტების ზონალურობის კონკრეტიზაცია და შემდგომ მათი საპროექტო მონაკვეთებად დანაწევრება შესაძლებელს გახდის შედარებით დეტალურად ჩატარდეს ყოველი კონკრეტული ტერიტორიის ლოკალური განვითარების მიმართულება. ყოველი ლოკალურ-ტერიტორიალური ადგილები კი შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად ზონებად: სასოფლო-სამეურნეო წარმოების; სამრეწველო და სასაწყობო განვითარების; კურორტულ-რეკრეაციული; სამოსახლო განაშენიანების; სხვადასხვა გამოყენების (კომუნალური მომსახურების, ელექტროსადგურების, ტყე-პარკების, ნაკძრალებისა და სხვა). მთავარია: სამრეწველო-საწარმოო ზონის გადაადგილების დროს მხედველობაში იყოს მიღებული რელიეფის ქანობისა და გაბატონებული ქარების მიმართულება, რათა საწარმოო ობიექტებისაგან გამოყოფილმა სმოგმა და გაჭუჭყიანებულმა ატმოსფერულმა წყლებმა ანტისანიტარული მდგომარეობა არ შეუქმნას სამოსახლო განაშენიანებასა და დასასვენებელ ადგილებს;

სამოსახლო განაშენიანების ზონა საწარმოო ზონისაგან საჭიროა დაშორებული იყოს სანიტარული და სახანძრო ნორმების მოთხოვნილებების მიხედვით. მათი დაშორების მანძილი უნდა იყოს არა უმცირეს 50 მეტრისა, რომელზედაც გაშენებული იქნება გამწვანების ზოლი. (სამოსახლო განაშენიანება, რომელსაც რელიეფის ქანობის აღმოსავლეთის, სამხრეთ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ორინტაცია აქვს და, ამასთან ერთად ხეობის ფსკერიდან უკავია 80-200 მეტრი შეფარდებითი სიმაღლე, უზრუნველყოფილია ცხელ ზაფხულში გრილი, ხოლო ცივ ზამთარში- თბილი ჰაერით).

რთული რელიეფის პირობებში, ფუნქციონალური ზონირების გეგმარებითი გადანყვეტილებების მიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია, რადგანაც რელიეფის ფორმები და

სირთულე განსაზღვრავენ სხვადასხვა ზონების და ელემენტების ურთიერთგანლაგების პირობას, განაშენიანების სივრცითი ორგანიზაციის ხასიათს.


ადგილის შერჩევა სხვადასხვა დარგების ფუნქციონირებისათვის, ეს იქნება სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კურორტულ-რეკრეაციული მეურნეობა, ასევე სამოსახლო განაშენიანება თუ სხვა, უნდა მოხდეს ერთდროულად, ალტერნატიული პროექტების გათვალ-



ლანდშაფტური ეკოსისტემის ელემენტების
საინვენტარიზაციო-საკადასტრო მოდელი

1. ლანდშაფტური ეკოსისტემის საზღვრები; 2. ლანდშაფტური სავარგულების საზღვრები; 3. საცხოვრისი-არაკეთილსასურველი ეკოლოგიური პირობებით; 4. იშლება საუკეთესო ხედები; 5. ეროზირებული მიწები; 6. ტყის მასივი; 7. სახნავი; 8. სათიბი; 9. მდინარე.

არაგვის ლანდშაფტური ეკონისტიმის
 ფუნქციური ზონირების სქემა



ისწინებით და რომელ ვარიანტსაც ექნება უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და მხატრულ-ესთეტიკური მაჩვენებლები, ის უნდა იყოს გამოყენებული სამოსახლო მშენებლობის რეალიზაციისათვის.

საპროექტო ვარიანტების შერჩევის დროს უპირატესობა უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად ფაქტორებს: ა) სანარმოო-სამეურნეო ძალების ტერიტორიული განვითარებისა და მათი კოოპერირების შესაძლებლობების უკეთესი პირობების შექმნას; ბ) ყოველგვარი სამშენებლო და სამეურნეო-სანარმოო ექსპლოატაციისაგან რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯების გაღებას ისე, რომ არ მოხდეს ხარიხობრივი დაქვეითება; გ) ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური და მოსახლეობის შრომისა და დასვენების უკეთესი პირობების შექმნას; დ) საგზაო-სატრანსპორტო ქსელის რაციონალურ გამოყენებას; ე) ტერიტორიულ კეთილმოწყობას.

ქალაქ თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზაციის დროს, ბუნებრივი ლანდშაფტების მიზანშეწონილი გამოყენებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით, საჭიროა ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების ხვედრითი წილი გამოყოს ისე, რომ ტერიტორიის დაახლოებით 25% დატოვებული იყოს ბუნებრივ მდგომარეობაში, 30% გამოყენებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტების განვითარებაში, 25% დაეთმოს კურორტულ-რეკრაციულ ლანდშაფტებს, ხოლო 20%-სამოსახლო განაშენიანებას და სხვა ურბანიზებულ დატვირთვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოისპობა ბუნებრივი ლანდშაფტების კორრელაციური კავშირების და თვითრეგულირების პროცესი, და დაიწყება გარემოს ეკოლოგიური კრიზისი.

5. ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიური მონიტორინგი

ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემორტყმული ბუნებრივი გარემოს თანამედროვე მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის და მასზე ნეგატიური ანთროპოგენურ ცვლილებათა ზეგავლენის შესუსტებისა და მოხსნისათვის. აგრეთვე, სამეურნეო-საწარმოო ობიექტებისა და ადამიანის საცხოვრებელი გარემოს შემდგომის განვითარების პროგნოზირებისათვის. ე.ი. პრობლემა ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა ოპტიმალური ბუნებათსარგებლობის, ბუნებრივ-ანთროპოგენურ გარდაქმნათა შეპირისპირების ალტერნატიული ვარიანტის გამონახვას. ბუნებისდაცვითი პოლიტიკის განხორციელების და დესტრუქციული პროცესების ინტენსივობის შემცირებას, განსახლების და სამეურნეო-საწარმოო სტრუქტურის პროგრესული განვითარების განსაზღვრას.

აქედან გამომდინარე, ლანდშაფტების ეკოლოგიური მონიტორინგი წარმოადგენს ლოკალურ-ტერიტორიალურ ბუნებრივ გარემოში მომხდარი ადამიანის საქმიანობით გამოწვეული, ხარიხობრივი ცვლილებების გამოკვლევის, ნორმირების, კონტროლის და დაკვირვებების სისტემას, ასევე, პერსპექტიული საპროექტო გადამწყვეტილებათა პროგნოზირების საფუძვლებს.

ქალაქ თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების დროს, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ-ინფორმაციული კვლევა-ძიების მეთოდების გამოყენებას. ასეთ მეთოდებს მიეკუთნებიან: 1) დისტანციური (აეროკოსმოსური) ზონდირების მეთოდი; 2) ეკოლოგიური მონაცემების მიღების სტატისტიკური შემეცნებითი მეთოდი (გარემოს სისუფთავის მდგომარეობაზე ბიოლოგიური სახეობის რეაქციის გამოვლინების დახმარებით); 3) ლანდშაფტების, არქიტექტურულ-ესთეტიკური

მდგომარეობის აღქმა-შემეცნებას, ეკოლოგიური მახასიათებლების დახმარებით.

1. ლანდშაფტების ეკოლოგიური მახასიათებლის დისტანციური აეროკოსმოსური მეთოდების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს: განვახორციელოთ ბუნებრივი რესურსების გამოყენების კონტროლი; დინამიკაში შეფასდეს ანთროპოგენური პროცესების ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე; განვსაზღვროთ მიწის წყლისა და ჰაერის სისუფთავე; შევისწავლოთ ბუნებაში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების კანონზომიერება.

აეროკოსმოსური მეთოდის გამოყენების საწყის გრაფიკულ მასალებს წარმოადგენს კოსმოსური ფოტოსურათების დეშიფრირება, რომლებზეც შესაბამის მასშტაბებში, 5-10 მეტრის სიზუსტით აღბეჭდავენ ტერიტორიის სიტუაციებს, მათში მიმდინარე ცვლილებებს გენეზისის ასახვით. ასე, მაგალითად, თბილისი საგარეუბნო ზონაში ჟინვალის წყალსაცავის აეროკოსმოსური სურათი მკვეთრად ასახავს არაგვის ხეობის პირველად ჩაღრმავებას, ხოლო შემდგომ სურათზე მოცემული ფიზიონომიური ასახვის განსაკუთრებულობები, (მდინარის მიერ შეტანილი ქვიშით, თიხნარებით და სხვა ნატანების შევსებით) სურათის ნახატის ხასიათის შეცვლას, ხეობის ცვლილების ინდიკაციურ მნიშვნელობას. ასევე დისტანციური სურათების გამოყენების თანხლებით უნდა მიმდინარეობდეს მიწისზედა კვლევა-ძიებანი.

2. ტერიტორიალური მახასიათებლობის შინაარსის მიღება სტატისტიკური მეთოდით უნდა მოხდეს ბუნებრივი პროცესების მდგომარეობის და მასობრივი სამეურნეო-საწარმოო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მხარეების ხასიათის (ერთობლიობის) ინფორმაციის მიხედვით; სოციოლოგიური ფასეულობის ანალიზი ანკეტური გამოკითხვით; დასახლებული ადგილების ტიპურობა და სიდიდე ვლინდება დემოგრაფიული ტევადობით, მოსახლეობის დასაქმებულობის მიმართულებით და მიგრაციული პროცესების გამოვლენით,


სამედიცინო სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვით, ეკონომიკური შეფასება ტერიტორიის სამეურნეო-საწარმოო ვარგისიანობის (გამოყენების) მიხედვით. გასაგებია, რომ სტატისტიკური მონაცემების სისრულესა და ხარისხზეა დამოკიდებული დასკვნების დასაბუთება; თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მიმართულების სისწორე.








ლანდშაფტის ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციის დროს საჭიროა ჩაერთოთ ბიოცენოზები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შედარებით მგრძნობიარენი არიან ანთროპოგენური ზემოქმედებაზე, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის აუზის გაჭუჭყიანების ხარისხზე. ასეთებს წარმოადგენენ ჭიები, ტარაკანები, თაგვები, თევზები, წყალმცენარეები, ფრინველები და სხვადასხვა ცხოველები. ეს სახეობები თავიანთი არსებობით და მოქმედებით საშუალებას მოგვცემენ მონიტორინგის რეჟიმის ინფრომაციის მიღებაზე.



3. ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციფიკური ბუნებრივი ლანდშაფტების კომპონენტებისა და არქიტექტურულ-გეგმარებითი ელემენტების ესთეტიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი ორგანული შერწყმის აუცილებლობის საკითხს. ამ სფეროში ეკოლოგიურ შეუსაბამობათა მიზეზია საცხოვრებელი გარემოს ესთეტიკური იერსახის ფორმირების გარკვეული კრიტერიუმების უქონლობა. სწორედ ამიტომ, რომ დღემდე ბუნებრივი ლანდშაფტების კომპონენტებისა და არქიტექტურული ელემენტების ურთიერთშერწყმა ხშირად ინტუიციით ხდება.

ვინაიდან ესთეტიკური მახასიათებლის ეკოლოგიური შემეცნება ასახავს ლანდშაფტების იერსახის ობიექტურ სინამდვილეს, ამიტომ ყოველი ლანდშაფტური ეკოსისტემა ხასიათდება თავისი განსაკუთრებული ერთიანობით და ესთეტიკური აზრი მიიღწევა ეკოსისტემის არქიტექტურულ-მხატვრული ხედვის ერთიანობით. ამასთან დაკავშირებით, ეკოსისტემაში მიმდინარე წინააღმდეგობე-

თბილისის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური
განვითარების სქემა



-  ახალშენიანი აგროპოლისების ზონა
-  კონსტრუქციული ზონები
-  ვრცელი პარკი
-  ფართული ლანდშაფტები
-  მშენებრივი ლანდშაფტების ზონა
-  მანქანური სივრცის კონცენტრაციის ზონები
-  ბიოკლიმატური სივრცის დასაცავი კომპლექსი

-  მშალური წყლების გამწმენდი ნაგებობები
-  ლანდშაფტ-ეკოლოგიური მონიტორინგის ცენტრი

ბის გადაჭრა და მათი ჰარმონიაში მოყვანა არქიტექტურულ-გეგმარებითი შემოქმედებით უნდა მოხდეს ისე, რომ ეკოლოგიური მახასიათებლების ესთეტიკურმა შემეცნებამ შემოინახოს ბუნებრივლანდშაფტური ფასეულობა, გაამდიდროს ან გააფართოვოს მისი ღირებულების განსაკუთრებულობები.


რა თქმა უნდა, ბუნებრივ ლანდშაფტების კომპონენტებსა და არქიტექტურულ ელემენტებს შორის შეუძლებელია სრული ორგანული შერწყმა, მაგრამ მათ უნდა ურთიერთ „ითანამშრომლონ“ თავიანთი სპეციფიკური ვიზუალური განსაკუთრებულობებით. ამდენად, არქიტექტურულ-გეგმარებითი თვისებების სისრულე მოყვანილი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი საკითხების ღრმა გამოკვლევა-შესწავლით:

1. კლასიფიცირება გაუკეთდეს და გამოიყოს მხატრულ-ესთეტიკური ღირებულების შედარებით მდიდარი და ლამაზი პეიზაჟები;

2. გაირკვეს, რომელი ბუნებრივი ლანდშაფტები (ღარიბი პეიზაჟები, არასასიამოვნო პეიზაჟები) საჭიროებს შეკვეცას და რომელი უნდა შეიცვალოს ან გამდიდრდეს;

3. დადგინდეს ლანდშაფტების ლოგიკურად გამართლებული ფუნქციური ზონები, ასევე განაშენიანების ლოგიკურად გამართლებული გეგმარებითი ელემენტები.

ყველა ლანდშაფტურ ეკოსისტემაში, თითოეული სახელმწიფო მეურნეობის, ფირმის ან ფერმერების ტერიტორია, ან კიდევ სხვადასხვა კერძო მესაკუთრეთა ნაკვეთები იქნება თუ შენობა-ნაგებობები შეფასებული და დახარისხებული უნდა იქნეს რისკის (საიმედობის) კოეფიციენტით, რომელზეც დამოკიდებული იქნება დაზღვევის დონე და ღირებულება. აქედან გამომდინარე, ლანდშაფტის არქიტექტორმა, დახმარება უნდა გაუწიოს ნებისმიერ დამკვეთს მინის ნაკვეთის შერჩევაში, მასზე შენობა-ნაგებობების ტიპის, ფორმის ან კონსტრუქციული საპროექტო გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში, სამუშაოთა შესრულების ხარისხის კონტროლზე.



მოსახლეობის მონანილეობა ქალაქგანვითარების პროცესში

1. პრემბულა

იმ ინოვაციებს შორის, რომლის გააზრების აუცილებლობის წინაშე ბოლო წლებში აღმოჩნდა ქართული ქალაქმშენებლობის თეორია და პრაქტიკა, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობით გამოირჩევა ე.წ. პარტიციპაციის მოთხოვნა, ანუ ქალაქმშენებლობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მონანილეობის უზრუნველყოფა.

საზოგადოდ, პარტიციპაცია მოიაზრება გაცილებით უფრო ფართე და ღრმა პროცესის — ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და ქმედითუნარიანი ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების ერთ-ერთი შემადგენლად, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის აუცილებელი პირობაა.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოსახლეობის მონანილეობას ქალაქგანვითარების პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭება, რომ, გარკვეულ ფორმალურ თუ რაოდენობრივ წარმატებებთან ერთად, საბჭოთა ქალაქგეგმარებამ, როგორც გაბატონებული იდეოლოგიის გამომხატველმა, ისტორიული დანაშაულიც ჩაიდინა — ერთმანეთისაგან განაშრევა, გამიჯნა ქალაქის ფიზიკური, არქიტექტურულ-გეგმარებითი გარსი და სოციალური, ადამიანური არსი. კაცობრიობის მთელი ისტორია კი მონაშობს, რომ ქალაქი სწორედ ამ ორი კომპონენტის განუყოფელ ერთობად, ერთგვარ ორგანიზმად აღიქმებოდა სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების მოაზროვნეების მიერ.

2. ისტორიული რეტროსპექტივა

ღრმა ფილოსოფიური შინაარსისაა ესპანეთის VII საუკუნის მოაზროვნის, ისიდორე სევილიელის გამონათქვამი: „ქალაქი სახელედების არა ქვებს, არამედ მოქალაქეებს, არა განაშენიანების ტიპს (urbs), არამედ ადამიანთა ერთობის ხასიათს (civitas)“¹.

დღესაც აღრფრთოვანებას იწვევს ღრმა სოცილოგიური აზრის შემცველი ქალაქის სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება: „თანამრავლობასა და თანასახლობასა ქალაქსახელედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწეოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“. ნიშანდობლივია, რომ ორბელიანმა თავისი განმარტებითი ლექსიკონი — „სიტყვის კონა“ შეადგინა ევროპაში მოგზაურობის შემდეგ; ქალაქის ზემოთმოყვანილი განმარტებაც იმდროინდელ ბრწყინვალე ქალაქურ კულტურასთან ზიარების უთუო შედეგია.

ჩვენში ქალაქური გარემოს სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი მხარეების სინკრეტიზმის ბრწყინვალე მაგალითად გვევლინება ძველი თბილისი, მისი უბნები. თვითმმართველობის ისეთი ფორმა, როგორიც იყო ამქარი, რომელშიც ერთიანდებოდა ქალაქის მთელი მოსახლეობა — თავადაზნაურობისა და სასულიერო პირების გარდა, — უზრუნველყოფდა სოციალურ ნებსრიგს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში.

ეს კარგად ესმოდა XIX საუკუნის რუსეთის ადმინისტრაციას, რომელიც არამც თუ არ ცდილობდა ამქრობის მოშლას, არამედ ხელსაც უწყობდა მას. კავკასიის მეფისნაცვალი, გრაფი მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც თბილისში დაამკვიდრა იმ დროისათვის მონინავე მუნიციპალური სიახლეები, თვლიდა, რომ „შესაძლებელია, ამქრობას გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ ამ ძველთაძველ ორგა-

¹ История Италии. Т. I. М., «Наука», 1970, с. 201 (აქ და შემდგომ თარგმანი რუსულიდან ჩემია — ვ.ვ.)

ნიზაციაში რაიმე ცვლილებების შეტანა ნაადრევად მიმაჩნია, მით უფრო, რომ მათს წესდებებში ბევრი რამ არის სასარგებლო საზოგადოებისთვის"¹. მ. ვორონცოვის შემცველი, თავადი ბარიატინსკი იგივე აზრის იყო: „ისინი [ამქრობა — ვ.ვ.] წარმოადგენენ საზოგადო თავდებს თავისი ნევრების სიღარიბის, უმეცრებისა და უზნეობის წინააღმდეგ და ქმნიან შესანიშნავ შიდა პოლიციას, რომლის წარმატებით შეცვლას, ჩემი აზრით, ვერასოდეს შესძლებს ვერავითარი გარეშე დანესებულება“.²

აღსანიშნავია, რომ იმ დროს ამქრობა, როგორც ქალაქის სოციალური ორგანიზაციის საფუძველი, თბილისის გარდა, გავრცელებული იყო სხვა ქართულ ქალაქებშიც — გორში, ახალციხეში, თელავში, სიღნაღში.

ამქრობა, თავისი შიდა ცხოვრების რეგლამენტირების გარდა, აყალიბებდა ქალაქური ცხოვრების წესს, ქცევის ერთგვარ დაუნერეულ კოდექსს. თუ რარიგ ღრმა იყო ამქრის ნევრების მიერ მთელი ქალაქის საზოგადოების ბედის გათავისება, მოწმობს შემდეგი: „ხოლერისა და შავი ჭირის დროს, როცა ტფილისის მცხოვრებნი ქალაქიდან თავ-გზადაბნეულები გარბოდნენ და თავიანთ მკვდრებს თუ ავადმყოფებს ბედის ანაბარა სტოვებდნენ, — ამქრის ნევრები თავიანთ წმინდა მოვალეობად სთვლიდნენ, რომ ქალაქში დარჩენილიყვნენ და მიცვალებულთათვის პატრონობა გაენიათ“³.

რალა თქმა უნდა, ამქრობა, როგორც ქალაქის სოციალური ორგანიზაციის ფორმა, ვერ გაუძლებდა ეკონომიკური ცხოვრების ინოვაციებს და იგი ნელ-ნელა მიიღია XIX საუკუნის დასასრულისთვის. ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან ამქრობას საზოგადოებრივი მმართველობის ახლებური ფორმები ნაბიჯ-ნაბიჯ ენაცვლებოდა. ამ

¹ Ахвердов Ю., Тифлисские амкары. Тифлис, 1883, с. 31.

² Бакрадзе Д., Бердзенов И. Тифлис в историческом и этнографическом отношениях. Тифлис, 1870, с. 141.

³ გროზაშვილი ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფილისი, სახელგამი, 1928, გვ. 52.

ტენდენციას 'სათავე დაუდო მეფისნაცვალმა კავკასიაში მიხეილ რომანოვმა, მაგრამ საზოგადოებრივი მმართველობის ამოქმედებას რეალური ბიძგი მისცა თბილისელ ამქართა 1865 წლის აჯანყებამ. ეს ინსტიტუცია თბილისში მოქმედებდა 1867—1874 წლებში; იგი საქალაქო რეფორმის შედეგად შემოღებულმა თვითმმართველობებმა შეცვალა. საქართველოში თვითმმართველობა მიენიჭა 6 ქალაქს — თბილისს, ქუთაისს, ფოთს, გორსა და ახალციხეს; სხვა ქალაქები საპოლიციო მმართველობაში დარჩა¹.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921) კონსტიტუციამ (1921 წლის 21 თებერვალი) მხოლოდ ზოგადად განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროება; „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით“². შესაბამისი საკონსტიტუციო კანონის მიღება ვერ მოესწრო — საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდში დაიწყო დასახლებათა გენერალური გეგმებით უზრუნველყოფა, იმ დროს რეალურ თვითმმართველობასა და მოქალაქეების მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არამც თუ გენერალური გეგმების შემუშავებაში, არამედ საკუთარი საცხოვრისის გამგებლობის საქმეშიც კი საბჭოთა მოქალაქე სრულიად უფლებააყრილი იყო³.

მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეიცვალა საბჭოური სისტემის ლიბ-

¹ ამის შესახებ იხ.: ბენდიანიშვილი ალ. საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982.

² საქართველოს კონსტიტუცია, მ. 99. კრებულში: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918—1921.“ თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, გვ. 475.

³ ამის შესახებ იხ.: ვარდოსანიძე ე. თბილისის საცხოვრისის რეგისტრის ცენტრის სოციალური კონტექსტში. კრებულში: „ქ. თბილისის ურბანული გეგმისათვის სოციალური ანალიზი“. თბილისი, საქართველოს ურბანისტიკის ინსტიტუტი, 2001, გვ. 17.

ერალიზაციის პერიოდში, XX ს-ს 60-იან წლებში, როდესაც ფეხი მოიკი-
და ისეთმა კვაზიდემოკრატიულმა ხერხებმა, როგორც იყო გან-
საკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების, მათ შორის, ქალაქ-
მშენებლობითი დოკუმენტაციის, „საჯარო განხილვების“ პრაქტიკამ.
მიუხედავად ფორმალური ხასიათისა, ამგვარმა ინოვაციამ მაინც
დადებითი როლი ითამაშა სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში.

ამავე პერიოდში, 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა
კავშირში, ძალიან მძიმე პირობებში, მაგრამ მაინც ყალიბდება ურბან-
იზაციის თეორიისა და ურბანოსოციოლოგიის მიმართულელები — ძირ-
ითადად, ქ. მოსკოვსა და ესტონეთში. მათ ნახევრად დისიდენტური
ხასიათი ჰქონდა; რადგან ქალაქგეგმარების საბჭოთა ორთოდოქსული
თეორიის სანინალმდეგოდ ვითარდებოდა.

მიუხედავად დევნისა, სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ქალაქის გარე-
მოში მიმდინარე პროცესების სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლო-
გია, მეთოდიკა და მიღებული შედეგების ქალაქგეგმარებითი ინტერ-
პრეტაციის ხერხები. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოური „პერე-
სტროიკის“ მიწურულს გაჩნდა პირველი, სარეკომენდაციო ხასიათის
მეთოდური მასალები, რომლებიც აღწერდა მოსახლეობის მონაწილე-
ობის ფორმებს ქალაქმშენებლობითი პროექტების განხილვისას —
ძირითადად, უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით¹.

3. უცხოური გამოცდილება

მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქმშენებლობითი გადან-
ყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებაში დღეს
საყოველთაოდ მიღებულ ნორმად იქცა.

¹ მაგ., Основы методики учёта общественного мнения при обсуждении градостроительных проектов. М., ЦНИИП градостроительства, 1989.

ამ მიმართულებას სათავე დაუდო ურბანული განვითარების ერთ-ერთმა მამამთავარმა პ. გედსმა (P. Geddes), რომელმაც 1915 წელს ჩამოაყალიბა „სოციალური პროექტირების“¹ ორი ფუძემდებელი პრინციპი:

1. სპეციალისტები აწვდიან მოსახლეობას სრულ ინფორმაციას ურბანული განვითარების გეგმების შესახებ, ხოლო მოსახლეობა, თავის მხრივ, აცნობებს დამპროექტებლებს მისი ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნებს;
2. სპეციალისტები და მოსახლეობა თანამშრომლობს ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებაში.

ეს იდეები დასაველეთში ნელ-ნელა განვითარდა XX ს-ს 30-50-იან წლებში; 60-იან წლებში კი საყოველთაო მოძრაობის ხასიათი მიიღო. ამ დროისათვის ევროპასა და აშშ-ში ყალიბდება ქალაქთმშენებლობით გადაწყვეტილებებში მოსახლეობის მონაწილეობის კონცეფციები, ფორმები და პროცედურები, რამაც საზოგადოებრივი მონაწილეობის (Public Participation), ანუ პარტიციპაციის სახელწოდება მიიღო. ამ კონცეფციებმა 70-იან წლებისთვის ბევრ ქვეყანაში კანონების ფორმა შეიძინა.

შესაბამისი პროცესები შეინიშნება თვით არქიტექტურულ პროფესიაშიც – მაგ., დიდ ბრიტანეთში გამოიყო არქიტექტურული საქმიანობის ისეთი სპეციალიზაცია, როგორცაა თემის (უზნის) არქიტექტორი (community architect) - „ოჯახური ექიმის“ მსგავსად. საგულისხ-

¹ „სოციალური პროექტირება“ - ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების ერთ-ერთი პროგრესული მეთოდი, რაც გულისხმობს მოსახლეობის უშუალო მონაწილეობას ქალაქთგეგმარებაში შემდეგ როლებში:

- ურბანული გარემოსადმი მოთხოვნილებების, „სოციალური დაკვეთის“ ჩამოყალიბება;
- საპროექტო გადაწყვეტილებების მონაწილე და/ან შემფასებელი;
- ქალაქთმშენებლობითი პროექტების რეალიზაციის, დაწერვის მონაწილე.

მოა, რომ დასავლეთის არქიტექტურული საზოგადოება ყოველნაირად ცდილობს ამ სახის საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებას.

XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქალაქგეგმარება, ტრადიციულ მიზნებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობრივ ინტერესებსაც. ამ პერიოდში ქვეყნის ფედერალურმა მთავრობამ „მოქალაქეთა მონაწილეობის“ მოთხოვნა დაუმატა ქალაქგანვითარების, საცხოვრისისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის პროგრამებს. საზოგადოებრივი განხილვები (მოსმენები — hearings) ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ქალაქგეგმარების პრაქტიკაში შემოდის დაბალი სოციალური ფენების ინტერესის დაცვაზე ორიენტირებული ფორმა, ე.წ. „advocacy planning“. ბევრ შტატში საზოგადოებრივი განხილვა წინ უსწრებს ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის ოფიციალურ დამტკიცებას.

1978 წელს რეგიონულ საქმეთა ფედერალურმა საბჭომ (Federal Regional Council) გამოსცა 140 გვერდიანი სახელმძღვანელო მოქალაქეთა მონაწილეობა¹, რომლის უზრუნველყოფა აუცილებელი გახდა ყველა ფედერალური პროგრამისათვის. სახელმძღვანელო აღწერს საზოგადოების ჩართვის სტიმულირების 39 ახლებურ ტექნოლოგიას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ძირითად ფორმად მაინც საჯარო განხილვა აღიქმებოდა. ქალაქგეგმარება რჩებოდა საზოგადოებისთვის, და არა საზოგადოებასთან ერთად მოაზრებულ საქმიანობად.

პარტიციპაციის შემდეგ ნაბიჯად ქალაქგანვითარებას მოეკლინა კონსესუსის მიღწევის მოთხოვნა. ხსენებულ კონტექსტში კონსესუსის მიღწევა მოიაზრება, როგორც პროცესი, რომლის მეშვეობით, გარკვეულ დროში და განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანებს (ჯგუფებს) შორის მიიღწევა ზოგადოებრივი თანხმობა. დამუშავდა

¹ U.S. Community Services Administration, Federal Regional Council, *Citizen Rectification* (Washington, D.C., 1978).

კონსესუსის მიღწევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ტექნოლოგია — ძირითადად, საქმიანი თამაშების ფორმით.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ ჩამოაყალიბა კონსესუსის მიღწევის 10 ძირითადი პრინციპი:

- ქალაქგანვითარების პროცესში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების რაც შეიძლება ადრე სტადიებზე ჩართვა;
- პროცესის „მორგება“ კონკრეტულ სიტუაციაზე, უნივერსალური მოდელის არარსებობა;
- მოქალაქეების „ჩართულობის“ მაღალი დონე;
- საერთო ინტერესების გამოვლენა და გათავისება;
- სარწმუნო ინფორმაციის გაცვლა;
- მიუკერძოებელი და კომუნიკაბელური კორდინატორი ან ფასილიტატორის უზრუნველყოფა;
- პროფესიული დახმარების გამოყენება;
- იმპულსების ხელშეწყობა;
- შედეგების ჩამოყალიბება, დაფიქსირება და ლეგიტიმიზაცია;
- მედიის ჩართვა¹.

მიუხედავად ლოგიკური თანმიმდევრობისა, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაუაზრებელი გადმოტანა ქართულ რეალობაში ნარუმატებლობისთვისაა განწირული. ამიტომაც, განსაკუთრებით ფასეულია იმ ქართველ ექსპერტთა ძალისხმევა, ვინც ცდილობს ადგილობრივ პირობებს მოარგოს ზოგადდემოკრატიული მოთხოვნები ქალაქგანვითარებისადმი, წარმოადგინოს მოქალაქეთა მონაწილეობის კონკრეტული ორგანიზაციული სქემები და მექანიზმები².

¹ The Practice of Local Government Planning. Municipal Management Series. ICMA. 2000, p.p. 425-438.

² ამ ნაწილში გამოყენებულია შემდეგი მასალა: მელუა დ. ადგილობრივი მმართველობის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმები. კრებულში: „ქალაქის მართვა — დამხმარე სახელმძღვანელო“. (რედაქტორი თ. სულუხია), თბილისი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოცემა, 2002.

1. სამუშაო შეხვედრა

სამუშაო შეხვედრას დღესდღეობით მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე ინტენსიურად გამოყენებადი საშუალებაა. ამ შეხვედრაში მონაწილეობენ მმართველობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები. ამ შეხვედრას სამი დანიშნულება გააჩნია:

- უზრუნველყოს მოსახლების ინფორმირებულობა და დაინტერესება;
- ჩამოაგდოს საჯარო დისკუსია;
- მოახდინოს რეკომენდაციების მიწოდება პოლიტიკის (პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის) შემუშავებისთვის. ასეთი სამუშაო შეხვედრა შეიძლება მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირებისთვის გამოვიყენოთ, თუმცა როგორც წესი, ასეთი შეხვედრის მონაწილეები მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიაცავენ.

2. შეხვედრები საზოგადოებასთან

ეს გულისხმობს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრას საზოგადოებასთან, რომელსაც ძირითადად თანამდებობის პირთა მიერ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში გასვლის სახე აქვთ. ასეთ შეხვედრებს შემდეგი მიზნები გააჩნია:

- აჩვენოს, თუ რა გავლენა იქონია ხელისუფლების პოლიტიკამ ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ სოციალურ ჯგუფზე;
- მყისეულად მოახდინოს მოსახლეობის განწყობის შეფასება ცალკეულ თემებთან თუ პრობლემებთან მიმართებაში;
- მოახდინოს მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია მოსახლეობიდან მიღებული რეაქციის შესაბამისად.

3. საჯარო განხილვები

ეს საქართველოსათვის ყველაზე კარგად ცნობილი საშუალებაა და ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტების ნორმატიული აქტისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგების საჯარო დისკუსირებისთვის გამოიყენება. საჯარო განხილვა ძირითადად საკანონმდებლო აქტებისა და იურიდიულ დოკუმენტებთან მიმართებაში გამოიყენება. საჯარო განხილვების დანიშნულებაა;

- მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება;
- გაიგოს მოსახლეობის აზრი და რეკომენდაციები კონკრეტული ნორმატიული აქტის თაობაზე;
- მოახდინოს სამოქალაქო მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

4. საზოგადოების წვდომა/ჩაწვდომა (outreach)

ეს საშუალება გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების პრობლემების გათავისებას, ხელისუფლების და საზოგადოების დიალოგს ადგილობრივი პრობლემების შესახებ. საზოგადოების წვდომა საზოგადოებასთან ურთიერთობისგან (PR) იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ორიენტირებულია გაავრცელოს ინფორმაცია ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, გარკვეულწილად რეკლამა გაუქმოს ხელისუფლებას და შექმნას საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოების წვდომა კი გულისხმობს საზოგადოების დამოკიდებულების გაგებას ხელისუფლების მიმართ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცვლილებებს პოლიტიკაში და აქედან გამომდინარე ხელისუფლების და საზოგადოების ერთობლივი მიდგომების გამომუშავებას.

5. მონაწილეობითი დაგეგმვა

მონაწილეობითი დაგეგმვა სოციალური მეცნიერების გამოყენებითი მეთოდია და მისი სრული აღწერისთვის საკმაოდ სქელტანიანი პუბლიკაციაა საჭირო. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი საშუ-

ალებას იძლევა აქტიურად ჩაერთოთ მოქალაქეები პრობლემების მოკვლევაში და მათი გადაჭრის გზების დასახვაში.

6. საზოგადოებრივი კომიტეტები

საზოგადოებრივი კომიტეტები ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ინსტიტუციური მონაწილეობის საშუალებაა. ასეთი კომიტეტების დანიშნულებაა განიხილონ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების პროექტები და წარმოადგინონ საზოგადოებრივი დასკვნა მის შესახებ. ძალზე ხშირად ასეთ კომიტეტებში გაერთიანებული არიან ექსპერტები, რომლებიც კვალიფიციურ რჩევას აძლევენ ხელისუფლებას. როგორც წესი, ასეთი კომიტეტი ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოსთან იქმნება და აქტიურად იღებს მონაწილეობას კომისიებისა თუ ფრაქციების მუშაობაში.

7. მრგვალი მაგიდები/ფორუმები

მრგვალი მაგიდები და ფორუმები ძირითადად გამოიყენება მიმდინარე პრობლემებისა და პოლიტიკის განსახილველად. მისი დანიშნულებაა გამოვლინდეს ექსპერტებისა თუ სოციალური ჯგუფების აზრი/შეფასება ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ.

8. ფოკუს ჯგუფები

ეს საშუალება გამოიყენება იმისთვის, რომ გავიგოთ ცალკეული სოციალური, პროფესიული და ინტერესთა ჯგუფის დამოკიდებულება საკითხის/პრობლემის გარშემო: გავიგოთ თუ რას ელის საზოგადოება ხელისუფლებისგან და როგორ წარმოუდგენია მას ხელისუფლების ეფექტურობა. ამ საშუალების გამოყენება სპეციფიურ ცოდნას საჭიროებს და, როგორც წესი, იგი დამოუკიდებელი სააგენტოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება.

9. გამოკვლევები

ეს გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის კვლევას და სოციალური რელიეფის შესწავლას, რაც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას შექმნას საზოგადოებრივი აზრის დინამიკის სურათი და გაიგოს, რა ცვლილებები მიმდინარეობს სოციალურ სტრუქტურაში. ასეთი სამუშაოს ჩატარება სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს და იგი მონვეულმა ექსპერტმა ან ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს.

10. ერთობლივი პროექტები

მონაწილეობის ეფექტურ პრეცედენტთან გვაქვს საქმე, როდესაც ხელისუფლება და საზოგადოებრიობა ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ. ეს ხელს უწყობს მათი პოზიციების დაახლოებას და თანამშრომლობის პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ეს ეხება როგორც საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, ასევე იმ პროგრამებს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და რომელთა განხორციელებაშიც სათემო კავშირებს და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

11. ღია კარის დღე

ეს ფორმა ძირითადად დასავლეთის ქვეყნებში გამოიყენება და გულისხმობს იმას, რომ დიდ ქალაქებში მუნიციპალური სამსახურებს შეუძლია ნებისმიერი მოქალაქე ეწვიოს და თვალყური ადევნოს სამსახურების მუშაობას. ეს უფრო გამჭვირვალების საშუალებაა, მაგრამ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა მოტივირებას მონაწილეობის მისაღებად.

12. ლობიზმი

მოსახლეობის მონაწილეობისა და მათი ინტერესების დაცვის კარგი საშუალებაა ამ ინტერესების ლობირება ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში. მრავალი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს)

კანონმდებლობა უშვებს ინტერესების ოფიციალურ ლობირებას. ამისთვის აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ თუ მოქალაქეთა ჯგუფმა აირჩიოს ან დაიქირავოს ლობისტი, რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდება, როგორც კონკრეტული ჯგუფის ინტერესების დამცველი, და გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიიტანს ამ ჯგუფების მოთხოვნებს და იზრუნებს მათ გათვალისწინებაზე.

13. რესურს ცენტრები

მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს რესურს ცენტრების მეშვეობით, სადაც მოქალაქეს შეეძლება გაეცნოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, წერილობით მიაწოდოს თავისი რეკომენდაციები მმართველობას, შეხვდეს თავის დეპუტატს და სხვა.

14. რეფერენდუმი

მონაწილეობის კიდევ ერთი საშუალებაა რეფერენდუმი, როდესაც ხელისუფლება ოფიციალურად ეკითხება ხალხს აზრს სხვადასხვა საკითხის შესახებ. როგორც წესი რეფერენდუმზე გამოიყენება გადაწყვეტილების ვარიანტები და გადის ის ვარიანტი, რომელსაც მონაწილეთა უმრავლესობა დაუჭერს მხარს. რეფერენდუმები უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრის წესით. ამასთან ერთად, აუცილებელია რომ რეფერენდუმის კითხვა შედგენილი იქნას პროფესიულად, რადგან ხშირად კითხვა ისეა შედგენილი რომ ძნელია ადეკვატურად აზრის გამოტანა. ასევე, რეფერენდუმის კითხვა „პატიოსნად“ უნდა იქნას შედგენილი, რადგან სოციოლოგს შეუძლია კითხვა სასურველ პასუხზე „დააპროგრამოს“ და პასუხად არ მიიღოს ის, რასაც მოსახლეობა სინამდვილეში ფიქრობს.

4. პარტიციპაციის საკანონმდებლო-ნორმატიული წინაპირობები საქართველოში

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალაქგანვითარების საკანონმდებლო-ნორმატიული უზრუნველყოფა სადღეისოდ ხასიათდება უსისტემობით, სპორადულობით, ნათელი მიზნებისა და ამოცანების უქონლობით. ეს სისტემა იერარქიულად შემდეგნაირადაა აგებული.

საქართველოს კონსტიტუცია (მ. 37) ადგენს მოქალაქეების ზოგად უფლებებს მათი საცხოვრებელი გარემოს მიმართ:

<...> 3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. 4. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. 5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

გაცილებით უფრო კონკრეტულია საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც, საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ, სხვა კანონებზე მეტი იურიდიული ძალა გააჩნია. უნდა ითქვას, რომ თუ ადრე ამ საერთაშორისო აქტებს ყურადღება, ძირითადად, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე ჰქონდა გამახვილებული, დღეს აშკარად შეინიშნება ბუნებრივი და ანთროპოგენული გარემოს ინტეგრალური აღქმის ტენდენცია.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს ძირითადად განსაზღვრავს ქვემოთმოყვანილი დოკუმენტები:

„დღის წესრიგი 21“ — რიო-დეჟანეიროში მიღებული გაეროს მოქმედებათა პროგრამა (1992წ). იხ. <http://www.un.org/esa/sustdev/agenda21.htm>

ჰაბიტატის სამიტი, იხ. <http://www.undp.org/un/habitat> (1996 წ).

სოციალური სამიტი, იხ. <http://www.un.org/esa/socdev>

ქალთა სამიტი, იხ. <http://www.un.org/womenwatch>

„დედამინის ქარტია“ იხ. <http://www.earthchart.org>

ქალაქგანვითარებისა და არქიტექტურის სფეროში სადღეისოდ მოქმედი საქართველოს კანონები უგულვებელყოფს პარტიციპაციის პრინციპს. მაგალითად, კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ, მ.3.პ.8, მოკრძალებულად იხსენიებს, რომ „განსაკუთრებული ქალაქმშენებლობითი მოთხოვნების არსებობისას არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შესადგენად ან საუკეთესო არქიტექტურული გადაწყვეტის შერჩევისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მიზნით, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის შესაბამისი ორგანოს წინადადებით, დამკვეთთან შეთანხმებით ტარდება ტენდერი (კონკურსი)“; და მ. 17. პ. 5. [არქიტექტურულ-გეგმარებითი] „საბჭოს მუშაობის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებრიობისათვის“ (ხაზი ჩემია — ვ.ვ.).

წინადადებული ნაბიჯია საქართველოს კანონში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იმ მუხლების შეტანა, რომელიც ადგენს პარტიციპაციის ზოგად პრინციპს — მ. 23³ ისტორიული დასახლებისა და მისი ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

1. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ისტორიული დასახლების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში, ადგილობრივი თვით-

მმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის შესაბამისი წინადადებების მიწოდების გზით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ინფორმაციის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფენ საზოგადოების უფლების რეალიზაციას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომლებშიც მიეთითება ამ გადანყვეტილების განხილვის ადგილი და თარიღი.

3. ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივ განხილვას აფინანსებს ისტორიული დასახლების დაცვით ზონებში კონკრეტული პროექტის დამკვეთი.

4. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

ა) ისტორიული დასახლების დაცვის საკითხებზე წინადადებები შეიტანონ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში;

ბ) საკუთარი სახსრებით მოინვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები და ჩაატარონ ექსპერტიზა ისტორიული დასახლების დაცვის განსახილველ პროექტებზე. მათ მიერ მომზადებული ალტერნატიული წინადადებები უნდა ეფუძნებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს;

გ) განსახილველ პროექტებზე მოამზადონ ალტერნატიული წინადადება ან დააფიქსირონ დამოუკიდებელი აზრი ექსპერტების მოწვევის გარეშე.

5. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა უნდა განიხილონ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილი წინადადებები.

6. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ დასვან საკითხი ასეთ გადანყვეტილებათა სასამართლო წესით გაუქმებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების იმ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული ან სხვა სახის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს ამ კანონის მოთხოვნები.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კანონპროექტში შევიდა შემდეგი მუხლები:

მ. 18 დეტალური დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება, შეთანხმება და დამტკიცება

8. დეტალური დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების აუცილებელი პირობაა ამ კანონით განსაზღვრული წესით მათი საჯარო განხილვა.

მ. 19. ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სავალდებულო ხასიათი, მათი შედგენისა და კორექტირების ძირითადი პირობები

3. ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვის მოქმედი დოკუმენტების არ არსებობის ან მათი შემუშავების პერიოდში ტერიტორიულ-სივრცით განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპებს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასაპროექტო-კვლევითი სამუშაოებისა და დასახლებების ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების საფუძველზე.

9. ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის დამტკიცებულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ ამ დოკუმენტების დამამტკიცებელი ორგანოების გადაწყვეტილებით და იმ პირობით, რომ ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება და განიხილება მოსახლეობის მონაწილეობით, რომლის ინტერესებსაც ეხება დასახულ ცვლილებათა მოსალოდნელი შედეგი. (ხაზი ჩემია — ვ. ვ).

10. ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის ორგანიზატორთა გადაწყვეტილება დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების ან მათში ცვლილებების შეტანის შესახებ, აგრეთვე ამ დოკუმენტების ძირითადი დებულებები საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.

მ. 21. ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას

1. ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში, საცხოვრებელი გარემოს ყოველგვარ ცვლილებებზე, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

2. ფიზიკური და იურიდიული პირების ინფორმირება ქალაქთმშენებლობის პროცესის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საზოგადოებრივ ექსპერტს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტის შესაბამისად, უფლება აქვს, გასცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე საექსპერტო დასკვნა. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, მათი გაერთიანებების განცხადებებს ქალაქთმშენებლობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე და დადგენილ დროში დასაბუთებულად უპასუხებენ მათ.

5. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის პროცესში მონაწილეობისას უფლება აქვთ:

ა) მოითხოვონ ადმინისტრაციული ან სასამართლოს წესით გადაწყვეტილებების გაუქმება ობიექტების პროექტირების, განთავსების ან მათი ექსპლუატაციაში შეყვანის შესახებ, თუ დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით მოითხოვონ საწარმოებისა და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის შეწყვეტა ან შეჩერება, რომლებიც არღვევს ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის კანონმდებლობას;

გ) გაასაჩივრონ სახელმწიფო საექსპერტო ორგანოების საექსპერტო დასკვნები საპროექტო დოკუმენტებზე;

დ) წარუდგინონ სასამართლოს საჩივარი ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვის კანონის დარღვევით ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობაზე ან მათ ქონებაზე მიყენებული ზარალის შესახებ;

მ. 22. პროფესიონალურ-შემოქმედებითი ორგანიზაციები (კავშირები) ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში

1. პროფესიონალურ-შემოქმედებით ორგანიზაციებს, რომლებიც ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვის სფეროში ჩამოყალიბებული არიან არასამეწარმეო იურიდიული პირების (კავშირებს) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და პროფესიონალური ინტერესების საფუძველზე, უფლება აქვთ:

ა) თავიანთი წესდების შესაბამისად უფლებამოსილნი განახორციელონ საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ბ) მიიღონ მონაწილეობა ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტირების განხილვაში;

გ) მონაწილეობა მიიღონ ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების დამუშავებაში;

დ) მონაწილეობა მიიღონ ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტაციის დამუშავებაზე გამოსხადებულ კონკურსებში;

ე) წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირები და ფონდები, შექმნან ორგანიზაციები.

მ. 23. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოვალეობანი ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების საქმიანობი განხორციელებისას

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან საცხოვრებელი გარემო;

ბ) განახორციელონ ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ღონისძიებანი ამ კანონის, ნორმატივებისა და წესების, ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების შესაბამისად;

გ) არ დაუშვან ისეთი ქმედებები, რომლებიც ზიანს მიაყენებს გარემოს, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ლანდშაფტს, საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, ტერიტორიის კეთილმოწყობას, აგრეთვე ხელყოფენ უძრავი ნივთების მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა კანონიერ უფლებებს;

დ) ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების, გარემოსდაცვითი, სანიტარული, ზანძარსაწინააღმდეგო და სხვა ნორმატივებისა და წესების შესაბამისად ჩაატარონ სამუშაოები მიწის ნაკვეთებზე განლაგებული შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დასაცავად, აგრეთვე ამ ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის;

ე) შეასრულონ იმ სახელმწიფო ორგანოების მითითებები, რომელთაც ევალებათ კონტროლი ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში.

მ. 52. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვისა და არქიტექტურული სამსახურების უფლებამოსილებანი ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში

1. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვისა და არქიტექტურის სამსახურები ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის სფეროში:

პ) მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციას საცხოვრებელი გარემოს და მისი შეცვლის განზრახვების შესახებ.

კანონპროექტის მ. 55, პ. 2-ით განსაზღვრული, შესამუშავებელი და დასამტკიცებელი კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს „ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის წესი“.

პარტიციპაციის პრინციპი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სისტემაშიც.

„მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესის“ მუხლი 7. 2. ბ. ადგენს, რომ ექსპლუატაციაში მიმღები სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში, სხვა ინსტანციებთან ერთად, მონაწილეობენ „საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შენობა-ნაგებობების მნიშვნელობიდან გამომდინარე“.

„მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესი“ (მ. 6. 2. და მ. 9. პ. 5. ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად: „მიკუთვნებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის, ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციისაგან განსხვავებით, სხვა დანიშნულებით გამოყენება დასაშვებია, დოკუმენტად დადასტურებული საზოგადოებრივ ინტერესებთან შეთანხმებით (ხაზი ჩემია — ვ.ვ.), არსებულ ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის საფუძველზე“, „არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახური, საზღვრების პროექტთან მოქალაქეთა გაცნობის (ხაზი ჩემია — ვ.ვ.) ვადის გასვლის შემდეგ, არ-

სებული წესის შესაბამისად ითანხმებს მიწის ნაკვეთის საზღვრების საპროექტო დოკუმენტაციას". ამავე წესის მუხლი 10 მოქალაქეთა ინფორმირება ადგენს: „კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოქალაქეებს უფლება აქვთ გაეცნონ მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების პროექტს. დაინტერესებულ მოქალაქეთა ინფორმირება არის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის კომპეტენცია“.

ამ თვალსაზრისით გაცილებით ღრმადაა დამუშავებული ქ. თბილისის მუნიციპალური აქტი ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და გადაშენიანების რეგულირების წესების შესახებ. აქ გამოსაყოფია შემდეგი:

მუხლი 2. ქ. თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი

პ. 2. გაუნაშენებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამონურვის და/ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქმშენებლობითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

მუხლი 10. უფლებრივი ზონირების რუკების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

პ. 7. უფლებრივი ზონირების რუკების, როგორც ადგილობრივი კანონის, მიღების შემდგომ იგი გამოქვეყნებულ უნდა იქნას დედაქალაქის ბეჭდით ორგანოში, ექსპონირებულ უნდა იქნას ქალაქის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურში და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის მასობრივი ტირაჟით გავრცელების და ინტერნეტში განთავსების საშუალებით.

მუხლი 32. ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭო

პ. 1. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭო (შემდგომში — საბჭო) იქმნება ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით და წარმოადგენს მის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს.

პ. 2. საბჭოს კომპეტენციათა სფეროს განეკუთვნება:

ე) ამ წესების განმარტება და დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციის გაწევა;

ვ) საჯარო მოსმენების ორგანიზება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საკითხებზე;

თ) ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხებზე საზოგადოებრივი ინფორმირების სამუშაოთა და განხილვათა ორგანიზება;

პ. 6. საბჭოს შემადგენლობაში უნდა დამტკიცდნენ აგრეთვე პირები, რომლებიც წარმოადგენენ არქიტექტორთა კავშირს, სხვა საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სტრუქტურებს. ასეთი პირები არ უნდა იყვნენ საჯარო მოხელეები და არ უნდა შეადგენდნენ საბჭოს შემადგენლობის ერთ მესამედზე ნაკლებს.

პ. 13. საბჭოს სხდომა საჯაროა.

მუხლი 33. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

პ. 1. წინამდებარე წესები არის ღია და ხელმისაწვდომი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

პ. 2. ქ. თბილისის მერია უზრუნველყოფს ამ წესების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას მისი გამოცემის გზით.

პ. 3. ამ წესებით დადგენილი პროცედურებით მოქალაქეებს უფლება აქვთ, საჯარო მოსმენების გზით, მიიღონ მონაწილეობა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხების განხილვაში.

პ. 4. მოქალაქეთა, დაინტერესებულთა და მესაკუთრეთა ინფორმირება უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების მოთხოვნების შესახებ კონკრეტულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში უნდა დაკმაყოფილდეს უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკებიდან ამონაწერების საშუალებით.

პ. 5. მოქალაქეთა, დაინტერესებულთა და მესაკუთრეთა ინფორმირება უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების მოთხოვნების შესახებ კონკრეტულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში ამონაწერის მეშვეობით არის ქ. თბილისის არქიტექტურის საქალქო სამსახურის კომპეტენცია.

პ. 6. მოქალაქეთა, დაინტერესებულთა და მესაკუთრეთა ინფორმირება უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების მოთხოვნების შესახებ კონკრეტულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში ამონაწერების მეშვეობით უნდა მოხდეს განაცხადის შემოსვლიდან 3 დღის ვადაში. უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით.

მუხლი 34. წესების მოთხოვნების რეალიზაციისა და დაცვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა

პ. 1. დეტალური გეგმარების დოკუმენტების, უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების, აგრეთვე ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად სპეციალური ზონალური ნებართვის მისაღებად მომზადებული საპროექტო გადაწყვეტილების განხილვისას, მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა საჯარო მოსმენისას გამოხატონ თავისი შეხედულებები დედაქალაქისა და მისი ცალკეული ნაწილების დაგეგმარებისა და ახლებურად მოწყობა-განვითარების შესახებ.

პ. 2. მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება არ ხერხდება იმ შემთხვევებში, როდესაც:

ა) ტერიტორიის\ების დაგეგმარება და განაშენიანება ხორციელდება განხილული, შეთანხმებული და დამტკიცებული უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების საფუძველზე;

ბ) ტერიტორიის დაგეგმარება და განაშენიანება აკმაყოფილებს რეგლამენტის ძირითადი პარამეტრების ზღვრულ მაჩვენებლებს და სხვა ქალაქმშენებლობით ნორმებსა და წესებს;

გ) უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკები განიცდის ისეთ ცვლილებებს, იღებს დასრულებულ სახე, რომელიც არსებითად არ ცვლის ადრე შეთანხმებულ და დამტკიცებულ დოკუმენტს; დ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დაგეგმარების სხვა ეტაპზე უკვე ჩატარებული მოქალაქეთა ინფორმირება და დისკუსიები.

3. მოქალაქეთა ინფორმირებისა და დისკუსიების (საჯარო მოსმენების) ორგანიზება და გამართვა შედის საბჭოს კომპეტენციაში.

4. მოქალაქეთა ინფორმირება უნდა მოხდეს საჯარო მოსმენამდე არა უმცირეს 15 დღისა.

5. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია: ადგილობრივ პრესის, ადგილობრივი მმართველობის სპეციალური ორგანოს, ტელევიზიის, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც დაგეგმილია მშენებლობა, რომელიც სპეციალურ ნებართვას, საინფორმაციო ფარის დადგმის გზით.

6. განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) განსახილველი საკითხების შესახებ;

ბ) განსახილველი მასალების წინასწარი გაცნობის თარიღის, ადგილის შესახებ.

7. თუ საჯარო მოსმენების შემდგომ ტერიტორიების დაგეგმარებისა და განაშენიანების ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციაში, ასევე კონკრეტული ობიექტის საპროექტო გადანყვეტაში შეტანილი იქნება არსებითი ცვლილებები, იგი იგივე პროცედურით ხელახლა უნდა იქნეს განხილული.

8. თუ საჯარო მოსმენებისას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები არსებითად არ ცვლიან ქალაქმშენებლური დოკუმენტაციისა და ცალკეული ობიექტების საპროექტო გადანყვეტილებებს (პროექტის ძირითადი ჩონჩხი ხელუხლებელი დარჩა ან უმნიშვნელო

ან მცირედი მნიშვნელობის ცვლილებები განიცადა), მაშინ საპროექტო გადაწყვეტილება არ ექვემდებარება ხელმეორედ განხილვას;

9. საჯარო მოსმენებზე გამოთქმული და/ან წერილობითი ფორმით მონოდებული მოქალაქეთა მოსაზრებები და ინიციატივები ორი კვირის განმავლობაში უნდა იქნას განხილული.

10. განხილვის დოკუმენტად დადასტურებული შედეგი საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების გზით უნდა გახდეს ცნობილი საზოგადოებისათვის.

5. ქ. თბილისის მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის ზოგიერთი შედეგი

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ პარტიციპაციის სფეროში იკვეთება ორი ძირითადი ტენდენცია:

1. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია მოქალაქეების მონაწილეობის საშუალება, შესაძლებლობა, ხარისხი და სურვილი; მით უფრო მრავალფეროვანია ხელისუფლების, ქალაქთმშენებლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობის ფორმები და დახვეწილია შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა;

2. მოსახლეობის მონაწილეობა მით უფრო აქტიუალურია და დეტალურად განერილი, რაც უფრო დაბალი რანგის ქალაქგეგმარების დოკუმენტაციასთან გვაქვს საქმე.

ამ თვალსაზრისით, ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა მაღალი რანგის დოკუმენტების რიგს მიეკუთვნება, მასზე საქმიანი მსჯელობა უფრო პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, მუნიციპალურ მუშაკებს, ურბან-მენეჯერებს და პროფესიონალ ქალაქთმშენებლებს ხელეწიფება. მაგრამ, ამ მსჯელობის არამართო შედეგები, არამედ თვით მსჯელობის პროცესი ფართე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ეს ბუნებრივი მოთხოვნა

კიდევ უფრო აქტუალურია გარდამავალი საზოგადოების პირობებში, როდესაც მისაღებია პრინციპული, ქალაქმაფორმირებელი და, როგორც წესი, შეუქცევადი გადანყვეტილებები საქალაქო მიწათსარგებლობისა და ურბანული განვითარების სფეროში.

მეორეს მხრივ, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მისი რეალიზაციის იმ შედეგების მნიშვნელობის წინასწარ გააზრება, რომლებიც გავლენას მოახდენს ქალაქელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მოსახლეობის გარკვეულ მზაობას, ურბანული სივრცის დიფერენცირებულ აღქმას, ქალაქური თვითშეგნების მაღალ დონეს მოითხოვს. ამდენად, ჩვენს პირობებში, მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია გედსისეული სქემის პირველი ეტაპი – მოსახლეობისაგან ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ქალაქმაფორმირებელი მნიშვნელობა.

ამ თვლსაზრისით ნიშანდობლივია ქ. თბილისის მოსახლეობის ურბან-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები.¹

რესპონდენტების წინაშე დასმულ კითხვაზე: „რა იცით თბილისის გენერალური გეგმის შესახებ?“, პასუხები ასე განაწილდა (%% გამოკითხულთა რაოდენობიდან):

- თბილისის გენერალურ გეგმაზე წარმოდგენა არ აქვს	63,2
- თბილისის გენერალურ გეგმაზე რალაცა სმენია	22,5
- იცნობს გენერალური გეგმის ძირითად პრინციპებს	4,2
- ეს საკითხი არ აინტერესებს	8,8
- პასუხი არ გასცა	1,2
სულ	100,0

¹ გამოკითხვა ჩატარებულია 1997-1998 წლებში საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის მიერ, ფონდ „ევრაზიის“ ხელშეწყობით. ქ. თბილისის ექვს რაიონში (მთაწმინდა, ვერა, ვაკე, საბურთალო, მუხიანი, ნავთლული). ორიგინალური ანკეტის მეშვეობით გამოკითხულ იქნა 408 რესპონდენტი. ცხრილებში მოტანილია საერთო საქალაქო მონაცემები.

ეს მონაცემები მეტყველებს ჩვენს პირობებში მოსახლეობის ნაკლებ ინფორმირებულობაზე გენერალური გეგმის შესახებ, რაც ქალაქური თვითშეგნების ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

დასმულ კითხვაზე — „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა თბილისელები დედაქალაქის გენერალური გეგმის განხილვაში“ — პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (%% გამოკითხულთა რაოდენობიდან):

- თბილისელები გენერალურ გეგმას უნდა იცნობდნენ, იგი უნდა გამოქვეყნდეს	42,9
- აუცილებელია გენერალური გეგმის საჯარო განხილვა თუნდაც ტელევიზიით	25,0
- საკმარისია ზოგადი ინფორმაცია გაზეთებში და ტელევიზიით	9,8
- ეს მხოლოდ სპეციალისტების საქმეა	32,4
- პასუხი არ გასცა	2,0
სულ	100,0

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, პასუხებში ჭარბობს თბილისელების სურვილი მეტი ინფორმაცია იქონიონ გენერალური გეგმის პრობლემატიკაზე, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ქალქმშენებლობითი გადანყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვის გზაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაცია მაინც სპეციფიკური ხასიათის დოკუმენტაციაა და მისი აღქმა მოუმზადებელი მოსახლეობისათვის საკმაოდ რთულია, ანკეტაში გათვალისწინებული იყო სასურველი ინფორმაციის მიღების ადაპტირებული ფორმა. კითხვა ასე უღერდა: „შესაძლოა, მთელი თბილისის მასშტაბის პრობლემები ყველა თბილისელთათვის ძნელი აღსაქმელი იყოს. თუ ეს ასეა, თქვენ პირადად რა მასშტაბის არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი პროექტების განხილვაში მიიღებდით მონაწილეობას?“ ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (%% გამოკითხულთა რაოდენობიდან):

- რომელიც ეხება უშუალოდ მიკრორაიონს, უბანს	25,0
- რომელიც ეხება მთელს [ადმინისტრაციულ] რაიონს	6,9
- რომელიც ეხება [მთელი] თბილისის პრობლემებს	36,3
- ეს სპეციალისტების საქმეა	31,9
- არ უპასუხა	3,9
სულ	100,0

საგულისხმოა იმ თბილისელთა წილი (36,3%), რომლებიც მზად არიან, ამა თუ იმ ფორმით, მონაწილეობა მიიღონ მთელი თბილისის მასშტაბის ქალაქთმშენებლობითი პრობლემატიკის განხილვაში, რაც, შესაძლოა, გაუცნობიერებლად, მაგრამ არსებითად დედაქალაქის გენერალური გეგმით დაინტერესებას ნიშნავს.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული რაიონის დონის „ჩავარდნა“ (6,9%), რაც თბილისის მართვის ინსტიტუციური ოპტიმიზაციის დამაჯერებელ სოციოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ურბანიზაციის პროცესის ისეთ იმანენტურ თვისებას, როგორიცაა მოსახლეობის ინტერესთა და საქალაქო ფუნქციების პოლარიზაცია ორი მიმართულებით — უშუალო შემოგარენი (მიკრორაიონი, უბანი) და საერთოსაქალაქო სტრუქტურები.

გასაგები მიზეზების გამო, ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავება და მისი პრობლემატიკა უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის თემას. ეს საკითხი მით უფრო აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მიმდინარე მუნიციპალურ რეფორმას და დეცენტრალიზაციის ტენდენციებს.

პრინციპულ კითხვაზე — „იცნობთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის შინაარსს?“ — რესპონდენტთა 42,4% გულახდილად უპასუხა, რომ „ადგილობრივ თვითმმართველობაზე წარმოდგენა არ აქვს“; ამის შესახებ „რალაც სმენია“ 20,6%; ეს საკითხი არ აინტერესებს 18,1% და მხოლოდ გამოკითხულთა 15,9%, მათი განცხადებით, კარგად აქვს წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის არსი.

თბილისელთა ინტერესების ტერიტორიული არეალის განსაზღვრის მიზნით დასმული იყო კითხვა, თუ რომელი დონის არჩევნებში მიიღებდნენ ისინი მონაწილეობას. პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (%% პასუხთა რაოდენობიდან);

- მიკრორაიონის (უბნის) თვითმმართველობის არჩევნებში	23,8
- ადმინისტრაციული რაიონის დონის არჩევნებში	5,8
- საერთო საქალაქო დონის არჩევნებში	10,3
- არჩევნებამდე დარჩენილ დროში მოიფიქრებს	22,2
- არჩევნებში მონაწილეობას საერთოდ არ მიიღებს	30,1
- პასუხი არ გასცა	7,7
სულ	100,0

საკმაოდ მაღალია ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი მოსახლეობის წილი (30,1%) და იმათი რაოდენობა, ვისაც გამოკითხვის დროისათვის გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული (22,2%). ამავე დროს, მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ სოციალურად აქტიური მოსახლეობის უმრავლესობა დაინტერესებულია უშუალო საცხოვრებელი გარემოს – მიკრორაიონის, უბნის მართვის საკითხით. როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ „ჩავარდნილია“ ადმინისტრაციული რაიონის დონე და კვლავ გამოცოცხლება შეინიშნება მთელი თბილისის ხელისუფლების საქმიანობის მიმართ – შესაბამისად (პროცენტებში): 23,8 – 5,8 – 10,3.

თავისი საცხოვრისის უშუალო შემოგარენისადმი მოსახლეობის დაინტერესება შემთხვევითი არაა – ამას ადასტურებს პასუხები კითხვაზე: „კმაყოფილი თუ ხართ იმ ადგილით, სადაც ცხოვრობთ?“ ამ შემთხვევაში, „ლოკალური პატრიოტიზმი“ გამოიჩინა რესპონდენტთა 61,1%; მაშინ, როდესაც უკმაყოფილება გამოთქვა ჯამში 28,2%. ბუნებრივია, რომ აქ ლიდერობს ცენტრალური უბნები: მთაწმინდა – მოსახლეობის 100% გამოთქვა კმაყოფილება საცხოვრებელი ადგილით; ვერხვი — 90,2%; ვაკეში – 85,3%; საბურთალოზე (ვაჟა-ფშაველას პროს-

პექტი) – 66,3%; ნავთულში ეს წილი ეცემა 52,7%-მდე; მუხიანში კი 36,5%-მდე.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა კითხვა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა პრობლემები აწუხებს თბილისელებს მათს მიკრო-რაიონში, უბანში. შემაჯამებელ მონაცემებში ამ მხრივ პირველ ადგილზე (ელექტრომომარაგებას თუ არ ჩავთვლით), მოულოდნელად აღმოჩნდა „მანანალა ძაღლები“ - გამოკითხულთა 58,3%. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ის, რომ ეს მონაცემები გადანაწილდა ცენტრალურ, ცენტრთან მიმდებარე და პერიფერიულ რაიონებს შორის: მთაწმინდა — 50,0%; ვერა — 48,8%; ვაკე — 64,7%; საბურთალო — 79,8%(!), მუხიანი 54,7%; ნავთული — 50,9%.

თავისი სიმძაფრით მომდევნო ადგილზეა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგვის) მოცილების პრობლემა. გამოვლინდა საკითხთა ჯგუფი, რომლებიც პირველ რიგში აწუხებს თბილისელებს. ესაა სპორტული მოედნების, დარბაზების უქონლობა; ბალ-პარკების ნაკლებობა; გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოკითხვის დროს მიექცა თბილისის გარემოს სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. გამოვლინდა, რომ მოსახლეობას აწუხებს ლოთობა, ნარკომანია (23,3%); დაუცველობის გრძნობა, ბოროტმოქმედება (18,4%); მახინჯი სახლები, უღიმღამო არქიტექტურა (24,0%); მოსახლეობის 22,8%-ს თრგუნავს სოციალური გარემო.

ამასთანავე გაირკვა, რომ მოსახლეობა კარგადაა უზრუნველყოფილი სკოლა-საბავშვო ბაღების ქსელით – გამოკითხულთა მხოლოდ 0,7% განაცხადა, რომ ეს დანებსებულებები შორსაა მათი საცხოვრებელი ადგილიდან.

ქალაქის მიწის მართვის ახლებურ პრინციპებთან დაკავშირებით, პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენდა იმის გარკვევა, გააჩნდა თუ არა რესპონდენტთა საცხოვრებელ მრავალბინიან სახლებს მიკუთვნებული ეზო. ეზო აღმოაჩნდა გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (52,0%). ცენ-

ტრში (მთანმინდაზე) საკუთარი, ან რამდენიმე სახლის საერთო ეზო ყველას გააჩნია (100%). პერიფერიაზე (მაგ. მუხიანში), სადაც გეგმარების „თავისუფალი“ ხერხის გამო ნაკვეთების გამიჯვნა განსაკუთრებით აქტუალურია, საკუთარი ეზო აღმოაჩნდა 28,5%, ხოლო სხვა სახლებთან საერთო ეზო – 29,9%. საერთოდ კი, ეზოს არსებობას საჭიროდ მიიჩნევს რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა – 87,3%, მაშინ როდესაც ეზოს აუცილებლობას უარყოფს მხოლოდ 2,5%.

მეტად საინტერესო იყო თბილისელთა არაფორმალური სოციალური კონტაქტების სივრცითი სისტემის შესწავლა, რაც ნათელს ჰფენს ქალაქური ცხოვრების წესის დღევანდელ ტენდენციებს. ნიშანდობლივია, რომ კითხვაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ მეზობლებთან, გამოკითხულთა 48% განაცხადა; „ყველსათან კარგად ვარ, მაგრამ ზედმეტ კონტაქტებს ვერიდები“. ქალაქის ცენტრიდან პერიფერიისკენ ამგვარი ინდივიდუალისტური ცხოვრების წესის წილი, საზოგადოდ, იზრდება (%% გამოკითხულთა რაოდენობიდან):

- მთანმინდა	37,5
- ვერა	29,3
- ვაკე	38,9
- საბურთალო	50,6
- მუხიანი	51,1
- ნავთლული	61,8

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, მრავალბინიანი სახლების მოვლა-პატრონობა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა“ თვით მობინადრეებს დააკისრა – ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების მეშვეობით. გამოკითხვამ დაადასტურა შესწავლილ უბნებში პრივატიზებულ ბინათა საკმაოდ მაღალი წილი – 87,3%, რაც გამოკითხვის დროისთვის თბილისის საერთო საქალაქო მაჩვენებელს (86,6%) პრაქტიკულად ემთხვევა.

მთელი რიგი მიზეზების გამო, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ სამართავი უძრავი ქონების ერთიანი

კომპლექსების — კონდომინიუმების ინსტიტუციონალიზაცია თბილისში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. ამასობაში საცხოვრებელი გარემო დეგრადაციას, ტექნიკურ დაცემას, ესთეტიკურ გადაგვარებას განიცდის, რაც დედაქალაქს ე.წ. „კომუნალური კატასტროფისაკენ“ მიაქანებს. ამ აქტუალურ საკითხს ანკეტიის ერთი ბლოკი მიეძღვნა.

კითხვაზე, თუ რა არის სადარბაზოებისა და ეზოების მოუვლელობის ძირითადი მიზეზი, გამოკითხულთა 36,3% უპასუხა, რომ სახლმმართველობების ადრე არსებული და სადღეისოდ რეფორმირებული სისტემა არ ამართლებს. თვით მოსახლეობის გულგრილობა და უპასუხისმგებლობა აღიარა 35,8%. მესამედზე მეტმა (35,3%) ამის მიზეზად დაასახელა მოსახლეობის დამოკიდებულების განსხვავება კერძო საკუთრებასა (ბინები) და საერთო წილადი საკუთრების (ეზო, სადარბაზო, სხვენი, ლიფტი და ა.შ.) მიმართ.

პრინციპული იყო კითხვა: „რა გზა ავირჩიოთ იმისათვის, რომ ჩვენი საცხოვრებელი გარემო მოწესრიგდეს?“ ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (%% პასუხთა რაოდენობიდან)“:

- პერიოდულად ფულის შეგროვება კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად	6,7
- ერთობლივი შაბათობების მოწყობა	15,7
- შეზღუდვებმა მონაცვლეობით უნდა დაალაგონ კიბე, სადარბაზო, ეზო	24,7
- სახლმმართველობებმა უკეთესად შეასრულონ თავისი მოვალეობა	14,6
- ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებისა და კონდომინიუმების შექმნა	37,3
- პასუხი არ გასცა	0,9
სულ	100,0

ამ თემის გასაღრმავებლად დასმული იყო საკონტროლო კითხვა: „ხართ თუ არა ამხანაგობის, კონდომინიუმის ჩამოყალიბების მომხრე თქვენს სახლში?“ მომხრე აღმოჩნდა გამოკითხულთა 37,7%, წინააღმდეგი — 4,7%, გაურკვეველი პოზიცია გამოავლინა 8,8%, პასუხი არ გასცა 3,2%. მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელია რესპოდენტთა ის 45,6%, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ ამ საკითხის გადასაწყვეტად მეტი ინფორმაცია სჭირდებათ. ეს სურათი სვამს საბიანო ფონდის გადარჩენისა და მოვლის თვალსაზრისით ახლებურ და მეტად აქ-

ტულურ ამოცანას – მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

საერთოდ ითვლება, რომ ქალაქთმშენებლობით-სოციოლოგიური გამოკითხვები ჩვენში მოსახლეობის გულგრილობასა და ნიჰილიზმს აწყდება. ჩატარებულმა კვლევამ კატეგორიულად უარპყო ამგვარი სტერეოტიპი. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (52,2%) მიაჩნია, რომ ამგვარი გამოკითხვები მეტად საჭიროა - „ჩვენი აზრი მთავრობამ უნდა იცოდეს“. სანინალმდეგო პოზიცია გამოხატა 37,7%: „ეს არაფერს იძლევა, არაფერი შეიცვლება“; ინდიფერენტული იყო 6,4%, ხოლო თავისი აზრი არ გამოთქვა 3,9%.

*

* *

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ქ. თბილისის სხვადასხვა უბნების მოსახლეობა ნებაყოფლობითსა და ანონიმურ სოციოლოგიურ გამოკითხვას საკმარისი აქტიურობით გამოეხმაურა. მიღებული მონაცემები და მათს საფუძველზე ჩატარებული ზემოთმოყვანილი ქალაქთმშენებლობითი ინტერპრეტაცია იძლევა თბილისის ურბანული განვითარების სარწმუნო ორიენტირებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის დამუშავების ყველა შემდგომ სტადიაზე.

6. საქართველოს პრაქტიკა

გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ქალაქ-მაფორმირებელი ფასეულობების განწყობებისა თუ პოტენციალის გამოვლენა, ძირითადად, გაშუალებული სახით — ქალაქთმშენებლობით-სოციოლოგიური კვლევების მეშვეობით თუ ხერხდებოდა — ისიც, გარკვეული შეზღუდვებით, პოლიტიკური და პროფესიული ცენზურის ქვეშ.

საქართველოში წარმართულმა ამგავრმა კვლევებმა იმ დროს მოიცვა როგორც დედაქალაქი, ასევე სხვა დასახლებები — რუსთავი, მადნეული, სიღნაღი, გორი და სხვა. მიღებული შედეგები ხშირად ეწინააღმდეგებოდა გაბატონებულ ქალაქთმშენებლობითს დოქტრინებს; მაგრამ ზოგჯერ ისინი ოფიციალურ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაშიც კი ისახებოდა¹.

ბოლო წლებში ქალაქთმშენებლობითს-სოციოლოგიური კვლევების მნიშვნელობის დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი ისეთმა წარმატებულმა ქართულ-გერმანულმა სტუდენტურმა პროექტმა, როგორცაა „გარე ავლაბრის უბნის ფრთხილი რეაბილიტაცია“. პროექტის ინიციატორი იყო ცნობილი გერმანელი არქიტექტორი, საქართველოსა და თბილისის უანგარო ქომაგი, სტუ-ს არქიტექტურის საპატიო პროფესორი, ან გარდაცვლილი იოსტ შრამი. ორსემესტრიანი პროექტის პირველი სტადია ეთმობოდა მოსახლეობის სავსე სოციოლოგიურ კვლევას — ანკეტირების, ინტერვიუსა და ჩართული დაკვირვების მეშვეობით. მხოლოდ მიღებული მასალების დამუშავებისა და ქალაქთმშენებლობითი ინტერპრეტაციის შემდეგ, II სემესტრში, იწყებოდა საკუთრივ ქალაქგეგმარებითი პროექტირება. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს პროექტი ცარიელ ადგილზე არ დაწყებულა — 1970-იანი წლებიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში იკითხება „ქალაქის სოციოლოგიის“ კურსი.

მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის აუცილებლობა სულ უფრო ნათელი ხდება მსხვილმასშტაბიანი ურბანული განვითარების პროგრამებსა და პროექტებში. ასე მაგალითად, ქ. თბილისის მერიის შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტის“ დაკვეთით, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციამ 2001 წელს დაამუშავა სამეცნიერო თემა „ქ. თბილისის ურბანული განვითარების სოციოლოგიური ანალიზი“. ამ ნაშრომის სტრუქტურა წარმოდგენას იძლევა ქალაქური გარემოს კვლევის დიაპაზონზე:

¹ მაგ.,: 1978 წელს შესრულებული ნაშრომი: 'Региональная схема расселения на территории Грузинской ССР. Раздел-Развитие Тбилисской агломерации'.

თანამედროვე ურბანული ცხოვრება წარმოდგენილია ქალაქის სოციალურ-ინფორმაციული კომპლექსის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარეშე. ამ საკითხის განხილვას ეძღვნება თავი 2.2. – „ქ. თბილისის სოციალურ-ინფორმაციული სისტემა“.

ახლებურმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა განსაკუთრებული სიმძაფრით გამოკვეთა ჩვენში შრომითი დასაქმების, უმუშევრობის პრობლემა. სწორედ მას ეძღვნება თავი 2.3. — „ქ. თბილისში შრომის ბაზრის სოციოლოგიური მიმოხილვა“.

უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბება ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. ამ სფეროში ემპირიზმი, თვითორგანიზაცია უფროა გაბატონებული, ვიდრე უძრავი ქონების ბაზრის გააზრებული მართვის მცდელობა. მით უფრო ფასეულია ჩვენში პრაქტიკულად პირველი მცდელობა ამ ბაზრის ძირითადი კონტურების სისტემაში მოყვანა – ამას ეხმაურება თავი 2.4. — „ქ. თბილისის პირობებში უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბების მიმოხილვა“.

ნაშრომში გამოყოფილია თბილისის ამჟამინდელი მოსახლეობის ყველაზე დრამატული კატეგორიის – დევნილთა მდგომარეობა, მათი განსახლების, სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის, განწყობისა და სხვა ამგვარის თვალსაზრისით (თავი 2.5. „თბილისში განსახლებულ დევნილთა სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემები“). პრობლემის ანალიზი გაღრმავებულადაა წარმოდგენილი სასტუმრო „ივერიაში“ დროებით დასახლებულ დევნილთა მაგალითზე, ორიგინალური ანკეტების მეშვეობით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მასალებზე დაყრდნობით.

ნაშრომის მეტად ფაქიზ ნაწილს შეადგენს თავი 2.6. — „ურბანული გარემოს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის ზოგადი ნაწილები“. ამ თავში ქართული ურბანოლოგიისათვის უპრეცედენტო დიპაზონში განიხილება ის ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა ზეგავლენა ქალაქფორმირების პროცესებზე – უშუალო თუ გაშუალებული სახით – დღეს მსოფლიო ურბანისტიკის თეორიაში ეჭვს აღარ იწვევს.

პრაქტიკული ორიენტაციის მქონეა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ქ. თბილისის სოციალური გარემოს მდგომარეობას აღწერს (თავი 2.7. „ქალაქური გარემოს სოციოლოგიური ანალიზი“) ურბანული ინდიკატორების მეშვეობით. თბილისის დღევანდელი სურათი განიხილება „პანელური კვლევის“ მეთოდით, დროის დინამიკაში, 1996-1999 წლების მონაცემების მიხედვით.

ნაშრომის ნაწილი III საგანგებოდაა გამოყოფილი, მასში მოთავსებული მასალის თავისებურების გამო. თავი 3.1. — „არქიტექტურული კონკურსების პრაქტიკის სოციოლოგიური ანალიზი (ექსპერტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით)“ წარმოადგენს ჩვენში პირველ მცდელობას სოციოლოგიური მეთოდებით შევაფასოთ არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი შემოქმედებითი კონკურსების არც თუ უნაკლო პრაქტიკა.

რაც შეეხება მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას საკუთარი ცხოველქმედობის გარემოს მომავლის განსაზღვრაში, ამ მიმართულების მეთოდოლოგია, ტექნიკა და, მით უფრო, პრაქტიკა საქართველოში სანაყის სტადიაშია. ერთ-ერთ იშვიათ მაგალითად შეიძლება დასახელებდეს გარე ავლაბრის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრა ზემოხსენებული სტრუქტურული პროექტის ფარგლებში.

7. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დონეები¹

საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქალაქეთა გასვლის ერთ-ერთი გზაა ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. თუ როგორ ერთვებიან მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღებაში, და საერთოდ ერთვებიან, თუ არა, დამოკიდებულია მნიშვნელოვან-

¹ ამ ნაწილში გამოყენებულია ორგანიზაცია *პარტნერს—ჯორჯიას* ექსპერტი მილენა მითავარიას მასალა.

წილად იმ ხელისუფლებას, რომელსაც გააჩნია გარკვეულ საკითხთან მიმართებაში გადანყვეტილების მიღების კომპეტენცია. ხელისუფლება თავად წყვეტს, თუ რისთვის გამოიყენებს საზოგადოების მონაწილეობას — მხოლოდ იმისათვის, რომ კანონიერებისა და გახსნილობის შთაბეჭდილება შექმნა, თუ მას მართლაც სურს იმოქმედოს ღიად და მოქალაქეთა აზრის გათვალისწინებით.

საინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრის შიშის გამო, გადანყვეტილების მიმღები ხელისუფლება ჩვეულებრივ თავს არიდებს გადანყვეტილების შესახებ სრული ინფორმაციის გამოქვეყნებას. ის, როგორც წესი, იყენებს მეთოდებს, რომლებიც მხოლოდ ქმნის საზოგადოების მონაწილეობის შთაბეჭდილებას. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათ არ მოუწევთ მისი დაცვა შემდგომი განხორციელების დროს. მოსახლეობის ფსევდო-ჩართულობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- საზოგადოების ინფორმირება უკვე მიღებული გადანყვეტილების შესახებ, როდესაც მის შესახებ პოზიციის გამოთქმას აზრი აღარ გააჩნია. ამაში აგრეთვე იგულისხმება ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხიდან საზოგადოების ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის მრავალი ხერხი.

- საზოგადოებით მანიპულირება (უკვე მიღებული გადანყვეტილების ფონზე) — ეს არის ხელისუფლების მცდელობა მომხდარი ფაქტის საუკეთესო კუთხით წარმოჩენისა, იმისათვის, რომ მოქალაქეები თავიანთ მხარეს გადაიბირონ. ხელისუფლება ხშირად მიმართავს სხვადასხვა ტიპის მანიპულაციებს, რათა აიძულოს საზოგადოება, რომ მან მხარი დაუჭიროს ხელისუფლების ამა თუ იმ გადანყვეტილებას.

- საზოგადოების აზრით დაინტერესება — საჯარო შეხვედრის მოწყობა გადანყვეტილების მიღების წინ, ან გეგმების გამოქვეყნება საზოგადოებისათვის მინიმალური ინფორმაციის მისაწვდენად, რაც შედეგად ასეთივე ზედაპირული უკუკავშირის მიღებას იწვევს.

საზღვარგარეთის გამოცდილებიდან ჩანს, რომ გაცილებით უფრო ეფექტურია, როდესაც გადანყვეტილების მიღებამდე საზოგადოებასთან ერთად ალტერნატიული წინადადებების განხილვა ხდება. ეს უფრო იაფიცაა, რადგან თუ საზოგადოების უკმაყოფილება უფრო გვიან ეტაპზე, გადანყვეტილების განხორციელების დროს გამოვლინდა, მასთან გამკლავება უფრო ძვირი დაჯდება. იმისათვის, რომ მოქალაქეებმა მოინონონ გადანყვეტილებები და გაითავისონ ისინი, ოთხი ძირითადი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილდეს, თანაც შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მოქალაქეებს უნდა გაანდონ საკმარისი ინფორმაცია გადანყვეტილების მიღების მთლიანი პროცესის შესახებ;
2. ხელისუფლებამ უნდა მოუსმინოს მოქალაქეებს მანამ, სანამ გადანყვეტილებას მიიღებს;
3. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ გადანყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება;
4. მოქალაქეები უნდა ეთანხმებოდნენ გადანყვეტილებას და სურდეთ მისი მიღება.

არსებობს რიგი თეორიებისა, რომლებიც გვთავაზობენ საზოგადოების ჩართვის უზრუნველყოფის მრავალ ფორმასა და საშუალებას. საერთაშორისო დონეზე ასეთ თეორიებში ყველაზე პოპულარული და კლასიკურია შერი არნსტაინის მიერ 1969 წელს შემოთავაზებული „მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე“.

წარმოდგენილი ნახატი ორ ძირითად ფაქტორს ასახავს:


- გადანყვეტილების მიღებაზე მოქალაქეთა ზეგავლენის დონეს (ჰორიზონტალურად);
- გადანყვეტილების მიღებისათვის საჭირო დროს (ვერტიკალურად).

ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ჩართვის მეთოდები

მეთოდები

ერობრივი გადაწყვეტილების მიღების დონეები	ოფიციალური და არაოფიციალური პროცესის დონეზე არსებული პროცესები	პროცესი დონეზე	მოქალაქეთა	პროცესი, რომელიც მოლიან თერს - ლიდერებსა და მოქალაქებს მოიცავს
1. ხელისუფლება დებულებას გადაწყვეტისას და შემდგომში აქტებს მის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებას	პროცესები, ანუ ხაზიკულ შეხვედრები, რომლის დროსაც ხელისუფლება ინტერს ლიდერებს და აქტივი მთი მოკლუ ინფორმაციას მიწვეულად გადაწყვეტილების შესახებ	საჯარო შეხვედრები ინფორმაციის მიწოდება მასმედის საშუალებით (ბიულეტენები, პრესრეკლამები, პრესკონფერენციები, ვებ-საიდები, ანიმაციები); არაოფიციალური შეხვედრები მოქალაქეთა ჯგუფებთან	საჯარო შეხვედრები ინფორმაციის მიწოდება მასმედის საშუალებით (ბიულეტენები, პრესრეკლამები, პრესკონფერენციები, ვებ-საიდები, ანიმაციები); არაოფიციალური შეხვედრები მოქალაქეთა ჯგუფებთან	
2. ხელისუფლება დებულებას გადაწყვეტილება ცალკეულ პირებთან კონსულტაციის მეშვეობით	ლაბორატორია კონსულტაციები ადგილობრივ ექსპერტებთან	გამოკონსულტო, პროცესების მისწინებით საჯარო მისხვები, სოციალურადი ფორუმები, ფოკუს ჯგუფები, ხელდაუფალითაფერ კონფერენციები, შეხვედრები (პირდაპირ, ტელეფონით, ვებკონფერენციებით); გამოყენება მთავრობის ვებ-საიტის მეშვეობით	გამოკონსულტო, პროცესების მისწინებით საჯარო მისხვები, სოციალურადი ფორუმები, ფოკუს ჯგუფები, ხელდაუფალითაფერ კონფერენციები, შეხვედრები (პირდაპირ, ტელეფონით, ვებკონფერენციებით); გამოყენება მთავრობის ვებ-საიტის მეშვეობით	
3. ხელისუფლება დებულებას გადაწყვეტისას ცალკეულ პირთა ხაზით ინფორმაციის მიწოდებას	მშვიდელ ექსპერტთა ჯგუფი ჯგუფური და მრავალპარტიული განხილვა; კონსულტაციები, კომიტეტები, სემინარები და დიპლომატიური დისკუსიები	მშვიდელ ექსპერტთა ჯგუფური და მრავალპარტიული განხილვა; კონსულტაციები, კომიტეტები, სემინარები და დიპლომატიური დისკუსიები	მშვიდელ ექსპერტთა ჯგუფური და მრავალპარტიული განხილვა; კონსულტაციები, კომიტეტები, სემინარები და დიპლომატიური დისკუსიები	ადგილობრივი სამსახური/სამსახური (გადასაწყობი) მრავალპარტიული განხილვა; კონსულტაციები (მასშტაბი)
4. ხელისუფლება დებულებას გადაწყვეტისას ცალკეულ პირთა ხაზით ინფორმაციის მიწოდებას ერთად	მრავალპარტიული დისკუსიები ჯგუფებთან მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა	მრავალპარტიული დისკუსიები ჯგუფებთან მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა	მრავალპარტიული დისკუსიები ჯგუფებთან მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა; მრავალპარტიული განხილვა	ადგილობრივი სამსახური/სამსახური (გადასაწყობი) მრავალპარტიული განხილვა; კონსულტაციები (მასშტაბი)
5. ხელისუფლება გადასცემს გადაწყვეტილებას მოქალაქებს, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ გადაწყვეტილების ცალკეული კონკრეტული ნაწილი	სათემო-ფორმის საჯაროებო პროცესები	სათემო-ფორმის საჯაროებო პროცესები	სათემო-ფორმის საჯაროებო პროცესები	სათემო-ფორმის საჯაროებო პროცესები

საჯარო გადაწყვეტილების მიღებაზე მოქალაქეთა გავლენის
ხუთი დონე



ხარისხი, რომლითაც მოქალაქეები ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე

შინაარსი

თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია და პროგნოზი.....	7
1. ზოგადი საფუძვლები	7
1.1. ზოგიერთი რამ თბილისის ისტორიიდან	10
1.2. ურბანიზაციისა და კაპიტალისტური ქალაქის განვითარების ტენდენციები	13
1.3. თბილისი და მისი ფუნქციები	19
1.4. თბილისის განვითარების ურთიერთნაღმდეგობრივი ფორმები და გენერალური გეგმა	22
1.5. საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი	34
2. თბილისის დემოგრაფიული ვითარება	43
2.1. თბილისის მოსახლეობის დინამიკა რუსული ექსპანსიის პერიოდში	44
2.2. თბილისის მოსახლეობა პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებლობის წლებში	45
2.3. თბილისის მოსახლეობის დინამიკა საბჭოთა ექსპანსიის პერიოდში	46
2.4. თბილისის დემოგრაფიული ვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში	47
3. თბილისის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია	60
3.1. თბილისის დემოგრაფიული განვითარების თაობაზე დამოუკიდებლობის აღდგენამდე არსებული პროგნოზული გაანგარიშებები	62
3.2. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დამუშავებული პროგნოზები	65
3.3. თბილისის ფუნქციათა განვითარების საპროგნოზო ვარიანტები	67
3.4. თბილისის „დემოგრაფიული ტევადობის“ საპროგნოზო ვარიანტები	69
ძირითადი დასკვნები	77
გამოყენებული ლიტერატურა	81
თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მემკვიდრეობითობა	83
1. თბილისის ძველი უბნების განვითარების სოციალურ-ქალაქთმშენებლობითი საკითხები	83
2. თბილისის ისტორიულ ზონაში მდებარე ტერიტორიების განაშენიანების პრობლემები	96
3. თბილისის ისტორიული ნაწილის შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები	102
4. თბილისის არქიტექტურულ-სივრცითი და სოციალურ-ფუნქციური განვითარების მემკვიდრეობითობა	111

თბილისის ქალაქგაგმაარებითი ზონირების შესახებ	153
განგებვის აღბილი და მნიშვნელოვა თბილისის ურგანული განვითარების სისტემაში	164
1. საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა	164
2. ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფა	174
3. საცხოვრისი, როგორც ურბანული განვითარების უმნიშვნელოვანესი ობიექტი	182
თბილისის საგარეუბნო ზონის დაგაგმარების თავისეპარებანი	201
თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის ურგანული განვითარების ეკოლოგიური მითითებები	216
1. სოციოეკოლოგიური ღონისძიებები ქალაქმშენებლობით პროექტირებაში	217
2. თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის ლანდშაფტური ეკოსისტემის გამოვლენა	219
3. თბილისის ურბანული (ბუნებრივ-ანტროპოგენური) ლანდშაფტის კლასტრის შედგენა	224
4. ურბანული ლანდშაფტების საინვენტარიზაციო სამუშაოების ჩატარების ეკოლოგიური ტექნოლოგია	231
5. ქალაქმშენებლობის ეკოლოგიური მონიტორინგი	241
მოსახლეობის მონანილოვა ქალაქგანვითარების პროცესში	246
1. პრეამბულა	246
2. ისტორიული რეტროსპექტივა	247
3. უცხოური გამოცდილება	250
4. პარტიციპაციის საკანონმდებლო-ნორმატიული წინაპირობები საქართველოში	259
5. თბილისის მოსახლეობის სოციალური კვლევის ზოგიერთი შედეგი	271
6. საქართველოს პრაქტიკა	279
7. გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონანილოვის დონეები	282